

# მ მ ა მ ბ ე

თ ვ ი უ რ ი ქ უ რ ნ ა ლ ი

წელიწადი გეგვიდე

№ VI

ი ა ვ გ ი ს ი, 1900

183

ტფილისი

საბჭოთაო საზოგადოებრივი მეცნიერებათა აკადემია

1900



ს ს ს ს მ ს

IV M

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10-го Іюля 1900 г.

ს ს ს ს ს ს

## შ ი ნ ა პ რ ს ი

	83•
I—ნავარდოვა.—XV—XIX. — ნაწილი მესამე. — მოთხრობა ქელანასა (დასასრული).	1
II—დამონებულნი.—რომანი ბოლგართა ცხოვრებიდან, ივ. ჯაფარიასა. — დასკვნა.—I—XV. — თარგმანი თ. ს.—სა (დასასრული)	29
III—„მჰ!... (სურათი) შ. აზაგვისშირელისა.	76
IV—კრ. აზნან.—რომანი იტალიის ცხოვრებიდან, ე. ვაინაისას, ნაწილი მესამე.—III. —თარგმანი ნატალია რ. გიგაურასა (გაგრძელება).	79
V—საქართველოს მფხვთა ბრძანებანი.—I—XV.—აღ. ე—ძასა.	1
VI—ანდრია მოციქულის და წმ. ნინოს მოღვაწეობა საქართველოში.—ივ. ჯაფარიასა (დასასრული)	18
VII—„ცხოვრება და ხელოვნება“.—ტოლსტოის ახალი რომანი „ალღომა“, კიტა აბაშიძისა (დასასრული).	51
VIII—თომა ჰენრი ჰემსლი.—(ბიოგრაფიული დახასიათება), შ. სურგულაძისა	64

(ნახე მეორე გვერდი)

## ქ რ ო ნ ი კ ა :

X—**შინაური მიმოხილვა.**— ციმბირში გადასახლების მოს-  
პობა.—ორი უმაღლესი ბრძანება 6 მაისს 1899 წ. და 13 ივნისს  
19 00 წ.—რეფორმის ნაკლულებანი.—გადასახლების მაგიერი  
სასჯელი.—საპატიმროთა მდგომარეობის გაუმჯობესების სა-  
კიროება.—ქართველი მოზარდი თაობა გიმნაზიებში.—ტფ.  
სათავად-აზნაურო სკოლაში კურს-დამთავრებულნი.—საქირო  
შუამდგომლობა.—**ღაღისა** . . . . . 79

# ნ ა ვ ა რ ლ ო ბ ა

მოთხრობა

ნაწილი მესამე

XV \*)

ჭ ა დ ა

პლანტაციების საქმე ალალოს ძლიერ კარგად მისდიოდა. მიხაკო დახელოვნებული თამბაქოს ოსტატი გამოდგა. მხოლოდ საჭირო იყო, რომ იგი მუყაითი ყოფილიყო მიჩემებულ საქმეზე და ხშირად თავი არ დაფნებებინა ხოლმე პლანტაციებისათვის. ამ მიზნის მისაღწევად ალალო შემდეგ ხერხსა ხმარობდა: მიხაკოს არც ტანთ და არც ფეხთ არ აცმევდა ისე, რომ ბაზარში გასვლა, ან სხვაგან, თვის ტომში წასვლა, შესძლებოდა. ცოლის სანახავედაც, ალალოს სახლში, ღამ-ღამეობით მოიპარებოდა ხოლმე. ალალოს მიერ ნახმარი ხერხი საუცხოვოდ მოქმედებდა მიხაკოზე: იგი მთელ დროს პლანტაციებში ატარებდა და თავისს საქმეს, ძალა-უნებურად, მუყაითად ეკიდებოდა.

ამ ნაირი მოპყრობით, ალალოს მხრივ, რასაკვირველია, ძრიელა ჰქონდა მიხაკოს გული ნატყენი, მაგრამ უფრო კი იმაზე მოსდიოდა ჯავრი, რომ ასე საძაგლად და სასაცილოდ მოტყუვდა მისგან და თავიან-ცოლიანად ყმადა და მონად გაუხდა მას. მხოლოდ იმითი იბრუნებდა კიდევ გულს, რომ მის

\*) იხ. „მოამბე“ № V, 1900 წ.

ცოლს მაინც კარგი ნანახობა ეტყობოდა; ყოველთვის კარგი ჩაცმულ დახურული იყო ხოლმე იგი,—ნამეტნავად მას შემდეგ, რაც პატარა „კალიასკით“ თეთრი თივთიკის ტანსაცმელში გაფუფუნებულ ბუნჩულა ბავშვს ასეირნებდა ქუჩა-მინდვრებში.

აღალოს წარმატებით ცხოვრება „ღმერთმა სრულის ბედნიერებით დააგვირგვინა“, როგორც თვით გაიძახოდა. მას მიეცა ვაჟიშვილი, რომელიც არამც თუ თავისს სიცოცხლეს, არამედ მთელს სარჩო-საბადებელსაც კი ერჩინა. ვერ გამოთქვამს ენა-პირი იმ სიხარულს და აღტაცებას, რომელშიაც იმყოფებოდა აღალო, როცა შეპყრებდა თავისს გარიაგინს. ვერც ასწერს სუსტი კალამი უბრალო მომაკვდავისა იმ მეჯლისს, რომელიც აღალომ გარიაგინის ნათლობაში გადაიხადა. საკმარისია მხოლოდ ითქვას, რომ მთელი წელიწადი ემზადებოდა ნათლობისათვის და ამავე შემთხვევისათვის გადმოიტანა მოსკოვიდან ძვირფასი ქალი.

თავის თამბაქოების გარდა აღალომ ერთხელვე ხელთ იგდო მთელი სხვა პლანტაციებას თამბაქოებიც და მას ველარავინ და ველარას გზით ვერ გამოაცალა ხელიდან. თამბაქოება პირდაპირ მოსკოვში გადაჰქონდა და იქ ასაღებდა დიდის სარფით და მოკებით. როცა ნათლობის წინაღ გადაიტანა თამბაქოები და გაყიდა, უნდოდა ისეთი რამ ნივთი ეყიდნა, რომელითაც აღენიშნა და აღებეჭდნა შვილის ნათლობა. ბევრი ფიქრისა და შინჯვის შემდეგ ამოირჩია ქალი. და დახეთ ღვთის განგებულებას! სწორედ იმდენი საზოვეს და მისცა კიდევაც ქალში, რამდენიც ემართა მიხაკოს.

ამ ქალმა ყოველი მნახველი მოხიზლა, ზოგი სიმშურნით, ზოგიც თავისი საკვირველი სიმშვენიერით და ძვირფასობით. ამ გვარი რამ არავის ენახა ჯერ არამც თუ პროვინციალურ ქალაქში, თვით საკუბერნიო ქალაქშიაც, აღალოზე გაცილებით მდიდრების სახლში. როცა მნახველნი მოწონებით შესხმას მიუძღვნინდნენ ჯერ ქალსა და მერე მისს მსყიდველს, აღალო დაკვებებით წამოიძახებდა ხოლმე: „იცით, ამ ქალში რა ფასი

### ნაგანდობა

მივეცი?—იძენივე ფასი მივეცი, რა ფასადაც, ვენაცვალე, ჩემს გარიაგინს ვუყიდე ერთი კომლი ყმა. არკი გეგონოთ, ისე იათად დამჯდომოდეს ყმის სყიდვა, და ან ის დრო იყო ეხლა, როცა თავადები ერთ მწვეარში ერთ კომლ კაცს აძლევდნენ. თუ კაცია ვინმე და ან ერთ ქეციან ბიჭს იყიდის ეხლა ათას თუმნად! მე კი ვიყიდე ერთი კომლი კაცი იმ ფასად, რაც ამ ქალში მივეცი. გითხრათ, რამდენი მივეცი?" და როცა დაატყობდა, რომ ცნობის მოყვარეობა და ყურადღება მსმენელთა მოუთმენელად ელოდნენ დაკმაყოფილებას, ეტყოდათ ხოლმე გაქიანურებით: „ეს ქალი დამიჯდა სწორედ ას ოცდა ოთხი თუმანი, რეა მანეთი და ოთხი აბაზი. აბა ახლა თქვენ გამოიცანით, რა დამჯდომია ერთი კომლი კაცის სყიდვა!... ვინც ბიქია და ან ათას თუმნად იყიდის ერთ ქეციანსა და ბრუციან ბიჭს!...

ნამეტნავად მაშინ იყო ხოლმე აღტაცებული ალალო, მარტო იქნებოდა, თუ სტუმრებით, როცა დილით ფანჯრებიდან შესული მზის სხივები მადგებოდნენ ხოლმე ქალის სამკუთხედ ბროლებს, რომელნიც მოჰყენდნენ ხოლმე დარბაზის კედლებზე და სხვენ-იატაკზე მზის ფეროვანებს—სპექტრებს. ერთადერთი ნაკლულევიანება ქალასა ის იყო, რომ იმ დარბაზისათვის, რომელშიაც ეკიდა, მეტად გრძელი იყო: რაც უნდა ტანდაბალ კაცს გაევილო მის ქვეშ, უთუოდ თავს შეახლიდა. რომ არც სტუმრებს ეგრძნოთ უსიამოვნება თავის შეხეთქვით და არც ქალი დაზიანებულიყო, როცა სტუმრები ჰყვანდა ალალოს, ქალის ქვეშ დადგებოდა ხოლმე, ანუ სკამზე ჯდებოდა იმისავე ქვეშ. ძლიერ სწუხდა ალალო, რომ შორს გამჭვრეტელობამ უღალატა და სახლები დაბალი დაიჭირა. მაგრამ ეს გარემოება მაინც ვერ არყევდა საფუძველს მისი ბედნიერებისას. ამ შეწუხების ასაცილებლად მან გარდასწყვიტა გარიაგინისათვის აქმენებინა ისეთი სახლები, რომელშიაც ქალი ზედ გაოწყობილი მოვიდოდა.

## XVI

## შავი ღრუბელნი ახალს რაზმე

ბედნიერებისაგან გაბრუებულ ალექსეი მელიქიჩს ხანდის-ხან, სრულად მოულოდნელად, ეწვეოდნენ ხოლმე დაუპატი-ეებელ სტუმრად რაღაც შემადრწუნებელი ფიქრები, რომელნიც იღუმალ შიშსა ჰბადებდნენ მისს გულში. ძრიელ ცდილობდა იგი ამ უცნაური და უსიამოვნო ფიქრების თავიდან აშორებას, მაგრამ ყოველი მეცადინეობა მისი ამაო იყო: ფიქრები მას არ ასვენებდნენ.

— მართალია, — ამბობდა ალექსეი მელიქიჩი, — ღვთით, სარჩო დიდი შევიძინე, მაგრამ ზღვაც კი დაილეოდა, თუ წვიმის წყალი არ ემატებოდეს. მაშასადამე, ჩემ სარჩოსაც უნდა ყოველთვის ემატებოდეს, რომ ზღვასავით უღეველი გახდეს. კიდევაც ეუმატებ, რაც შემიძლიან, მხოლოდ ეს მაშინებს, ვაი თუ შემდეგისათვის იკლოს შემოსავალმა; როგორღაც ცუდ ნიშნებსა ვხედავ. ეს ქართველები იღვიძებენ თანდათან: ჰამ ვაქრობასა ჰკიდებენ ხელს, ჰამ პირიანდაც აღარაფერი გამოდის მათგან. წინად ასე არ იყო, ახლა მეტად იცვალნენ გარემოებანი. რაღაცა უბედურების ნიშნებსა ვხედავ ამ ქართველების გამოღვიძებაში. აი რა მაწუხებს და მაშინებს. მართალია, თუ რამ სასარგებლო გამოჩნდება სადმე, უწინ მე ვიგდებ ხოლმე ხელში და ზედაც არავის ვასუნებინებ, ვიდრე ჩემისავე ნებით არ დავანებებ ხოლმე თავს, რაიმე მიზეზით და მოსაზრებით. მხოლოდ აი რა მისივებს ნალველს: ეს რაღაცა სავაქრო ამხანაგობანი დგება ქართველებისაგან და აარსებენ — ეს დეპოვო, ეს ბანკიო, ცოტა არ იყოს გზას მილობავენ და ხალხსა რყვნიან. ეს გეგენას ბიჭი ხომ ძილს მიფრთხობს და მოსვენებას არ მძლევს, — ყელზე მადგა, როგორც თევზის ფხა.

— ყოველი ამხანაგობა, ქართველებიდან შემდგარი, ეკონომიური დემონასტრაცია არისო, — ეუბნებოდნენ ალექსი მე-



ლიქიჩს ცოლის ძმები, როცა იგი გაუზიარებდა ხოლმე მათ თავის შემადრწუნებელ ფიქრებს. რადგანაც ალექსეი მელიქიჩს არ ესმოდა დემონასტრაციის მნიშვნელობა, მდაბიურად უხსნიდნენ, — დემონასტრაცია უკმაყოფილებისაგან გამოწვეული ალიაქოთი არისო. ზოგიერთ სახელმწიფოში რითიმე შევიწროებული, უფრო კი მუშა მშვიერი, ხალხი შეიკრიბებიან ხოლმე ერთად, აცხადებენ თავიანთ უკმაყოფილებას, ასტეხენ ერთ ალიაქოთსაო, მაგრამ ისინი ამითი ვერაფერს ხდებიან და ვერცარაფერს იძენენ, გარდა იმისა, რომ მთავრობა ფრთხილობს შემდეგისათვის და ისეთ მუხრუჭს უჭერს, რომ უკმაყოფილების გამოცხადებასაც ვეღარ ახერხებენო. უფრო მდაბიურად რომ ვთქვათ, — ამბობდნენ იგინი, — დემონასტრაცია იგივე ყმუილია მშვიერი მგლებისა, რომელნიც შეხროვდებიან ერთად, ეძებენ საქმელს და როცა ვერა პოულობენ, მოწყვებიან ერთ საშინელს ყმუილს, მაგრამ ისინი ამითი კუქს ვერ იძლობენ. პირიქით, ყოველი სულდგმული გარბის მათგან და ეძებს უშიშარ ბინას. ქართველების ამხანაგობანიც აი ამ მგელთა ხროვას წააგვანან: ბევრსა ჰყვირიან და ნავნებს კი ვერას სჩადიან — ვერაფერს აკეთებენ. ქართველებს ერთი ისეთი თვისება აქეთო, რომელიც ჩვენ, სომხობას, ძრიელ ხელს გვიწყობსო. თუ ძმა ძმას და მეგობარი მეგობარს შესძულდა როდისმე, სისხლის მსმელ მტრებად გადაექცევიან ერთმანეთსაო; და რა საშუალებას არ მიჰმართავენ და არ იხმარებენ, რომ ერთი-ერთმანეთი გაქელონ და მიწასთან გაასწორონ. საკმარისი არის ამხანაგობის, თუნდაც, ორ წევრში რაიმე პიროვნული უთანხმოება ჩამოვარდეს, რომ მთელი ამხანაგობა დაიღუპოს — სრულიად მოისპოს. საკმარისია ვინმე წევრთაგანმა ამხანაგობის მმართველობაში ყოფნა, ანუ, სულ უბრალო, საზოგადო კრების თავმჯდომარეობა მოინდომოს და არ შეუსრულონ ეს სურვილი, რომ ჩამოვარდეს წევრთა შორის განხეთქილება და ასტყდეს ერთი ალიაქოთი და აყალ-მაყალი, რომელიც უთუოდ ბოლოს მოუღებს მთელ საზოგადოებას. შეურაცხყოფილი წევრი არ დაჰზოგავს არაფერ საშუალებას: შენც მოგიშველებს, მეც, თათარსაც,

ლეკაც და, თუნდაც ამ განხეთქილებამ იმსხვერპლოს მთელი საზოგადო საქმე, იგი ამას არ დაგიდევს, ოღონდ კი თავისს მოძმეს, უწინდელ მეგობარს, ახლა კი მოსისხლე მტერს, გადაუხადოს; თვითონაც გაიცინოს მათ და სხვაც გააცინოს. ერთის მხრით ეს თვისება ქართველებისა, მეორეს მხრით ის გარემოება, რომ მომეტებული ნაწილი ქართველი უმაღლესი წრის, ახალგაზდობისა, — რომელზედაც არის დამოკიდებული ყოველი ხალხოსნობის ბედობალი და ძალა, მეტად უნუგეშო მდგომარეობაში არის ჩავარდნილი, რასაკვირველია, ქართველებისათვის და არა ჩვენთვის; ჩვენთვის, პირიქით, ძრიელ ხელსაწყობია მათი უზრუნველობა, უთავბოლობა და სისულელე. აი რა არის დაუშრეტელი წყარო ჩვენ, სომხობის, სიმდიდრისა და კეთილ დღეობისა. სანამ ამ სენით არიან შეპყრობილნი ქართველები, ჩვენი კეთილ-დღეობა უზრუნველ-ყოფილია. ღმერთმა ნუ ქნას, გამოფხიზლდნენ ქართველები. ამას ჩვენი აუცილებელი დელუზვა მოჰყვება. ჯერ-ჯერობით კი ღმერთი გვიფარავს. შეიძარე ახლა ჩვენი ახალგაზდობა ქართველებისს, რა დიდი განსხვავებაა მათში. რაც შეეხება შურსა და მტრობისს, ჩვენ სომხებსაცა გვაქვს იგი. მაგრამ ამ მხრივაც დიდი განსხვავება არის ჩვენსა და ქართველებში. მართალია, თუ შენ ჩემ ინტერესებს შეეხე, მე არ მოგიტმენ და არც გაგაქეღვინებ ჩემს პიროვნებას; ვეცდები ყოველის ღონისძიებით შენ დაგაშარცხო და მე გამარჯვებული გამოვიდე ბრძოლიდან. მაგრამ შენ, ჩემი მოქიშვე მტერი, ხვალ რომ გნახო დაჩაგრული სხვისაგან — არა სომხისაგან, თუნდაც გულითადი მეგობარი იყოს ჩემი შენი დამჩაგრელი, მაინც მე შენ, ჩემს მტერს, მაგრამ ჩემ სისხლ-ხორცს, გირჩევ ყოველთვის და დაგებმარები ისე, როგორც ჩემ თავს. შენც აგრეთვე მოიქცევი. როგორც ჩვენ ჩვენი თვისებანი ერთ პირს გვაძლევენ და ერთ სულს გვიდგამენ, გვატებენ ეროვნულსა და ეკონომიურ ძალას, აგრეთვე ქართველთა თვისებანი უთანხმოებასა და უნდობლობასა ჰბადებენ ერთმანეთ შორის; ღონესა და ძალას აცლიან თვით ხალხოსნობას და აღატაკებენ, როგორც სულით, აგრეთვე გი-

ბით. აი სად იმალება მიზეზი იმისი, რომ ვერც ერთი საზოგადოება, ქართველებისაგან შემდგარი, ფეხს ვერ იკიდებს და ბოლოს ვერ ატანს. ქება-დიდებით და ალიაქოთით იბადება ყოველი მათი საზოგადოება, ანუ ამხანაგობა და ყოველთვის კი სასაცილოდ თავდება. ჩვენც ამისთანა მოვლენას ხელი უნდა შევეწყუოთ, თუ ჩვენი თავისათვის კარგი გვინდა. თუ დავინახავთ, რომ რომელიმე საზოგადოების წევრნი კეთილ განწყობილებაში არიან, უნდა ვეცადნეთ, როგორმე განხეთქილება ჩამოვაგდოთ მათში. თუ ეს მოვახერხეთ, მიზანი მიღწეული იქნება—საზოგადოება უეჭველად მოისპობა.

— მეც კი ემაგრე ვფიქრობ, — ამბობდა ალექსეი მელიქიჩი, — და საქმითაც დამიმტკიცებია. ბევრი ამხანაგობისათვის მომიღია მე თვითონ ბოლო. თუ რამდენიმე მეცადინეობის შემდეგ ვერ შემიდგამს ამხანაგობაში ფეხი, რომ ამერიგ-დამერიგნა მთელი ამხანაგობა, მომისყიდნია რომელიმე მისი წევრი, რომელიც ასრულებდა ჩემს განზრახვას. მე კი მიყურებია შორიდან და სიცილისაგან მუცელი ხელში მჭერია. მართალია, ღვთით, ამხანაგობანი არ არიან ჩვენთვის მაგრე რიგად საშიშიშარნი, მაგრამ ეს თითო-ოროლა ქართველი რომ გამოდის მოედანზე, მარტოდ-მარტო ვაქრობს და ვაქრობის საქმეც კარგად მიჰყავს, უფრო ეს მაშინებს. მე ნამეტნავად გეგენას ბიჭი მაღდება გულზე და მეჩხირება თვალში ეკლად; არ ვიცი, როგორ მოვინელო. ჯერ იქიდანვე მჭირს იმისი ჯავრი, რომ თავისს ძმას, თუმცა კი მე თვითონ დაეანებე თავი, ჩემი ხელობა — მემატყლეობა დააწყებინა. მეტად გაბედულად ვაქრობს და წარმატებაში მიჰყავს თავისი საქმე. მართალია, უწინდებულად გზაზე აღარ მეღობება და არც ჩემს საქმეს ეხება, მაგრამ სხვას, ჩემს მოძმეს, ხომ უშლის და პირიდან ღუკმას აცლის. არც მეპიტნავება, რომ ისე შეუპოვრად და გულადად ვაქრობს. იმითი უფრო მიბრაზებს გულს, რომ ბრწყალებში ვერ მოვიგდე, თუმცა ბევრის გზით ვეცადე.

— მაგისთანა მარტოდ მოვაქრე ქართველები მართლაც და საშიშარნი არიან, — უბასუხებდნენ ცოლის ძმები, — აი სწო-

რედ მაგათთანა ქართველების წინააღმდეგ უნდა ავმხედრდეთ და მოვიხმაროთ ყოველივე ძალა და ხერხი მათ დასათრგუნად და თავიდან მოსაცილებლად, თორემ ამხანაგობანი არაფერია. საათში ათასი ამხანაგობა რომ იბადებოდეს ქართველებისა ჩვენს საწინააღმდეგოდ, მაშინაც კი არ უნდა გვეშინოდეს. ვინ ამბობს, შეერთებული ძალა რამდენიმე კაცისა დიდია; ან როგორი ერთი კაცი გაუმაგრდება და აღუდგება წინ შეერთებულ საზოგადოების ძალას, თუ კი იგი საზოგადოება მტკიცე საფუძველზე იქმნება დამყარებული! მხოლოდ ქართველებს კი არ შეუძლიანთ ასეთი საზოგადოების დაფუძნება—მათ ამისათვის ხელს არ უწყობენ ხასიათები მათნი. თორემ სად საზოგადოების ძალა, სად ძალა ერთი კაცისა! ჩვენ, სომხობა, უნდა ვაარსებდეთ მაგისტანა საზოგადოების ძალას. თუმცა კი უსაზოგადოებოდაც არაფერი გეიჭირს ჩვენ. მაგრამ გეგენას ბიჭს კი, მართლა და საჭიროა, ბოლო მოელოს, რომ მისი მიხედვით სხვებიც არ წათამამდნენ. და მისი ბოლოს მოღებაც სხვა გზით არ შეიძლება ეხლა, თუ არა მისივე მახლობელთ დახმარებით.

— ოჰ, ეგ რა კარგი მამაგონეთ!—წამოიძახა ალექსეი მელიქიჩმა.—სრულებით ფიქრად არ მომდიოდა ეგ! ძმები ძრიელ უკმაყოფილონი არიან მიზე. იმათ უნდა ჩავკიდო მაგრად ხელი. ერთი კი დავტრიალდები ჯარასავით და რაც გახდეს, გახდეს; საცა წვრილი იყოს, იქ გაწყდეს. თუ ვერ მოვტეხო ახლა კი კისერი გეგენას ბიჭს, მაშ მე ალექსეი მელიქიჩი აღარ ვიყო!

— ეგეც ადვილი საქმეა. ყველანიც დაგეხმარებით, რითაც კი შესაძლებელი იქმნება. იმედიც არის, რომ, აღრე თუ გვიან, მიზანს მიაღწევ. მაგრამ ნამდვილი მიზეზი ჩვენი შიშისა სხვა არაფერ არის, გარდა „კნიაზისა“, რომელიც, ყოველს ექვს გარეშეა, რომ უძირო ორმოს გეთხრის. ბედნიერება ჩვენი ერისა კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ მდაბიო ხალხი, ვისთანაც ვაჭარ სომხობას მომეტებულად საქმე აქვს, არ ენდობა თავის გულშემატკივარს, თუ კი ჰყავს ეინმე ამისთანა. მისს

გულში არც სწავლისადმი, არ საზოგადო დაწესებულებათადმი, არც გულ-შემატკივართა რჩევა-დარიგებისადმი იოტის ტელა რწმენა და ნდობა არ მოიპოვება: რადგანაც ყველასგან და ყოველიფერზე მარტოდ-მარტოდ ტკბილი ლაპარაკი ესმის და ვერაფერსა ჰხედავს. თქმა არ უნდა, რომ ეს გარემოებაც ძრე-ელ ხელ-საწყობია ჩვენთვის. აქ ნაცილად გამოგვივარდა ჩვენ ის „კნიაზი“, რომელმაც დიდი ნდობა და სიყვარული მოიპო-ვა მდაბიო ხალხში. მისს სიტყვას დიდი გავლენა აქვს ხალხზე, რადგანაც სრულ ქეშმარიტად მიაჩნიათ იგი სიტყვა. აი სად არის გამოკრული ნასკვი ჩვენი კეთილ-დღეობისა.

XVII

„კ ნ ა ა ზ ი“

„კნიაზი“, რომელიც შიშის ზარსა სცემდა ალალოს ცო-ლის ძმებს, ეკუთვნოდა საქართველოს უწარჩინებულესს თავად-აზნაურთა გვარს, რომელსაც შესანიშნავი ღვაწლი მიუძღოდა სამშობლო ისტორიის წინაშე და ჰქონდა მოხვეჭილი დიდი სახელი და პატივი. ხოლო, როდესაც პოლიტიკური გარემო-ებანი იცვალნენ საქართველოს ცხოვრებაში და შეუერთდა იგი ძლიერს რუსეთის იმპერიას, ამ გვაროვნობის შთამომავალმა „კნიაზმა“ არამც თუ შეარჩინა გვარს უკვე მოპოვებული პატივი და დიდება, პირ-იქით, თვასი მეცადინეობით და მოქმედებით უფრო ასწია, აღამაღლა იგი ღირსებანი გვარისა საქართვე-ლოს აწინდელ პატრონთა თვალში. თავით თვისით მან დაუ-ხატა საქართველოს მპყრობელთ სურათი ქეშმარიტის ქართვე-ლისა, და კიდევაც დაიმსახურა უმაღლესნი ყურადღებანი და ჯილდონი, როგორც ვაჟაკმა მეომარმა, გონება გამჭრიახმა და მხნე აღმინისტრატორმა სამხედრო საარბიელზედ. სწია ერთ-გულად და დაუზარებლად უღელი მეომრისა; ჰღვარა სისხლი მამულისა და მოყვასის გულისათვის, ვიდრემდის ჰხედავდა ამას საჭიროდ და სასარგებლოდ. ხოლო, როდესაც ამ ასპარეზზედ

შეასრულა ყოველივე, რის გაკეთებაცა და გარიგებაც შეეძლო, დასტოვა იგი ასპარეზი და მიჰმართა თვისი მოქმედება ახლა სხვა მხარეს—აგრეთვე მოყვასისა და მამულის სასარგებლოდ.

მოქმედების ახალ სარბიელზედ თავადის სამზრუნველოდ შეიქმნა სოფელი და მისი მკვიდრი, ვითარცა მიზეზი მამულის აწ უნუგეშო მდგომარეობისა და მომავალში იმედი და საფუძველი მისი კეთილდღეობისა. როგორც სოფლის ღვიძლმა შეიღმა, მან ჩაიხედა სოფელის გულის სიღრმეში და შეჰნიშნა იქ უდიერად ბორჯ-გადგმული უნდობლობა მათდამი, ვინც იყვნენ დროთა ვითარებით მოვლენილნი სოფლის მახლობელ პატრონებად და ხელმძღვანელად.

სოფლის უპირველეს მეპატრონედ და ხელმძღვანელად „კნიაზი“ სთელიდა თავად-აზნაურთა წოდებას. რომელიც ოდესღაც „ბატონის“ სახელით ქეშმარიტი მფარველი და პატრონი იყო გლეხისა, ანუ მეფუფროსე საერთო დიდი ოჯახისა, ხოლო გლეხი იმავე დროს წარმოადგენდა ერთგულსა და მორჩილს შეიღს ამ ოჯახისას. ეს კავშირი, რომელიც თვით ისტორიამ დაჰბადა მათში, იყო მიზეზი ქართველთა პატარა ერის პოლიტიკური ძლიერებისა და სიმტკიცისა წარსულში. „კნიაზის“ აზრით ახლაც სოფლის და საზოგადოდ მთელი ერის ეკონომიური ძალისა და სიმტკიცისათვის საჭირო იყო კეთილი განწყობილება, მეზობლური სიყვარული და დახმარება თავად-აზნაურთა და გლეხთა შორის, მაგრამ იგი ამის ნიშანს ვერსადა ჰხედავდა; პირ-იქით მას შენიშნული ჰქონდა, საზოგადოდ ყოველგან, გამწვავებული განხეთხილება, შური და მტრობა თავად-აზნაურთა და გლეხთა შორის. გლეხი თავადს არ ინდობდა არაფერში, თავადი გლეხს. ამ უკანასკნელს არა სჯეროდა და არა სწამდა, რომ ვისმეს თავად-აზნაურთაგანს შესტკიოდა გლეხისთვის გული და მოენდომებინა მისთვის კეთილი. ამავე დროს პატივცემული თავადი გულის ტკივილით ჰხედავდა, რა განუსაზღვრელ ნდობას აცხადებდნენ იგივე გლეხები მათდამი, ვინც მოტყუებით, თითლიბაზობით და სხვა მრავალი ხრიკებით იძენდნენ იმათ სარჩო-საბადებელს და ყოველისფრიდან ცარიელზე ჰსვამდნენ.

გულს უწყლადედა თავადს ეს სოფლის დამლუპველი მოვლენა; და განა მარტო იმას, სხვა მრავალთაც, რომელნიც დიდის ხშირ ჰღალადებდნენ ამ უსამართლობაზე, არა ზოგავდნენ გულწრფელ დარიგებასა და ხელმძღვანელობას, მაგრამ მათი მხოლოდ სიტყვიერი ღალადი და რჩევა-დარიგება მეტად სუსტი და უძლური იყო. ამისთვის, განიზრახა—რა თავადმა მფარველობა და მოკეთური-მეზობლური კავშირის დამყარება თვისსა და გლეხთა შორის, შეეცადა იგი უპირველეს ყოვლისა მოეპოვებინა უკანასკნელთ ნდობა: დაერწმუნებინა იგინი, რომ მას ჰსურდა მათთვის მხოლოდ სიკეთე და წარმატება. ამ მიზნის მისაღწევად თავადმა თავისს სიტყვას მიაღწენა თან საქმეც, ე. ი. ნივთიერი დახმარება, სადაც ამას საჭიროდ ჰხედავდა. თავადის მიერ ნახმარი საშუალება მეტად სახიფათო და საფათერაკო იყო. მას უნდა ემოქმედნა ერთის მხრით, როგორც მოწყალესა და ქველ-მოქმედს; მეორეს მხრით, როგორც მებატონეს, თუ იგი არ მოითხოვდა კანონიერ დაკმაყოფილებას თვის ვალდებულ გლეხთაგან, შეიძლებოდა ამ გარემოებას უფრო მომეტებულად გაემწვაებინა მეზობელ ნაბატონართა და დროებით ვალდებულ გლეხთა შორის უსიამოვნება და განხეთქილება. მაგრამ თავადმა თავიდან აიცილა ასეთი ხიფათი. იგი სასტიკად ითხოვდა და ახდევინებდა კიდევ თავისს ნაყმევებს ყოველგვარ ღალასა და კულუხს. „მოვალენი ხართ—ეუბნებოდა თავადი თავისს ნაყმევებს—მე ჩემი უკლებლივ ჩამაბაროთ, და კიდევაც გამოგართმევთ, არ შეგაწვეთ არაფერს“. ხოლო, როცა ჩაიბარებდა ყოველიფერს, ეუბნებოდა ნაყმევებს: „აი მე მივიღე თქვენგანით ყოველიფერი სრულიად; ყოველი ესე მე მეკუთვნის ახლა და არავის შეუძლიან ხელი ახლოს. მაგრამ მე მსურს ეს ჩემი საკუთრება თქვენვე გაჩუქოთ“. და აძლევდა უკანვე ყოველიფერს ნაყმევთაც და არა ნაყმევთაც, ვისაც უჭირდა. ამ გვარის მოქმედებით თავადი ორ საქმეს აკეთებდა: თვისს ნაყმევს ასწავლიდა და აჩვენებდა მოვალეობის წმინდად შესრულებას და ამასთანავე ნივთიერ დახმარებას უჩენდა.

ეს მხოლოდ წინამორბედი ნიშანი იყო იმ დიდი საქმისი, რომელსაც უნდა შესდგომოდა პატრისტული თავადი. დახსნა მოძქეთა უმეცრებისა და იმ ვაჟბატონების ბრჭყალებიდან, რომელთაც იმედი ჰქონდათ გაღვიძებული, ესარგებლათ გლებთა უმეცრებით, რათა ჩაეგდოთ მათი ნაწევ-ნადაგი ხელში — აი ის უდიდესი საქმე, რომელსაც შეუდგა თავადი.

თავადის მიერ განზრახულ საქმეს მომეტებულად ის გარემოება აძლევდა სიდიადეს, რომ იგი არა ჰზოგავდა მოძქეთა კეთილდღეობისათვის გულ-უხვ ნივთიერ დახმარებას, რითაც წარმატებით იკვლევდა გზას მათი გულისა ნდობისაკენ. როგორც კეთილ მორწმუნე გვაში, თავადი იმეორებდა გულში: „ღმერთმა მიწყალობა ქონება; ზოგი მე, ზოგი ერგოს გაჭირვებულ ხალხსაო.“ ნუ ვიფიქრებთ, რომ თავადი, იკმაყოფილებდარა თავისს ყოველგვარ სურვილსა და ჟინს ცხოვრების მოთხოვნილებისას, ვადანარჩენს, ანუ მეტს, რაც მისთვის საჭირო არ იყო, იმას აწვდიდა გაჭირვებულთ, როგორც ნასუფრალს შინაურს პირუტყვებს. არა, ეს ასე არ იყო. თუ კი წაჰბაძავდა იგი იმ პირთ, რომელნიც შეძლებით არამც თუ ჩამოუვარდებოდნენ, არამედ ბევრით სჭარბობდნენ, ერთ ლამეს, ანუ უკედ ვთქვათ, ერთ წუთში წააგებდა ქალაქის თამაშობაში იმ „ვიტომ-და გადამეტებულს“ ქონებას, რომლითაც თავლზე ცრემლს უშრობდა და ხელს უმართავდა მრავალთა. შეუძლებლად მიგვაჩნია ჩამოთვლა ყოველ კეთილ საქმეთა, რომელნიც კეთდებოდნენ თავადის მარჯვენით ისე, რომ არ უწყოდა მარცხენამან მისმა. მაგრამ მრავალი იყო მისს მოქმედებათაგან იმისთანაი, რომელნიც თვითვე აღამაღლებდნენ ხმასა და ლაპარაკობდნენ მჭევრ-მეტყველურად თვისს შემოქმედზე.

„წვიმა მოვა და ქვეყანას ვერ გადასწვდებოა“. ეს ანდაზა მშვენიერად განმარტავს და ამართლებს თავადის მოქმედებას. იგი შეძლებული იყო, მაგრამ არც ისეთი, არც შესაძლებელია ეს, რომ მისი ქველ-მოქმედება მოჰყენოდა მთელ საქართველოს. არც ნაყოფიერად სთვლიდა იმისთანა ქველ-მოქმედებას, რომ ერთისთვის აქ აღმოეჩინა დახმარება, მეორესთვის იქ, მესამე-



სათვის კიდევ სხვაგან. თავადმა ამოიჩინა ხილულ ქველ-მოქმედებათა ასპარეზად ის ადგილი, სადაც პირველად გაახილა თვალები და იხილა ნათელი—ეს კაცობრიობასათვის უპირველესი ნიჭი უფლისა და უსაქიროესი ლამპარი ბუნებისა ქვეყნად ცხოვრებისათვის. მხოლოდ თავის მოყვასთა კეთილ-დღეობისათვის თავადი საკმარისად არა სთვლიდა ქვეყნიერ ნათელს; მას ჰსურდა განათებულ და განათლებულიყო მათი სული ო გული იმ ზეციურის ნათელით, რომელსაც იძენს კაცი სწავლის საშუალებით. ამისათვის დაუარსა თავისს ნაყმევ მეზობლებს სკოლა საკუთარის ხარჯით. თავადს იმედი ჰქონდა, რომ ჩქარა მიჰხვდებოდნენ ისინი სკოლის სარგებლობას და შენახვასაც თვითონ იკისრებდნენ შემდეგში; თავისისავე ხარჯით თავადმა აუშენა სოფლის მცხოვრებლებს საკუთრებად დიდი სასახლე, სადაც მოთავსებული იყო: სკოლა, სასოფლო სასამართლო, აფთიაქი საავადმყოფოთი, ბელელი და სასოფლო დუქანი. აფთიაქისა და სასოფლო დუქნის საწარმოებლადაც თვითონ მისცა სოფელს თანხა საკუთრებად.

ამ გვარის მოქმედებით თავადმა დაარწმუნა გლეხ-კაცობა მასში, რომ ქვეყანაზე იბადებოდნენ ისეთი პირნიც, რომელთაც გული შესტკივოდათ მათთვის; ცდილობდნენ მათი სარგებლობისა და კეთილდღეობისათვის და ყველას, გაუჩრევლად, არ ექირა თვალი მათს გაკვრა-გაგლეჯაზე. თავადის სიტყვა და დარიგება გარდაიქცა მათთვის მცნებად, რომლის აღუსრულებლობა მიაჩნდათ მომაკვდინებელ ცოდვად. არც იყო ხოლმე ისეთი შემთხვევა, რომ მისი სიტყვა ძირს დაეშვათ; ანუ ამ სიტყვა-დარიგებას არ ჰქონოდა ისეთი გავლენა და ბოლო, როგორც სასურველი იყო თავადისათვის.

მართალია, ბევრი მტერი და წინააღმდეგი გამოუჩნდა თავადის განზრახვა-მოქმედებათ, მაგრამ იმან ისეთი დიდი ნდობა მოიპოვა ხალხისა, რომ ბოროტი ადაძიანები ახლოს ევლარ მიეკარნენ ხალხსა. თავადმა თავისს მიზანს მიაღწია: საითაც თავს უზამდა საკეთილოდ თავისს მზრუნველობას ქვეშე შეფარებულ ხალხს, იქით გაჰყვებოდნენ ივინიც. ახლა ჩასქიდა ხე-

ლი იმ ბოროტების აღმოფხვრას, რაც უფრო მომეტებულად უღებდა ბოლოს სოფლებთან ზნეობრივსა და ნივთიერ კეთილდღეობას.

თავადის ჩაგონებით და დარიგებით სოფელში დადგინა განაჩენი შემდეგ საგნებზე: 1) არაფინ სოფლის მცხოვრებელთაგან არ აიღოს ვალი ჩარჩ-მოვაჭრეებისაგან; 2) არაფინ გაზბედოს გაყიდვა ჭირნახულისა უდროვოდ, ესე იგი ვიდრემდის არ დააბინაოს იგი სახლში; 3) არ გაყიდოს არაფინ პური, ღვინო, ქერი და სხვა რამ იმ ფასზე ნაკლებ, როგორც იქმნება გადაკვეთილი სოფლის საზოგადოებისაგან; 4) მიეწყოს მყიდველს სულადი იქმნება თუ სასმელები უთუოდ მთავრობისაგან დაწესებულ და არა მყიდველებისაგან მოტანილ საწყაოებით; 5) არ გაბედოს არაფინ დაყრა მომეტებულისა სულადზე, „საგაშენოდ“ წოდებული, და დასხმა სასმელებზე. სასმელების საწყაოს არა ჰქონდეს პირზე მოკრული ღარიძლა, ანუ ღაზლი, რომელსაც მოვაჭრენი განგებ უკეთებენ, რომ მომეტებული სასმელი გადაიტანოს თან აწყვაში; 6) არ გაბედოს არაფინ რამდენისამე ხნის წინად დაეკეთოს ვისმე მუშად რაიმე სამუშაოზე. ეს განჩინებანი უეჭველად დამტკიცდებოდნენ, რადგანაც თავადს დიდის პატივისცემით და ნდობით ეპყრობოდა მთავრობა.

თავადი ქეშმარიტად სთვლიდა მცხოვრებელთა ნივთიერის დაცემისა და დაუძლეურების მიზეზად იმ გარემოებათ, რომელთაც გამოიწვიეს განჩინებათა შედგენა; მაგრამ რა იარა გამთელდებოდა მითი, რომ მარტოდ-მარტო ერთს სოფელს, სოფელს, რომელიც თითქმის ზღვაში წვეთს წარმოადგენდა მთელ საქართველოსთან შედარებით, ესარგებლა მისი კეთილი განზრახვით და დაწყობილებით? ბევრი არაფერი, უკეთუ მათი ბრწყინვალეების ზემოდ აღნიშნულნი განზრახვა-დაწყობილებანი შემოიფარგლებოდნენ ერთი სოფლის საჭიროებითა და დაკმაყოფილებით! მაგრამ თავადს იმედი ჰქონდა, რომ იგინი, ერთის მხრივ, მთავრობის დახმარებით, და: მეორეს მხრივ, ხალხის მიხედულობის წყალობით ნელ-ნელა, საერთო, საზოგადო ხასი-

ათს მოიპოვებდნენ. მაგ., თავადმა მიჰმართა მთავრობას თხოვნით, რათა საქართველოს ყოველ კუთხეში შემოდებულნი იყო ერთნაირი საწყაოები, როგორც ჭირნახულისათვის, ისე სასმელებისათვის. თავადმა კარგად იცოდა, რამდენად საჭირო იყო ესეთი განკარგულება: იცოდა, რომ ვაჭრები ბოროტად ხმარობდნენ საწყაოების სხვა-და-სხვაობას, — თითონ დიდი საწყაოთი მიჰქონდათ ყველაფერი, ხოლო მუშტარს აძლევდნენ პატარა საწყაოებით. ხალხის წამბაძველობაზე დამყარებული იმედის თავადისა მართლდებოდა: იმ წესებმა, რომელნიც იყვნენ თავადის წყალობით შემოდებულნი მისს სამშობლო სოფელში, ნელ-ნელა იწყეს გავრცელება და ფესვების გადგმა მეზობელ სოფლებში.

აი ეს საქმენი, თავადის მეოხებით დაწყობილნი და განხორციელებულნი სოფლად, სცემდნენ შიშის ზარს ალალოს ცოლის ძმებსა და მათ დამქაშებს.

## XVIII

### „გეგენას ბაჭა“

გაიგო თუ არა ყაზარ ყარამანიჩმა სამიჯნურო დამოკიდებულება თავისს ქალსა და ლევანა ჯილაშვილის შორის, ზიზღით და სიძულვილით აღივსო ამ უკანასკნელისადმი. იგი გაცოფდა, განრისხდა; სიბრაზისაგან პირიდგან დორბლებსა ჰყრიდა და იძახოდა: „როგორ, ვილაც გეგენას ბიჭმა, ჩემმა მოჯამაგირემ, ჩემმა ხელ-ქვეითმა, გაბედა და ჩემ ქალს არშიყობა დაუწყო! განა მოსათმენი და მოსანელგებელია ეს?! ნუ თუ იმდენად თავხედი, იმდენად რეგვენი, იმდენად მოუფიქრებელია, რომ აქამდის ვერ მიხვედრილა, მე ვინა ვარ და ის ვინ არის? განა მე იმისი ტოლი და ამხანაგი ვარ, რომ ჩემთან ფეხს იწვდის და ჩემს ქალს ემიჯნურება, ეარშიყება? ღორის ტილი ფეხზედ დაისვი, თავზედ ავაცოცდებოა, რომ იტყვიან, სწორედ იმანაც ღორის ტილობა მოინდომა. სამადლოდ, სულის

გულისათვის შევიფარე და შევიფერე აქამდის. გავწურთნე, კაცად გადავაქციე თავის კვალობაზედ და ახლა იქამდისაც წათამამდა, რომ თავისს ტოლად და ამხანაგად მთელის! ჩემს დასიძვევებას ნდომულობს! კარგია თქვენმა მზემ!.. კაი გადახდა ამავისა!.. ავ ცხვირს კი არ დაგცემს! მაგრამ თუ ცხვირიდან ძმარი ვერ წამოგადინო ამისთანა შეურაცხყოფისათვის, მაშ მე ყაზარ ყარამანიჩი აღარა ვყოფილვარ! ყაზარ ყარამანიჩი მოგიკვდეს, თუ შენ, გეგენას ბიჭო, თავი არ გაცნობოს, თუ აქამდის ვერ გიცვნი! თუ ისეთი საქმე ვერ დაგმართო, რომ სამშობლოს ღრუბლის დანახვასაც კი ველარ ახერხებდე, მაშ მე კაცი აღარ ვიყო და თავზედ ქუდი აღარ მეხუროს!“

ყოველ ამას ყაზარ ყარამანიჩი იმ იმედით ამბობდა, რომ ლევანა ჯილაშვილს უთუოდ რაშიმე დაიჭერდა, როცა მალაზიის ანგარიშს ჩამოართმევდა. მისთვის ბევრი არაფერი იყო საქირო. ოღონდ კი ებოვნა რამე კბილის ჩასაკიდებელი და, თუნდაც იგი უმნიშვნელო რამ ყოფილიყო, თვითონ იცოდა, როგორც შეასრულებდა მუქარას. რათა ჩქარა მოეფხანა გაბრაზებული გული, ყაზარ ყარამანიჩმა ბევრი აღარ ახანა, გამოსწია თავისს „პრიხოდისაკენ“. მოსვლის უმაღლვე წარბებ-შექმუხენილმა და შუბლ-შეკრულმა გამოუცხადა ლევანას ბრძანების კილოთი: „დღესვე ჩამაბარე ყოველიფერში ანგარიში და ხვალიდან შენი ფეხი აღარ იყოს ჩემს მალაზიაშიო!“

ლევანა ძლიერ გააკვირვა ამისთანა სიმკაცრემა და სისასტიკემ და მიჰმართა მას:

— რა ამბავია, ხაზეინო, რაზე მიწყრებით? განა მაქვს თქვენთან რამე დანაშაული?..

— რა ამბავიც არის და რაზედაც გიწყრები, ეგ შენი საქმე არ არის! შენ რასაც გიბრძანებენ, ის შეასრულე!—ბრძანებითი კილო და მოპყრობა უმცროსთადმი, საზოგადოდ, და მოსამსახურეთადმი, კერძოდ, ჯარში მოსამსახურეთაგან გადაილო ყაზარ ყარამანიჩმა.—აქ შენი ტოლი არავინ გეგონოს, რომ შეგატყობინოს მიზეზი და, თუ ვინიცოდა არის, შენის ფიქრით,

დამნაშავე აღმოჩნდეს, უსაფუძვლოდ ჩასთვალო გაწყრომა და ბოდიშის მოხდაც მოსთხოვო!

— ბატონი ხარო, — წამოიძახა ლევანამ და შეუდგა მაშინვე საქმეს, აღნუსხა ყოველიფერი და და დაუწყა ჩაბარება მალაზიისა. მხოლოდ ყაზარ ყარამანიჩს როგორღაც ვერ უმართლდებოდა მოლოდინი. ბევრს ეცადა იგი, აღმოეჩინა რაიმე ან განგებ გაფლანგული, ან შეუმჩნეველად დაკარგული, მაგრამ ვერც მალაზიაში და ვერც სხვა საქმეში, როგორც იყო ცხენების საკვების ჩაბარება რაზმში, ვერაფერი უზოვნა. ბოლმაზე სქდებოდა ის, რომ არამც თუ ლევანას საკუთარ ქონებას ვერ მოსდო კლანჭები, როგორც ფიქრობდა, არამედ სულ უბრალო მიზეზიც კი ვერ უზოვნა, რომ ჯამაგირიდან მაინც დაეხუთნა რამე. სიბრაზისაგან ვერაფერი გააწყა; დაუთვალა ლევანას კუთვნილი ჯამაგირი და მუქარა-შერეული ღიმილით უთხრა:

— აი ჩაიბარე შენი ჯამაგირი და გასწი, საითაც გნებავდეს! აბა შენ იცი, როგორც ყველას შენს ტოლად და სწორამხანაგად ჩასთვლი. და თუ ვინმე ჩემი განის კაცმა ჩემსავეთ სიკეთე გიყოს და თავისთან შეგიფაროს, ვინძლო ეცადა და იმისი ქალი, თუ ჰყავს, ცოლად შეირთო, — სიძედ გაუხდე!

— ყაზარ ყარამანიჩ, მე არც აქამდის მყოლია ვინმე მთარველადა და კეთილის მყოფელად, არც ამას იქით ვსაჭიროებ. არც შენი ქალისა და სიძეობის მსურველი და მამძიებელი ვყოფილვარ და არც არავის სხვას შეეგებვეწები: — ქალი მამათხოვმეთქი.

— ავ ცხვირს დაგცემდა აი, თუ ისურვებდი ჩემი ქალის შერთვას და მეც სიხარულით დაგისიძეებდი!

— ავ ცხვირს დამცემდა, თუ კარგს, მე არ ვიცი; მე მხოლოდ ის ვიცი და გეუბნები კიდევ გამოტყეხილს, რომ შენი ქალის ცოლად შერთვა ფიქრადაც არ გამივლია! მართალია, მე მიყვარდა შენი ქალი და იქნებ ეხლაც მიყვარდეს, არ დავიფიცავ, მაგრამ მისი ცოლად შერთვის სურვილი არც წინადა მქონია და არც ეხლა შევირთავ, თუნდა ძლიერაც შემეხვეწო. ან რა არის

აქ გასაკვერეელი და უჩვეულებო, რომ ყმაწვილ კაცს ყმაწვილი ქალი შეუყვარდეს? სხვას რომ გაუყვირდეს, კიდევ ჰო, მაგრამ შენ როგორღა გიკვირს? შენ არა ხარ ის კაცი, რომელსაც აღარც გათხოვილი და აღარც გასათხოვარი აღარ გაგაჩნია? ყველას პატივი და ნამუსი აჰყარე! მე ხომ არაფერი ჩამიდენია ამგვარი რამ? თუმცა შემთხვევადა და გარემოებაც ბევრჯერ ხელს მიწყობდნენ! მე პატივი ვეცი შენი ქალის უმანკოებასა და ჩემს სვინიდიხს. შენ კი სხვის უმანკოებას და ჭეშმარიტ სიყვარულს ფეხ-ქვეშა ჰქელოვ და ამავე დროს სხვისაგან ითხოვ, რომ უბრალო და უმანკო სიყვარულიც არ გაივლონ გულში შენს ქალზე; რის ძალით და რა საბუთით?

ლევანას ლაპარაკზე ძლიერ ჯავრი მოსდიოდა ყაზარ ყარამანიჩს. სიბრაზისაგან ხან ნაცრის ფერი ედებოდა პირის-სახეზე, ხან აღმული ასდიოდა. ფიქრობდა: „ვეცე და ამოვიდო ქვეშ, ვაი თუ ხელი შემომიბრუნოს და იმან უფრო უარესი დღე დამაყენოსო“. ამისთვის ამჯობინა დარბაისლურად და გულგრილად მოესმინა ლევანას მიერ წარმოთქმული განაჩენი, მაგრამ მოთმინება გამოეღია და ერთი საზარელის ხმით დაიღრიალა:

— გასწი, შე ასეთო, შე ისეთო, დამეკარგე აქედან!.. ვერ უყურებ ამ თავქარიან ქართელს, სახარებას მიკითხავს!

— წავალ, მაშ აქ მოგიდგები რა! მაგრამ შენი კაი კაცობა ნუ გგონია, თუ ლანძღვაზე ლანძღვითვე არ გიპასუხები! ამ სიტყვების შემდეგ ლევანამ გასწია თავისს გზაზე, ხოლო ყაზარ ყარამანიჩმა მიიძახა უკან: „დამაცადე, მე გაჩვენებ შენს ამბავს!... ვნახავ რა ბიჭიცა ხარ!“ რის პასუხადაც მიიღო: „ღიაც მალე გაიგებ, რა ბიჭიცა ვარ!“

დიდ ხანს იყო აღელვებული ყაზარ ყარამანიჩი ამ სცენის შემდეგ. არც თვითონ იღებდა ხმას და ვერც სხვა ვინმე უბედავდა დალაპარაკებას. როცა დამშვიდდა, დამსწრეთ ურჩიეს, ეჩივლა ლევანასათვის შეურაცხყოფაზე, რასაცა ყველანი დაამტკიცებდნენ სასამართლოში. ხოლო ყაზარ ყარამანიჩმა არ

შილო ასეთი რჩევა: ეგ ჩემი ღირსების დამცირება იქნებოდა. რა იმისი ტოლი და ამხანაგი ვარ, რომ მე იმას თავი გავუყადრო და ვუჩივლოვო, თუ თავის გაყადრება მდომებოდა, აქავე სულ კბილებს ამოვამტვრედი და ერთ კრინტსაც არ დავაძვრევივბდიო.

ლევან ბევრჯელ ეხვეწებოდა ყაზარ ყარამანიჩს, გაენთავსუფლებინა იგი და გაეშვა თავისს სახლში, მაგრამ არ აძლევდა ამის ნებას. იგი გამსჭვალული იყო მეგობრულის გრძნობით, როგორც არწმუნებდა ლევანას; მას უნდოდა სავსებით შეესრულებინა მისი მამის თხოვნა: გაეწურთა, დაეხელოვნებინა ვაჭრობაში და ისე გაესტუმრებინა თავის გზაზე. იქნება ვერც კი მოსწრებოდა ყოველ ამას და სამუდამოდ დარჩენილიყო ლევანა ყაზარ ყარამანიჩთან, რომ იგი არ გამიჯნურებოდა უკანასკნელის ქალს.

ყაზარ ყარამანიჩი იმდენ დროსაც კი არ აძლევდა ლევანას, რომ ხანდისხან თავისი საკუთარი სარჩო-საბადებელისათვის მიეხედნა და ყური ეგდო. ათასში ერთხელ თუ ჩაიგდებდა ამისთანა დროს, სარგებლობდა ამითი და აკეთებდა კიდევც, რის გაკეთებაც შეეძლო, ხოლო რასაც ლევანა ვერ ასწრობდა და ახერხებდა იმას აკეთებდნენ და ასრულებდნენ მისი დედა კეკუა და ძმები. კეკუა აღარ გათხოვდა დაქვრივების შემდეგ — შვილებზე თავი დასდო. საოცარი ნიჭი და გამჭირახობა გამოიჩინა მან ქმრისაგან დატოვებულ მოვლა-თავის გამობმაში. ლევანაც არ უყურებდა დედის მოქმედებას გულ-ხელ დაკრებილი: იგი ერეოდა ყოველთვის საქმეში და მის დაუკითხავად არაფერი კეთდებოდა სახლში.

მართალია, გეგენას ნაღდ ფულად არაფერი დაუტოვებია ცოლშვილისათვის; ნაღდი ფული თანა ჰქონდა და მკვლევლებმა წაიღეს. მაგრამ უძრავი და მოძრავი ქონება კი ბლომად დასტოვა. ზოგიერთი მსხვილი, სისხლიანი, საქონელი გაყიდა კეკუამ ლევანას რჩევითა და თანხმობით. აქედან აღებული ფული ლევანამ მისცა მოვაჭრეებს სამუშაევბლად. ამ თანხას უმატებდა ყოველთვის თავისს ჯამაგირს, დუქნებისა და ცხვრის

შემოსავალს. ძმებიც წამოეზარდნენ. საშუალო ძმა დასახელოვ-  
 ნებელად და სავარჯიშოდ მისცა ერთს სასმელებით მოვაჭრეს,  
 ხოლო უმცროს ძმას მიაჩემა ცხვარი, რომელიც თვალსაჩინოდ  
 გამოჩაღდა.

რაკი განთავისუფლდა ყაზარ ყარამანიჩის მზრუნველობი-  
 დან, ლევანამ გახსნა საკუთრად სასმელების მაღაზია და შიგ  
 ჩააყენა საშუალო ძმა. ხოლო თვითონ, როგორც გამოცდილი  
 საქმეში, გაცნობილი ცხენოსან რაზმში მოსაშლახურებთან და  
 გაჩვეული სოფლებში, სადაც თივა-ქერსა ყიდულობდა, შეე-  
 ცადა და კიდევაც დააბანინა ხელი ყაზარ ყარამანიჩს ცხენების  
 სურსათის იჯარადრობიდან. ყაზარ ყარამანიჩი სახტად დარჩა,  
 ისე ოსტატურად გამოაცალა ხელიდან ეს საქმე.

ამ გარემოებით გამოწვეული სიბრაზე ყაზარ ყარამანიჩისა  
 აღუწერელი იყო; მაგრამ უფრო უკიდურესობამდის მიიყვანეს  
 იგი სიბრაზე შემდეგ გარემოებათ: ლევანის ბედი იყო, თუ ყა-  
 ზარას უბედურება, სამ წელიწადს, რა დროსაც ლევანამ შეი-  
 ნარჩუნა ხელში იჯარადრობა, კაი მოსავალი მოდიოდა და  
 ლევანამ დიდი ხერი ნახა. ყაზარ ყარამანიჩისათვის კი ასეთი  
 წარმატება ლევანასი სამსალი იყო. ესეც არ აკმარა მას ბედმა,  
 როდესაც დიდის მეცადინეობით ისევე ხელთ იგდო იჯარა,  
 ძლიერ ნაკლებ ფასში, რამდენიმე წელიწადი ერთი-ერთმანერ-  
 თზე მოუსავლობა დაიჭირა და რატო ათი იმოდენა ზარა-  
 ლი არა ნახა, რაც ლევანმა მოგება. ამ უბედურებათ ზედ  
 ის გარემოებაც დაერთო, რომ ლევანას მოადგილე უფროსმა  
 ნოქარმა—სომეხმა კიდევ უსუნა მისს დახლს და მაღიანადაც  
 უსუნა. იწყევლიდა თავ-ბედს, ემდუროდა თავის აჩქარებას ლე-  
 ვანას დათხოვნის შესახებ და გაიძახოდა: „რა მენადვლებოდა  
 გდებულიყო ჩემთან ხელ-ფეხ შეკრული! რა ძალი ჰქონდა, რი-  
 სა უნდა მშინებოდა? მაგრამ დასწყევლოს ეშმაკი და მისი ფა-  
 თერაკი! კაცმა რომ დატყვევებული ლომი განთავისუფლოს,—  
 მოდი შემჭამეო, სწორედ მე დამემართა ეს საქმე!“

გამარჯვებული ლევანა კი ნიშნს უგებდა ყაზარ ყარამანიჩს  
 და უთვლიდა: „გაიგე, რა ბიჭიც ვყოფილვარო!“ ამასთანავე



თავის უმცროს ძმას მისცა თანხა მატყლით ვაჭრობისათვის და ჩაუყენა კვალში ყაზარას სიძეს, — ალალოს. ყველა ნაცნობი მეცხვარეების მუშტარი იგი გახდა. ხოლო ალალოს ჩაჟოცალენენ. ამ უკანასკნელმაც დაანება თავი მემატყლეობა' და მეთამბაქოობას მიჰყო ხელი.

მემატყლე ძმის საქმე საფუძვლიან ნიადაგზე დააყენა ლევანამ, მეორე ძმასაც დაუთმო საკუთრად მაგარი სასმელების მაღაზია. თვითონ კი გადასწყვიტა შესდგომოდა სრულიად სხვა ძმებთან დამოუკიდებელს საქმეს. მან განიზრახა მედგრად შებრძოლებოდა სიძე-სიმამრს ვაჭრობაში, ხოლო პირადად მათთან საცილობელ საქმეს თავი მიანება.

— თავი ცოცხალი არ მინდა, — ამბობდა იგი, — თუ მაგათ ჩემი უნარი არ ვუჩვენე: ან სრულიად დავიღუპები, ჩემ სარჩოსაბადებელსაც ჩავლუბავ სადმე და მეც თან მივყვები; ან კაცი უნდა გავხდე, ჩავუღკვე მაგათ კრიჭაში და მაგათ პარპარობას ბოლო მოვუღო!

ამისთანა ფიქრები იყო იმის მიზეზი, რომ ძმებს მისცა თავიანთი გზა და სრულიად განშორდა. «თუ მე მექნება უბედური ბოლო, დეე, ეგენი მაინც კაცები გახდნენო». გადასწყვიტა ასე და მეტად საუთოვო საქმე ამოირჩია თავისს სასაზარებოდ. იმან გახსნა ტფილისში მაგარ სასმელების ქარხანა.

ლევანას ამისთანა გაბედულებას მტერთაც და მოყვარეთაც ეჭვის თვალით შეხედეს. პირველთათვის სიამოვნება და სიცილი დაჰბადა, მეორეებში წუხილი და სიბრალოლი აღძრა. მაგრამ საქმის მოულოდნელმა კეთილმა ბოლომ სრულიად შესცვალა ეს გრძობანი მტერ-მოყვარეთა გულში. ლევანა წელებზე ფეხს იდგამდა: არც შრომას, არც მეცმდინეობას, არც ხარჯს არა ზოგავდა, რომ პირველადვე საქმე რიგიანად დაეყენებინა. იმისათვის არც ძილი იყო, არც ჭამა-სმა, არც მოსვენება, მანამ გული გულის აღაგას არ დაიდო და საქმე სასურველ კალაპოტში არ ჩააყენა. როცა ეს მოახერხა, თვითონ გული დაიმშვიდა, მტერს ისარი ჰკრა და მოკეთეს გული სიამოვნებით აუძგერა, დარწ-

მუნდა იგი, რომ მისს ქაღილს ძალიც შესწევდა. ეხლა მხოლოდ საჭირო იყო მისი დაუღალავი შრომა და მეცადინეობა ქარხანის კეთილად მსვლელობისათვის. არც ერთს და არც მეორეს იგი არ ზოგავდა. ქარხნის წარმოებაც იწვევდა განზე. ხოლო ყოველგვარი წარმატება ლევანასი სიცოცხლეს უწამლავდა მის მტრებს, მომეტებულად კი ალალოს და მისს ცოლის-ძმებს— ყაზარ ყარამანიჩი აღარ იყო ცოცხალი. ლევანამ განიზრახა სხვა ადგილებშიაც გაეხსნა ქარხანის განყოფილებანი და ადვილადაც შეეძლო თვისი განზრახვის შესრულება. ამ გარემოებამ ხომ უკიდურეს მდგომარეობაში ჩაჰყარა ლევანას მტრები. ახლა დარწმუნდნენ იგინი, რომ ლევანა აღარა ხუმრობდა; სიმშურნითა და უბრალო ხელების ფათურით ისინი ველარაფერს გააწყობდნენ მისს წინააღმდეგ. საჭირო იყო გამოენახათ საფუძვლიანი ზომები, შესდგომოდნენ მისს წინააღმდეგ მოქმედებას და უთუოდ მოეტეხნათ მისთვის კისერი. ამისთანა ზომებად ალალომა და მისმა ცოლის ძმებმა ამოიჩინეს ციხის შიგნიდანვე გატეხა.

## XIX

„სადა წვრილი იყოს, იქ გაწყდეს!“

როგორც ალალოს ჰქონდა გაგონილი, ძმებსაცა ჰმურდათ ლევანასათვის წარმატება. იგი დარწმუნებული იყო, რომ ეს ასე უნდა ყოფილიყო. ალალოს ცოლის ძმებს თითქმის მეცნიერულად ჰქონდათ შესწავლილი ქართველების ერთმანეთ შორის შურისძიება და მტრობა და სიძესაც გადასცეს თვისი ცოდნა, როგორც შესაძლებელი იყო. გარდა ამისა თვით ალალოსაც ჰქონდა შემჩნეული ეს თვისება ქართველებისა. ამ თვისებას ჩაჰკიდა მან ხელი, ვით საუკეთესო საშუალებას, რათა გამოეგდო ლევანისათვის რაიმე მრე და მოეტეხნა მისთვის კისერი სავაჭრო სარბიელზე.

აღალო დაუახლოვდა ლევანის ძმებს; დაუმეგობრდა მათ. როცა დარწმუნდა იგი, რომ ლევანის მცირედი ექვიც კი აღარა ჰქონდათ მის „გულითად“ მეგობრობაში, შეუდგა საქმეს. ხან ერთ ძმას, ხან მეორეს, გაუბამდა ხოლმე ამკვარ ლაპარაკს: „ზოგი რა ადამიანი დაიბადება ქვეყანაზე! არც ცოდო-მადლი, არც ნათესავი, არც მოკეთე, არც ღვიძლი ძმა მისთვის არ არსებობს! ნეტა როგორა ჰშველის ამისთანა კაცს ღმერთი? ეჭვ, მაგრამ არა მეგონია, ღმერთმა საბოლოოდ მოუშართოს ჰარამ კაცს ხელი! თუ ვისმე ცოტა ხანს გაჰყვება ნაარმევი უცხო სკი ჰგონია, ღვთის წყალობით აქვსო; ვფიქრობ, ეს მოჩვენება და მოღანდება უნდა იყოს. საბოლოოდ არცა ყოფილა და არც იქნება ნაარმევი და ბოროტად შეძენილი სარჩო-საბადებელი. ღმერთი მალე მოუღებს ბოლოს ნამეტნავად ღვიძლი ძმის მოღალატე კაცს. ეს ოხერი, ნეტავი ამისთანა გულისა არ ვიყო: საშინლად მეტანჯება ხოლმე გული, როცა უსამართლობასა ვხედავ; როცა ვხედავ, რომ კაცს ჰჩაგრავენ, ჰბრიყობენ. რა ვიცი, ზოგიერთს უთუოდ ქვის გული უნდა ჰქონდეს, რომ ცოდო-მადლი ვერ იგრძნოს. აბა მე კი რა საქმე მაქვს, მაგრამ გული არ მითმენს არა ვთქვა, როცა იმ თქენი პატიოსანი ძმის მოქმედებას ვუყურებ. თქვენ ძმებსაცა და ყველა სხვასაც ისე გგონიათ, რომ თავისი ოფლით მოგებული ფულებითა ვაჭრობს და ფარფაშობს იგი. ან კი რატომაც არ იფიქრებენ ასე, ვინც ნამდვილი გარემოება საქმისა არ იცინან! მხოლოდ მე იმისთვის მედება გულზე ცეცხლი და ვწუხვარ თქვენს მაგივრად, რომ ნამდვილად ვიცი საქმის გარემოება. მახლას, ყველა კაცი მირონცხნული არ ყოფილა! იცით, რამდენი ქონება დაგიტოვათ მამა-თქვენმა? რომ არ შემრცხვეს, მამა-თქვენმა დაგიტოვათ თქვენ, მარტო ნაღდ ფულად, სხვას არ ვიტყვი, ორი იმდელი, რაც ეხლა თქვენს პატიოსანს ძმას თანხა აქვს. თუ არ დააკლო, იმან არაფერი მოუმატა მამითქვენიდან დატოვებულ სარჩოს. ის ახლაც მამითქვენის მოგებული ფულებითა კოჭაობს თორემ, თქვენ ხომ კარგად იცით, ცხ ანებულ გვეგნასთან და საწყალ მოსესა ჩოდართან ჩობნად ვიყავი, მაგრამ

ამხანაგურად კი შექცეოდნენ. მამათქვენს ისე ვიცნობდი, როგორც ჩემ თავს. ის ხომ არ ჩამოდიოდა საამხანაგოდ ფულს; ფული მთლად მოსესასი იყო ხოლმე. მამათქვენი კი თავის ფულს ან შინ ინახავდა ან ასესხებდა. იმ შევბნელ დღესაც, როცა ფათერაკი მოგვიხდა, გროში კაპეიკი არა ჰქონია მამათქვენს თან. თქვენ მაშინ ბაღლები იყავით, აბა რა გეხსომებათ, ან რა გაგეგებოდათ, ის თქვენი პატროსანი ძმა კი კაცი იყო მაშინ. იმან ყველაფერი იცოდა და კიდევ ჩაჯიბა მამითქვენისაგან შეძენილი ნაღდი ფული, რამწამ გაიგო ჩვენი უბედურება. თქვენ კი, როგორც მოწყალეა, ორიოდ გროში გადმოგიგდოთ მამითქვენის უთვალავი ქონებიდან. აბა ეს კაცობა და პატროსნება არის? მე თქვენს ადგილას ვერ მოვიტყენდი ამას და რა ვქნა! თავის დღეშიაც არ შეგვარჩენდი ასეთ მუხანათობას! მაგრამ არც გასამტყუნარი ხართ. როცა არ იცით საქმის გარემოება ნამდვილად და თქვენთვის თვალები არავის აუხილებია, აბა რას იზამთ?

ამ გვარი ჩიჩინთა და ჩაგონებით ძმებს გაუძლიერდათ უკვე აღძრული გულში სიმშურნე და დაებადათ ამასთანავე უსახლერო სიძულვილი ლევანისადმი. თუ პირისპირ შეჰხედებოდნენ, ეჩხუბებოდნენ; ცოდოს მქამელსა და მოლალატეს ეძახდნენ. თუ ვერა ჰხედებოდნენ, ლანძღვის წერილებსა სწერდნენ; უთვლიდნენ დაებრუნებინა მათთვის, რაც „უსამართლოდ“ და „უსვინდისოდ“ ჩაჯიბა მათი მალვით მამისაგან დატოვებული ქონებიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრებოდნენ სასამართლოში ჩივილს. თუ სადამღის მიაღწია ძმების სიძულვილმა და მტრობამ ლევანისადმი, იქიდანა სჩანს, რომ სასმელებით მოვაჭრე ძმა რჩეობდა სხვაგან ევაჭრა და სხვისათვის მიეცა მოგება და შემატება და არა ლევანისათვის, როგორც წინა დღე სჩადიოდა.

ძმების ამგვარ მოქცევას ლევანა განცვიფრებაში მოჰყვანდა. მას ვერ წარმოედგინა, რა იყო მიზეზი მათი უცნაური ქცევისა. ხოლო ალალო არა სცხრებოდა, ჩაჰსისინებდა მათ გველივით. ალალოს ხელმძღვანელობით ძმებმა შეიტანეს სასამართლოში ლევანზე საჩივარი, როგორც ემუქრებოდნენ. მაგრამ სა-

ჩივარი ვერ დაასაბუთეს; ვერც მოწმები წააყენეს—აღალო, რომელსაც შეეძლო მოწმობა, არ გამოჩნდა სასამართლოში. ასე რომ ლევანა სრულიად გამართლდა. ამის შემდეგ უფრო გამწვავდა ძმებში დამოკიდებულება. მოსაკლავად არ დაინდობდნენ ლევანას უმცროსი ძმები, თუ კი ხელსაწყობი შემთხვევა მიეცემოდათ.

რაკი საჩივრით ლევანას კბილი ვერ მოსჭრეს მტრებმა, აღალომ ახლა სხვა ხერხსა და ხრიკებს მიჰმართა. იგი დაუახლოვდა ლევანას, გამართა მასთან მისვლა-მოსვლა; ერთი სიტყვით, გაუხდა მეგობრად ხალხის თვალში. ხოლო ლევანას ძმებს ამავე დროს ჩაელაპარაკებოდა შემდეგს: „რა ჯავრი მომდის, რომ იცოდეთ, ამ ოხერ ახლანდელს სასამართლოებზე! ვისაც ჯიბე სქელი აქვს, სამართალიც იმისია. სულ უკანასკნელი რომ ეთქვათ, ერთ ორას-სამას თუმანს მაინც ჩაუღებდა ხელში მოსამართლეს თქვენი პატიოსანი ძმა. მაშ რით უნდა აიხსნებოდეს ამისთანა უსამართლობის ჩაჩქმალვა და დაფარვა, თუ ქრთამით არა? ხუმრობა ხომ არ არის! რომ გამტყუებულებიყო, ცალკე უნდა შერცხვენილიყო, ცალკე თავისი თანხის ორ წილს უნდა გამოსთხოვებოდა! მაშინ ვნახავდი, როგორც გასწევდა განზე ქარხნის საქმეს! მე გავიგე, ვითომც რუსეთშიაც განუზრახავს სხვა ქარხნის გახსნა. აბა მაშინ-ლა ვაეხსნა, როცა თქვენი საკუთრება თქვენვე დაგიბრუნდებოდათ! ეგ რა კაცობაა, თქვენი თანხით თავისთვის ქარხნებსა ჰხსნის!.. მაგრამ ერთი კაი ხერხი მოვიგონე. თუ ეს შევასრულებ, კიდევ კისერს მოვატეხინებთ იმას. თქვენ თქვენსას ჩაიბარებთ და ჯავრის ამოყრა ც სხვა იქნება“.

„მოდი, ვექსილები შევადგინოთ, ვითომც იმას ჰმართებს ვისიმე—თქვენი, ჩემი, ანუ სხვისა, რამდენიმე ათასი თუმანი. ამ საქმეში მე თვითონ გიწინამძღვრებთ და გიჩვენებთ გზას. ეს კია, რომ თქვენს სახელობაზე შედგენა ვექსილებისა საშიშია, რადგანაც იმასთან საჩივარი გქონდათ: ყველა იფიქრებს, ყალბი ვექსილებიაო. უნდა სხვის სახელობაზე გაკეთდეს, მაგრამ ესეც საშიშია. არ არის კარგი ჩვენს გარდა სხვამაც გაიგოს

ჩვენი ხერხი და განზრახვანი. უმჯობესი იქნება, ისევ ჩემს სახელობაზე გაკეთდეს. ჩემში ექვს ვერაფერს შემოიტანს. ყველა ჰხედავს, რომ მე, ვითომც, მისი მეგობარი ვარ. ეს გარემოება საქმისათვის ძრიელ სასარგებლოა. მეც ამ აზრით დაეუახლოვდი და დავუმეგობრდი ხალხის თვალში. თუ ეს განზრახვა არა მქონოდა, იმას ახლო გაუფიქრი და ან ხმას გავცემდი! როგორც ეშმაკეულს, ისე მოვერიდებოდი. ან რა ქრისტიანია ის, რომ იმას კაცი მიეკაროს!“

როცა გამოჰკითხეს, როგორ მოხერხდებოდა ეს საქმე, ან რა გამოვიდოდა მისგან, ალალომ ასე განუმარტათ: „ქალაქში (ტფილისში) მართლაც მოუხერხებელია ამ საქმის გაკეთება, იქ იმას თითქმის ყველა იცნობს. ისეთ ადგილას უნდა გაკეთდეს ეს საქმე, სადა იმას არავინ იცნობს. მე ერევანში მყავს ნაცნობი ნოტარიუსი; ის მე ფულიან კაცად მიცნობს, დიდადაც მენდობა. იმას თქვენ უკეთურ ძმაზედაც აქვს შესმენილი, მხოლოდ თვლით ნანახი კი არა ჰყავს. მე განგებ წავალ ერევანში რამდენიმე ხნით. თქვენგანი ერთ-ერთი მოვიდეს ერევანში, წაგაყენებთ ნოტარიუსთან თქვენი ძმის სახელით, შევადგინოთ ჩემ სახელობაზე ერთი ოთხი ათასი თუმნის ვექსილი და, რომელიც იქნებით იქ, თქვენი ძმის სახელით მოაწერეთ ხელი. ისე მიცნობს მე ნოტარიუსი და თქვენ ძმაზედაც ისეთ ნაირად აქვს შესმენილი ხმები, რომ ვერაფერს ექვს ვერ მოვა. ერთი ასეთი ვექსილიც სხვა ნოტარიუსთან შევადგინოთ და მეორე ძმამ მოაწეროს ხელი. რვა ათასი თუმნის ვექსილები ჩავიწყობთ ჯიბეში. გავა თუ არა ვადა, წავუჭერ ყელში, დავაკურკავებინებ ფულებს და გავიყობ შუაზე, ნახევარი თქვენ, ნახევარი მე. მე, რასაკვირველია, თქვენი ძმის ნაარმევ ფულებს შინ არ შევიტან, სულ სამადლოდ დავარიგებ, ან ეკლესიებს შევწირავ. თქვენ კი კარგად წამოსწევთ წელში თქვენს ვაჭრობას. თქვენ პატიოსან ძმას კი რვა ათასი თუმანი ძლიერ მოსწყვეტს წელს. დასახათრიჯამებლად იმისა, რომ შიში არა გქონდეთ, მე შინაურ ვექსილებს მოგცემთ. თუნდა ნოტარიუსის წესით მოგცემდით მეც ვექსილებს, მაგრამ მეშინიან, ვაი თუ ლაპარაკი

დაიწყონ და საქმე გამოაშკარავდეს. ან რა შიში უნდა გქონდეთ? ხომ ხელავთ, რომ მე თქვენი გულისათვის ვცდილობ და მინდა თქვენს მაგიერად ჯავრი ამოვიყარო თქვენი ძმისა!“

ლევანას ძმებს მოეწონათ ძმის დასასჯელად მოგონილი ხერხი, მხოლოდ უთხრეს: „ვიფიქრებთო“.

მოფიქრების შემდეგ უმცროსმა ძმამ უარი გამოუცხადა ალალოს: „ვერ გავბედავ მაგისთანა საქმის დაქერასაო“. რისთვის ვერ გაბედა, არ გაუმქლავნა. მეორე ძმა კი სიამოვნებით დაჰყვა მისს სურვილს. დაუმტკიცა ნოტარიუსის წესით ოთხი ათასი თუმნის ვექსილი ლევანას სახელით, ხოლო თვითონ ალალოსაგან მიიღო ორი ათასი თუმნის შინაური ვექსილი. გავიდა ვექსილში აღნიშნული ვადა, ალალომ შეიტანა სასამართლოში საჩივარი. მიიღო ლევანამ სასამართლოს უწყება და დიდად განცვიფრდა.

ალალოს უნდოდა თავის ცოლის ძმები მოულონელად გაეკვირვებინა და გაეხარებინა. ამისთვის მათ უმაღლავდათ თავის მიერ დაწყობილ საქმეს, ვიდრე სისრულეში არ მოიყვანდა. ხოლო როცა იგი საქმე ჩავარდა გამოძიებაში და შეიტყეს მისმა ცოლის ძმებმა, ეცნენ და დაუწყეს წეწვა, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ. მათ აუხსნეს, რაც ბოლო მოჰყვებოდა მის მიერ „სასიქადულოდ“ დაწყობილ საქმეს. სასოწარკვეთილებითა სწვდა იგი ორივე ხელით თავისს შეღებულ ქოჩორს, მაგრამ ახლა გვიან-ლა იყო—გამოქვეყნდა ყველაფერი. მხოლოდ ის კი მოახერხა, რომ გაიქცა ლევანას ძმასთან და უთხრა: „ჩემგნით მოცემული ვექსილიც არ გამოაშკარავდესო, თორემ საქმე უფრო ცუდათ წაგვივაო“. შიშის ასაცილებლად ვექსილი დახიეს.

ჯრ-ჯერობით დიდი წუხილი და ვიში ჰხვდა ალალოს წილად, ხოლო რა მოელის შემდეგისათვის, არ აქვს ჯერ კარგად გამორკვეული. ვერ აუხსნეს გასაგებად ცოლის ძმებმა მისი მოქმედების შედეგი, თუ თვით ისე დაებნა ჰკვა და გონება, რომ ვერა გზით ვერ შეიგნო, თუ განგებ არ უნდოდა მისი შეგნება და წარმოდგენა, ძნელია სათქმელად. თითქმის იმედიც

კი უღვივოდა გულში საქმის კეთილად დაბოლოვებაზე. „ფუ-  
 ლებს რა არ შეუძლიანო“, ამბობს იგი ხშირად და არცა ჰზო-  
 გავს ადვოკატების დაქირავებაში. მაგრამ ეტყობა, რომ გული  
 მაინც გულის ადგილას არა აქვს. ყოველი ბოღმა-ბოროტი,  
 რომელსაც იგი არ აცხადებდა არავისთან, გულში ჩაუწვა ნის-  
 ლივით. აი ამისი უტყუარი ნიშნებიც: წელში მოიხარა, რო-  
 გორღაც გარინდებული დადის, აღარავის ეკარება; თმაც გაუ-  
 ქალარავდა.

აღალოს ხომ თავისი ემართება, მაგრამ არც მისს ცოლის  
 ძმებს ეტყობათ სიმშვიდე გულისა და სიამოვნება. ისინი აღა-  
 ლოზე ნაკლებ არა წუხან და არ დარდობენ. ცალკე აღალოს  
 მომავალი აწუხებთ მათ, ცალკე ის გარემოება, რომ ქართვე-  
 ლები გამოფხიზლდებიან და წითამამდებიან სომხის დამარცხე-  
 ბით და დამხობით.

ჯერ ასეა საქმე დაყენებული. ერთის მხრით ლამის უიშით  
 და სიმშურნით თვალები ბუდიდან გადმოსცვივდნენ. მეორეს  
 მხრით ღვივის გულში ბრწყინვალე სხივი იმედისა ბედნიერს  
 მომავალზე. ხოლო რა იქმნება შემდეგში, ანუ სად აღმოჩნდე-  
 ბა წვრილი, რომ გაწყდეს, ამას დროთა ბრუნვა და ვითარება  
 გამოაჩენს.

მკლანაა

(დასასრული)



# დ ა მ ე ნ ა ე გ უ ლ ნ ი

რომანი ბოლშევიკთა ცხოვრებიდან

ივ. გაგუცისა

დ ა ს კ მ ნ ა

I\*)

აჯანყების შემდეგ

რომდენსამე დღეში ყველგან ჩააჩუმეს აჯანყებულნი. აჯანყების სიცოცხლე არ დაეწყო, ისე დალია სული.

ამ აჯანყებას თავისი ისტორიაც კი არა აქვს,—ისე სწრაფად ჩაიკმინდა ხმა.

დიდი იმედები, ღრმა რწმენა, მღვეური ღონე და აღფრთოვანება—შედგვი რომდენისამე საუკუნის ტანჯვა-წვალებისა—ყოველივე გაჰქრა ერთ წუთში, ყოველსავე ფრთა შეეკვეცა.

მართალია, ამ მოძრაობას მწარე შედეგი მოჰყვა, მაგრამ ამავე დროს იმან შეჰქმნა მომავალი ომი განთავისუფლებისათვის. და ეს ომი რომ არ მოჰყოლოდა, ყველა საშინელ ბოროტებად ჩაითვლიდა ამ მოძრაობას, საღის ჭკუის კაცი—უჭკუობას დაარქმევდა, ერნი იტყოდნენ — სამარცხენო საქმეაო, ისტორია დასძენდა—ავაზაკობააო. ვაგლახ! ისტორია სწორედ

\*) იხ. „მომხბე“ 1898 წ. №№ XI და XII; 1899 წ. №№ IV, V, VI, VII, VIII, IX, XI და XII; 1900 წ. № I.

იმიტომ იტყოდა ამას, რომ მარტო გამარჯვების წინაშე იხრის ქედს.

მხოლოდ პოეზია არ დაჰკმობდა და არ გაჰკიცხავდა ამ მოძრაობას. გაჰკიცხავდა კი არა, დაფნის გვირგვინით შეუმკობდა თავს იმ აღფრთოვანებისათვის, რომელმაც ანადოლეელი წყნარი და მშვიდობის მოყვარე თერძები სრედნიაია-გორის მთაზე აიყვანა და ზედ ბლის ხისაგან გაკეთებულა ზარბაზნები აატანინა...

პოეტური სიბრიყვეა, განა!

იმიტომ არის პოეტური, რომ ახალგაზდა ერნი, მსკავსად ახალგაზდა კაცთა, პოეტები არიან.

—

სამი დღე-ღამე გავიდა, რაც ოგნიანოვი ძველს-პლანინაში დაეხეტებოდა. ახლა აღმოსავლეთისაკენ მიდიოდა, რომ იქიდან ბელაია-ცერკოვში ჩასულიყო. ამ ქალაქის ამბავი სრულებით არაფერი იცოდა. კლისურიდან ბელაია-ცერკოვამდე ექვსი საათის სავალი გზაა მშვიდობის მოყვარე სოფლელისათვის, მაგრამ მეამბოხეს, რომელიც სახრჩობელას გაუბრის, —სამოცი საათიც არ ეყოფა ამავე მანძილის გასაღლეოდა.

ხშირად ბინდისას მთიდან რომ გაიხედავდა, დაინახავდა წითლად შეღებილ ცისკიდურს. რაც უფრო ჩამოზნელებოდა, სინათლეს თანდათან ემატებოდა და წითლდებოდა.

ეს ცეცხლი იყო. ბევრი სოფელი გადიბუკა.

იმე ღამეს ბალკანის მთიდან ოგნიანოვმა მთელ სრედნია-გორაზე დაინახა აგეთივე ცეცხლი და შიშის ზარმა აიტანა. ცეცხლი ახლა მთასა ჰგავდა, ცეცხლის მქშინავსა, და ამ მთას თითქო ოც ალაგას ამოხეთქს აგიზგიზებული ცეცხლიო. ოგნიანოვი სიმწარით თმას იგლეჯდა თავზე.

— ბოლგარეთი დაიღუპა, დაიღუპა! — იძახდა სასოწარკვეთილის ხმით და თან თვალებს ცეცხლს არ აშორებდა — აი ჩვენის წმინდა შრომის ნაყოფი! აი რად გვექცა ჩვენი აღურთოვანებული იმედები: სისხლად და ცეცხლად! ღმერთო, ღმერთო,

თო! იქ კი,—დაუმატა ბოიჩომ და თითი კლისურისაკენ გაიშვირა;—ჩემი გულიც დაიღუპა... ორი იდეალი გამიქრა ერთსა და იმავე დროს, მომესპო ორი სათაყვანო კერპი, ღვთაებად მიჩნეული. ერთს შაშის ზარპა ამოჰხა და სული, მეორემ—შერცხვენილად მილალატა. ახლა გზადაკარგულ აჩრდილსა ვგვევარ, რომელიც თვისს სამარეს ვერა ჰპოულობს!..

ოჯნიანოვი თუ აჩრდილს არა ჰგავდა. ადამიანის ჩონჩხის სახე მაინც ჰქონდა.

ყველა მწყემსებს და მთელ ბოლგარებს ნაბრძანები ჰქონდათ—საქმელი და ბინა არ მიეცათ საექვო სახის მგზავრთათვის. ბოლგარნი იმაზე მეტს შერებოდნენ: თუ ვისმე საექვოს დაინახავდნენ, სდევნიდნენ და თურქების პოლიციას ატყობინებდნენ ამბავს; ხანდისხან მათი ულმოზობა იმ ზომამდე მიადწედა, რომ დაჭრილს ან შიმშილისაგან დაღალა-გამოაღლეულს მემამოხეს თოფს ესროდნენ მოსაკლავად. ამ ორის კვირის წინად კი იგივე ბოლგარები „მოციქულებს“ ძვირუას სტუმრებსავით უმასპინძლდებოდნენ და თავს ევლებოდნენ. ძველი-პლანინა ლეგენდარული გულკეთილი დედა კი არ იყო ახლა თავდადებულ მემამოხეთათვის, არამედ დედინაცვალად გადაექცათ, ულმოზებელ დედინაცვლად....

## II

### თეთრ ზურას ნატყხა

ამ დღეს ოჯნიანოფს მთის ქედის ჩრდილოეთ მხარეს აყრილ ბუჩქნარში გამოეღვიძა. შიმშილისა და სიარულისაგან სრულიად დასუსტდა. მწარე ბალახ-ბულოახმა, რომლითაც იკვებებოდა, მგელსავით დაყმენდილს მაღა უფრო აღუტყინა.

ასიოდ ნაბიჯზე კი მწყემსის ქოხი იდგა, შიგ პურიც იყო სამყოფი, ყველიც, რძეც, ნაღებიც... ოჯნიანოვის ტანჯვას ენით ვერ გამოსთქვამდა ადამიანი.

მგელი შიმშილით თავს თავის დღეში არ მოიკლავს, თუ კი სადმე ცხვრის ფარას მოჰკრა თვალი. მწყემსის ნაგაზების კბილები იმდენად მწარე არ არის, რამდენადაც შიმშილისაა.

ოგნიანოვმა ვადასწყვიტა მგელსავეთ მოქცეულიყო. ტყიდან გამოვიდა, გავიდა დღეში და თამამად შევიდა მწყემსის ქოხში.

შიგ ორი ქალი იყო: ახალგაზდა და მოხუცი, ორსავე საკერავი ეჭირა ხელში. ორი პატარა გოგოც რაღასაც ჰქსოვდა. ძაღლები საქონელთან იყვნენ მახლობლად.

უცნაური, ჭუჭყიან ტილოს ტანისამოსიანი, უქუდო კაცი რომ დაინახეს, ქალებმა, შეეშინდათ და დაიკვივლეს.

— რა გინდა? — დაუყვირა ვიღამაც გარედან.

ამ დროს წელმოხრილი მოხუცებული მაკედონელი მწყემსი გამოჩნდა. ხელში თოფი მოემარჯვებინა.

ოგნიანოვმა მოხუცი აანი იცნო; ამ მწყემსს ხშირად დაჰქონდა ბელაია-ცერკოვში ერბო გასასყიდად. იანსაც ენახა ოგნიანოვი.

— დილა მშვიდობისა ბატონო იანო, ერთი ნატეხი პური მომეცი, თუ ღმერთი გწამს, — მაშინათვე უთხრა ბოიჩო; ამით აცნობა მასპინძელს, რომ სამოყვროდ ვარ მოსულიო.

მწყემსი კარგად დააკვირდა ოგნიანოვს. არ ეტყობოდა — იცნო თუ არა, ეს კი იყო, რომ ოგნიანოვს არ ექაშნიკა იანის შემოხედვა. მწყემსმა კოპები შეიკრა, ნახევარი პური მოუჭრა და ერთ-ერთ გოგოს რაღაც უჩურჩულა.

— აჰა, გაზომართვი და აქედან გაგეშორდი, თუ თავი არ მოგ ძულეზია. აქ ვინმე დაგინახავს, ქრისტიანო, — უთხრა მკაცრად და ოგნიანოვს პური მისცა.

ოგნიანოვმა მადლობა გადაუხადა და საჩქაროზე მოშორდა; დაადგა მინდორს, რომ იქიდან იმ ტყეში შესულიყო, სადაც ღამე გაათია.

— ღმერთო, — ჰფიქრობდა ბოიჩო, — ბერძენმა, ამ ნახევრად ველურმა კაცმა, შემიბრალა; ბოლგარებმა კი გუშინ წყვეა-

კრულივით გამაგდეს და თან ძაღლები დამისიეს, თითქო ნადირი ვუყოფილიყავ.

ბარად ბოიჩომ წყალი დალია და ლელეში გავიდა, რომ იქიდან თავისს ტყეში შესულიყო. საქმელმა მაშინათვე მოასულიერა და ღონეზე მოიყვანა. სერთან რომ მივიდა, შორიდან ვილასაც ძახილი გაიგონა. მიბრუნდა. იმ სერიდან, სადაც ბერძნებს ქოხი ედგა, ჩერკეზები დაეშვნენ და ხელის ქნევა დაუწყეს. წინ მეძებრები მიბოდნენ ყეფით.

ოწინანოვმა სთქვა, ეს არის, დავილუპეო. მაგრამ, ჩვეულებრივ, თავტანი არ დაჰკარგა და იმ წამსვე მოიფიქრა, როგორ მოქცეულიყო.

მღევრებსა და ოგწინანოვს შუა გორაკი იდო, ბოიჩომ იფიქრა, ერთის წუთით მაინც მოვეფარები თვალთაგან მტერს, როცა ეს მტერი გორაკს უკან ხეეში იქნებაო. ამასობაში ტყესთან მივირბენ, მაგრამ მაინც ვერას ვუშველი თავს-მომეწვიანო. მტრის ტყვიასთან და მეძებრებთან სირბილით ვერას გავაწყობო. ძირს კი, ლელესთან, დაბალი ჯაგნარი იყო, ორ დაქანებულ მთის ფერდებს შუა. მაგრამ ვერც ეს ჯაგნარი მიშველისო: ვთქვათ, მღევრებს დავემალე, მეძებრები მაინც მომძებნიანო. საითკენაც უნდა წავიდე, ყველგან სიკვდილი მომეწვიოსო! მაგრამ ბოიჩოს ფიქრისა არ ეცალა, უნდა რამე გადაეწყვიტნა. ინსტიქტიურად ეაკე ამოარჩია და შურდულსავით დაეშვა თავქვე. ერთს წუთს უკან ჯაგნართან გაჩნდა. გორაკიდან ძირს სოროებს უჩანდა პირი, თითქო გორაკი მთლად გამოხრულიაო. ოგწინანოვმა უცბად შეათარა თავი მხეცების ერთერთ სოროში. გადასწყვიტა, აქ დაეცა და მტრისათვის, რომ იათად მაინც არ დაესვა იმათთვის თავისი სიკვდილი.

ხელში დამბაჩა ექირა და რამდენსამე წუთში თვალდაცეცებული იყურებოდა. ეს რამდენიმე წუთი მთელ საუკუნოებად ეჩვენა. ჯერ ახლოდან მოესმა ყეფა, მერე გაშორდა და, ბოლოს, სულ მისწყდა. ოგწინანოვი ელოდებოდა. რა ამბავიაო? ჰფიქრობდა. ალბად, მტერმა ჩემი კვალი დაჰკარგა, მაგრამ ისევ მალე იპოვნისო. ოგწინანოვი მიხვდა, რომ ტყეში მეძებნო;

მაგრამ, რა თქმა უნდა, რაკი ტყეში ვერ მიპოვნინან, აქ დამიწყებენ ძებნას, თუ შეძებრებმა მანამდეც არ მოიყვანეს ჩემთანაო. მეძებარს თავისი ალლო ორჯერ როდი ატყუებსო. ეს ტანჯვა რამდენს ხანს გაგრძელდა, ოგნიანოვმაც არ იცოდა. თვალები ველზე ჰქონდა მიშტერებული, იქ მდგარ ხმელ ჯავს უყურებდა, ხედავდა, რომ ეს ჯავი ნელ-ნელა შრიალებსო. ყოველ წამს მოელოდა მეძებრების ცხვირის ნახვას, საცაა, შემოხედავენ ჩემს სოროში, ან დაიყეფებენო.

უცბად ძაღლის ყეფა გაისმა.

ოგნიანოვს შიშისაგან თვალები საზარლად გადმოეკარკლა, თმა ყალხზე შეუდგა.

დამბაჩას აკანკალებული ხელი მოუქირა და მზად იყო ყველაფერი ექნა, არაფრის წინ უკან არ დაეხია.

### III

#### ჩრდილოეთისაკენ!

ძაღლის ყეფა მეტად არ განმეორებულა. ოგნიანოვმა ყეფის მაგიერად სხვა ხმაურობა გაიგონა, — დადამიანთა ფეხის ხმა. დიად, სოროსაკენ კაცები მოდიოდნენ, კლდეზე დაეშვნენ. გამოჩნდა კაცის ქალამნიანი ფეხები სოროს პირად და მიიმალა; ისევ გამოჩნდა მეორე კაცის ფეხები და იმანაც გაიარა; მესამე კაციც დაინახა ოგნიანოვმა, მაგრამ ისიც ჩუმად, ხმის ამოუღებლად წავიდა. გამოჩნდა მეოთხე კაცი. ეს კი არსად მიდიოდა.

გაჩერდა და დაიხარა. ოგნიანოვმა ცალი გვერდი დაინახა წოწოლა თავიან კაცის სახისა. ის კაცი, ვისი თავიც ბოიჩომ დაინახა, ქალამნის თოკების შეკერას შეუდგა.

ოგნიანოვმა დამბაჩა დაუმიზნა, თუ რამე დააპირა, ვესვრიო.

კაცმა სოროში შეიხედა.

მაშინათვე აიხედა და სხვებს სისინით დაუძახა. ამით ანიშნა, დაბრუნდითო.

მერე ისევ დაიხარა და შეიხედა სოროში. ოგნიანოვმა გადასწყვიტა ესროლნა.

— რა კაცი ხარ?—ჰკითხა რუხრუხით ოგნიანოვს.

— ძია ივანე!—დაუძახა ბოიჩომ.

მართლაც, ეს ივანე ბორიმეჩკა იყო.

— მასწავლებლო!—დაიძახეს სხვებმაც და სოროში შეიხედეს. ბორიმეჩკა პირველი შეძვრა სოროში და, თვალეზზე ცრემლ მოგუბებულმა, მაგრად მოუჭირა ხელი ხელზე. დანარჩენი სამიც შეძვრა. სამივე კლისურელნი იყვნენ.

ბოიჩომ პირველად ის იკითხა:—ვისი ძაღლი იყო, რომ ჰყეფდაო?

— ძაღლი კი არა, ბორიმეჩკა ჰყეფდაო!—უპასუხეს კლისურელებმა.

ოგნიანოვმა გაიღიმა. მოაკონდა მდევ ბორიმეჩკას ჩვეულება. მაშინვე კითხვები სეტყვასავით დააყარა.

მხოლოდ ახლა დამშვიდდა ოგნიანოვი. მიხედა, რომ სასწაულებრივ გადაერჩი, ისე, როგორც არა ერთხელ გადავურჩენივარ ჩემს ბედსაო.

— ახლა სად მიდიხართ?—ჰკითხა ბოიჩომ.

— რუმინიაში. უნ სადღა მიდიხარ?

— აი, ეს სამი დღეა, ბელოია-ცერკოვში მოვდივარ; ხომ ხედავთ, როგორ გავიგრძელე გზა?

ერთმა კლისურელმა სთქვა:

— დიდი ეშპაკი ხალხი კია ბელო-ცერკოველები: თავისთვის არხეინადა სხედან!

ეს სიტყვები წყრომის კილოთი წარმოსთქვა გლეხმა. მაგრამ იმდენი წყრომა არ იხატებოდა ამ სიტყვების კილოში, რამდენიც წყენა,—რატომ სხვებთან ერთად არ დაიხოცნენ ბელო-ცერკოველებიცაო. ასეთია კაცის გული!—უბედურებას ადვილად ეუძლებთ, თუ კი ვიცით, რომ სხვებიც, თუნდაც ჩვენი მახლობლები იყვნენ, იტანჯებიან ამ უბედურებისაგანო.

— ბელაია-ცერკოვლებისა რა ამბავი გაიგეთ?—ჰკითხა ოგნიანოვმა.

— აკი გითხარი... დიდი ეშმაკები და თავდაძრენილი ხალხი გამოდგა.... მარტო ჩვენ გამოვდექით ბოლგარეთის სამეფოს განთავისუფლებისათვის თავდადებული გმირები.

— მართალია, მაგრამ მე ის მიკვირს, რა მოწადინებულნი იყვნენ იქაურნი!—ჩაილაპარაკა ჩუმად ოგნიანოვმა და დაფიქრდა.

— კარგია, რომ გადარჩა ბელაია-ცერკოვი... ისიც რომ დამწვარიყო, ამით სხვას რა ეშველებოდა?

— რამდენი სოფელი ნაცარ-ტუტად იქცა,—ჩაერია მეორე,—ხომ ნახე, როგორ გაწითლებულიყო ცა?

— ვნახე,—დაღონებულის კილოთი უპასუხა ოგნიანოვმა.

— დიდ-ძალი ხალხი დაიღუპა. განა ეს აჯანყებაა? აჯანყება კი არა—თავლაფდასხმაა. და ჩვენც, ვინც უფრო გამოცდილები ვიყავით, იმედი გვქონდა... ღმერთმა ჰკითხოთ იმათ, ვინც ხალხის ცოდვაში ჩადგა. თუ ყველგან კარგად არ იყო საქმე მოწყობილი, რაღას ჩქარობდნენ, ჩუმად რად არ ისხდნენ?

ოგნიანოვი ჩუმად უგდებდა ყურს ამ საყვედურებს. სწყინდა, მაგრამ გული არ მოსდიოდა ამ საყვედურებისაგან. თუ სულ საფუძვლიანი არ იყო ეს საყვედურები, ბუნებრივი მაინც იყო. ამ განიორწყლებულ ხალხის მხრივ. ოგნიანოვს არა ერთხელ უთქვამს გული-გულში საყვედური თავის ხალხისა. და ეს ხალხიც ამბობდა თავის მეთაურების საყვედურს. ასეთი სამწუხარო და ლოლიკური შედეგი მოსდევს ხოლმე ყოველთვის დამარცხებს.

— კარგია ერთი, ყურები ნუ ჩამოგყრიათ და ცხვირპირი ნუ ჩამოგტირისთ! კაცს ასე ეგონება, მართლა ქვეყანა დაიქცაო. ღვთისა ღვთისმშობლის ნება ასეთი იყო, ვენაცვალე მათს მადლსა და დიდებას! მართალია, კლისური დაიღუპა, მაგრამ ბოლგარეთი კი არ დაღუპულა ჯერ,—შეეცადა ნუგეში ეცა სხვებისათვის ბორბიმეჩკას.



— ძია ივანე, შენს ცოლს რაღა უყავი? გახიზნე?—ჰკითხა ბოიჩომ.

— სტაიკა? გადარჩა... ჯერ ალტინოვოში წავიყვანე, იქიდან კი... მაგრამ კინალამ რაღას ამბავი არ დამავიწყდა!

ოგნიანოვს გააჟრჟოლა ამ სიტყვების გაგონებაზე. ექვად იცოდა, რაც მოუვიდა რაღას, მაგრამ ეშინოდა სხვისაგან გაეგონა—ეს საშინელი ექვი სინამდვილეაო. იმ ღამეს ხედავდა, როგორ ეკიდებოდა ცეცხლი და დაიქცა ის სახლი, რომელშიაც რაღა იღვა, ხედავდა, როგორ მოედო ცეცხლი თვით ნანგრევებს სახლისას, რომელმაც ქვეშ მოიყოლა მისი საყვარელი ქალი. უნდოდა ეხსნა ქალი, მაგრამ გვიან-ლა იყო. და ეს აზრი საშინელ ლოდად აწვა გულზე. სხვა გრძნობაც უღელვებდა გულს და არ ასვენებდა. ამ გრძნობის ანგარიშს თავის თავსაც ვერ აძლევდა.

— ცოტას გაწყდა, არ დაიღუპა საწყალი ქალი.

— როგორ, განა სული უდგას?—წამოიძახა ოგნიანოვმა.

— ცოცხალია, ცოცხალი, მასწავლებელო... მხოლოდ, მე რომ არ შევსწრებოდი...

— ახლა სადღაა?—ჰკითხა გაოცებულმა ბოიჩომ.

— ფიქრი ნუ გაქვს, საიმედო კაცს ჩავაბარე მისი თავი,— ნუგეში სცა ბორიმეჩკამ.

ბოიჩოს გულზე ეფონა. სახე გაუბრწყინდა და გულ-აჩუყებულად უთხრა ბორიმეჩკას:

— გმადლობთ, ძია ივანე! საშინელი ტანჯვისაგან მიხსენი შენ ახლა.

— მაგრამ,—სიტყვა გააწყვეტინა ბორიმეჩკამ,—კიდევ კარგი, რომ სტაიკამ დროზე შემატყობინა... რაღას დიასახლისი ანა რომ გამოქცეულა სახლიდინ, ისე ჩემი ცოლი შეხვედრია და იმისთვის უთქვამს: შენს ქმარს, ე. ი. მე, გააგებინე, რომ რაღას ვეხვეწე, მაგრამ არ გამომყვა, და როგორმე წამოიყვანოსო... რომ გავიგე, ვთქვი, ღმერთო მომკალ, იმას როგორ დავსტოვებ-მეთქი... მივირბინე, ისე კარი დაჰკეტა, ვუჩახუნე, ვუყვირე, მაგრამ არ გამიღო, კარი დავღეწე და ოთახ-

ში შევევარდი, შევხვდე, მაგიდასთან გაჩერებულა და ხელში საათი დაუჭერია. მაგიდაზე კი ტომარა იდო.

— თოფის წამლით საესე ტომარა!—წამოიყვირა ოგნიანოვმა. მთელს ტანში ვააჟრქოლა, როცა ვაიგო, თუ რა სიკვდილს იმზადებდა თურმე რადაო.

— დიად, თოფისწამლით გატენილი ტომარა უშოვნია სადღაც, რომ აეფეთქებინა და თავისი თავი ათას ნაწილად დაეფლითა. აბა ქკუა ჰკითხეთ ასეთს სულელს ქალს!.. მაგრამ მაშინ ვერ მივხვდი, რომ ტომარაში თოფის წამალი ეყარა და პირდაპირ მივედი მასთან. განგება იყო, თუ ქარის მიზეზი—არვიცი; კარი შევამტვრიე თუ არა, ასანთი ჩაჰქრა...

— „აქ რა გინდა, მასწავლებლო-მეთქი?—ვკითხე რადას,— ყველანი მირბიან და შენ კი რას აპირობ-მეთქი.“ ეტაცე ხელი და ბალკანისაკენ გაეაქანე, ჩემი სტაიკა უკან გამოგვედევნა. სტაიკა ნუგეშს აძლევდა, მაგრამ ის მაინც ტირილს არ იშლიდა, ერთავად ოხრავდა... ეჰ, მასწავლებლო, ენა ვერ გამოთქვამს, თუ რამდენი ცრემლი დაღვარა შენთვის რადამ!... მე შენ მკვდარი მეგონე, მაგრამ იმას კი ვატყუებდი (ხომ იცი, ტყუილი ხანდისხან საჭიროა ხოლმე), ვეუბნებოდი: მასწავლებელი ცოცხალია, არაფერი უჭირს, ნუ გეშინიან, შენი ჰირიმე-მეთქი... მაგრამ დაგვიგვიანდა... ვერლიშნიცასთან თურქები დაგვესხნენ, იქით წასვლა აღარ შეიძლებოდა... გაჭირდა საქმე, არ ვიცოდით, რა გვექნა... მაშინ მთა-მთა წავედით და შუალამისას ჩვენს სოფელში ამოვყავით თავი... რადა და ჩემი ცოლი სტაიკა ჩემს ცოლის ძმას ჩავაბარე და მე კი ისევ ძველ პლანინაზე ავედი... მაშ, შენ ცოცხალი ხარ, განა?

ოგნიანოვს ხმა არ ამოუღია, ისე ბორიმეჩკას ხელი ხელზე მოუჭირა.

— მე ორივე ალტინოვოში დავტოვე, მაგრამ ეხლა ბელაია-ცერკოეში უნდა იყვნენ. ჩენს ცოლის ძმას დავუბარე, — ოსმალურად გამოაწყვე ორივე ქალი და ხვალვე წაიყვანე-მეთქი:.. ალტინოვოში აუარებელი თურქია... საშინლად ბევრაა... ბელაია-ცერკოეში კი, როგორც ამბობენ, მშვი-

დობიანობა არისო... თუ შენ ეხლა იქ მიდიხარ, ჩემი სტაიკაც  
ნახე, ჩენს მაგივრად მომიკითხე და უთხარი, არაფერი მიჭირს-  
თქო. უთხარი, შემწვარ კურდღლებს და დაშაქრულ ნალებსა  
ვჭამ-თქო, არ ეგონოს, რომ მშინან...

— ბელაია-ცერკოვში, არ მგონია, რომ წაეიდე, ძია ივანე.  
ბორიმეჩკამ გაოცებულის სახით შეხედა.

— განა არსად მიდიხარ?

— არა, არსად არ წავალ.

— მაშ საით აპირობ წასვლას?

— ვნახავ...

— მოდი, რუმინიაში წაგიყვან...

— არა, რუმინიაში თქვენ წადით. ამასაც გეტყვით; ცალკ-  
ცალკე იარეთ, ერთად სიარული არ ვარგა...

ოგნიანოვი ჩრდილოეთისაკენ წაეიდა.

ცა მოღრუბლული იყო. საშინელი სიბნელე გადაეფარა  
მთებს და მათს ხშირ ტყეებს.

ბოიჩოს მთელი ღამე მუხლები არ ჩაუკრეფია, მიდიოდა  
მთა-მთა, მინდვრებზე, — საცა მოხვდებოდა.

განთიადისას ერთის მთის წვერზე გადმოდგა. ამ ადგილი-  
დან სამხრეთი მხარე და ერთი საუცხოვო მწეანე ველი სჩანდა.  
სტრემის ველი იცნო. ბელაია-ცერკოვი მთის ძირას იყო!

მისს ბედს მხიარული ვარსკვლავი უნდა გამოჰბრწყინე-  
ბოდა.

18

დ რ ა შ ა

ოგნიანოვი, თითქო მაგარის ძილისაგან გამოერკვაო, მი-  
ხედა, რომ გზა აპრეოდა, მაგრამ გვიან-ლა იყო.

გვიან იყო იმიტომ, რომ დღისით-მზისით ბელაია-ცერკოვს  
წაადგა თავზე. ახლო-მახლო ტყე არსადა სჩანდა, რომ თავი  
დაეფარა. სთქვა, სიბრიყვე იქმნება ახლა უკან დაბრუნებოა.  
ერთად-ერთი გზა ჰქონდა: მონასტირის მდინარის ველზე უნდა

ჩასულიყო, იქ თავი დაეფარა და იქიდან მერე ბელაია ცერკოვში შეპარულიყო. ბედს დაემორჩილა და გადასწყვეტა სწორედ იმ ადგილისაკენ წასულიყო, რომელსაც წინაღამეს, რაც შეიძლება, შორს გაურბოდა.

კანდოვსავეით ოგნიანოვმაც პირველად შეიყვარა ქალი. გული დაეკოდა, მაგრამ გულის დაკოდვის მიზეზი ექვი იყო, და არა მუხანათობა რადასი. ჭკუა-დამჯდარად რომ განეხილა ყველაფერი, გულ-დამშვიდებით რომ შეეტყო საქმის ვითარება, მაშინ ყოველი იქვიანობა გაეფანტებოდა და მისს ტანჯვასაც ბოლო მოეღებოდა. რამე შემთხვევა უნდა გამოსჩენოდა მაშველად.

და ასეთი შემთხვევა გამოუჩნდა კიდევ.

მაგრამ, ამბობდა, ეს შემთხვევა ბედის მზაკვრობამ გამო-მიჩინაო.

ამიტომ, როცა ველზე ჩამოვიდა, სადაც მდინარე სხვა მხარეს უხვევს, და როცა ნაძენარი დაინახა, აზრი გამოიცივალა.

— არა,—სთქვა ბოიჩომ,—დღე ამ ტყეში დავიმაღლები, სალამოს კი უკან დავბრუნდები... ბალკანის რომელსამე სოფელში ტანისამოსს გამოვიცვლი და იქიდან რუმინიაში გადავალ... მორჩა, რაღა ჩემმა თვალმა ჩემს სიცოცხლეში არ უნდა დაინახოს.

ესა სთქვა და ხეების ფესვებს შორის დაიმალო, ზევიდან გამხმარი ფოთლები და ბალახ-ბულახი წაიყარა. ისე დაწვა, რომ ვერავინ შეამჩნევდა. დიდხანს იწვა ასე, გაუნძრევლად, სანამ არ დაღამდა.

ბინდისას, მოპირდაპირე სერზე ოგნიანოვმა დაინახა რაღაც შავი, ჰაერში აფრიალებული. უშველებელ ფრინველსა ჰგავდა, ჰაერში ერთ ალაგას გაჩერებულს ფრთების ქნევითა. ბოიჩოს ეოცა და დააკვირდა.

— დროშაა!—წამოიძახა განცვიფრებულმა.

იცნო წითელი დროშა, კლდეზე მიმაგრებული, სერის წვერზე. ქარი ნელა არხევდა. ბელაია=ცერკოვიდანაც მკაფიოდ მოსჩანდა.

დროშასთან არავინ იდგა. ნეტავ, ვინ აიტინა იქ? ან რა აზრით გააკეთა? იქნება, აჯანყების ნიშანი იყო? ოგნიანოვმა იფიქრა, ალბად, აჯანყების ნიშანიაო. არა მგონია, სხვა რისთვისმე იყოს დარქობილიო...

გულმა ვერ მოუთმინა. სიფრთხილეს თავი დაანება. გამობტა საფარიდან და ფაცხა-ფუცხით აიჭრა სერზე, რომლიდანაც, ის იყო, ჩამოვიდა ბელაია-ცერკოვის სანახავად. მოესმა, ვითომ შორს თოფებსა სკლიანო... ნეტავ, საითკენაა, რომ ისვრიანო?.. დააშტერდა ქალაქს... მოულოდნელად, თეთრი კომლი, დაცლილ თოფის კვალი, დაინახა ქალაქის განაპირას.

— აჯანყებულა, აჯანყებულა ბელაია-ცერკოვიო, — წამოიძახა განარებულმა, — ჩემი ერთგული ამხანაგები სოკოლოვი, პაპოვი, რედაქტორი, ძია ბიჩო გულხელდაკრეფილნი არა სხედან... ეტყობა, სხვა ადგილებშიაც აჯანყებულან! ღმერთო, — იმედი სულ არ დაგვეკარგვია!.. — და, თითქო ფრთები შეეხსაო, ისე ჩამოსრიალდა მოლიპულ ბალახათ დაფარულ მოსხლეტილ კლდეზე.

V

ს ა ს ა ფ ღ ა ო .

უკვე სულ დაღამებულიყო, როცა ოგნიანოვი ხელახლა ჩამოვიდა მონასტრის მდინარის ველზე.

მონასტრის გვერდთ ჩაიარა, მაგრამ მამა ნათანაილი არა ნახა: ისედაც ბევრი ძვირფასი დრო დავეკარგეო. ბელაია-ცერკოვში აჯანყებაა და უნდა გავეშუროვო. ამ აზრმა გააცოცხლა, დაუბრუნა მთელი სულიერი და ხორციელი ძალდონე.

დაადგა დიდ გზას და, რამდენისამე წუთის უკან, დაინახა ქალაქის ჩამობნელებულნი შენობანი, ბუხრები, ბაღები. მაშინ დიდ გზას გადუხვია და ავიდა სერზე, რომელიც ბელაია-ცერკოვს გადმოჰყურებდა, და რომელზედაც საქალაქო სასწავლებელი იდგა.

ამ სერიდან ქალაქს თვლიერება დაუწყაო. ქალაქში ყველას ეძინა. სინათლე არსაიდანა სჩანდა... ჩამი ჩუმი ან სხვა რამე ისეთი არა იყო-რა, რომ კაცს ეთქვა, აჯანყებააო. მხოლოდ ძაღლის ყეფა მოისმოდა. ამან მეტად გააკვირვა ოგნიანოვი. არ იცოდა, რა ექნა. ქალაქში რომ შევიდე და ვინმე მეგობრის სახლს მივადგე, არ შეიძლებაო. ვაყების სასწავლებელი ახლოს იყო და გადასწყვიტა შესულიყო. იქ მოსამსახურე დედაკაცი შემხვდება და ბელაია-ცერკოვის ამბავს გამოეკითხავო. მაშინათვე სასწავლებლის ეზოს ლობეზე გადახტა. შუა აღაგას ძველებური ეკლესია იდგა, უშველებელ ფიქალის მსგავსი. ეზოს ბოლოზე შავად მოსჩანდა სასწავლებლის შენობა, მღუმარედ, და სიბნელით დაფარული. სიბნელე ამ ადგილისა და საშინელი მღუმარებაც ადამიანს გულსა ჰზარავდა. ოგნიანოვს ეგონა, ხალხი აჯანყებული დამხვდებაო, და ის კი არა, ყვირილისა და ჩოჩქოლის მაგიერ, ეს სამარისებური წყვდიადი დახვდა. ამ გარემოებამ მეტად დააღონა და სასოწარჟყვეთა. საფლავები ღამის წყლიადში საშინლად გამოიყურებოდა, მის წინ მღუმარედ იდგა, თითქო სამარიდან ნახევრად თავწამოყოფილი მიცვალებულები არისო. უნებურად კანკალი აუვარდა და მოინდომა ჩქარა გასცლოდა ამ წყვდიადისა და იღუმალების ცივს სამეფოს...

მოულოდნელად ოგნიანოვმა მკრთალი სინათლე დაინახა ეკლესიის დაბალ სარკმელში. იფიქრა, ან ღამიპარს უკიდია და ან თაფლის სანთელსაო... ეს ერთად-ერთი სინათლე იყო, ამ სიბნელით და სიჩუმით მოცულს ქალაქში საამურად და აღერსიანად რომ გამოკრთოდა. ოგნიანოვუს უძლველი ცნობის-მოყვარეობა აღეძრა, ფრთხილად გაიარა საფლავებ შორის, მივიდა სარკმელთან და ეკლესიაში შეიხედა. ეკლესიის ერთ სვეტთან სპილენძის დიდ სასანთლეში თაფლის სანთელი ენთო. მოყვითანო ალი ძლიავს ანათებდა პატარა წრეს იატაკზე. ამ წრის გარშემო ეკლესიაში ყველაფერი იღუმალ სიბნელით იყო დაფარული. მკრთალად განათებულ იატაკის სივრცეზე ოგნიანოვმა დაინახა რაღაც საოცრად გაშხლართული სხეული. რა

უნდა იყოსო? იფიქრა. პირისახე სარკმლის შუშას მიაღო და დააკვირდა. მიხვდა, რაც იყო. ჭილობზე სამი კაცი იწვა. სამივე მიცვალებული იყო, მათს გვერდით ბრჭყვიალა გუბე იდგა, სისხლისა. სამთლის მკრთოლარე ალი მორიდებულად ანათებდა ამ სურათს. დამანჯულ და პირღია დარჩენილ სახეებზე მოწამებრივი სიკვდილი იხატებოდა. ერთ მათგანს თვალები ფართედ დაეღო და მკაცრად და ჩაცვივებით უყურებდა ეკლესიის ბნელს თაღს. ოგნიანოეს ტანზე ბუწუწები აუვიდა; მაგრამ ვერ შესძლო სარკმელს გასცლოდა: მიცვალებულს თვალებს ვერ აშორებდა.

ერთბაშად კანდოვი იცნო. კისერზე ღარი აჩნდა შავად. ვიღასაც ყელი გამოეღაღრა.

ოგნიანოვმა თვალი მოარიდა ამ საშინელს სურათს და საჩქაროზე მოტრიალდა.

VI

მ ა რ ა ი კ ა

ღამე მონასტრის ველზე გაატარა ოგნიანოვმა.

დილა-ადრინად დახრამულ კლდეზე ავიდა და ისეთ ალაგას დაიმალა, რომ არავის შეეძლო მისი ნახვა, თვითონ კი ყველაფერს დაინახავდა, რაც ველზე მოხდებოდა.

ველზე არავინ ჩანდა.

ერთბაშად თვალები გაუბრწყინდა. ერთის წისქვილის კარი გაიღო და გოგო გამოვიდა; მოვიდა წყაროსთან და პირის ბანა დაიწყო.

„მარიკა!“ — წამოიძახა გახარებულმა ოგნიანოვმა. მიცვალებულ ჰაპა სტოიანის ობოლი ქალიშვილი იცნო. მიხვდა, მამის სიკვდილის შემდეგ, ალბად, ბიძასთან სცხოვრობსო.

განგება ღვთისა ხელს უმართავდა ოგნიანოეს.

საჩქაროზე მდინარის პირას დაეშვა, ამოეფარა ქვას და ჩუმად დაუძახა.

ქალმა მოიხედა და იცნო ბოიჩო, რომელმაც ქვის უკან დან ნახევრად თავი წამოჰყო. იცნო თუ არა, მაშინათვე მასთან მიიღბინა.

— ძია ბოიჩო, შენა ხარ?

— აქ მო, მარიკა, აქ, — დაუძახა ბოიჩომ.

ქალი ძალზე დაღებულ და გაოცებულ თვალთ უყურებდა ოგნიანოვს. საშინლად გამხდარი სახე ოგნიანოვისა, სისხლითა და ტალახით მოსვრილი ტანისამოსი, შიშველი თავი და ათის დღის უძინარი, შიმშილითა, აღამიანთან და ბუნებასთან ბრძოლით დათენთილი სახე, — ქალს უეჭველად შეაშინებდა, ეს კაცი ოგნიანოვი რომ არ ყოფილიყო; მაგრამ დიდი ნდობა და სიყვარული ჰქონდა ბოიჩოსი.

— მარიკა, ქალაქში რა ამბავია? — ჰკითხა პირველად ოგნიანოვმა.

— თურქები მოვიდნენ, ძია ბოიჩო.

ოგნიანოვმა ხელი თავში იტაცა და დაფიქრდა.

— გუშინ თოფებს რად ისროდნენ? რა მოხდა?

— გუშინ, ძია ბოიჩო? არ ვიცი, ძია.

— განა არ გაგიგონია, თოფებს რომ ისროდნენ?

— გუშინ არა ვყოფილვარ ბელაია-ცერკოვში, ძია ბოიჩო.

მარიკამ არ იცოდა, რა ეპასუხნა, მაგრამ ბოიჩო უკვე მიხვდა, რაც უნდა ყოფილიყო: აჯანყება სცადეს, მაგრამ თურქებმა, ალბად, მაშინათვე პირში ბურთი ჩასწარეს აჯანყებულთ და ბელაია-ცერკოვში, როგორც უნდათ, ისე დათარეშობენო.

გვიან მოვედიო, იფიქრა ბოიჩომ. ორის საათით აღრე რომ მოვსულიყავ, იქნება, სხვანაირად წამეყვანა საქმეო. ჩემი დაგვიანება საბედისწერო შემთხვევად გადაიქცა, რომელსაც ხანდისხან მთელის ერის ბედ-იღბლის გადაწყვეტა შეუძლიანო...

ერთხანს ფიქრის შემდეგ ოგნიანოვმა ჰკითხა:

— მარიკა, შენს სახლში არის ვინმე?

— ძია მანჩო; ჯერ სძინავს.

— მარიკა, იცი, ექიმი სოკოლოვი სადა სცხოვრობს?

— ვიცი, ბებია იაკიმისთანა სდგას.





— ჰო, იქ არის. ახლა ეს მითხარ, იცი სადა სდგას ბრზო-  
ბეგუნოვი, გერმანელი, აი, ასეთი წვერი რომ აქვს?

— აი ის, შავ კაცებს რომ ხატავს ხოლმე?

— ჰო, ის, ის, მარიკა, — უთხრა ოგნიანოვმა და უნებუ-  
რად გააცინა ქალის გულუბრყვილოდ დაცინებამ. რომ რამე  
გაგატანო, ქაჯან, შეგიძლიან გადასცე?

— შემიძლიან, ძია ბოიჩო, — უპასუხა სიხარულით ქალმა.

ოგნიანოვმა ხელი ჯიბეში ჩაიყო, ამოიღო ფანქარი და  
ძაღვზე დაქმუქვნილი ქალაღდის ნაფლეთი. ეს ქალაღდი რადას  
წერილი იყო. ამას დანახვაზე ოგნიანოვს უზბლზე ოფლი წა-  
მოასხდა. აკანკალებულის ხელით წერილის წმინდა ნაწილი მო-  
ტია, რამდენიმე ბწკარი დასწერა და დაჰკეცა.

— მარიკა, აი, ეს წერილი ექიმს სოკოლოვს შეუტანე-  
ნიე; თუ ის ვერა ნახო, გერმანელს შეუტანე; უბეში კარგად  
შეინახე.

— კარგი.

— ჩემზე თუ გკითხონ, სად იმალებოა, უთხარი, მაგრამ  
მარტო იმათ უთხარი, გესმის? უთხარი, რომ ძველს წისქვილ-  
ში ვარ, ხამბაჩის წისქვილს უკან.

ბარათში ოგნიანოვმა არც თავისი სახელი დასწერა და  
არც ის ადგილი, სადაც იმალებოდა, — ვაი თუ სხვას ჩაუვარ-  
დეს ეს წერილიო. დარწმუნებული იყო, მარიკა არ მიღალა-  
ტებსო, მაგრამ, ვინ იცის, იქნება, ვინმემ გააბრიყვოს და უბე-  
დურება შემამთხვიოსო.

მარიკას უფრო კარგად გაეაგებინებ, თუ რა მძიმე საქ-  
მეს ვაფალებო, და ჩუმაღ დაუმატა:

— ამას იმიტომ გუბნები, გენაცვა, რომ თუ შეგცდა და  
ვისმე უთხარი, სადაცა ვარ, თურქები მოვლენ და ზომკლავ-  
ვენ... ფრთხილად იყავ, შენი კიჩიმე!

ამ სიტყვების გაგონებაზე მარიკას შიში დაეტყო სახეზე  
და უნებურად ჩაიყო ხელი უბეში, სადაც ბოიჩოს მოცემული  
წერილი ჰქონდა შენახული.

— წავალ და ბიძას ვეტყვი, პურის სასყიდლოდ მივდივარ-  
 მეთქი,—უთხოა მარიიკამ.

— კარგი, გენაცვა, მხოლოდ რაც გითხარი, არაფერი და-  
 გავიწყდეს.

## VII

### კალჩო და მარიაკა

მონასტრის წინ, ველზე, მარიიკა გაჩერდა და შეშინებუ-  
 ლის სახით მიიხედ-მოიხედა; მაგრამ რაკი დაინახა, არავინ არი-  
 სო, სირბილით გაუდგა გზასა. ქალაქში ისე მიიბრინა, რომ ძე-  
 ხორციელი არ შეხვედრია, მიდამო ქალაქისა მღუმარებდა, და-  
 ცარიელებული იყო ის ქუჩაცა, რომელსაც დაადგა. მარიიკა  
 ერთბაშად გაჩერდა: ქუჩის ბოლოზე სამი თურქი გამოჩნდა.  
 შიშისაგან გულგახეთქილი საჩქაროზე მოტრიალდა უკან, თავ-  
 ქვე დაეშვა ბალებსა და ვარდების ბუჩქებს შორის, რომ ქალაქ-  
 ში სხვა ქუჩით შესულიყო. მეტად მოუხვია გზასა და სოკო-  
 ლოვის სახლი შორს დარჩა. ბოლოს, ქალაქის დასავლეთ მხა-  
 რეზე ამოჰყო თავი. ქუჩა სულ დაცარიელებული იყო: ზედ  
 არც ბოლგარელი სჩანდა ვინმე და აღარც თურქი. დუქ-  
 ნები ყველა დაეკეტნათ, არც ჭიშკარი და დარაბები იყო  
 სადმე ღიად დარჩენილი. ამ უკაცობაზე ქალმა ცოტათი გული  
 მოიცა და გაიქცა. რამდენიმე ნაბიჯი გადასდგა თუ არა, უკა-  
 ნიდან ხმაურობა მოესმა და ისიც გაჩერდა, თავზარდაცემული.  
 მინდვრიდან კაცის ფეხის ხმა, ცხენების თქარა-თქური და ჩოჩ-  
 ქოლი მოისმოდა. თოსუნ-ბეის ურდო იყო, რომ ხმაურობდა.  
 მტერი დიდის ყვირილითა და ზეიმით ბრუნდებოდა, გამარჯ-  
 ვებული. მთელი სამი დღე სძარცვავდნენ და ეუუავდნენ ბოლ-  
 გარელებს... აქ მხოლოდ ერთი ნაწილი იყო ურდოსი, ორას-  
 სამასი ბაში-ბუზუყი იქნებოდა,—ყველანი მცხოვრებნი იყვნენ  
 ბელაია-ცერკოვის მიდამო სოფლებისა.

ურდო გამონდა თუ არა, მარიკა, რაც ძალი და ღონე ერჩოდა, გაიქცა ჯერ ერთსა და მერე მეორე ქუჩაზე, რომელ-ზედაც ჯერ კიდევ არ ისმოდა ჩამი-ჩუმი. ბოლოს სოკოლოვის ქიშკართან მიიღბინა. დააკაკუნა, მაგრამ არავინ გაულო. კი-დეც დააკაკუნა რამდენჯერმე.

— ვინა ხარ? — მოისმა მოხუცის ხმა ეზოდან.

— დიდდო, კარი გამიღე, — ქშენით ძლივას უთხრა მარიკამ.

— რა გინდა?

— ექიმი სოკოლოვი... გამიღე რაღა! — დაუძახა აჩვილე-ბულის ხმით მარიკამ.

დედაბერმა რაღაც წაიბურტყუნა გულმოსულად, მაგრამ მაინც გაულო.

— რა გინდა? აქ არ არის! — დაიბუზლუნა დედაბერმა.

— მაშ სად არის, დიდდო?

— მეც არ ვიცი, სად არის... გუშინ მთელი დღე ეძებდ-ნენ და დღესაც კვალი არა სჩანს მისი... ახლა გასწი...

ეს უთხრა და დედაბერმა ქიშკარი მიაჯახუნა.

თაეტანდაკარგული მარიკა მარტო დარჩა ქუჩაზე.

ისევ გაიქცა. მესურათხატეს სახლი ახლოს იყო; მივიდა და დააკაკუნა.

— რა გინდა, ქალო? — ჰკითხა გაცრეცილმა, წელში მოხ-რილმა და ძონძებში გახვეულმა დედაკაცმა.

— გერმანელი...

— რა გინდა?

— გერმანელთან გამიშვი, — უთხრა მარიკამ, დედაკაცს ხელით უკან დაახვეინა და ეზოში შესვლა მოინდომა?

— ქა, ხომ არ გაგიჟდი! გერმანელი აქი მოჰკლეს? — შეუ-ტია გაშმაგებულმა დედაკაცმა და მარიკა ქუჩაში გააგლო.

საბრალო ქალს თავზარი დაეცა. იფიქრი, ახლა ჩემს ძია ბოიჩოსაც მოჰკლავენო, თურქებიც ამისთვის მოვიდნენო, წე-რილსაც წამართმევენო. რა ექნა, რა წყალში ჩავეარდეთ? ქალ-მა ცრემლები ვერ შეიმაგრა და ტირილი დაიწყო. ასე სასო-წარკვეთილი რომ იდგა, ისე ზურგსუკანიდან ვილასიც ზო-

მიერი ფეხის ხმა გაიგონა. მოტრიალდა თუ არა, კოლჩო დაინახა.

კოლჩო მარტო მოდიოდა და თავისს ჯოხს ქვაფენილზე მოაბაკუნებდა; დაღონებული სახე ჰქონდა, რალსაც ოცნებობდა.

— რასა სტირი, ქაჯან?—ჰკითხა უსინათლომ და თვალეზის თეთრი კაკალი მარიკას დააშტერა, თითქო უნდა იცნოსო.

მარიკა დახლოვებით არ იცნობდა კოლჩოს, თორემ ბოიჩოს ბრძანებას გადაუხვევდა, უსინათლოს ყველაფერს ეტყოდა და ისიც სოკოლოვის მაგიერობას გაუწევდა. მაგრამ შეეშინდა უცხო კაცისა და გაექცა.

— ქაჯან! მარიკა!—ეძახდა კოლჩო, რომელმაც თავის საოცარის ნიჭის წყალობით ტირილზედვე იცნო ბიძა სტოიანის ობოლი. ის-ის იყო, კოლჩომ სოკოლოვის ჰიშკარი დააკაკუნა, რომ დედაბერისათვის ექიმის ამბავი ეკითხნა. დედაბერმა უთხრა, შენს მოსვლამდე ვილაც ქალი იყო აქაო. კოლჩოს გულმა უგრძნო, მარიკა სწორედ ის ქალია, რომელიც ექიმს ეძებლაო, რალაც მძიმე საქმე უნდა შეეტყობინებინა და ახლარაკი ვერა ნახა, სტირისო... ნეტავ, ვინ გამოუგზავნა ამ დროს ეს ქალი სოკოლოვსაო? აღბად, ისეთმა კაცმა გამოგზავნა, რომელმაც არ იცის, რაც აქ ხდება და რომელიც, ეს-ეს არის, მოვიდოდა ამ ქალაქშიო... ბოიჩო ხომ არ არის? ჯერ ისევ გუშინ სალამოსა სთქვეს, ბოიჩო გადარჩა და მთებში იფარავს თავსაო. იქნება ბოიჩომ გამოგზავნა ეს ქალი სოკოლოვსაო? კო, კი, მარიკა განგებამ იარაღად გამოგზავნაო! ეს იფიქრა და დაუწყო ძახილი, თან წინ მიდიოდა.

— ქაჯან! მარიკა! მარიკა!

მაგრამ ხმა არავინ გასცა.

კოლჩომ უიმედოდ დაიკვნესა.

ამასობაში მოედანზე მივიდა.

ჩოჩქალი, აღამიანთა ხმაურობა, ცხენების თქარა-თქური ისმოდა. კოლჩო გოაცებული გაჩერდა საყავოსთან და ყურადღაუგლო.

ვილაცა ბოლგარულად ჰყვიროდა:

— აი, ეს გადასწყვიტეს ამ ვაჟბატონებმა! მთელი ქალაქი უნდა დაეწვათ!.. ცოტას გასწყდა, ყველანი ძაღლებსაგით არ ჩაგვალრძევს და მთელი ავლადიდება არ აგვინაცარმტუტეს! მე თქვენა გკითხავთ, სად არიან ახლა ეს ავაზაკები, აჯანყებარომ უნდოდათ?.. აქ მოათრიეთ, მე ვუჩვენებ სეირს... ავჯანყდეთო! მერე ვის წინააღმდეგ? წინააღმდეგ მეფისა, ყველას მამისა და კეთილისმყოფლისა, რომელიც ჩვენ თვალის ჩინივით გვიფრთხილდება, რომ ერთი ღერი თმაც არ ჩამოგვივარდეს თავიდან... ვინ იცის, რამდენი საუკუნეა, სულთანის ტახტის მფარველობის ქვეშ იყვნენ და ყოველის სიკეთით სტკბებოდნენ ჩვენი მამა-პაპანი, ჩვენი შვილი-შვილებიც სულთანზე უკეთესს მფარველსა და პატრონს ვერსად იპოვნიან... ვისაც აქ ყოფნა არ მოსწონს, რუსეთში წაეთრას „მოსკოელებთან“... ჩვენ კი აქ კარგადა ვართ, არა გვიჭირს-რა...

— ადღეგრძელოს ალაჰმა მისი უდიდებულესობა სულთანი!— დაიყვირა ვილაძე.

კოლჩომ ფრატისუს და იურდანის ხმა იცნო.

აპრილში მომხდარ უბედურების დროს, მართალია, ბევრი ხალხი გასწყდა, მაგრამ ეს უბედურება ამით კი არ არის საშინელი და საზარელი, არამედ იმით, რომ ხალხი შერცხვა და თავისის უნამუსობით მიწასთან გასწორდა.

კოლჩომ მწარედ ამოიოხრა.

## VIII

### გ ა ჯ ზ ე

შუადღე იქმნებოდა. ქალაქის განაპირას ამწვანებულ ხეების ჩრდილს ქვეშ მშენიერს ველზე ერთი სახლობა იჯდა.

ეს ველი და ბალი ჩორბაჯი იურდანისა იყო; ხეებს ქვეშ მისს ოჯახს მოეკალათნა. იურდანის ოჯახობის გარდა ვერაფინ ჰბედავდა ქალაქ გარედ გასვლას, თუმცა, თურქებისაგან აოხრე-

ზის შემდეგ, ქალაქში სრული მშვიდობიანობა იყო დამყარებული. იურდანის ცოლი, ლალკის სიკვდილის შემდეგ მძიმედ გახდა ავად და ეს რამდენიმე დღე იყო, ლოგინიდან არ ამდგარა. ექიმის რჩევით დღეს ქალაქ-გარედ გაიყვანეს წმინდა ჰაერის სასუნთქავად.

შორი-ახლო პოლიციელი იჯდა და ჩორბაჯის სახლობას იფარავდა.

იურდანის ოჯახობის გარდა აქ ორი გარეშეც იჯდა: ერთი იყო სიმრთელოვანი, სრული დედაკაცი, ხოლო მეორე — რაღა.

დედაკაცი სტაიკა იყო, ბორიმეჩკას ცოლი, რომელიც წინადლით გინკამ მოსამსახურედ დააყენა.

გინკამეე შეივრდომა თავისს სახლში რაღა. აქ ყოფნა ამ ქალისა, როგორც განსვენებულის ძვირფას მეგობრისა, ყველას სანუგეშოდ რჩებოდა და, მართალია, წინად სძულდათ და ეჯავრებოდათ, მაგრამ ახლა კი უფრო კაცთმოყვარულის გრძობით უცქეროდნენ საწყალს, ობლად დარჩენილს ქალს.

ჩვენ ვიცით, რომ რაღამა და სტაიკამ ერთმანერთი კლისურში გაიცივნეს; ვიცით, რომ ორნივე ერთად შეიქმნენ მსხვერპლნი თურქების რბევა-წიოკებისა... სტაიკის დახმარებით, ბორიმეჩკამ დროზე იხსნა რაღა სიკვდილისაგან. სტაიკამ თავის მარტივის გულით გაიგო მთელი უკიდურესი ყოფა რაღასი და, რაც შეეძლო, ცდილობდა ტანჯვა და მწუხარება დაეამებინა. ლაპარაკი ოგნიანოვის შესახებ ჩამოაგდეს. ჰაჯი-როვოამამა სთქვა, ბოიჩო ბრძოლის დროს მოჰკლესო. სტაიკამ დაინახა, თუ რა საშინლად გამოეცვალა და გაუფითრდა სახე რაღას ამის გაგონებაზე. ახლა იმასაც შესძულდა მონაზონი, რომელიც ასე გულგრილად ლაპარაკობდა ბოიჩოს სიკვდილის ამბავს.

— თავის თვალთ ხომ არ უნახავს მასწავლებლის სიკვდილი? რა მაგრე უხარია ამ გასაწყვეტს? — გულმომსულად უჩურჩულა რაღას სტაიკამ.

— გაჩუმდი, გაჩუმდი, — უბასუხა ჩუმიად რაღამ.

— ცოტა ხანს უკან სტაიკამ ისევ უჩურჩულა:

— რადა, ამ ქვაბის ძირს უღვაშები აქვს... ნეტავ, რატომ არ იპარსავს?

რადამ უნებურად გაიღიმა.

ბედად, სტაიკას საქციელი არავის შეუმჩნევია: ყველანი მომავალ სტეფნოვს ჭყურებდნენ.

როცა მოვიდა, ყველამ პირი დააღო და ისე დაუწყო ყურება. სტეფნოვმა აქო და აღიდა საქციელი იმ დებუტაციისა, რომელიც თვით სტეფნოვის მონაწილობით და იურდან დიმანდიევის მეთაურობით დღეს გაგზავნილ იქნა ბელაია-ცერკოვში მომავალ თოსუნ-ბეის მისაგებებლად. დებუტაციამ, დიდის მეცადინეობის შემდეგ, ბელაია-ცერკოვს ააცდინა ის უბედურება, რა უბედურობაც კლისურს დაატყდა თავზე. მაგრამ შემდეგის პირობით კი:

პირველი პირობა ის იყო, ქალაქს უნდა ეკისრნა, თოსუნ-ბეისათვის ათასი ოქრო მიეცა. თოსუნ-ბეიმ სთქვა, ჩემს ჯარს დავპირდი, ქალაქის აოხრების ნებას მივცემთ-მეთქი და ახლა ამის მაგიერ ეს ფული მაინც დავურიგოვო.

მეორე პირობა კი იყო, რომ თუ რამ იარაღი ებადათ, უბრალო ჯაყებიც კი, მტრისათვის უნდა მიეცათ; და მესამედ, ვინც კი, ცოტათიც არი, საექვო კაცი იყო, მთავრობისათვის უნდა წარედგინათ.

ამ პირობით გადარჩა ბელაია-ცერკოვი აოხრებას. თოსუნ-ბეიმ ქალაქში მხოლოდ ერთი ნაწილი შემოიყვანა თავის ჯარისა, რომ მცხოვრებთათვის იარაღი აეყარა. ამ გვარად, ჩორბაჯი იურდანმა და სტეფნოვმა ქალაქი განადგურებას გადაარჩინეს. ამ ამბის თქმის დროს სტეფნოვი რადას ამრეხით გადაავლებ ზა ხოლმე თვალებს. რადას ერთხელაც არ მოუხედნია სტეფნოვისაკენ, მაგრამ მეტის-მეტად სტანჯავდა ამ საზიზღარ კაცის იქ ყოფნა... მისის ლაპარაკის ურცხვი კილო გულზე ლახვარივით ხედებოდა... ჩემმა შავმა ბედმა ეს კაცი ამიტომ მომიღლინა, რომ ამარიდოს ყოველი სიხარული და მომიშხამოს სიცოცხლეო. ამიტომ ეშინოდა მისი და თანაც სძულდა განუსაზღვრელად. ერთბაშად სტეფნოვისაკენ მოიხედა გაბრწ-

ყინებულის თვალებით; სტეფნოვმა ბოიჩოს ამბავი დაიწყო და მისმა ნათქვამმა ძალზე გაახარა რადას გული.

— მაშ კიდევ სული უდგას იმ წყეულ-შეჩვენებულს? — გაიოცა ჰაჯი როვოამამ.

— ცოცხალია, მთებში გაიქცა, — უთხრა სტეფნოვმა. — მაგრამ ის კი არ ვიცი. ახლაც ცოცხალია, თუ არა. შეიძლება, ახლა მისს ლეშს არწივები სწიწკნიან კიდევ.

რადას გული გაეწურა შიშისაგან.

— მე თქვენ გეუბნებით, გრაფი ცოცხალია, გრაფი არ მომკვდარა, — ბანი მისცა ჰაჯი სმიონმა. — რამდენჯერ არა სთქვეს, მოკვდაო, მაგრამ არც მომკვდარა და არც არაფერი. სხვის ნათქვამი არა მჯერა.

— საცა უნდა, იქ იაროს, მხოლოდ აქ არ მოვიდეს ეს წყეული და ისე არ დაგვანელოს, როგორც კლისურელებს უყო.

— ერთი გაბედოს, თუ ბიჭია! ხელში ვერ ჩაიგდეს ეს არამზადა, თორემ კანდოვისა და მის ამხანაგების დღე დაადგებოდა ამასაც, — სთქვა სტეფნოვმა.

— სამწუხაროა, მაგრამ რა ვქნათ, ათასობით ხალხის დაღუპვას ისევ სჯობია, რამდენიმე კაცი შეიწირონ მსხვერპლად, — სთქვა ვილამაც.

— ნეტა, ვიცოდეთ, ეს მაწანწალები რიღასთვის მოდიან ჩვეენთან?

— რიღასთვის მოდიან? იმისთვის მოდიან რომ თავი დაიფარონ, — ცხარედ უპასუხა გინკამ.

სტეფნოვმა გაოცებულის სახით შეხედა.

— გინო, მაშ შენის აზრით იურდანი ცუდად მოიქცა?

— კარგად მოიქცა... როგორ არა!... თითქო ბოშები, ან თურქები იყვნენ და არა ბოლგარები! ნეტავ ერთი, თუ დაფიქრებულხართ, ვისთვის იბოცავს ეს ხალხი თავს? — გინკას სახე აენთო და თვალთაგან ნაპერწკლები წამოსცვივდა.

— გამოტვინდი, შე უბედურო, გამოტვინდი, — წამოიკვნესა მისმა ავადმყოფმა დედამ.



— ამ შენაჩნებისათვის, — ბრაზით უთხრა სტეფჩოვმა, — ამ, შენის აზრით, პატრიოტებისათვის, რომელთაც კეთილ ინებეს და გვანახეს, ჩვენ ბავშვები უნდა მიგვეგვებინა სიმღერით, ჩვენის სახლის კარები გაგვეღო და ხაჭაპურები გამოგვეცხო, როგორც სხვები ორცხოობილებს უცხოზღვრულნი ხალხს.

— ვიცი, ვიცი, — სიტყვა გააწყვეტიანი გინკამ, — დაიჭირეთ და თურქებს ჩაუყარეთ ხელში, — სატყვერით განგვირეთ, ნაკუწუნაკუწუნად აქციეთ, მათის სისხლით გაძენით, ისე მოეპყარით, როგორც გუშინ მოეპყარით ყმაწვილებს. ხომ დანახეთ კანდოვის დედა, განწირულის სახით თმას რომ იგლეჯდა და გაჰკიოდა ქუჩაზე!.. ოჰმე, ჩემო ლალკე, ჩემო დაიკო... ღმერთო, ღმერთო... ღვთისმშობელო დედაე!...

გინკა ხეს მიეყრდნო და სახეზე ცხვირსახოცი მიიფარა. თვალთაგან ნაკადული გადმოსკდა ცრემლისა. მერე ხმა-მალლა ქვითინი ამოუშვა. თვალცრემლიანი რაღა გვერდთ მოუჯდა და ნუგეშინის ცემა დაუწყო.

გინკას წუხილმა და სხვათათვის ზრუნვამ სტეფჩოვი გააშმაგა.

ახლოს მდგომი პოლიციელი მიხვდა, ვის შესახებაც იყო ლაპარაკი, მივიდა სტეფჩოვსა და სმიონთან და ჩუმად უთხრა:

— გაიგეთ? მონასტერის მდინარესთან ხელახლა ჩამოსულა რომელიღაც კლისურელი მემამოხე.

— როგორ, შენ ვინ გითხრა? — სწრაფად ჰკითხა სტეფჩოვმა.

— არაბიამ, ბოშის ქალმა. ბალახს რომ ვკრეფდი, მაშინ ვნახეო.

— ჩქარა უნდა შევატყობინოთ მთავრობას, — წაიბუტბუტა სტეფჩოვმა, და მიწიდან თვისი ფეხი აიღო. — დღეს, ცოტას გაწყდა არ დავიდუბეთ და ახლა კალეე ახალი მაწანწალა გაჩენილა.

— სწორედ ის იქნებოდა, — მოულოდნელად წამოიძახა ჰაჯი სმიონმა.

— ვინა? — ჰკითხა სტეფჩოვმა.

— გრაფი. განა არ გითხარით, ცოცხალია-მეთქი!

— კიდევ უკეთესი: ხელ-ახლა იქნება ჟღერა და სისხლის ღვრა...

იქაურებს არც კი გამოსთხოვებია, ისე ქალაქისკენ წავიდა სტეფანოვი. პოლიციელი თან გაიყოლა და გზაზე რაღაზედაც დაუწყო ლაპარაკი.

## IX

### მ ე კ ა გ შ ი ა რ ე

იქ დამსწრეთა უმრავლესობას არც კი შეუმჩნევია სტეფანოვის წასვლა. ყველანი იურდანის შეშინებულ ცოლს შემოხვეოდნენ და ცდილობდნენ ნუგეში ეცათ.

გინკამა და სხვებმა ავადმყოფი ბაღში შეიყვანეს. ყველაზე უკან რადა და სტაიკა მიდიოდნენ. სტაიკამ რადას ძალუმიდ მოუქირა ხელი და უთხრა: „რადა, გაიგე, მასწავლებელი ცოცხალია?“ მაგრამ რადა სხვა შიშმა შეიპყრო და არა უპასუხა-რა.

ტანმა უგრძნო, ეს ახალი მსხვერპლი კლისურში მომხდარ უბედურობისა, ბალკანიდან ჩამოსული, რომელიც ახლა სტეფანოვმა თურქებს უნდა ჩაუგდოს ხელში, შეიძლება ის იყოსო. განუსაზღვრელ შიშისაგან გული ეწურებოდა.

— ეს გოგო რად მირბის?—სთქვა სტაიკამ და გაჩერდა. თან პატარა ქალი ანიწნა, ველზე რომ მირბოდა.

მარიკა იყო, რომ მირბოდა. საწყალმა გოგონამ ქანცი გაიწყვიტა სოკოლოვის ძებნაში და დატანჯული ახლა უკან ბრუნდებოდა. რადას დანახვა გაეხარდა,—იცოდა, რომ ბოიჩოს უყვარდა. მართალია, ძია ბოიჩომ მიბრძანა, სოკოლოვის ვარდა არაეას უთხრაო, მაგრამ რადას ვეტყვი, საშიშო არ უნდა იყოსო, ალბად, დაავიწყდა ბოიჩოს, თორემ მეტყოდა—რადასაც უთხარიო.

რადა წინ მიეგება.

— აქ მო მარიკო, აქ, როგორა ხარ?

ქალი გაჩერდა, ცოტა შეშინებულის სახით შეხედა და ჰკითხა:

— რადკე, ხომ არ იცი, ექიმი სად არის?

— სოკოლოვი? არ ვიცი... ავად ხომ არავინაა?

მარიკა შეკრთა, არ იცოდა, რა ეთქვა.

— ვის უნდა ექიმი? ავად ხომ არავინაა? — განუმეორა რადამ.

— არა, რადკე, მე გამომგზავნა ძია... ბოიჩ...

მარიკას შუა სიტყვაზე გაუწყდა ხმა.

მაგრამ რაღა მიხვდა. მთელი სხეული მოუდუნდა და შეშინებულის სახით მიიხედ-მრიხედა.

ამავე დროს სტეფროვი გაჩნდა და გააღმასებული თვალები მარიკას დააშტერა. მოციქულს თვალი მოჰკრა და იმიტომ იყო, რომ დაბრუნდა.

— გოგო, ე რა გიქირავს ხელში? — ჰკითხა სტეფროვმა.

მარიკა გაფითრდა. შეშინებულად უკან დაიხია და ხელები უკან წაიღო.

— მოიტა ე ქალაღდი, ვნახო, რა არის! — უთხრა ქალს და მიუახლოვდა.

ქალმა საშინლად დაიწივლა და ვარდის ბაღებისაკენ მოჰკურცხლა.

სტეფროვს ეჭვი დაებადა. მიხვდა, იმ ქალაღდში, აღბად, მძიმე საიდუმლო რამე სწერიოა. სტოიანის ქალი რად ეძებდა რაღას და ვისი წერილი უნდა მიეცა ამ დროს? იქმნება ოგნიანოვისაა? იქმნება, ბალკანიდან მემამოხე დაეშვაო რომ ამბობენ, ეს მემამოხე ოგნიანოვიო? ეს იფიქრა თუ არა, სახეზე ბოროტი სიხარული გადაეფინა და მარიკას გამოუდგა.

რაღა შეშინებული ადევნებდა თვალს მარიკას. ქალმა ვარდის ბუჩქებთან მწყემსი რომ დაინახა, გზას გადაუხვია და სხვა მხარეზე გაიქცა. ამ სახით, სტეფროვს თითონვე უგდებდა თავის თავს ხელთ, რადგან სტეფროვი პირდაპირ იმისკენ მირობოდა.

რომ დაინახა, ისევ მტერს ვუვარდები ხელშიო, მარიიკამ კივილი დაიწყო, თითქო თავის უღმობელ მტრის ხელიდან ხსნასა სთხოვდა ვისმეო.

სტაიკა გაოცებული უყურებდა ამ ამბავს. ნეტავ ვიცოდე, სტეფნოვს რად უნდა ქალის წერილიო; მაგრამ რადას რომ შეხედა, სახეზე შეატყო,—ეს წერილი ამ კაცს არ უნდა ჩაუვარდეს ხელშიო. ამას მიხედა, თუ არა, მშველივით გაიჭრა, დაეწია სტეფნოვს, ტანისამოსის კალთაზე დაავლო ხელი და გააჩერა, ხოლო მარიიკას გაქცევა ადროვებინა.

სტეფნოვი მოტრიალდა და დედაკაცს შეხედა. თავისს თვალებს არ უჯერებდა.

— ძია, ამ გოგოს რად მისდევ?—ჰკითხა წყრომით სტაიკამ და თან ხელს არ უშვებდა.

— გამიშვი, შე ლორო!— შეუტია ზიზლით სტეფნოვმა და თავი გამოჰკლიჯა.

— მაშ ისა გზავნის? ვიცი, ვიცო, კოსთა, კოსთა, დაიჭირე, არ გაუშვა,—დაუძახა მწყემსს, რომელსაც მარიიკას კივილზე გამოეღვიძა. მწყემსმა გზა გადაუღობა. საბრალო გოგო გაჩერდა, ორლობეში მომწყვდეულ ირემსავეით, მერე უკან გამოიქცა და კამეჩებს ამოეფარა, თითქო სთხოვდა,—ადამიანის ხელთაგან დამიფარეთო.

სტაიკა გაცოფდა და უნდოდა სძგერებოდა სტეფნოვსა და მწყემსს ერთად, მაგრამ დაინახა, რომ რადა განწირულეობით ხელს უქნევდა და უკან დაბრუნდა.

გულ-ჩათუთქული უყურებდა სტაიკა გოგოს, რომელიც, შიშისაგან ცოცხალშკვდარი, კამეჩების გვერდით ბალახში გაიშხლართა. წისქვილში თურქების მოკვლის დამის შემდეგ მარიიკის ბნედა ემართებოდა, როგორც კი რისამე ძალიან შეეშინდებოდა. ერთმა კამეჩმა თავისი უშველებელი თავი გაუნძრევლად მყოფ ქალისაკენ დახარა, მშვიდად და სიბრაღულით დასუნა, ხელ-ახლა აიღო მალა თავისი სოველი ცხვირი, ლურჯი თვალეობით უგრძნობლად დაიწყო ყურება და ცოხნას განაგრძო.

სტეფნოვმა ხელად ტანისამოსი დაუბურჯვნა, ხედავდა, რომ ქალმა წერილი უბეში დამალა და იმას ეძებდა. მაგრამ ვერაფერი ნახა. დაუწყეს ძებნა მის ქვეშ და მის გვერდით, მაგრამ ქალალდი სადღაც ჩაჩქმალა, თითქო მიწამ უყო პირიო.

სტეფნოვი გაშმაგებული იყურებოდა იქით-აქეთ.

ვერ მიმხვდარიყო, ქალალდი რად დაიკარგა.

— ალბად, ამ გველის წიწილმა სადმე მინდორზე დააგდო, — სთქვა სტეფნოვმა და კოსთასთან ერთად უკან დაბრუნდა წერილის საძებნელად.

მარიკა მალე მოვიდა გონს, მაშინათვე უბეში ჩაიყო ხელი. რომ ვერაფერი ნახა, ადგა და სლუკსლუკით მინდორს მოშორდა. სტეფნოვი და მწყემსი დიდხანს ეძებდნენ. ბოლოს, სტეფნოვი საჩქაროდ ქალაქში წავიდა. რადას გვერდით რომ გაიარა, მხეცურად შეხედა და ჩაილაპარაკა: „ღღესვე ვნახავთ მისს თავს, სარზე წამოგებულს“.

რადა გაქვავებულსავით იდგა. სტაიკა კამეჩებთან მივიდა. უკვირდა, რადამ რად დამიშალა მარიკას მივშველებოდიო; გაშმაგებით იყურებოდა იქითკენ, საითკენაც სტეფნოვი წავიდა და უგრძობლად ხელს უსვამდა კამეჩს ხუჭუქა შუბლზე.

კამეჩმა უცნობის ხელს დასუნა, შეიჩმუნა და წინა ფეხი გადასდგა.

— რადო, აი შენი ქალალდი! — წამოიძახა დედაკაცმა და მიწიდან დაჭმუჭვნილი ქალალდი აიღო.

როცა მარიკას კვეთა მოუვიდა, ქალალდი ხელიდან გააგდო, ხოლო კამეჩმა ფეხქვეშ მოიყოლია.

რადამ სწრაფად გამოჰკლიჯა ხელიდან წერილი, აკანკალებულის ხელით გაშალა და თვალი გადაავლო ნაწერს.

— ბოიჩოსაგანაა! — წამოიძახა გახარებულმა ქალმა.

წერილში ორად-ორი ბწკარი ეწერა:

„ბალკანიდან დავეშვი. მომიტანე ან გამომიგზავნე ტანისამოსი და შემომითვალე ამბები. ჩქარა“.

წერილი ხელმოუწერელი იყო.

რადამ ორჯერ, სამჯერ წაიკითხა და შენიშნა, რომ წერილი სწორედ იმ წერილის სუფთა ნაწილზე ეწერა, რომელიც ბორიმეჩკას ხელით ბოიჩოს გაუგზავნა. ამ ნახევზე მისი სახელი „რადაც“ დარჩენილიყო, ფანქართ ნაწერი. თვალთაგან ცრემლები წასკდა.

— რა სწერია ამ ქაღალდში, რადო? — ჰკითხა სტაიკამ.

— ცოცხალია, ცოცხალია, ჩემო დო, — უთხრა რადამ; თან სულს ძლივას იბრუნებდა.

სტაიკამ გაიცინა, გახარებულმა.

— მასწავლებელი ცოცხალია, რადა? მე აკი გეუბნებოდი, ამ ქვებისძარმა დანამდვილებით არაფერი იცის, მხოლოდ ისე ლაქლაქებს-მეთქი.

— ცოცხალია ბოიჩო, ცოცხალი, დაიკო; გინკას უთხარი, რადაც არ შემიძლიან და სახლში მივდივართქო... წერილის არაფერი უთხრა.

ასე სთქვა და ბაღებისაკენ გაემართა.



### საყვარული — მძლეთა-მძლეთა.

რადასათვის ყოველთუწინარეს საქირო იყო დამშვიდებულყოფილი, დალაგებით დაეწყო ფიქრი და ერთი რამე გადაეწყვიტნა. ერთ ხის ქვეშ ჩამოჯდა მწვანეზე და თავისის მდგომარეობის განხილვას შეუდგა. განსაცდელის დღე აღდა. ბოიჩოს სიხცოცლვე ბეწვზე ჰკიდია და იმან კი არაფერი იცის: ბოიჩოს ქალს რომ კაცი უნახავს, უეჭველად ბოიჩო უნდა იყოსო... დიად, დიად, ის არისო; მაშასადამე საქიროა ფიცხლავ შევატყობინო და თავისათვის ვაშველებინო. თვითონ რადა, როგორც ქალი, ამას ვერ იზამდა, ამიტომ, რომ გარშემო ბაში-ბუზუყები დაძრწოდნენ და საკბილოს ეძებდნენ... 'ღმერთმა ნუ შემახვედროს ეს წყეულები, თორემ დაბადებას მაწყევლინებნო. მაგრამ რას ვამბობ, ბოიჩო უნდა ვიხსნა და შიში რას მიქვი-

ანო... დიად, დიად, ახლავე უნდა წავიდე... ახლავე... წერილში უბრალო ტანისამოსის გამოგზავნას სთხოვს, ასეთი ტანისამოსი იმიტომ უნდა, რომ სხვას ექვი რამე არ შეუვიდეს... ტანისამოსს რომ გამოიცვლის, შეუძლია ბელაია-ცერკოვში მოვიდესო. მაგრამ, საქმე ის არის, სად ვეძებო ასეთი ტანისამოსი ან ვისი ხელით გავუგზავნო, ვინ გაჰხვდავს თავი გასწიროსო; ან და როდის ვეძებო, ყოველი წუთი ძვირად მიღირსო? გარდა ამისა, თავში საცემად ის გაუხდა: ოგნიანოვი სად იმალება, რომ არ ვიცო? წერილში აღნიშნული არ იყო ალაგი; აღბად, სიფრთხილისათვის, მარტო მარიიკას გაანდო და უთხრა, სოკოლოვს შეატყობინეო. რა წყალში ჩავარდე, — მარიიკაც წავიდაო. არა, რა ღმერთი გამიწყრა. რატომ მაშინათვე არა ვკითხე, ბოიჩო სად არის-მეთქი? კიდევ მადლობა ღმერთს, ვიცი, რომ მონასტრის ველშია.

ყველა ამ ფიქრმა და მოსაზრებამ ერთს წუთს გაუეღვა თავში. გადასწყვიტა ფიცხლავ წასულიყო მონასტრის ველისაკენ. მაგრამ წინასწარ გულდასმით გაიხედა ბალისაკენ. ჭისკართან ევროპიულად გამოწყობილი, რუხ შევიოტის ტანისამოსიანი და მალალ ფესიანი კაცი დაინახა. ჯერ ერთის შეხედვით, სტეფნოვს დაამსგავსა, მაგრამ არა, სხვა ვილაცაო.

უსინათლო კოლჩო იცნო. სიხარულისაგან გული აუტოკდა; მართალია, კოლჩო უსინათლოა, ბევრ ვერაფერში გამომადგება, მაგრამ ისიც კარგია, რომ რჩევას რასმე ვკითხავო. განგებამ გამომიგზავნა აქ ეხლა კოლჩოვო.

მაგრამ ამევე დროს რადამ დაინახა, რომ კოლჩომ ჭიშკარი გააღო და ბაღში შესვლა დააპირა. ქალს შეეშინდა, ეს არის, დავიდუბეო და ხმა-მალლა დაუძახა:

— ძია კოლჩო, ძია კოლჩო! დაიცადე! — მიაძახა და სწრაფად გამოუდგა.

კოლჩომ ძახილი გაიგონა და გაჩერდა.

რადა ერთ ლანდზე მახთან გაჩნდა.

— ძია კოლჩო!

— რადკე! შენ გეძებდი, — უთხრა უსინათლომ.

მერე მიუახლოვდა და უთხრა:

— ბოიჩო ცოცხალია!

— ცოცხალია, ცოცხალი, კოლჩო! — უპასუხა ათრთოლე-  
ბულის ხმით ქალმა.

— მთებზეა? — დაუმატა კოლჩომ.

— არა, კოლჩო, მონასტრის ველზე დაეშვა...

კოლჩოს სიხარულისაგან ცათა-ფრენა შეუდგა.

— რას ამბობ, რადკე?

— იქ არის, იქ, ძია კოლჩო, ახლა იქ არის, წერილი მ-  
მივიდა მისგან .. ტანისამოსსა მთხოვეს, ტანისამოსი სჭარია, ძია  
კოლჩო... თურქებმა იციან, საცაა, ბოშებს უნახავთ... მე მინ-  
და ჩქარა იმასთან გავიქვე, შევატყობინო ყველაფერი... მაშინ  
თავს უშველის... იმას ვერ დაიჭერენ, მაგრამ ტანისამოსი მაინც  
უნდა... ღმერთო ჩემო, ღმერთო... დროც არა გვაქვს მეტი...

სანამ რაღა ატირებულის ხმით ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამას  
ლაპარაკობდა, კოლჩომ საშველი გზა აღმოაჩინა.

— ტანისამოსი არის, რადკე.

— აბა, ძია კოლჩო, სად არის, მითხარი!... სად ეიშავოთ?

— აქვე, ახლოს არის, მეკობრის სახლში...

— ძია კოლჩო, ჩქარა, შენი ჭირიძე...

— ერთს წუთს დამიცადე.

კოლჩო გაიქცა.

ცოტა ხნის უკან გოგო მოვიდა და პატარა ბოხჩა მოი-  
ტანა. უსინათლოს ბოხჩაში გამოეკრა გრძელი სერთუკი და  
რუხის ფერი შევიოტის ძიქვა. ყველა ამას ორი-სამი წუთის წი-  
ნად თვითონ ატარებდა კოლჩო.

იმის კეთილ გულს არ დაჰვიწყნია, რაღას ნათქვამის გარ-  
და, სხვა რამეც ჩაედო შიგ: გახვია აგრეთვე ნახევარი ჰური  
და ჯიბეში ასი გროში ჩასდო.

რადამ გოგოს ბოხჩა გამოართვა და ბალ-ბალ ჩრდილოე-  
თისაკენ გაიქცა.

— ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! — წუწუნებდა ნადვლია-  
ნის ხმით, — არც კი უნდა მნახოს! რა შევცოდე ასეთი? მე კი  
მაგრე რიგად მიყვარს.



XI

ბაშბუზუკია

ოგნიანოვი ცარიელს წისქვილში დაიმალა და მოუთმენ-  
ლად დაუწყოა ლოდინი რომელისამე მეგობრის მოსვლას ან  
მარიიკის დაბრუნებას. მაგრამ დრო გადიოდა და ველზე კი  
მანც არაფერი მოჩანდა.

თავს იმტვრევდა და ვერ მიხვდარყო, რად იგვიანებენო.  
შეიძლება, ექიმიც და ბრწობეგუნოკიც იმალებიან სადმე და  
მარიიკამ ვერ იპოვნაო. იმას კი სულ არა ჰფიქრობდა, თუ  
უბედურობა მოელოდა. არ ეცოდა, რომ მისი აქ ყოფნა მეგო-  
ბრებსაც ჰქონდათ შეტყობილი და მტრებსაც და რომ მისი  
ბედი და უბედობა იმაზე იყო დამოკიდებული, თუ ვინ დაას-  
წრებდა პირველად მისვლას: მტრები, თუ მეგობრები.

მოულოდნელად გზაზე ერთი კაცი გამოჩნდა. ოგნიანოვს  
ძალზე შეეშინდა.

უცნობი თურქსა ჰგვანდა.

მაღალის ტანისა იყო, ჩასუქებული, თავზე მწვანე ჩაღმა  
ჰქონდა შემოხეული, ქამარზე იათაგანი და სხვა იარაღი ეკი-  
და. ზურგზე გუდა ჰქონდა.

აღბად, ერთი იმ თურქთაგანია, რომელთა შესახებ მა-  
რიიკა მეუბნებოდაო.

ბაშბუზუკიაო, სთქვა ოგნიანოვმა.

მაგრამ, აქ რა უნდოდაო.

ოგნიანოვმა ხელში დამბაჩა დაიჭირა და თვალის დევნე-  
ბა დაუწყო, საითკენ წავაო.

ბაშბუზუკი დიდად მიალაჯებდა და ბილიკს აჰყვა.

დაუმხარდამხარდა წისქვილს და ორმოც და ათ ნაბიჯზე  
დაუახლოვდა, მაგრამ არ მობრუნებულა, ისე გზა განაგრძო.

ოგნიანოვმა არ იცოდა, რა ექმნა. მეტი გზა არ იყო, უნდა გაჩუმებულიყო და ხელი არ გაენძრია.

მხოლოდ ერთი გზა-ლა დარჩა: თვალი ედევნებინა და ელოდნა.

თურქი სულ ზევით-ზევით აჰყვა ბილიკს.

გავიდა დღეებზე, თავი შერგო შამბნარში ხრამის პირას და გაჩერდა.

ოგნიანოვმა დაინახა, რომ ბაშიბუზუყი სწორედ იმ ადგილას გაჩერდა, საიდანაც ბილიკი მთებისაკენ მიდიოდა.

ოგნიანოვი გაფითრდა.

მარტო ამ ბილიკით შეეძლო, თუ გაუჭირდებოდა, მთებში გაქცევა. სხვა საშინელი, დაქანებული კლდეები მიუვალნი იყო. იქნება, განგებ შემიკრეს გზაო? იქნება, ამ ერთს უკანიდან სხვა თურქებიც მისდევნო?

ერთბაშად თურქმა ჩაღმა მოიხსნა, რომ ჩამოშვებული ბოლო გაესწორებინა.

ოგნიანოვმა ამ დროს მთელი სახე და თავი დაინახა თურქისა.

ახალგაზდა, ლამაზი, მაღალ-შუბლიანი სახე, სქელი მუქი თმა, კიკინებად შუბლზე ჩამოშვებული — მაშინათვე იცნო.

გაოცებულმა ბოიჩომ უნებურად წამოიძახა; მიჰვარდა სარკმელს, ორი თითა პირში ჩაიდო და დაუსტვინა.

ბაშიბუზუყმა იქითკენ დააწყო ყურება, საიდანაც სტვენა მოესმა, და, ოგნიანოვი რომ დაინახა, მისკენ გაჰქანდა.

ეს კაცი სოკოლოვი იყო.

მეგობრები მხურვალედ გადაეხვივნენ ერთმანერთს.

— ბოიჩო, ბოიჩო, კიდევ ცოცხალი ხარ, ძმობილო? აქ რას აკეთებ? — იძახდა გულაჩჩვილებული სოკოლოვი.

— შენ კი რა გინდა აქ, ექიმო, და მერე ასე გამოწყობილს?

— აქ რა გინდა, ძმაო? როდის მოხვედნი?

— წუხელ... ასე რად დაიგვიანე?

— მე? — ჰკითხა გაოცებულმა სოკოლოვმა.

— მარიკამ გვიანამღე ვერა გენახა?

— ვინ მარიკამ?

— როგორ? არ გინახავს?—წამოიძახა ოგნიანოვმა;—დღეს დილას წერილი გამოვიგზავნე იმის ხელით...

— არავის ეუნახივარ, ვერც არავინ მნახავდა,—უპასუხა სოკოლოვმა.

ოგნიანოვმა გაოცებულის სახით შეხედა.

— კარგი და აქ რამ მოგიყვანა? სად მიდიხარ?

— მე? გამოვიქეცი?

— გამოიქეცი?

— ჰო, განა ტანისამოსზე ვერ მატყობ?

— ახლა ბელაია-ცერკოვიდან მოდიხარ?

— წუხელვე გამოვიქეცი ბელაია-ცერკოვიდან და აქამდე ხამბარის წისქვილში ვიმალებოდი...

— ერთი-მეორის გვერდით ვყოფილვართ და კი არ ვიცოდით! საკვირველია!.. საკვირველია!.. მარიკა რაღა იქნა?..— უთხრა ოგნიანოვმა, რომელსაც ახლა სხვა რამ გაუჩნდა სადარდელად;—ახლა შენ სადღა მიდიხარ?

— მთებზე, აქამდე პასპორტსა და ფულებს ველოდებოდი. მაგრამ რაკი გნახე, ერთმანეთს არ მოვშორდებით... თუ მოვკვდებით—ერთად მოვკვდეთ, თუ ცოცხალი დავრჩებით—ერთად დავრჩეთ... ეჰ, ბოიჩო, ბოიჩო, რა დღემდე მიიღწია სამშობლომ, განა ვიფიქრებდით?...

— დაჯე, დაჯე, და ისე ვილაპარაკოთ.

## XII

### ამბავი ერთას აუჯანყებლას ქაჯაქასა.

ორნივე მეგობარნი კუთხეში მისხდნენ და ერთმანეთს უამბებს, რაც მოხდა ბელაია-ცერკოვსა და კლისურში ამ ათის დღის განმავლობაში.

სოკოლოვის ლაპარაკის შემდეგ ოგნიანოვს ყველაფერი ნათლად წარმოუდგა თვალწინ... ბელაია-ცერკოვი, მართლაც,

არ მიჰყვა აჯანყებულ კლისურს. აქაურები არ აჯანყებულან, არ აჯანყებულან აგრეთვე სხვა, უკეთესად მომზადებულ, სოფლებისა და ქალაქების მცხოვრებნიცა. უდროოდ დაწყებამ საქმისამ ყოველივე ჩაფუშა.

ბელაია-ცერკოველებმა გაიგეს თუ არა, კლისური აჯანყდაო, სარეგოლოუციო კომიტეტი ორ დასად გაიყო: ერთი დასი ამბობდა, ჯერ მხოლოდ მტრის მოგერებას ვეცადოთ, და თუ მოგვეშველა ვინმე, მაშინ-ღა შევეუტიოთ თურქებსაო; მეორე დასმა კი დაიგინა, რაც დაგვემართება, დაგვემართოს, დროშა აღემართოთ და ომი გამოვაცხადოთო. მაგრამ მესამე უფრო ძლიერი დასიც იყო; ეს დასი ამბობდა, თურქებს წინააღმდეგობა არ გავუწიოთ, პირდაპირ დავნებდეთო. ამ დასმა შეიპყრო კომიტეტის თავგამოდებული წევრები: სოკოლოვი, პოპოვი და რედაქტორი და მღვდელ სტავრის ქოხში დაამწყვდიან; მერე იურდანის მეთაურობით მოციქულები გაგზავნა კარლოვოში და ბელო-ცერკოველების მორჩილება და უქვეშევრდომესი გოდნობა გამოუცხადა მთავრობას.

მთავრობა მაშინ მეტად იყო დაშინებული, მაგრამ მოციქულების ნახვამ ძალიან გაახარა და დაუყონებლივ ორმოცდაათი ბაშიბუზუყი გაგზავნა ბელაია-ცერკოვში იარალის გამოსართმევად და ქალაქის დასაცველად. მოკლე ხანში პოლიციის ეზოში მთელი ზვინი დააყენეს თოფებისა, დამბაჩებისა და იათაგონებისა. ამასობაში მთებზე რალაც გამოჩნდა. ვაბლევშკოვმა იმდენი ილაპარაკა,—როცა ძალიან გავვიქირდება, მოულოდნელად, ჩიტსავით მოფრინდება ჩვენს საშველად იღუმალი ჯარიო, რომ თვით ურწმუნოთაც კი ირწმუნეს. ყველამ მთის წვერს დაუწყაო ცქერა, დროშისაკენ... ზოგს ეჩვენა, ბალკონის ქედზე ჯარი ღვას—ზურგები კაცებად დასახეს. სხვანი, უფრო მჭრელი თვლების პატრონნი, იძახდნენ, „მოსკოვები“ (რუსები) მოვიდნენ, იმათს ქუდებსაც კი ვხედავთო. მაშინ მღვდელმა სტავრიმ თავისი ქოხი გააღო და დატყვევებულთ უთხრა:

— ცოდვია, შეიღწო, ახლა არ გავიშვან... ბოიჩო თურ-  
მე მართალს ამბობდა: მიდით, ნახეთ, მთებზე რა ამბავია!..

სამივე დატყვევებული მაშინვე გამობტა ქონიდან. ნახევარ  
საათს უკან ოციოდე მეწოდებს თავი მოუყარეს, წინ გაუძღვ-  
ნენ და პოლიცია, ბეი, იარალი და მოხელეები დაიჭირეს! ხმა  
გაისმა—კავკეთდით, ბელაია-ცერკოვი აჯანყდომ! მაგრამ მაში-  
ნათვე თავზარი დასცა ერთმა საშინელმა ამბავმა: ბალკანიდან  
ერთი მწყემსი დაეშვა და გამოაცხადა, მთებზე არავინ სჩანსო!  
ამასობაში თოსუნ-ბეი ბელაია-ცერკოვს უახლოვდებოდა და  
მთელს ქალაქს განადგურებას უქადდა. იმავე დროს ერთმა ამ-  
ბავმა მცხოვრებთ შიში გაუორკეცა. სამნი კლისურელნი მემ-  
ბოხენი მთიდან დაეშენენ და ქალაქის განაპირა მდგარ სასწავ-  
ლებელში დაიხილნენ. მოსამსახურე დედაცეცმა მიიღო, სხვენ-  
ზე აიყვანა და საქმელი იქამა, ამიტომ რომ ორის დღის განმავ-  
ლობაში პირში ნაწილი არ ჩაუშვიათ; მერე ბრზობეგუნოკთან  
გავზაენეს და თუთუნი და ტანისამოსი მოატანინეს. მაგრამ ერ-  
თი მოსწიეს თუთუნი თუ არა, სახურაის ჯუჯრუტანიდან და-  
ინახეს, რომ სასწავლებელს ყველა მხრიდან თურქები ეხვეოდ-  
ნენ. ამ დროს ბრზობეგუნოკიც სხვენზე იყო ასული. გაქცე-  
ვა არას გზით არ შეიძლებოდა. თურქებმა ეზოდან დაუშინეს  
თოფი სხვენს. ორივე კლისურელი დაიჭრა. მაშინ ძირს ჩამო-  
ვიდნენ და დანებდნენ მტერს. მაშინადვე იქავე აჰკუწეს. ბრზო-  
ბეგუნოკი ჩამობტა და ორჯელ ესროლა თურქებს; ერთი  
დასჭრა, მაგრამ თვითონაც მაშინათვე დაეცა,—ტყვია ათი მე-  
ტი მოხვდა. ისიც აკუწეს. მხოლოდ კანდოვი არ ჩამოდოდა.  
ყველამ თოფის ტუჩები იქითკენ გაიშვირა, საიდანაც უნდა გა-  
მოჩენილიყო მემბოხე, მაგრამ არ გამოჩნდა, დამპალი ქერი  
ჩამოინგრა და კანდოვი აივანზე დაეცა. მაშინათვე ზეზე წამო-  
იჭრა, მივიდა რიკულთან, გულზე ხელები დაიკრიბა და დაიყ-  
ვირა:

— მზადა ვარ, მესროლეთ!

პასუხის მაგიერ ოცდაათ თოფიდან ტყვიები წამოვიდა  
მისკენ. მაგრამ ყველა ასცდა. მაშინ აივანზე გაიქცა, ჩაირბინა

კიბეზე და ეზოდან ეკლესიისაკენ გაიქცა, რომელიც ღიად დარჩენილიყო. თოფებსა სკლიდნენ მტრები, მაგრამ ვერც ერთი ვერ მოახვედრეს. ის იყო, ეკლესიის ზღურბლზე ფეხი შედგა, ისე ორი ტყვია მოხვდა და ეკლესიაში შევიარდა... აჭკაფეს ისიცა... ამის შემდეგ ექიმს დაუწყეს ძებნა. ქალაქის განაპირა გზები ყველა შეჭკრეს. სოკოლოვს ერთად-ერთის გზით შეეძლო თავი ეხსნა: რომელისამე მეგობრის სახლში შესულიყო. მის ბელზე მახლობლად მღვდელ დიმიტოს სახლი იყო. მიიბრინა და ჭიშკარი დააკაუნა.

— დიმიტო, მიშველე, დამხალე სადმე, — უთხრა ექიმმა.

— არ შემიძლია, არ შემიძლია, ექიმო! გხედავდნენ, აქეთ რომ მობრბოდი და მეც ცუდი დღე დამადგება, — უბასუხა მღვდელმა და ზრდილობიანად გაიყვანა ეზოდან...

თავტან დაკარგულმა სოკოლოვმა მართლაც გაიგონა მღვდერების ხმაურობა, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, გაიქცა და ერთ ვიწრო ქუჩაში შეიბრინა, რომლის ბოლოს ერთი მისი ნათესავი იდგა. დააკაუნა ჭიშკარი და სთხოვა, შემიშვიტო.

ძია ნეჩო მაშინათვე მიხვდა, თუ რა ხიფათი მოელოდა.

— ხომ არ გაგიჟებულხარ, გინდა დამღუპო? ჩემი ცოლ-შვილის ცოდვა რად გინდა! — ეს უთხრა, ხელი მოჰკიდა და ჭიშკარში გაიყვანა.

— თუ არ გაჩერდი, ექიმო, გესვრით, დაიცადე! — მიაძახა უკანიდან ერთმა ასასმა.

სოკოლოვი გაჩერდა, მაგრამ იქ კი არა, სადაც ერთგული ბოლგარელი-ასასი ურჩევდა, არამედ უფრო შორს, ზარაფოვის ჭიშკართან. სოკოლოვი ამ ოჯახის შინაური ექიმი და მეგობარი იყო ზარაფოვისა და იფიქრა, მოდი, აქაცა ვცდი ბედსაო, დააკაუნა.

— ვინა ხარ? — ჰკითხა ზარაფოვმა.

ექიმმა თავისი სახელი უთხრა. სახელის გაგონებაზე, ზარაფოვმა, ჭიშკარის გაღების მაგიერ, სახლის კარიც დაჭკეტა. ეს სოკოლოვმაც გაიგონა, მერე ყველაფერი მისწყდა.

XIII

ამბას გაგრძელება

— როგორ შევრცხვით, ღმერთო ჩემო! — კვნესით წამოიძახა ოგნიანოვმა.

— ქალაქში ყველას თავზარი დაეცა, ძმაო, მოლალატეობა და საძაგლობა გახშირდა... ბელაია-ცერკოვი ახლა სულ გამოიცვალა, — მწარედ წარმოსთქვა სოკოლოვმა.

— როგორც გითხარი, მეგობრებმა და ამხანაგებმა უბოდიშოდ გამომადგეს, — განაგრძო ექიმმა ლაპარაკი, — ყველამ კარები გამომიხურა... მღევრები მალე დამეწეოდნენ და მე კი ქალაქის განაპირად გავედი. რაც იქნება, იქნება-მეთქი და გადავსწყვიტე დარაჯების ტყეებისათვის თავი მიმეშვირა და შარა გზაზე გამოვსულიყავ. სხვა გზა არა მრჩებოდა-რა... ველჩოვის ღობესთან რომ მივედი, — დარაჯებისაგან ოც-ორმოც ნაბიჯზე ვიქნებოდი, — ქიშკარი გაიღო... გაეჩერდი..., შევხედე და მილკა ტუდურკინის სახლი ვიცანი... თვითონ ქალიც კარებთან იდგა. მივედი და ვუთხარი:

— მილკა, თურქები მომღვევენ, ხომ შეგიძლიან სადმე დამშალო?

— შემობრძანდით, ბატონო ექიმო, — მიპასუხა მილკამ და მეც შევედი. ერთს წუთს უკან მღევრებმაც გაირბინეს.

— მაშ იმან გიხსნა? — წამოიძახა ოგნიანოვმა.

— ჰო, მილკამ მიხსნა!.. საწყალი!.. არაფერი აქვს საშიშო, არცარასა ჰკარგავს, არცარას ნაღვლობს...

— ახლა რას აპირობ? სად მიდიხარ?

— რა თქმა უნდა, რუმინიაში.

— მეც იქით მივდიოდიოდი, მაგრამ ეს დროში დავინახე და იმიტომ მთიდან დავეშვი?..

— მეც იმისკენ მოვრბივარ... ქული რა უყავ?.. ტილოს ტანისამოსის გარდა არაფერი გაქვს?..

— მარიკას მეც იმიტომ გამოვატანე შენთან წერილი, რომ რამე მოგეტანა.. მიკვირს, ასე რად დაიგვიანა!..

— ახლა საჭირო არ არის, — უთხრა ექიმმა, — რომ დაღამდება, ხამბარის წისქვილში შევიდეთ და ძია ლილო ყველაფერს გვიშოვის, იღბალზე ერთი მეტი სერთუკი მაცვია... ტანზე მოგივა... გულში ჰურიცა მაქვს...

— ძალიან კარგი, მაგრამ მე ამისთვის არ მოესულვარ აქ... მინდოდა ხალხი ამეჯანყებინა...

— აჯანყების მაგიერ, შევრცხვით... — წამოიძახა ბრაზიანად ექიმმა; — სამწუხარო ის არის, რომ მარტო ჩვენ გვინდოდა აჯანყება...

— სხვა ადგილებიდან ხომ არაფერი ამბავი მოსულა?..

— სანუგეშო არაფერი.. ყველგან იწყევლებიან... სხვა არავინ აჯანყდება... ყველგან დამარცხდნენ, უბედურება დაატყდათ თავზე... თორემ შენ უკეთესად არ უნდა იცოდე!..

— ჩემის თვალითა ვნახე, რომ ბარე ოც ალაგას გაჩნდა ცეცხლი, — უთხრა ოგნიანოვმა.

— ჯერ ხალხი საამისოდ არ მომწიფებულა, ძმაო!.. — საშინლად შეეცდით, საშინლად, — სთქვა ექიმმა. — ახლა ბოლგარეთის თავზე ღეთის რისხვაა დაატრიალებული, — და სულ კი ამაოდაა...

— რომ მოვტყუვდით, ეს მართალია... მაგრამ რევოლუცია საჭიროა და მაშინ უმსხვერპლოდაც არ შეიძლება გათავდეს საქმე. მე თუ მკითხავ, რაც უფრო მეტად დაიტანჯება ხალხი, უკეთესი იქმნება...

— ოგნიანოვ, — სთქვა ექიმმა ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ, — მე მგონია, რომ ასე მარტო ჩვენ ვფიქრობთ: მთელი ბოლგარეთი გვწყევლის და ტანჯვას ჩვენ გვაბრალეებს... თორემ, წადი და ყური დაუგდე: — ახლა ყველა იმას ამბობს, სტეფჩოვი მართალი ყოფილაო.

სტეფჩოვის სახელის გაგონებაზე ოგნიანოვი კოპები შეიკრა.

— როგორ, ამ საზიზღარს კიდევ უდგას სული?



— საზიზლარიო? — უპასუხა ექიმმა; — სტეფროვი ახლა ყველაზე ჭკვიანად, ყველაზე სამართლიან კაცად მიაჩნიათ... ჩორბაჯი იურდანი და ის ახლა ქეიფობენ. ორსავე ცათაფრენა აქვს შემდგარი. სტეფროვი ქალაქის მხსნელად მიაჩნიათ... ჩვენ კი, რომ დავგინახონ, ძაღლებსავით ჩაგვადრჩობენ...

— მაინც წუწკი და საზიზლარია... საწყალი ლალკა ძალიან უნდა იტანჯებოდეს...

— როგორ, განა არ იცი, რომ ლალკა გარდაიცვალა?

— გარდაიცვალა? რას ამბობ?

— თვრამეტ აპრილს გარდაიცვალა, — ჩურჩულით უთხრა ექიმმა.

— ამ მოკლე ხანში რამდენი უბედურება მომხდარა... ის იმ ოხერმა მოჰკლა! — წამოიძახა ოგნიანოვმა.

— დიად, იმან მოჰკლა, — ბანი მისცა ექიმმა და თვალ-ტრემლიანმა უამბო ლალკას სიკვდილის მიზეზი.

ოგნიანოვს გული აუჩვილდა და ექიმს ხელი მოჰკიდა.

— ძმაო, ახლა მე და შენ თანაბრად ვართ უბედურნი.

სოკოლოვმა გაკვირვებულად შეხედა.

— ლალკა, შენი საყვარელი არსება საფლავშია; მეორე ქალიც, რომელიც მე მიყვარდა, საფლავშია აგრეთვე... ჩემთვის დაკარგულია...

— არა, შენი რაღა ცოცხალია, ბელაია-ცერკოვშია! — წამოიძახა უცბად ექიმმა.

— ცოცხალია? ჰო, ცოცხალია, მაგრამ ჩემთვის კი მკვდარია.

ექიმი გაოცებული უყურებდა ოგნიანოვს.

— დიად, საუკუნოდ მომიკვდა, — წარმოსთქვა განრისხებული ბოიჩომ; — საწყალი კანდოვი!.. ღმერთმა შეუნდოს! ნეტავ იმასთან ერთად მეც მომკვდარვიყავ...

ექიმი უფრო გაოცდა.

— ბოიჩო, კლისურში კანდოვს ხომ არ აეშალე?

— როგორ არა, ავეშალე სასიკვდილ-სასიცოცხლოდ.

— რაღას გულისთვის?

ოგნიანოვმა კოპები შეიკრა.

— სჯობს, ამაზე გავჩუმდეთ.

— ხომ არ გაგვიყვებულხარ, ბოიჩო? რადაზე ექვი როგორ შეგივიდა? ეს უსინდისობაა! შენ მოტყუებულის ხარ, რადას ყოველთვის ერთგულად უყვარდი და ახლაც უყვარხარ, მხოლოდ იმიტომ არის უბედური, რომ ცილი დასწამე. — ბრაზიანად წაძოძოდა ექიმმა.

ოგნიანოვმა საყვედურის თვალებით შეხედა.

— ექიმო, საწყალი კანდოვის სულის პატივცემამ თუ გაქვს, ამ სამწუხარო ამბავს ნუ მოვიგონებთ.

— პატივს რომ ვსცემ, კიდევ იმიტომ მინდა, ყოველი ცილისწამება მოვაშორო... შენ ნება არა გაქვს იფიქრო, რომ ის უნამუსოდ იქცეოდაო... მართალია, რადა უყვარდა, მაგრამ ხომ იცი, ოცნების მოყვარე კაცი იყო განსვენებული და ერთ-ბაშად გაიტაცებდა რამე იმ ზომამდე, რომ თავტანს დაჰკარგავდა... ეს აუწყრელი გრძნობა იყო იმის მიზეზი, რომ საზოგადოებასაც გაუბოლდა და კომიტეტსაც... მაგრამ რადასათვის ერთი ბეწო რამ უსინდისობა არ უკადრებია... კიდევ კარგი, რომ მაშინვე ძიხედი. აი, თუ გინდა, წაიკითხე... ნეტკოვიჩმა მომცა.

ეს უთხრა და ჯიბიდან წერილი ამოიღო და ოგნიანოვს გადასცა.

ნეტარების სხივმა გაუბრწყინა სახე ბოიჩოს.

— გმადლობ, ძმაო, შენის წყალობით ახლა მკვდარი გული გამიმთელდა.

— საწყალი რადა, როგორ გაიხარებს, როცა ამას შეიტყობს! უნუგეშო მდგომარეობამ, ლამის არის, თან გადაიტანოს... რა თქმა უნდა, მიზეზი შენა ხარ; როგორც ყველას, იმასაც მკვდარი ეგონე...

ექიმმა წისქვილის კედლის ერთს ჯუჯრუტანას მიაღო თვალები.

— ვილაც მოდის; მგონი, მაჩიკაა, — სთქვა სოკოლოვმა. ოგნიანოვმაც გაიხედა მინდვრისაკენ.

— არა, მარიკა არ არის; მარიკა ამაზე პატარაა და  
ლურჯი კაბა აცვია და ხელშიაც ბოხია უჭირავს.

— რადა!— წამოიძახა ოგნიანოვმა და ფეხზე წამოხტა-  
ექიმიც წამოხტა.

ოგნიანოვმა წისქვილის კართან მიიბრინა და ხელები და-  
უქნია.

რადა კარგახანს დაწოწიალებდა მინდორზე და ახლი კი  
დაინახა ოგნიანოვი.

მაშინათვე შურდულივით გამოჰქანდა წისქვილისაკენ და  
უცბად ოგნიანოვთან გაჩნდა.

— რადკე!

— ბოიჩო! ბოიჩო!— ტირილით იძახდა ქალი, მერე თავი  
დაუჭირა და ლოყებზე მიიკრა. ექიმი გულაჩჩვილებული უყუ-  
რებდა ამ სურათს.

— აქ რა გინდოდა?— მაშინათვე ჰკითხა ოგნიანოვმა, ცო-  
ტათი გონზე მოსულმა.

— სოკოლოვთან მოწერილი წერილი მარიკამ მე გაღ-  
მომცა... ოჰ, ბოიჩო, რა დაგიცვია, რად დამტანჯე ასე?— ეუბ-  
ნებოდა რადა, ნეტარებისაგან ატირებული. —ახლა ხომ არ  
მიწყრები?.. შენ უფლება არა გაქვს წყრომისა, შენ იცი, რომ  
ბრალი არა მაქვს...

— მაპატივე, გენაცვა, მაპატივე, — უთხრა ბოიჩომ და ხელ-  
ზე დაუწყო კოცნა; — ჩემმა შეცდომამ მეც დიდად დამტანჯა.

ოგნიანოვი აღტაცებული უყურებდა რადას ცრემლიან  
თვალებს, ნეტარებითა და განუსაზღვრელ სიყვარულით სავსეს...

მაგრამ რადა უცბად გაფითრდა და დაუძახა:

— გაიქე, ბოიჩო! დამავიწყდა მეთქვა... გაიქეცი!.. თურ-  
ქებმა დაგინახეს და თქვენსკენ მოდიან!.. ბოიჩო, სანამ მარი-  
კას ვნახავდი, აქ ბოშის დედაკაცს უნახავიარ... აქეთკენ რომ  
მოვდიოდი, ბალებიდან ბაში-ბუზუყები გამოვიდნენ და აქეთკენ  
წამოვიდნენ... შენთან მოდიან, ბოიჩო... ოხ, ღმერთო ჩემო,  
დამავიწყდა მაშინათვე მეთქვა... მთელი საათი დავკარგე შენს  
ძებნაში... სხვა დროს ვნახავთ ერთმანერთს... ახლა კი თავს  
უშვებოდა...

— არა, — გადაწყვეტით უთხრა ოგნიავოვმა, — მე არ შემიძლიან ასეთს დროს თავი დაგანებო... თუ ეს მხეცები აქ მოვიდნენ და... ასეთს უდაბურს ალაგას მარტო დაგინახეს?! მხეცებზე უარესები არიან... არა, მირჩევნია შენთან მოვკვდე, და სანამ შემეძლება, დაგიფარო...

მაგრამ ბოიჩო მაშინათვე მიხვდა, რომ ამით ვერაფერს გავხდებო. მოუბრუნდა რაღას და ჰკითხა:

— რაღა, შეგიძლიან ჩვენთან წამოსვლა?

— რაღამ განარებულის კალოთი უპასუხა:

— კი, კი, ბოიჩო, თქვენთან ყველგან წამოვალ... გავიქცეთ, ბოიჩო, გავიქცეთ...

— მთისკენ! — წამოიძახა ოგნიანოვმა.

პირველად ბოიჩო შედგა ზღურბლზე და მინდვრისაკენ გაიხედა.

#### XIV

#### თ ა გ დ ა ს ს მ ა

მაგრამ გვიან-ლა იყო.

პირდაპირ კლდეებ შორის თურქები მოსჩანდნენ.

ოგნიანოვმა და ექიმმა დაინახეს, მტერი შემოგვერტყაო და გაქცევას თავი დაანებეს. შეუძლებელიც იყო.

თურქები ფრთხილად ეშვებოდნენ კლდიდან.

ოგნიანოვმა და სოკოლოვმა დათვალეს რამდენი სროლა ჰქონდათ.

— თვრამეტი სროლა ტყვია-წამალი გვაქვს, — სთქვა ექიმმა.

— პატროსნად სიკვდილისათვის გვეყოფა, — უთხრა ბოიჩომ.

თოსუნ-ბეიმ თავისი ურდო მოიყვანა და განკარგულებას პირადად იძლეოდა.

სანამ სროლას დაიწყებდნენ, თოსუნ-ბეიმ ბრძანა თურქულად დაეყვირნათ:

— დაგვენბდი, მემამოხეთა მთავარო!

ოგნიანოვი და სოკოლოვი კედელს იყვნენ ამოფარებულნი, ხელში დამბაჩები ეჭრათ და მარაგად იდგნენ.

გავიდა ერთი წუთი. ეტყობოდა, თოსუნ-ბეიმ ეს დრო მისცა საფიქრებლად. მაშინ თოფებმა იგრიალა. ტყვიები კედლისა და სახურავების ჯუჯრუჭანებში შემოღაოდა, იქაურობას ცხრილავდა და, ბოლოს, გაბრტყელებული, გარემოცულების ფეხებ წინ ვარდებოდა.

ერთბაშად თოფის-სროლა შესწყდა.

ძველი იყო წისკვილი, მაგრამ სამ კაცს მაინც იფარავდა. ტყვია არც ერთს არ მოხვედრია. მხოლოდ რაღას გული წაუვიდა და მიწაზე დაეცა. თავიჩითა დაჰვარდა და შავი თმა მხრებსა და მიწაზე ჩამოეშალა.

ოგნიანოვი დაიხარა, ხელში აიყვანა და უფრო დაფარულ ადგილას გადაიყვანა; თავქვეშ ბოხჩა აპოულა.

თურქები ახლოვდებოდნენ. ერთბაშად სეტყვასავით დაუშინეს წისკვილს ტყვიები.

თურქები ახლა სულ ახლოს იყვნენ. დადგა წამი სიკვდილ-სიცოცხლისა. ოგნიანოვი სარკმელთან იდგა, სოკოლოვი კართან.

ერთმანერთს შეხედეს და ურღოს დამბაჩები ესროლეს. ამ მოულოდნელად დამბაჩების დაცლისაგან მტერს სამი კაცი მოუტყვდათ. თანაც შეიტყვეს, რომ წისკვილში მარტო ერთი კაცი არ არისო, ამ გარემოებამ შეაშინათ, მაგრამ მხოლოდ ერთის წუთით.

კლისურის გამაოხრებელნი ღრიალით ეკვეთნენ წისკვილსა. ზოგი კლდიდან ისროდა, ზოგიც პირდაპირ კარს უმიზნებდა—გარემოცულნი ვეღარ გამოვიდნენო..

იერიში მიიტანეს.

— ექიმო, ახლავე მოვეკვდებით, მშვიდობით საუკუნოდ, ძმაო,—უთხრა ბოიჩომ.

— მშვიდობით, ძმაო!

— ექიმო, მტერს ცოცხალის თავით არ უნდა ჩავუვარდეთ!

— უეჭველად; ოთხი პატრონა კიდევა მაქვს, ერთს ჩემთვის შევინახავ...



— მე ჩემთვის ორს შევინახე, ექიმო.—და ოგნიანოვმა უნებურად რადასაკენ მოიხედა. ქალი ისევ იწეა, სახე მთლად გაუფიქრდა; მარცხენა მკერდიდან ნელა გადმოსდიოდა ალისფერი სისხლი... მტრის ტყვია მოხვდა და სული განუტევა.

XV

და ლ უ შ გ ა

ამ გამოთხვევის დროს, რომელიც ნახევარ წუთს-ლა გაგრძელდა, მოზღვავებულ მტერს მარტო ერთი კაცი უმკლავდებოდა. ერთბაშად მოტრიალდა და რაღა დაინახა... თვალები ვეფხსავით დააბრიალა და კარს ეძგერა, თითქო უნდა ტყვიებს ნიშნი მოუგოსო, და თურქულად დაიყვირა:

— თქვენ, ძაღლებო, წყეულებო! ძვირად დაგისვამთ ყოველ წვეთს ბოლგარულს სისხლს;—და თავისი დამბაჩა დასცალა.

ურდო უმეტესად გამძაფრებული ეკვეთა წისქვილს. მხეცური ყვირილი და თოფების გრილი ერთად აირია.

— ვაიმე,—დაიკვნესა ექიმმა და დამბაჩა ხელიდან გაავლო. ტყვია მარჯვენა ხელში მოხვდა. გამოუთქმელი შიში და სასოწარკვეთა გამოეხატა სახეზე. ოგნიანოვიც გასისხლიანებული იყო და მტერს ესროდა დამბაჩას. შეამჩნია მისი წუხილი და ჰკითხა:

— გტკივა, ძმაო?

— არა, ის მაწუხებს, რომ ტყვია არ შევინახე ჩემთვის, დამავიწყდა...

— ჩემს დამბაჩაში ორი კიდევ დარჩა...—უთხრა ოგნიანოვმა და თავისი დამბაჩა სოკოლოვს მისცა.—ახლა, დეე, დაინახონ, თუ როგორა ჰკედება ბოლგარელი „მოციქული“!

ესა სთქვა და ექიმის ქამრიდან დიდი იათაგანი ამოიღო, გამოხტა წისქვილიდან, თურქებს გადაერია და მარჯენივ და მარცხნივ იარაღი დაუშინა . . . . .

. . . . .

ნახევარ საათს უკან, ძლიერამოსილი, გამხეცებული, დემო-  
მონისტურად გახარებული ურლო ველიდან ბრუნდებოდა და  
თან ოგნიანოვის თავი მოჰქონდა, სარზე წამოგებული. ექიმის  
თავის-ქალა სულ დამსხვრეული იყო დანებისაგან (პირველი  
ტყვია თვითონ მოიხვედრა ექიმმა), ასე რომ სარით ველარ წა-  
მოიღეს და გამარჯვების ნიშნად ვერ გამოადგათ.

უკანიდან ურმით დაქრილები და მკვდრები მოჰყავდათ.

სახარელის ღრიალით შემოვიდა ურლო ქალაქში, მაგრამ  
ძე-ხორციელი არსადა სჩანდა, ყველგან სამარებრივი დუმილი  
იყო გამეფებული. ოგნიანოვის თავიანი სარი მოედნის შუა  
აღაგას აღმართეს.

მოედანზე აჩრდილივით მხოლოდ ერთი კაცი დაეხეტე-  
ბოდა უგზო-უკვლოდ.

ეს კაცი მუნჩო იყო.

მუნჩომ იცნო თავის საყვარელ ოგნიანოვის თავი, გაშმა-  
გებული თვალები შეშლილის კაცისა დააშტერა და მაჰმადს  
წყველა დაუწყო.

საყასპოში ჩანგალზე ჩამოჰკიდეს მაჰმადის მგმობელი.

ეს სულელი ერთად-ერთი კაცი იყო, წინააღმდეგობა რომ  
გაჰბედა.

(დასასრული)



## „ეჰ...“

(სურათი)

აღარა ახსოვს-რა გეგესა. გაშმაგებული გამორბის ტყიდან და პირდაპირ ვენახისკენ. თითქოს თავის იქ ყოფნით კალთას გადააფარებდა და თავს ააცდენდა განადგურებას...

კივის მიდამო. დედამიწა შეძრწუნდა. კენესა, ტირილი, ხარხარი მიდამოსი აირია; თავზარ-დამცემი გრგვინვა-ლა მოისმის. გეგე მანც გარბის. ჩოხის ძველა შემოუკალთაეგებია. ფეხ-შიშველა, დახვრეტულ შავ-პაჭიკებში, მთლად გაზუნზლული, ოღნავ წელში მოხრილი მირბის. მას არა ეყურება-რა. შექალარავებულ თმა და წვერ-ულვაშებიდან წყვილი მისი თვალი გამოაკვესებს, და მხოლოდ ერთი სურვილის ამოკითხვა-ლა შეგიძლიანთ: „ღროით, ღროით მივიდეს თავის ვენახთან“...

უეცარი გრიგალი უეცრივეე მოისპო. დამშვიდდა მიდამო. ოღნავ ფოთლის შრიალი-ლა მოისმოდა და მცენარეებიდან ჩამონადენი წვეთების წკაპა-წკუპი...

სწორედ ამ დროს მიირბინა თავის ვენახამდის, — მარგილის თავს ხელი წაავლო და ფეხი შეაღერა გადასახტომად, მაგრამ სხეული სულ მოუდუნდა და ქარაფაფა ძეძვის ღობეს მოწყვეტით გულით მიეყრდო. ორივე ხელებით დაყრდობილი, პირ-გამშრალი გადასცქეროდა თავის ვენახს და ერთწამს მოსაზრება შეუდგა...

სჩხელეტავდა-ლა ქარაფი?! არა ჰგრძნობდა. მის თვალწინ გადაშლილმა სურათმა შებოჭა გრძნობა და მოსაზრება მისი...



მხოლოდ სარები (ჭიგოები), მხოლოდ სარები და გაროკილი ხეები და იყო ვენახში. დანარჩენი ყოველივე: ვაზი, ხის ტოტები — ფოთლითურთ, სერყვის კაკლები ერთმანეთში იყო აღუფხული და აქა-იქა მიგროვილი! ზალახიც კი განადგურებულიყო, თორემ სხვას ხომ სიკეთე არ დაჰყროდა...

„ვაიმე, ვაიმე!..“ — ტუჩების ოდნავე ცმაცუნით მოსისინებდა მისი ხმა. მეტის თქმა აღარ შეეძლო. ყოველივე ამ უნებლივ ამოკვნესაში იხატებოდა..

ვენახი იყო მისი მასაზრდოებელი. ყოველი მცენარე, ბალახიც კი ნაცნობი იყო, ყოველივეზე დიდი ამაგი ჰქონდა. მას უვლიდა, თავს ევლებოდა, და იმისგანვე ცხოვრებას მოელოდა. მთელი წლის სარჩოს ვენახი აძლევდა. მტერსაც, მოყვარესაც ვენახი უსტუმრებდა. ეხლა?!

გზირი, მამასახლისი, მეველე, მენახირე, მეჯოგე, ჩაფრები ბოქაული, ზღვდელი, რომელთაც აკმაყოფილებდა ამ ვენახის შემოსავლით, მის თვალ-წინ აირივნენ. ეხლა ჩაჩევილი ვენახი კიარაა გადაშლილი, იგინი ირევიან. ცხადად ჰხედავს იმათ მრისხანე სახეს, იმათ მოძრაობას, სახრებს, მათრახებს, იმათი ხმა მკაფიოდ მოესმის... ოხ, ოხ, რამდენი ლანძღვა, გინება, დამცირება!.. ღმერთო!..

აგერ მისი დაწოკებული ცოლშვილი თავზარდაცემული მას შეჰსცქერის და მისგან მოელის შევლას, მაგრამ...

ისევ ვენახი გადაეჭიმა. ისევ მხოლოდ გაროკილი ხეები და სარები დაინახა და სასოწარკვეთილებით წამოიძახა:

— ღმერთო!.. — და ზეცას მიაჰყრო მორღვეული თვალები. მხოლოდ ღვთისგანლა ელოდა შევლას. სასოებით მას მიჰმართა და...

სწორედ ამ დროს დაგლეჯილ ღრუბლებიდან მზემ ღრეჯით გამოუქყვიტინა. მწუხარე გეგეს მზე მხიარულად მიეგება, და ამ გარემოებამ იგი სულ დაამცირა. ზეციდან-ლა მოელოდა თანაგრძნობას და ზეცამაც იგი მასხარად აიგდო. მთლად განადგურებული, ისე, როგორც მისი ვენახი, იქავე უნუგეშოდ

ჩაეხვია და ღობის ძირას მიგროვილ სეტყვის კაკლის გროვას მიესვენა.

მზის ღრეჯაზედ დედამიწამაც ღრეჯა დაიწყო: აქა-იქ გუბეები, სეტყვის კაკლის გროვა ბჰყვრილდება, თვალს უჭრიდა თვალთა მქონთ; ფერღობებიდან კიდევ ნიაღვრის წყალი ტკბილად, თითქოს რამოდენიმე წუთის წინად არავითარი ვნება არავის მისდგომიაო, ჩამოჩხრილდება და მოეღვარება....

— ეჰ!..—ამ სურათმა უნებურად ხელის ჩაქნევით გულის სიღრმიდან ამოათქმევინა.

რას მოასწავებდა მისი „ეჰ!“, რომ გეკითხნათ, ვერ აგინსნიდათ. იგი განრისხებული სწრაფ წამოდგა და საჩქაროდ თავის გარევილ ვენახს მოჰშორდა...

შ. ანაგვისბერეღა



# პ რ ა ზ ა ნ ა

რომანი იტალიის ცხოვრებიდან

ე. გოინაჩისა

ნ ა წ ი ლ ი მ ა ნ ა მ ე

III \*)

— ხელ-ახლავ ვარწმუნებ თქვენს უსამღვდელოესობას, რომ თქვენი უარი მეტად მავნებელი იქმნება ქალაქის მშვიდობიანობისთვის. გუბერნატორი ცდილობდა შეერჩინა თავაზიანი კილო, ეკკლესიის უმაღლეს პირთან საუბრის დროს, მაგრამ ხმაზე მაინც შეშფოთება ცხადად ემჩნეოდა, იმას ღვიძლის ტკივილი ჰქონდა და რადგან ცოლიც მისი ბევრ ფულსა ფლანგავდა, ამის გამო გუბერნატორი ამ უკანასკნელ კვირაში განუწყვეტელ შფოთში იყო. იგი იმყოფებოდა უსიამოვნო მცხოვრებლებთან შორის, რომელთა მიმართულბაც თანდათან საშიში ხდებოდა. მთელი ის მხარე შეთქმულებით იყო საფე და ყოველ მხრიდან მოდიოდნენ ცნობები დამალულ იარაღზე. სამხედრო მეციხოვნე ვერ იყო საიმედო და მინდობა იმის ერთგულობაზე ძნელი იყო. და ახლა ეს კარდინალიც დაერთო, რომელსაც ეს აუწერდა თავის ადიუტანტს, როგორც „განხორციელებას სიცარიელისას“. ყველა ამავებს მოთმინებიდან გამოჰყავდა გუბერნატორი და ახლა სტანჯავდა კრაზანაც, ეს ნამდ-

ვილი ბოროტი სული. ამ „კოქლმა ესპანელმა ეშმაკმა“ დასჯრა გუბერნატორის ძმისწული, აგრეთვე დიდად საჭირო ჯაშუში და ესეც არ იკმარა, ეხლაც კი, როცა შეპყრობილი იყო, თავისას არ იშლიდა და განაგრძობდა თავის ონებს. მოისყიდა ციხის მცველები და როცა დაუწყებდნენ სამსახურის კაცნი გამოკითხვებს, ის იმათ მასხარად იგდებდა. სასამართლო გარდაიქცა თითქმის გასართობ ადგილად. ციხეში თითქმის სამი კვირა დაჰყო და ამ დროს განმავლობაში მთავრობა ბრიზიგელისა ძალიან დაიტანჯა. დაუწყებდნენ გამოკითხვას და რომ გამოეთქმევივნებინათ რამე, ყოველს საშუალებას ხმარობდნენ, რაც კი მოაფიქრდებოდათ. მაგრამ მიუხედავად ყოველ ღონისძიებისა, იმისაგან იმათ ვერა შეიტყვესრა. მიხვდნენ, რომ საჭირო იყო წინაღვე გაეგზავნათ რავენნაში, მაგრამ შეცდომის გასწორება ეხლა გვიან-და იყო. გუბერნატორმა გაგზავნა უმთავრეს სამოურავოში მოხსენება შეპყრობის შესახებ და ითხოვდა იმისთვის მიენდოთ საქმის გამოძიება და რადგან ამ თხოვნაზე ნებართვა მიიღო, ეხლა აღარ შეეძლო უარი ეთქვა, თუ არ გამოტყდებოდა თავის დამამცირებელ სისუსტეში. ერთადერთი საშუალება, როგორც გემბადა მიკვლელე წინაღვე მიხვდნენ, გუბერნატორს სამხედრო სამართალი მიაჩნდა და ჯიუტმა კარდინალის მონტანელლის უარმა სრულიად აავსო ფიალა მისი მოთმინებისა.

— მგონია, რომ,—უთხრა გუბერნატორმა,—თუ თქვენმა უსამღვდელოესობამ იცოდეს, როგორ დაგვტანჯა იმ კაცმა, მეც და ჩემი მახლობლებით, სხვანაირის თვალით შევხედავდით ამ საქმეს. კარგად მესმის, რომ კანონის გვერდის ავლა სასურველი არ არის, მაგრამ ეს განსაკუთრებული შემთხვევაა, რომელიც ითხოვს განსაკუთრებული ზომებს.

— არ შეიძლება იყოს ისეთი შემთხვევა,—უპასუხა მონტანელლიმ,—რომ ითხოვდეს უსამართლოებას. მოქალაქის განსამართლება სამხედრო სამართლით უსამართლო და უკანონოა!..

— საქმე შემდეგში მდგომარეობს, თქვენო უსამღვდელო-  
 ესობავ, შეპყრობილი, ექვი არ არის, რომ დამნაშავეა რამო-  
 დენსამე სამძიმო შეცოდებაში. სავინოაში გაბედულად იღებდა  
 მონაწილეობას საზარელ საქმეებში და სამხედრო კომისია, რო-  
 მელიც შეკრებილი იყო მონსინიორ სპინოლასაგან, უექვე-  
 ლოდ დახვრეტდა იმას, ანდა გაგზავნიდა კატორგაში, თუ  
 ტოსკანაში არ გაქცეულიყო. შემდეგშიაც არ ანებებდა თავს  
 შეთქმულობას. ცნობილია, როგორც გავლენიანი წევრი  
 ერთ უბოროტეს საიდუმლო საზოგადოებისა. ექვი აქვთ,  
 რომ ერია, ანუ უკელა ვთქვათ, იქნება მოთავეც იყო პოლი-  
 ციის რამდენიმე აგენტების მკვლელობაში. შენიშნულია იარა-  
 ლის კონტრაბანდულ გადატანაში პაპის სამფლობელოში. იარა-  
 ლით წინააღმდეგობა გაუწია მთავრობას და დასჭრა ორი ჯარის  
 უფროსი, როდესაც ისინი თავიანთ მოვალეობას ასრულებდნენ.  
 მერწმუნეთ, რომ ეს კაცი ძალიან მავნებელია ქალაქის მშვი-  
 დობიანობისათვის და ეს ამტკიცებს იმას, რომ ღირსია სამ-  
 ხედრო სამართალს მიეცეს.

— რაც უნდა მოექმედნოს, — მიუგო მონტანელლიმ, — წე-  
 სია, რომ კანონიერად გაასამართლონ.

— კანონის ჩეულებრივი მსვლელობა აგვიანებს საქმის  
 გარდაწყვეტილებას, თქვენო უსამღვდელოესობავ, და ეხლა კი  
 თითო წუთს აქვს მნიშვნელობა. ამას გარდა, მე ყოველ წამს  
 შიშში ვარ, რომ არ გაიქცეს.

— ეგ თქვენზეა დამოკიდებული, უნდა თვალყური კარგად  
 გეჭაროთ.

— რაც კი შემძლიან, ყოველივეს ვასრულებ, თქვენო  
 უსამღვდელოესობავ, მაგრამ ეს საპყრობილის დაწესებულობა-  
 ზე არის დამოკიდებული და იმ კაცმა კი მოაჯადოვა იქაური  
 მცველები. სამი კვირის განმავლობაში ორჯერ გამოვცვალე და-  
 რაჯნი და მომეწყინა კიდევ რივარესის გულისთვის მათი დას-  
 ჯა. ვერ მოვახერხე, რომ იმასთან წერილები არ მიჰქონდ-მოჰ-  
 ქონდეთ. იმ უგუნურმა მცველებმა ყველამ თავგანწირვით შე-  
 იყვარეს ის.

— რაღაც განსხვავებულობა უნდა იყოს იმ ადამიანში.

— ნამდვილი ეშმაკია. მომიტოვეთ, თქვენო უსამღვდელოესობავე, მაგრამ ის კაცი მოთმინებიდან გამოიყვანდა თვით წმინდანსაც კი. ეს ძნელი დასაჯერია, მაგრამ მერწმუნეთ, რომ ეხლა თვით მე ეიწყებ იმის გამოკითხვას, რადგან მოსამსახურე კაცს, რომელიც ამ საქმეს განაგებს, არ შეუძლიან მასთან რაიმეს გახდეს.

— როგორ, რა იყო?

— ეს ძნელი ასახსნელია, მაგრამ თვითვე კარგად გავგებდით ყოველივეს, თუ ერთხელ მაინც დასწრებოდით გამოკითხვას. ასე გამოდის, თითქო ჩვენების ჩამომრთმევი დამნაშავეა და თვით ის კი მსაჯული.

— განა რასა შერება ამისთანას? შეიძლება ხმას არ იღებდეს გამოკითხვის დროს. მაგრამ სწორედ სიჩუმე არის ერთადერთი იმისი ფარხმალი.<sup>1</sup>

— იმისი ენა ნამდვილი სამართებელია. ჩვენ ყველანი ცოდვილნი ვართ, თქვენო უსამღვდელოესობავე, თვითოეულ ჩვენგანს ყველას მოსვლია თავის დროზე რაიმე შეცდომა და სულაც არ არის სასიამოვნო, რომ ჰყვიროდნენ მათზე. როგორი გასაგონი უნდა იყვეს კაცისათვის, რომ ეუბნებოდნენ პირდაპირ, იმას, რაც მოუქმედნია ოცი წლის წინად.

— განა რივარესსმა შეიტყო რაიმე პირადი საიდუმლოანი გამომძიებელზე?

— თქვენო უსამღვდელოესობავე, ეს საწყალი კაცი ვალში ჩივარდა, როცა კავალერიის ჯარის კაცი იყო და ისარგებლა ცოტაოდენი ფულით პოლკის ფონდიდან.

— ესე იგი, მოიპარა საზოგადო ფული, რომელიც იმას ჰქონდა მინდობილი?

— რასაკვირველია, ეს ძალიან ცუდი იყო, მაგრამ მისმა მეგობრებმა შეაესეს ფული და ეს ამბავი არ გამოცხადებულა. ის კარგი ოჯახიდან არის და შემდეგში კარგადაც მიჰყავდა თავისი საქმე. რივარესსმა საიდან შეიტყო ეს, ვერ გამიგია, მაგრამ გამოკითხვის დაწყებისათნავე, იმან ეს გადავიწყებული ამ-

შავი წამოიწყო, ისიც სამსახურის კაცთა თანადასწრებით, მერე ისეთის უპანკო სახის გამომეტყველებით, თითქო ლოცვას იმეორებდა. ეხლა, რასაკვირველია, ყველამ იცის ეს ისტორია. თქვენი უსამღვდელოესობა რომ ერთხელ მაინც დასწრებოდა გამოკითხვის დროს, უეჭველად იცნობდა იმას. იმან არც კი უნდა იცოდეს, თქვენ შეგიძლიანთ ისე მოისმინოთ, რომ.... მონტანელიმ შეხედა გუბერნატორს იმნაირის სახის გამომეტყველებით, როგორიც იშვიათად ჰქონდა ხოლმე და სთქვა:

— მე ეკკლესიის მსახური ვარ და არა ჯაშუში, ჩუმიად ყურის გდება არ შემშვენის.

— სრულიადაც შეურაცხყოფელი სიტყვის თქმა არ მინდოდა თქვენთვის, თქვენო უსამღვდელოესობავ.

— მგონია ამ კითხვაზე მსჯელობას არავითარი აზრი არა აქვს. შეპყრობილს რომ აქ ჩემთან გამოგზავნიდეთ, იმას მოვლაპარაკებოდი.

— ვბედავ და გირჩევთ, თქვენო უსამღვდელოესობავ, ნუ მოიწვევთ. იმ კაცის მორჯულება შეუძლებელია. ბევრად უმჯობესი იქმნება, რომ მოვექცეთ ისე, რის ღირსიც არის და განვითავისუფლოთ იმისაგან თავი, ვიდრე კიდევ სხვა რამ უსიამოვნებას შეგვახვედრებდეს. იმის შემდეგ, რაც თქვენმა უსამღვდელოესობამ ბრძანა, მე ძლივს-ღა ვბედავ ამას დაქინებით დავადგე, მაგრამ, მაინც, პაპის დესპანთან პასუხის მგებელი მე ვარ ქალაქის მშვიდობიანობისათვის.

— და მე კი, — გააწყვეტინა ლაპარაკი მონტანელიმ, — ვარ პასუხის მგებელი ღმერთისა და იმის სიწმიდის წინაშე მასში, რომ ჩემს მაზრაში არ უნდა მოხდეს არავითარი უკანონობა. როდესაც მშვიდობიანობა არის დამყარებული, საქმეს არ მოვიყვან საიდუმლო სამხედრო სამჯავრომდის. მივიღებ შეპყრობილს აქ, ცალკე, ხვალ დილის ათ საათზე.

— როგორც თქვენს უსამღვდელოესობას ენებოს, — მიუგო გუბერნატორმა თავაზიანად, თანაც მოლუშვით. წავიდა და თავისთვის ბუტბუტებდა:

— ესენი არც ერთი არ ჩამოუვარდებიან ერთმანეთს ჯიუტობაში. — გუბერნატორი არავის არ უცხადებდა მომავალ შეხ-

ვედრას, მანამ არ მოვიდა დრო, რომ უნდა შეპყრობილისათვის ჯაჭვები შეეხსნათ ხელებზე და წარედგინათ სასახლეში მონტანელლისთვის.

როდესაც კრაზანა დიდის სიფრთხილით და მცველების თანახლეობით შეიყვანეს ოთახში, იმან დაინახა იქ მონტანელლი მაგიდასთან, რომელიც ქალაღებით იყო მოფენილი. კრაზანას უეცრივ მოაგონდა ის ცხელი მზიანი დღე, როცა იჯდა სამკითხველოში და ათვალეირებდა ხელთნაწერ ქადაგებებს. ის დღე ძალიან მიაგავდა ეხლანდელს. დარაბებიც სწორედ მაშინდელივით იყო სარკმლებზე ნახევრად ჩამოფარებული სიგრილისათვის. ქუჩიდანაც მოისმოდა მეზილეების ხმა:

— Fragola! Fragola!

იმან თითქო გაჯავრებულად გადიყარა შუბლიდან თმა და სახეზე ღიმილი დაეტყო.

მონტანელლიმ აიხედა და შეხედა რივარესს.

— თქვენ დერეფანში მოიცადეთ, — უთხრა მცველებს.

— ნება მიბოძეთ მოვახსენო თქვენს უსამღვდელოესობას, — მოახსენა სერჟანტმა ჩუმის ხმით და ეტყობოდა დიდად შეშფოთებულია, რომ პოლკოვნიკს საშიშარ ტყვედ მიაჩნია და ფიქრობს, უმჯობესი იქმნება, თუ რომ...

მონტანელლის თვალები უეცრივ აენტო.

— მოიცადეთ დერეფანში — გაიმეორა მშვიდობიანად.

სერჟანტი დაბლა თავის დაკვრით და საბოდიშო სიტყვების ბუტბუტით გავიდა შეშინებულის სახით ოთახიდან და მცველიც თან გაჰყვა.

— გთხოვთ დაბრძანდეთ, — უთხრა კარდინალმა, როცა ოთახის კარები მიიხურა.

კრაზანა ხმა-ამოუღებლივ ჩამოჯდა სკამზე!

— სინიორ რივარესს, — დაიწყა მონტანელლიმ ერთ წუთს შემდეგ, — მსურს რამოდენიმე კითხვა მოგცეთ და მადლობელი ვიქმნები დიდად, თუ მათზე პასუხს მომცემთ.

კრაზანამ გაიღიმა.

— ჩ... ჩემი უ... უმთავრესი მოვალეობა ახლა ის არის, რომ ყური გიგდოთ.



— და კი არ მიპასუხოთ? სწორედ ეგრე გადმომცეს, მაგრამ ის კითხვები მოგცეს სამსახურის კაცთ, რომლებიც თქვენ საქმეს იკვლევენ და სურთ ისარგებლონ თქვენის პასუხებით, როგორც ჩვენებით.

— და კითხვები მოცემულნი თქვენი უსამღვდელოესობის მიერ?

ხმაში დაფარული შეურაცხყოფლის კილო ისმოდა და მონტანელლიმ მაშინვე შენიშნა ეს, მაგრამ მშვიდობიანობა არ დაუკარგავს იმის სახეს.

— ჩემი კითხვები? სულ ერთია უპასუხებთ ჩემ კითხვებს თუ არა, ისინი ჩვენ შორის დარჩება. თუ ისინი შეეხებიან თქვენს პოლიტიკურ საიდუმლოებას, მაშინ, რასაკვირველია, არ მიპასუხებთ და სხვა შემთხვევაში კი, თუმცა ჩვენ ერთმანეთისათვის უცნონი ვართ, მაგრამ იმედი მაქვს, მაინც მიპასუხებთ კერძოთ ჩემი გულისთვის.

— მზად ვარ სამსახური გავუწიო თქვენს უსამღვდელოესობას.— კრაზანამ ამ სიტყვებთან ერთად სალამი მისცა და ისეთი სახის გამომეტყველება მიიღო, რომელიც მაინცა და მაინც არ ამტკიცებდა, რომ მონტანელლი მართლა მიიღებდა პასუხს კერძოდ თავის გულისთვის.

— მესმის, რომ პაპის სამფლობელოში ფარულად გადაგაქვთ იარაღი, რისათვის გქირდებათ თქვენ ის?

— იმისთვის, რომ ვხოცო ვირთაგვები.

— რა საოცარი პასუხია. განა ყველანი ვირთაგვებად მიგაჩნიათ, ვინც თქვენი აზრისანი არ არიან?

— არა, მხოლოდ რამოდენიმე მააგანი.— მონტანელლი სავარძელში გადიხარა და რამოდენიმე ხანს გაჩუმებული უცქეროდა. მერე უცებ ჰკითხა:

— რა გაქვთ ხელზე?

კრაზანამ დაიხედა მარცხენა ხელზე.

— ძ...ძველი დანაჩნევია ვირთაგვების კბილებისა.

— არა, მეორე ხელისას გკითხავთ, ეს ახალი ქრილობაა. ნაზი, მოქნილი მარჯვენა ხელი, სრულიად დასერილი, დასივებული და დალურჯებული ჰქონდა. კრაზანამ გაუწოდა ხელი.

— ეს სულ უბრალო რამ არის, როგორც ჰხედავთ. როცა შემოიპყრეს თქვენი უსამღვდელოესობის წყალობით—კიდევ სალაში მისცა—ერთმა ჯარის კაცმა ფეხი დამადვა. მონტანელიმ გამოართვა ხელი და ყურადღებით დაუთვალა იერა.

— სამი კვირის განმავლობაში უნდა მორჩენილიყო! რათა გაქვთ ვასივებული? ანთება მოგსვლიათ თითქმის.

— იქნება ბორკილის ხახუნი არ იყო ძრიელ სასარგებლო ამ ქრილობისთვის.

კარდინალმა სახე-შეკმუხვნით აიხედა.

— ნუ თუ ახალ ქრილობიან ხელში ბორკილი გავიყარეს.

— დიალაც, თქვენო უსამღვდელოესობავ, სწორედ ამისთვის, ბორკილისათვის არსებობენ ახალი ქრილობები. ძველი ქრილობა რისი მაქნისია, მხოლოდ ახალი აგრძობინებს კაცს სიმწვავეს.

მონტანელი ისევ დააქქერდა გამომცდელის თვალით, მერე ადგა და გამოაღო მაგიდის უჯრა, რომელშიაც სხვა-დასხვა წამლები ელაგა.

— მომეცით ხელი.

კრაზანამ მისცა ხელი, მონტანელიმ მოჰბანა ნატკივარი ადგილი და სიფრთხილით შეუხვია, ცხადია, ის მიჩვეული იყო ამ ხელობას.

— ბორკილების თაობაზე მოვილაპარაკებ და ახლა კი მსურს მოგცეთ ერთი კითხვა. რას ფიქრობთ მომავლისათვის?

— მაგისი პასუხი ადვილია, თქვენო უსამღვდელოესობავ, ვეცდები გავიქცე თუ მოვახერხებ, თუ არა და მოვკვდები.

— რად უნდა მოკვდეთ?

— იმიტომ, რომ თუ გუბერნატორმა ვერ მოახერხა ჩემი დახვრეტა, იმ შემთხვევაში გამამგზავრებს კატორლაში და ჩემთვის ეს სულ ერთია, ვითომც მოვმკვდარვარ. ჩემი სიმართლე იქაურ ცხოვრებას ვერ აიტანს.

მონტანელი დაეყრდო მაგიდას მკლავით და ჩაფიქრდა. კრაზანაც ხელს არ უშლიდა, იჯდა სავარძელში გადაწოლილი, ზარმაცად და ნახევრად მოხუჭულის თვალებით. სიამოვნებდა, რომ ბორკილებისაგან განთავისუფლებული იყო.

— ვთქვით, მოახერხეთ გაქცევა, — დაიწყა ისევ მონტანელლიმ, — როგორ მოიქცეოდით შემდგ?

— მოგახსენეთ კიდევ, თქვენო უსამღვდელოესობავ, განვაგრძობდი ვირთავების ხოცვას!

— სხვანაირად რომ ვთქვათ: თუ ეხლა განვათავისუფლებთ მე, ვთქვათ ამის უფლება მქონდეს, ისარგებლებდით თავისუფლებით, რომ გაავრცელოთ ძალ-მომრეობა და სისხლის ღვრა, იმის მაგივრად, რომ სხვებსაც დაუშალოთ?

კრაზანამ მიაპყრო თვალები ჯვარცმას, რომელიც კედელზე ეკიდა.

— „არა მშვიდობიანობით არამედ მახვილით“. როგორც ხედავთ, მე კარგს საზოგადოებაში ვიმყოფები, თუმცა მე დამბაჩას ვამჯობინებდი.

— სინიორ რივარესს, — გამოუთქმელის მშვიდობიანობით მიუგო მონტანელლიმ, — თქვენთვის მე შეურაცხება არ მომიყენებია და თქვენს სარწმუნოებაზე და მეგობრებზე დაცინვით არ მილაპარაკებია, არ შეიძლება თქვენგანაც თავაზიანობას ველოდე? ან იქნება თქვენა გსურთ ვიფიქრო, რომ ვისაც არა სწამს ღმერთის არსებობა, არ შეუძლიან იყოს თავაზიანი?

— ახ, მართლა... სრულიად დამავიწყდა, თქვენი უსამღვდელოესობისათვის ზრდილობა შეადგენს ერთ-ერთს ქრისტიანულ მოვალეობას. მახსოვს იმ დროის ქადაგება თქვენი ფლორენციაში, როცა ჩემსა და თქვენს ფარულ დამცველის შორის პოლემიკა იყო გამართული.

— ამის შესახებაც მსურს მოლაპარაკება თქვენთან. არ შეგიძლიანთ ამიხსნათ მიზეზი თქვენის გაბოროტებისა ჩემზე? თქვენი პოლემიკური მეთოდი, რასაკვირველია, გეხებათ მართო თქვენ და ეხლა ჩვენ არ ვლაპარაკობთ პოლიტიკაზე, მაგრამ მაშინ ისე მეჩვენებოდა, რომ თქვენში ღვიოდა პირადი მტრობა ჩემდამი. და თუ ეს მართლა ასეა, ვისურვებდი გამეგო, რაიმე ავი თქვენ მიმართ მომიქმედნია მე? ან მომიცია რაიმე მიზეზი, რომ აღმეძრას თქვენში მტრული გრძობები?

— მოუქმედნია რაიმე სიბოროტე ჩემს მიმართ! — კრაზანამ შეხვეული ხელი კისერთან მიიტანა.

— უნდა მოვავგონო თქვენს უსამღვდელოესობას ერთი ადგილი შექსპირის თხზულებიდან, — უთხრა იმან გაღიმებით, — „ეს ისეთივე გრძნობაა, როგორიც ის, რომელსაც კაცი ჰგრძნობს ხოლმე უვნებელ კატის მიმართ“. ჩემი ანტიპატია არის — მღვდლები. ანაფორის დანახვა ფიზიკურ ტკივილებს მა... მაგრძნობინებს.

— თუ მარტო მაგაში მდგომარეობს საქმე... მონტანელლიმ გულგრილად განაგრძო ლაპარაკი. — მაგრამ მაინც არ უნდა შესცვალოთ და გარდაავგაროთ ფაქტები. როდესაც ამტკიცებდით, ვითომ მე ვიცნობდი ჩემს დამცველს, თქვენ შესცდით. ამაში არ გამტყუნებთ, მაგრამ სიცრუევს კი ამტკიცებდით. მე ეხლაც არ ვიცი, ვინ იყო ის.

კრაზანამ თავი გვერდზე გადახარა, შეხედა სერიოზულის სახით, მერე გაღიწია სავარძელში და გაღიხარხარა.

— ოჰ, წმინდა უმანკობავ! ოჰ, ალაღ-ქართალო არკადიის მწყემსო, — ვერ მიხვდით თქვენ? ვერ ატყობდით განა ოროდ გაყოფილ ჩლიქს?

მონტანელლი წამოდგა.

— განა, სინიორ რივარესს, თქვენ სწერდით ორივეს მაგიერად?

— ვიცი, ეს არ იყო კარგი ჩემის მხრივ, — უპასუხა კრაზანამ და მიაპყრო მას თავისი დიდრონი უმანკო ლურჯი თვალები. — მაგრამ თქვენ იმათ ისე ადვილად ჰყლაპავდით, რომ გორც ზღვის ლოკოკინებს. ეს არ არის ძალიან კარგი, მაგრამ გასართობი კი იყო.

მონტანელლიმ ტუჩზე იკბინა და ისევ დაჯდა. მიხვდა, რომ კრაზანა ცდილობდა ის მოთმინებიდინ გამოეყვანა და გარდაეწყვიტა გუნე ბაში, რაც უნდა ყოფილიყო, მოთმინება არ დაეკარგნა. მაგრამ ხედავდა კი, რომ გუბერნატორის გულმოსულობა სამართლიანი იყო. ნება ჰქონდა ელანძღა კაცი, რომელიც მთელი სამი კვირის განმავლობაში ყოველ დღე ოროდ საათს, კრაზანას გამოკითხვაში ატარებდა.

— ამას თავი დავანებოთ, — უთხრა მონტანელლიმ მშვიდობიანად. მინდოდა მენახეთ აი რისთვის. როგორც კარდი-

ნალს, მე მაქვს ხმა ამ საქმეში და შემძლიან ვისარგებლო მითი თქვენი ბედის გარდაწყვეტაში. მე ვსარგებლობ ჩემის გავლენით და წინააღმდეგები თქვენდამი ყოველ გვარ ცუდად მოპყრობას. მე მინდა შევიტყო, ხომ არაფრის უკმაყოფილო ხართ; ბორკილების შესახებ მოვილაპარაკებ, მაგრამ იქნება თქვენ კიდევ გქონდეთ რაიმე სათქმელი. და გარდა ამისა, საჭიროდ მიმაჩნია ვიცოდე, მანამ თქვენზე რაიმე აზრს წარმოვსთქვამდე, თუ რა კაცი ხართ თქვენ.

— სრულებით არაფერს არ ვჩივი, თქვენო უსამღვლოე. სობავე; ომი ომად რჩება. ბავშვი არა ვარ და არცა ვფიქრობ, რომ მმართველობა თავზე ხელს გადამისევამს იარაღის საიდუმლო გადატანისთვის. სრულიად წესიერია, რომ მეპყრობიან ასე სასტიკად და თუ თქვენა გსურთ იცოდეთ, რა კაცი ვარ მე, თქვენ მოისმინეთ ერთხელ ჩემი რომანტიული აღსარება. განა ეს არ კმარა? თუ გსურთ ხელ-ახლავ მოისმინოთ?

— არ მესმის რას ამბობთ, — უთხრა მონტანელლიმ, ის თითებში ყარანდაშს ატრიალებდა.

— განა თქვენს უსამღვდელოესობას დაავიწყდა მლოცველი დიეგო? — იმან შეიცვალა უცებ ხმა და დაიწყო ლაპარაკი, როგორც დიეგომ: „მე უბედური ცოდვილი ვარ“... ყარანდაში გაუვარდა მონტანელს ხელიდან. — ეს მეტის-მეტია, — სთქვა იმან. კრაზანამ გადინხარა თავი ოდნავ დაცინების სახით და გაჩუმებული თვალს ადევნებდა, როგორ მიმოდოდა მონტანელლი ოთახში.

— სინიორ რივარესს, — დაიწყო მონტანელლმა და შეჩერდა კრაზანას წინ. — თქვენ მომეპყარით მე ისე, როგორც არც ერთი კაცი არ მოჰქცევია თავისს უბოროტესს მტერს. თქვენ შეეხეთ ჩემს კერძო მწუხარებას და დასაცინ სამასხარო საგნად გახადეთ ნაღველი მოყვასისა. ხელახლავ გთხოვთ მითხრათ მხოლოდ: რაიმე სიბოროტე გახსოვთ ჩემგან თუ არა? მაშეგრე გულქვევად რადა მკიცხავდით?

კრაზანამ გაღიწია სავარძელში და უცქეროდა ცივის, გაუგებარის ღიმილით.

— ეს მე მა.... მართობდა, თქვენო უსამღვდელოესობავ, თქვენ ამას ისე ახლო იღებდით გულთან და ეს მაგონებდა ცირკის წარმოდგენას. მონტანელლი ტუჩებ გაფითრებული მიბრუნდა და ზარი დააწკარუნა.

— გაიყვანეთ შეპყრობილი, — უთხრა მცველებს, რომელიც ზარის დაწკარუნებაზე შემოვიდნენ.

როდესაც ისინი გავიდნენ მონტანელლი მიუჯდა მაგიდას მთელის სხეულის კანკალით, არა-ჩვეულებრივად აღელვებული. მისწია თავისკენ მოხსენების ქალღმერთებს, რომლებიც გროვად ელაგა, მაგრამ ისევ ჰკრა ხელი და დაეყრდო მაგიდას მკლავით. კრაზანამ თითქო დასტოვა რაღაც საშინელი აჩრდილი, ჩვენება თავისი არსებობისა. მონტანელლი იჯდა ათრთოლებული და ვერა ჰბედავდა მალთა ახედვას, რომ არ დაენახა ჩვენება, თუმცა იცოდა, რომ ის აქ აღარ იყო. ეს ჩვენება არ იყო სავსებით გალიუცინაცია, არამედ აზრთა წარმოდგენა დატანჯულ ნერვებისა. მაგრამ მონტანელლი ჰგრძნობდა გამოუტყვეველ შიშს ჩვენებისას, — დაქრილი ხელისა, მკაცრად მოღიმარ ტუჩებისა და იღუმალით სავსე თვალებისას, რომლებიც ღრმა ზღვას მიაგავდნენ. ძალა დაატანა თავის თავს, რომ გაეშორებინა ჩვენება და საქმეს ჩაუჯდა. მთელი დღის განმავლობაში ერთ წუთს არა ჰქონდა მოცლა და ჩვენებაც აღარა სტანჯავდა. მაგრამ დაგვიანებულს ღამეს, როცა საწოლ ოთახისაკენ გემართა, ის შეჩერდა კარებში უეცრად შემკრთალი. რა იქმნება, სიზმარშიაც რომ მოვევლინოს ის? მაგრამ მაინც შევიდა ოთახში, დაიჩოქა ჯვარცმის წინ და ლოცვას შეუდგა. მთელი ღამე იმის თვალს ძილი არ მიჰკარებია.

ნატალა რ. გიგაურა

(დასასრული იქნება)



## საქართველოს მეფეთა ბრძანებანი

1

### უმაღლესი ბრძანება \*)

მდალ ხარისხოვან მამედ-შაჰიფ-ადას ეუწეოს და იცოდეს, რომ, როგორც ძველადგანვე მისი წინაპარნი ფაჰილან სოფელ სალალუს \*\*) საზოგადოების გამგეა და აღსაკლად \*\*\*) აგრეთვე ესლაც წყალობით უბოძებთ მის მდალ-ხარისხოვნებს დასახელებული საზოგადოების აღსაკლობის წოდებას, ვინაიდან ერთგულება გამოუჩენია და სამსახური გაუწეია, რომელსაც დღესაც არ გვაკლებს. ვიმედოვნებთ, რომ დასახელებული საზოგადოების საქმეებს განაგებს სიმართლით და იზრუნებს იმ გვარად, რომ სალსა

\*) ეს ფრიად საყურადღებო და შემდეგი 14 დოკუმენტი გადმოსცა „მოამბის“ რედაქციას ტოპოგრაფიის კაპიტანმა იბრაჰიმ-პაშა-ალა ოღლი ვეჟილოვმა, რომლის წინაპარნი არიან აქ მოხსენებულინი. ბრძანებანი დაწერილია თათრულად და თარგმნილი რუსულად. ქართულად გადმოღებულია რუსულიდან. ა. ყ—ძე.

\*\*) სალალლი, ანუ სალალუ. ყაზახის მარაშია (განჯის გუბერნია). ამ ჟამად ითვლება სამი სოფელი სალალლუს სახელწოდებით. ზემო სალალლუ—345 კომლი, ქვემო სალალლუ—366 კომლი და დაშ-სალალლუ—287 კომლი. მკვიდრთა რაოდენობა ნაჩვენებია 1886 წ. კომლელად აღწერილობის მიხედვით. ერეკლე და გიორგი XII მეფეთა დროს ყაზახ-ბორჩალო საქართველოს სამეფოს ეკუთვნოდა და მის განუყრელ ნაწილს შეადგენდა. ა. ყ—ძე.

\*\*\*) სიტყვა აღსაკალი თათრულია (აღ—თეთრი და საკალ—წვერი) ამ სახელით იხსენება საპატიო მოხუცებული. იხ. ს. პ. ზელინსკის განმარტებითი ლექსიკონი, გვ. 3. ა. ყ—ძე.

გმაყოფილი და მადლობელი დაწიება მისის გამკეობით. სოფელ სა-  
ლაღლუს საპატრო და დანაწიანი გლესნი მოკალენი აჩიან შეიწე-  
ნარონ და აღიარონ ერთად-ერთ თავიანთ აღსაკალად მსოფლად და-  
სასელებული დიდ-გვაროვანი მამედ-მარიოვი და უწიობა არ გაუწიონ  
მასა. აგრეთვე თავის მოკალეობად უნდა მიიჩნიონ აასრულონ უა-  
რის უთქმელად მისი სიტუვანი და განკარგულეების, გამოწვეული  
ჩვენდა სასარგებლოდ. 18 რიცხვსა თვესა რაბიულ-ეველისა 1162 წ.  
ჰიჯრისა. \*) (ა. ბ.) ბეჭედი საქართველოს მეფე ერეკლესი. ამას-  
თანავე ჩვენი ბრძანება: რადგანც დიდ-გვაროვან საფსან-ბეგს თვა-  
ლის ავადყოფობის გამო აღარ შეუძლიან განაგონ საზოგადოების  
საქმენი, ამისათვის საზოგადოების მოკალა-პატრონობა მიგვიანდვია  
მისი ბიძაშვილისათვის, რომელმაც ამ ბრძანების აღსრულება უნდა  
ჩასთვალს თავის მოკალეობად. (ა. ბ.) ბეჭედი საქართველოს მე-  
ფე ერეკლესი.

## II

## უმაღლესი ბრძანება

სამეფო დღესასწაულ ნავრუსის დასაწყისიდან 1171 წ. \*\*)  
გვიწვალაობები დიდად ღირსეულის მამედ-მარიოვი-აღა-ქოსალუსთვის,  
ერთგულობისა და პირადი ღირსებისა გამო, სალაღლუს აღსაკალო-  
ბა, რათა სიმართლით და უნგაროდ განაგებდეს საზოგადოების  
საქმეებსა, მიდგომით არ იკრიბებოდეს სარჯი და რათა ძლიერ  
არ დასჩაგრონ და არ შეაწუსონ სუსტნი და უძლურნი. მართვა-  
გამკეობა საზოგადოებისა ისეთი უნდა იყოს, რომ ხალხი მშვიდო-  
ბითა და წყნარად სცნოვრობდეს და კეთილდღეობას აღწევდეს.  
ამასთანავე სალაღლუს საპატრო კაცნი და სხვანი მოკალენი აჩიან

\*) რაბიულ-ეველი მკათათვის თვეა. 1162 წელიწადი ჰიჯრისა  
ჟღერის 1748 წ. ქრისტეს დაბადებიდან. ა. ყ—ძე.

\*\*) 1757 წ. 2 სექტემბერი. მაჰმადიანთა ახალწელიწადი—ნავრუ-  
ზობა შემოდგომაზე იწყება. ა. ყ.



იცნონ და შეიწყნარონ აღსაკაღად მამედ-შარიფ-აღა, დაემორჩილ-  
ნენ ყოველ მის განკარგულებას და ბრძანებას, ჩვენდა სასარგებ-  
ლოდ გამოწვეულთ და გულში ან გაიტარონ უჩირობა. მოკალენი  
არის აგრეთვე მიიხნაონ თავიანთ მოკალეობად და აღსარულნი მი-  
სი ბრძანება და განკარგულება, გამოწვეული ჩვენდა სასარგებლოდ.  
1171 წ. (1757 წ.) (ა. ბ.) ბეჭედი საქართველოს მეფე ერეკლესი.

## III

## უმაღლესი ბრძანება

ამით ეუწყოს სოფელ სალაღლუს საზოგადოების საპატრიო-  
კატთა და მკვიდრთა, რომ ამ უმად ჩვენ, გამოვიძიეთ რა ორთავე  
მხარეს საჩივარი, თანხმად მათის თხოვნისა და სურვილისა, გა-  
დაწვეუიტეთ ასე: სიბერისა, მოსურვებულობისა და სრულად დაგრ-  
დომილებისა გამო, მამედ-შარიფ აღა აღარ უნდა ერეოდეს სოფელ  
სალაღლუს საქმეებში. რადგან ჩვენი უმაღლესი კეთილგანწყობილე-  
ბა ეკეთვნის ფანას-აღას კეთილშობილ და პატრივტემულ კვარსა  
ამისათვის მას მაკანისკით მათე თვის სიჩიან-იღას 1181 წ. (მაჭ-  
მადიანთა წელთა აღრიცხვა) \*) შირველ რიცხვიდან წოდება სოფელ,  
სალაღლუს საპატრიო მამასახლისისა (აღსაკაღა) და აღასა (თავადი)  
იმ შირობით, რომ ფანას-აღა განაკუბდეს სოფელ სალაღლუს საქ-  
მეებს პატრიოსნებით და კანთ-მოყვარეობითა, იფარავდეს და პატ-  
რონობდეს მდიდანსა და ღარიბსა, ძლიერსა და სუსტსა, მოზრ-  
დილსა და მცირეწლოვანსა და უვლიდეს სოფელ სალაღლუს დიდის  
პატრიოსნებითა და სიამართლითა. ყოველნაირი ხარჯი და გადასახადი,  
მთავრობისაგან განწესებული და შემოდებულა, უნდა გასწეროს და  
განწილდეს ქვეშევრდომთა შორის ერთ ყალბზე და იმის მიხედ-  
ვით, ვის რა ქონება და შემდება აქვს, ან რა ხაირი აღაგი უჭი-  
რავს საზოგადოებაში, რათა ყველანი, დიდი და პატარა, კმაყოფი-  
ლა იყვნენ მთავრობის ბრძნული გამკეობით. თვით საზოგადოება

\*) ქრისტიანულ წელთა აღრიცხვის 1767 წ. მაისის 17-ს ა. ყ.

მოკლეს ჰატივი სტეს და უეკარდეს ზემოდ მოხსენებული ფანხ-  
 აღა, იწინოს იგი სრულად უფლებით აღჭურვილ და დამოუკიდებელ  
 თავის სხვათა მიმასხლისად (აღსაკალი) და დაემორჩილეს უა-  
 კელ მის ბრძანებას და მოთხოვნილებას, რომელიც კი ეთანხმება  
 მთავრობის განზრახვას და მოთხოვნილებას. უკეთუ ამ საგნის  
 შესახებ ორთავე მხარის აზრს სხვა-და-სხვაობა დაუტყობა, ასეთი  
 სხვა-და-სხვაობა და უთანხმოება სასტიკი სასჯელით კათავდება.  
 სოფელ სალადლუს საზოგადოების სახატიო კარტა და მკვიდრთ-  
 ამით ებრძანებათ: არ გაიდოთ არავითარი განდასასხადი და სახელ-  
 მწიფო ბეკარს ზემოდ დასახლებული სახატიო მიმასხლისის ფა-  
 ნხ-აღის დაუკითხავად და იმის ზირისპირ დაუსწრებლად. ბრძანება-  
 ესე აღსრულებულ უნდა იქმნეს დაუყოვნებლივ და სიტყვის შეუბ-  
 რუნებლივ. დაიწერა ზილ-ჭიჯის 17-სა, წელსა 1181. (1767 წ.  
 მისის 17-სა) (ა. ბ.) ბეჭედი საქართველოს მეფე ერეკლესი.

17

### უმაღლესი ბრძანება

საყოველთაოდ ცნობილია, რომ, უმაღლესის ჩვენის ნებითა  
 და სურვილითა, ყველას, ვინც კი გულწრფელად გემსასხურებოდა,  
 მუდამ ერთგული ჯ მორჩილი ყმა იყო ჩვენი, ვინც კი თავისა სი-  
 ცოცხლეს ატარებდა დაუღალავ შრომაში ჩვენის მართვა-გამგეო-  
 ბის საკეთილდღეოდ, ენიჭებოდა ჩვენგან წყალობა და სიუხვე და  
 ამით განირჩეოდა იგი სხვათაგან. ასეთი ერთგული, ჰატიოსანი და  
 ჩვენთვის თავდადებული ყმა სალახლოელი ფანხ-აღა ქოსა-ოღლი,  
 რომელიც გემსიმხურებს რა სიყრმიდან დეკემბერამდე, იხნდა უა-  
 კელ თავის სჯილეს და საქმეში სიმართლეს, გულწრფელობას  
 და სრულად მორჩილებას. ამის გამო სამეგობროდ ზემოდ დასახე-  
 ლებული ფანხ-აღის ჰატიოსანის შრომისა, უმწიველო ღვაწლისა  
 და სამსახურისა, ჩვენმა კეთილშობილმა გულმა—წყალობისა და  
 სიუხვის დაუშრეტელმა წყარომ—გამოიჩინა ფანხ-აღისადმი თავისი  
 თავაზიანობა და წყალობა იმითი, რომ უბოძა დიდი გვარის ჩამო-

მაგალ ფანახ-აღას წოდება ესახას მაგალის ვეკლა შროვინციების ვეჭაღის \*) წოდება. დაჯინიშნეთ რა ვეჭაღად, ჩვენ დარწმუნებულა ვართ, რომ ფანახ-აღა უოკელ თავის საქმესა და განზრახულებაში მოაქვეყნა შატაოსნებითა და სამართლით და რაც სანა გავა უფრო მეტს მეცადინეობას და გამოცდილებას გამოიჩინს მანდობილ თანამდებობის აღსრულებაში, რათაც დაიმსახუროს ქვეყნის განათლებული მბრძანებელის უმაღლეს უფრადლებას. ფანახ-აღა მოკალა განსაკუთრებით ეცადოს დამყაროს მაგალში წეს-რიგი და მეუდროება, შეჭკრიფოს სსვა და სსვა მხარეს გაბნეული გლეხნი და მიადოს ღონისძიება მაგალის კეთილად მოწუობისათვის. გლეხ-გაწობას და დანარჩენ მის ხელ-ქვეითებს უნდა მოეპყრას ღმობიერად, აღაღარებთან, მეღაქმებთან და სხვათა კაცებთან იქონიოს კეთილი განწყობილება, ასე რომ როგორც სხვათა კაცნი, აგრეთვე გლეხ-კაცობა, დიდი და შატარა, ვეკლა კმაყოფილნი იყვნენ მისით და მისი მართვა-გამგეობით. ხარჯი და ჩვენთვის გადაღებული გადასახადი უნდა აიკრათოს სისწორით და სიმართლით; ამისთანავე დარბნი არ უნდა იყვნენ შეწუხებულნი; სუსტსა და ქონებით შეუძლოს უნდა მოეჭინენ ღმობიერად და არ დაახაგვრინოს ძლიერსა. თანხმად ამისა ჩვენ დაფადგინეთ, რომ ესახის მაგალების აღაღარებმა, მეღაქმთა, მამასახლისებმა და გლეხ-კაცობამ იცნონ და შეაწყნარონ დიდგვაროვანი ფანახ-აღა სრულად უფლებით შემოსილ ჩვენს ვეჭაღად, აასრულონ სისწორით ვეკლა მისი დარიგება, რჩევა და ბრძანება, რომელთაც აზრადა აქვს თვით მათი სარგებლობა და ხეიარა, და რომელთაც ხელი უნდა შეეწეოს და დამკვიდროს ამ მხარეში კეთილ-განწყობილება, სამართალი და განონი. სასტიკად უკრძალავთ ვეკლას ჩვენის ვეჭაღის ურჩობას და მის განონიერ მოთხოვნალების აურსრულებლობას. ასეთი ურჩობა შესაფერის სასჯელს გამოაწვევს. დაიწერა თვეს რამაზანს 1188 წ. (1774 წ.) (ა. ბ.) ბეჭედი საქართველოს მეფე ერეკლესი.

\*) ვეჭილი—რწმუნებული, ადვოკატი, ელჩი; მაგალი—ოლქი. ორივე სიტყვა თათრულია. იხ. ზელინსკის ლექსიკონი, გვ. 16 და 46. ა. ყ.

v

## უმაღლესი ბრძანება

მივიღეთ რა მხედველობაში დიკრუელი და დიდად სასარგებლო ღვაწლი და სამსახური დიდგვაროვანის და გულწრფელად ჩვენის ერთგულის საღასრულის თანახმა ქლას-ოღლისა, ჩვენ, ჩვენი-საკე უსამღვრო სიუხვისა და წყალობისა გამო, კუბოძეთ ზემოდ მოხსენებულ თანახმა ამ ჭკმედიელ-კველის რიცხვიდან 1199 წელსა (მაჰმადიანთა წელთა აღრიცხვა=უდრის ქრისტიანულს 1784 წ. თვესა ნოემბერსა) უზახის კეჭილობა სრულიად უზახის მაგალითსა. გამოვიჩნეთ რა მისდამი ასეთს წყალობას, სრული იმედი გვაქვს, რომ თანახმა ახსრულებს თავისს მოკალეობას ზატოასნად და უანგაროდ, და მოხურობა მეზობლებსა და გლეხ-კაცობას ღმობიერად და შეწყალებით, ასე რომ ყველანი კმაყოფილნი დარჩებიან მის მართვა-გამგებობით და მოხურობით. კიმედოვნებო, რომ, რაც ხანი გავა, მით უმეტეს გარკვევდება მისი ერთგულობა და მართვა-გამგებობის საქმეში გამოცდილობა. მაშინ, მოგვხსენდება რა მისი სასარგებლო მოქმედობის ამბავი, დაგშთებით კმაყოფილნი. თანახმა და განსაკუთრებით უნდა ეცადოს კეთილად მოაწიოს თავისი მაგალითი, შექცობოს ერთ საზოგადოებად გაბნეული გლეხ-კაცობა, ყველთგური მოიქნას ცნობაში და დაამყაროს წესი და რიგი და მუდროება. სახელმწიფო გარდასახადის და სხვა სავალდებულო ხარჯის სწორი და ნამდვილი ანგარიში იქნის, არ შეაწიოს მეტის-მეტად გარდასახადით ღარიბნი, მეძვეობა აღმოუჩინოს შეუძლებლთა და ხელ-მოკლეთა და მოვარველობა გაუწიოს ღარიბთა. თვალ-ყური უნდა ექციროს, რომ ძლიერმა ქანება არ წაართვას სუსტსა და ღრნე მინდილსა, და ან სხატრივ როგორმე არ შეაწიოს და დასხატროს. ამასთანავე კუბრძნებთ აღლარებს, მამასხლისებს და გლეხ-კაცობას, რომ თანახმა აღიარონ აღნიშნული მაგალითი და მოგვიდებულ და სრულის უფლებით შემოსილ ჩვენს რწმუნებულ კეჭილად.



## საქართველოს მეფეთა ბრძანებანი

მისი სიტყვანი და ბრძანება, თქმული ჩვენის მთავრობა-მმართველ-  
ბის სასარგებლოდა და საკეთილოდ დაუყოვნებლივ და უარის უთ-  
ქმელად უნდა შესრულდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ურჩინი ღირსეუ-  
ლად დაისჯებიან. დასამტკიცებლად ამისა ებოძა ფანახ-ალას ესე  
ბრძანება. დაიწერა ჭამადიელ-ეკველსა, 1199 წ. ჭიჭრისა (1784 წ.)  
(ა. ბ.) ბეჭედი მეფე ერეკლესი.

### VI

#### უძღლესი ბრძანება

საყოველთაოდ ცნობილია, რომ უძღლესის ჩვენის ნებითა  
ყოველი ჩვენი წინანდელი ყმა, სულითა და გულით ჩვენი ერთგული,  
რომელიც მუდამ მზადაა შემოგვიწიროს სიცოცხლე, ყველაფრის გამ-  
გონება და მოჩინილი, მუდამ ყმის ღირსი გამხდარა უძღლესის ჩვე-  
ნის წყალობისა, რითაც იგი ამაღლებულა, დაწინაურებულა და სხე-  
თაგან გამორჩეულა. ამისთანა ერთგულ და შატოასან ყმათა რიცხვს  
ეკუთვნის სალასლოელი ფანახ ალა-ოღლიცა, რომელიც სიურმიდანგე,  
შეიმოსა რა ერთგულების და უქვეშევრდომილესის სარტყელითა,  
დაუღალავად და შატოასნურად მუშავობდა და იღვწოდა ჩვენს სა-  
სარგებლოდ. სამაგიეროდ ასეთის მისის ერთგულებისა და ხანგრძლ-  
ეობი სამსახურისა გვიწყალობებია მისთვის საშვილიშვილო ხარის-  
ხი ყაზახის კეჭილისა. ხარისხი ესე უნდა შეერჩეს და განგრძე-  
ლდეს საშვილიშვილოდ, გადავიდეს მამადან შვილზე, ვიდრე არ  
აღმოჩნდება, ღმერთმა კი ნუ ჭქნას ესე, რაიმე ღალატი და კერა-  
გობა შესასებ ჩვენის სამეფო სასლისა, ან ურჩობა განზრისა. უკვე-  
თუ ეს არ მოხდება, მშინ დასასჯელბული ხარისხი კეჭილობისა კერ  
ჩამოკრთივებათ კერც ჩვენისა და კერც ჩვენთა შვილთა და ჩვენთა  
შვილის-შვილების უფლებით. რაკი ასეთი წყალობა და ყურადღება  
აღმოკუჩინეთ ფანახ-ალას, იგი მოკალეა შატოასნად და სიძირთლით  
განაგოს მაგალის საქმენი და ეცადოს დანაშაურს მაგალში მშვიდო-  
ბა და მყოფროება. ხალხს უნდა მოეხერხოს თავისიანად და ღმობი-  
რად და ამით გაამართლოს ჩვენი იმედი და დამისახუროს უძღლ-

ლესის ბრძანებულის უურაღდება. ხარჯისა და სხვა გადასახადის აღება-აკრეფაში ფანანს-აღა მოკალეა დაიცვას სისწორე და სიმართლე. უნდა ეცადოს ისე დასკვნებით და ბრძნულად განაგოს საქმენი, რომ საზატიო კაცთა და გლეხ-კაცობამ მადლობა შესწირონ ღმობიერად მოქცევისათვის. ამ ბრძანების ძალით ყაზახის აღსაზრნი, საზატიო კაცნი და გლეხობა მოკალენი არიან მიიღონ და აღიარონ დასასკელებელი ფანანს-აღა დამოუკიდებელ და სრული უფლებით შემოსილ თავიანთ ვეჭაულად საშვილი-შვილად. მისი სიტყვანი, რეკვა-დარიგებანი და ბრძანება, თქმული და მიმართული დასაცვლად ჩვენის კანონისა და გამტეობისა, უნდა აღსრულდეს დაუყოვნებლად და სიტყვის შეუბრუნებლად. სასტიკად აღგვიკრძალავს ურჩობა და აუსრულებლობა ფანანს-აღის სიტყვა-ბრძანებისა; დამნაშავე დაისჯება სასტიკად. დაიწერა თვესა ჟამადი-სანისა, 1199 წ. ჭიჭრისა (1784 წ.) (ა. ბ.) ბეჭედი საქართველოს მეფე კრეკლესი.

VII

უმაღლესი ბრძანება

მივიღეთ რა მხედველობაში უმაღლესი ბრძანება და კეთილგანწყობილება ჩვენი ღირსისა და ფასდაუდებელი აღი-აღისადმი, ჩვენის ვეჭილის დად გარაკანი ფანანს-ბეგის შვილისა, განკაწესეთ იგი აღად (თაკადად) და საზატიო მამასახლისად (აღსაკალად) ბუტიარი ყარაგანლუს საზოგადოებისა. შემოდ მოხსენებელი აღი-აღა, მივა თუ არა დანიშნულ ადგილს, უნდა შეუდგეს თავის მოვალეობის აღსრულებას პატიოსნებით, სიმართლით და უანგაროდ. მოკალეა ხარჯისა და სხვა განწესებულ გადასახადის აკრებაში დაიცვას უმაღლესი ზომიერება და სიმართლე; ხალხს მოკუყრას ისეთის თავაზიანობით, რომ ყველანი ემყოფილნი იყვნენ მისი გამტეობით და შეიყვარონ. ისე უნდა განაგოს მიბარებული საზოგადოება, რომ მთავრობის უმაღლესმა წარმომადგენელმა მიაქციოს უურაღდება მის პატიოსან და გამორდილებით აღსაკვე მოვალეობის აღსრულებას და შეიყვარონ იგი. ამ ბრძანებით ვაკლებთ შემოდ

დასახელებულ საზოგადოების მამასახლისთ და გლეხ-კაცობას მიიღონ და აღვიარონ მოსვენებული აღა (თავადი) თავის აღად (თავადად) და აღსაკაღად და ურჩობა არ გაუწიონ მის სიტყვას და ბრძანებას, რომელიც კი ეთანხმება ბრძანებას ჩვენსასა. დაიწერა თქვას რამაზანსა, 1201 წ. ჭაჭრისა 1786 წ.) (ა. ბ.) ბეჭედი საქართველოს მეფე ერეკლესი.

VIII

უმაღლესი ბრძანება

რადგან წყალობის თაღლით ვუუწებთ დიდი გვარის ჩამომავალს მამედ შარიფ-აღის შვილს, სალანდოელ ფანახ-ბეგსა, უმაღლესად ვბრძანებთ და გვიწყალობებია მისთვის სომხებით დასახლებული სოფელი ყარადაში \*), რათა ფანახ-ბეგი იეკეს მუდმივ და განუტეხელ ჩვენს ერთგულებაში და რათა მომაკაღში უფრო მეტი ერთგულება და მეტადანუება გამოიჩინოს სამსახურში და არ დაარღვიოს შემოდებული კანონების და წესების სამზღვარნი. 1201 წ. ჭაჭრისა (1786 წ.) ადგილი ბეჭდისა. ბეჭედი საქართველოს მეფე ერეკლესი.

IX

უმაღლესი ბრძანება

სიუხვე ჩვენის მონარქიელის წყალობისა გავრცელებულია დიდი გვარის ჩამომავალ და მძალე ხარისხოვან ფანახ-ბეგზე და მირზა-აღი-აღაზე, რომელნიც ერთგული და სამაგალითო სამსახურის გამო ღირსნი არიან ასეთის წყალობისა. ამისათვის ვუბრძობთ რა სოფელ ასლანბეგლუს, \*\*) ინჯასა და მათზედ მიწერილ პატარ-პა-

\*) ყარადაში სოფელია ყაზახის მაზრაში 1886 წ. ითვლებოდა 175 კომლი. ა. ყ.

\*\*) ასლანბეგლუ სოფელია ყაზახის მაზრაში (განჯის გუბერნია). 1886 წ. ითვლებოდა 204 კომლი. ა. ყ.

ტარს სოფლების აღსაკაღობას (საპატო მამასახლისი), დაკავალბო  
 — განგონ ეს სოფელი ღმობიერად, უნგაროდ და ბრძნულად,  
 ეტანონ განგარგონ ხალხის კეთილდღეობა და ამით დამსახურონ  
 ჩვენი უმადლესი ურადღება, რათა ჩვენი წყალობის ღირსნი გახდ-  
 ნენ შემდეგ შიდა. თანახმად ამა ბრძნებისა, მიუწერთ ასლანბეგლუს  
 წარმომადგენელთ და გლეხ-კაცობას, იცნონ დასახელებული დიდგვ-  
 როკანი ფანახ-ბეგი და მიწნა-აღი-აღი თავიანთ აღსაკაღად უოგე-  
 ლიკე უფლებით და უბირატესობით, რაც მთავრობას მიუნიჭებია  
 ამ წოდებისათვის, გაუწიონ მათ სრული მორჩილება და შესრუ-  
 ლონ ყოველი მათი ბრძნება, რომელსაც საგნად აქვს საჩვევლობა  
 უმადლესის ჩვენი მთავრობისა. შახანის თვე 1204 წ. (1789 წ.)  
 (ა. ბ.) ბეჭედი საქართველოს მეფე ერეკლესი.



### უმადლესი ბრძნება

უმადლესის ბრძნებით კაცოდინებთ უმადლთ \*), რომ დიდ-  
 გვაროვან ფანახ-აღას გაგუნიებთ წელიწადში 40 თუმანი ჯამაგირი,  
 რომელიც, თანახმად ამა ბრძნებისა, ყოველ წელი უნდა მიეცეს ფა-  
 ხასის პროვინციის შემოსავლიდან. ამისათვის ზემოდ აღნიშნული  
 ჯამაგირი უნდა ეძლეოდეს დიდგვაროვან ფანახ-ბეგს, რათა იგი არ  
 მოაკლდეს. ამ ბრძნების აღსრულებაში წინააღმდეგობა არ უნდა იყ-  
 ვეს და მისი აღსრულება თავიანთ მოკალეობად უნდა მიიჩნიონ მო-  
 ხელეთ. თვესა რაჭახსა 1212 წ. ჭიჭრისა (1797 წ.) (ა. ბ.) ბე-  
 ჭედი საქართველოს მეფე ერეკლესი.

\*) უმალი პროვინციის გამგებელი, გუბერნატორი, ანუ სახელმწი-  
 ფო ხარჯის ამკრეფი, საზოგადოდ კი მთავრობის მოხელე. ეს აღსნა თვით  
 დოკუმენტის რუსულ თარგმანშია მოქცეული. ა. ყ.



## XI

## უმაღლესი ბრძანება

უმაღლესის ბრძანებით კაცადინებთ მაღალ სარისსოვან კმიკ-  
აღასი \*) იუსუფ-ბეგსა, რომ მიღებისათხანაჲ ამა ბრძანებისა და  
მისის შინაარსის შეგნებისა მოკალეა სოფელ ფიარლუს \*\*) სამ-  
სები, რომელთა სახელები აღნიშნულია ცალკე სიაში, სადაც უნდა  
იუენენ გადასახლებულნი და კისთანაც უნდა იუენენ შესიზნულნი,  
გადმოასახლოს ს. ფიარლუს და ჩაბაროს დიდგვაროვან ფანას-ბეგ-  
სა. ეს ბრძანება უნდა აღსრულდეს ყოვლის მიუდგომლობით. თკე-  
სა ზილ-ქადესა \*\*\*)) 1212 წ. ჭიჭრისა (1797 წ.) (ა. ბ) ბეჭედი  
საქართველოს მეფე გიორგისა და მისი მემკვიდრე დაკითხისა.

\*) ეშიკ-აღასი უმაღლესი კარის კაცის ხარისხია სპარსეთში. ამ მო-  
ხელეს მოვალეობაა წარუდგინოს შაჰსა ყველა ღიღებული, განურჩევლად  
იმიისა, ღიღებული სამხედრო უწყებისაა, თუ სამოქალაქოსი. ეს აღსნაც  
თვით დოკუმენტის რუსულ თარგმანშია მოქცეული. ა. ყ.

\*\*) ესლა ფირილი ჰქვიან. ეს სოფელი ყაზახის მაზრაშია. 1886 წ.  
იყო 104 კომლი. ა. ყ.

\*\*\*)) ამ ქრონოლოგიის გასაგებად უნდა მივიღოთ მხედველობაში  
შემდეგი: მუსულმანთა თვე მთვარისა და შეიცავს 28 დღესა, ამის გამო  
მათი წელიწადი ნაკლებია ჩვენზე და პირველი რიცხვი მათის რომელიმე  
თვისა ერთს წელიწადს რომ შეეთანხმოს ჩვენსას, მეორე წელიწადს აღარ  
შეთანხმება და წინ გაუსწრებს რამდენიმე დღით. ჰიჯრიდან ნანგარიშები  
წელიწადი 1212 დაიწყო 13 თიბათვეს 1797 წელსა და დასრულდა 2  
თიბათვეს 1798 წ. მაშასადამე ჰიჯრის 1212 წელიწადი პირველ შეხედვით  
თუმცა უდრის 1797 წ. როცა გიორგი XII ჯერ არ იყო გამეფებული,  
მაგრამ თუ დავიხსომებთ, რომ 1212 წ. დაიწყო 1797 წ. 13 თიბათვეს  
და გათავდა 2 თიბათვეს 1798 წ., მაშინ ადვილად მივხვდებით ამ ქრო-  
ნოლოგიას. ერეკლე გარდაიცვალა 11 იანვარს 1798 წ., როცა ჯერ კი-  
დეც ჰიჯრის 1212 წ. იყო 2-ს თიბათვემდე. თვე ზილ-ქადე უდრის ჩვე-  
ნებურ თებერვლის და მარტის თვეებსა, რაჯაბი კი ოკტომბერსა და ნოე-  
მბერსა.  
ა. ყ—ძე.

## XII

## უმაღლესი ბრძანება

ვაცოდინებთ დიდგვაროვანს ჩვენს ქვეშევრდომს ფანახ-ბეგ ვე-  
 ქადსა, რომელსაც იმედი უნდა ჰქონდეს მედმაჟი ჩვენი სიუხვისა,  
 რომ ამ დღიდან მოვიღეთ მასკედ წყალობა და ვუბრძანებთ იუოს იგი  
 წინამძღოლად და გამგებულად ქარაჯებისა, \*) რომელნიც გაკლენ  
 ჩვენის ქვეყნიდან, ან გაივლიან ჩვენს სამთავრობო სივრცეს, ან და გი-  
 დეკ სხვა უცხო ქვეყნიდან ჩვენსას მოკლენ. თანახმად ბოძებულის  
 ბრძანებისა განაკებდე სამართლით ჩაბარებულ საქესა. ქარაჯების  
 წინამძღოლთა და გზის მასკეებელთა აჩხეკასა და დანიშნას, ოდეს  
 ქარაჯება გამოვივლიან ჩვენს სამთავრობო სივრცეს, თქვენ მოგანდობთ იმ  
 შირობით, რომ ქარაჯის შეკლვას მშვიდობით მოსკლას დანიშნულს  
 ადგილსა. ამ ბრძანების უკუგებად აღსრულებას მხოლოდ თქვენ  
 განდობთ და აჩაგის უფლება არა აქვს სული შეკავშირის და თქვენს

\*) ძველად საქართველოში, შიშინაობის გამო, ქარაჯანის წინამძ-  
 ლოს, ანუ ქარაჯან-ბაშს, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ყოველთვის  
 საიმედო კაცი ინიშნებოდა ამ თანამდებობაზე. მარილის მოსატანად, მა-  
 გალითებრ, ყულუიდან, ან ყაგიზმანიდან მთელი ქარაჯანი შესდგებოდა  
 ხოლმე, რომელსაც მეფე ერეკლე და ჰუმდევ გიორგი XII განსაკუთრე-  
 ბულ ქარაჯან-ბაშს უნიშნავდნენ. ქარაჯანი მიდიოდა საქართველოდან პირ-  
 ველ თიბათვეს. იასაულები წინადვე შეატყობინებდნენ ხოლმე ხალხსა,  
 დრო ქარაჯანის დაძვრისა მოახლოვდა და წასასვლელად მოემზადნითო.  
 ურმების შესაკრებად რომელიმე ერთი ადგილი ინიშნებოდა. 1806 წ. ასეთ  
 ადგილად იყო არჩეული ს. ქვეში ბორჩალოს მაზრაში. ამ წელს ქარაჯანს  
 გაუძღვა მელიქი აბოვი, რომელიც ქარაჯან-ბაშად მეფე გიორგის დროსაც  
 ყოფილა. დასავლეთ საქართველოს—გურისს, სამეგრელოს, იმერეთს და  
 აფხაზეთს მარილი მოსდიოდა ყირიმიდან. ამ სხოლოში მოყვანილი ცნო-  
 ბანი ჩვენ ამოვიღეთ კავკასიის ისტორიის ღრმად მკოდნეს წერილიდან.  
 წერილები იბეჭდება პსევდონიმით „Тифлисский старожиль“.

განკარგულებაში გაერიოს. თუქსა შანსა 1212 წ. ჰიჯრისა (1798 წ.) (ა. ბ.) ბეჭედი საქართველოს მეფე გიორგისა და მისი მემკვიდრე დაკითისა.

## XIII

## უმაღლესი ბრძანება

ვინაიდან, დაიწყო თუ არა სამსახური ვაზნის მსგავსი სახელკანის ჩქვილის, მალაღ ხარისხკანის ფანახ-ბეგის შვილმა, დიდგვარკანმა და ბრწყინვალე ალი-ალა, გამომინა სიმხვეუე, ქველბა და გონიერება მართვა-გამგებებაში, გამომინა აგრეთვე ჩვენს ერთგულება და თავის შეწირვა, რომელიც ჩვენ თვითონ, მომეტებულ ნაწილად, ჩვენს თავსთან ვნახეთ. ამისთვის კეთილ ვინებთ გავცეთ ბრძანება და გაკახდნიეროთ იგი სოფელ ფერილუს თავადობისა და დიდებულობის ბოძებითა, რათა ჭეშმარიტად და გზის გადუხრეულად ასრულებდეს თავისს თავადურს მოვალეობას. ასეთის წყალობის გამო, ალი-ალა მოკალა დღითი-დღე, როგორც წესი და რიგი მოითხოვს, გამომინა ერთგულება და მზად იუგეს თავი შესწიროს სამეფო ტახტსა ჩვენსა და განუწევებდეს დიდობდეს დამუხრეს ქვეშევრდომთა შორის მშვიდობა და მუდროება, დამსახურეს ასეთის მოქმედებით ჩვენი მადლობა და მოუტახლოს სარგებლობა მთავრობისა. მოკალა აგრეთვე ალი-ალა, რომ არ შეავიწროვოს და არ დასჩავროს უდანაშაულონი, რათა ილოცონ ჩვენს დღეგრძელობისათვის და მთავრობის საუკუნოდ არსებობისათვის. თუქსა ვამადუელ-ურხისა 1213 წ. ჰიჯრისა (1798 წ. სექტ. დასასრული და ოქტომბრის დასაწყისი). (ა. ბ.) ბეჭედი საქართველოს მეფე გიორგისა და მემკვიდრე დაკითისა.

ამით ვუბრძანებთ ყველას, დიდსა და მცირსა, ვინც კი სოფელ ფერილუს სარგავდობებაში ითვლება, რომ როგორც ამ უმაღლეს ბრძანებაშია ნათქვამი, მიიღონ და შეიწყნარონ მალაღ ხარისხკანნი ალი-ალა თავიანთ დამოუკიდებელ თავადად და სრულად უფლებით შემოსილ დიდებულად. ჩასთავალონ აგრეთვე თავიანთ მოვა-

ლეობად უკუ არ აგდონ მისი ბრძანება და განკარგულება, რომელსაც საგნადა აქვს მთავრობისა და შიდადად ჩვენი სარგებლობა. თვესა ჟამადეულ-უხრისა, 1213 წ. ჰიჭრისა (1798 წ.) (ა. ბ.) ბეჭედი საქართველოს მეფე გიორგისა და მეძვეადრე დავითისა.

## XIV

## უმაღლესი ბრძანება

ამით ეუწეება დიდგვაროვანს, მაღლა აყვანილს და დარსეულს ფანახ-ბეგსა, ჩვენს კეჭილსა, რომ ამ უამად, თანახმად მოლლა-მამუდის საქმის განმარტებისა და თქვენისავე მოხსენებისა, ჩვენ გინადებთ სრულ ჩვენს სიყვარულსა და ნდობას, რომელიც მუდმივი და შეუწყვეტელი იყო. ნდობა და სიყვარული ესე მტკიცდებოდა მითი, რომ თქვენ უოკელთვის შორს იუვაით ურუ, შირთვრა და ღრგული საქციელისაგან. ასლან ბეგლუსა და ყურუმ-სუში მომხდარი ამბავი შედეგია შეცდომით ჩვენამდის მოღწეულის ხმებისა, ჩვენ კი ეჭვის თვალთ შეკსედეთ ასლან-ბეგლუსა და ყურუმ-სუში მომხდარ-ამბავსა. შორს, ძალთან შორსაა ჩვენგან ის აზრი, ვითომც კფაქრობდეთ, რომ შეცდომას და უსწორობას შექმლოს, თქვენ გამოუკითხველად, დაგვაიწუებინოს ძველადგანვე ერთგული სამსახური იმ ოჯახისა და გვარეულობისა, რომელიც კმსახურებოდა ჩვენს სამეფოსასლსა ერთგულად და რომელიც ერთი გულწრთულ მეგობართაგანია ჩვენი და აზოდეს გული არ შეუცვლია ჩვენზე. განა წარმოსადგენელია, რომ ჩვენ შეურაცხება მივაყენოთ და დაკადანოთ ასეთი სასჯელში-ფო მოღვაწე? რაც მოხდა, მოხდა. დასახელებული დიდგვაროვან-ფანახ-ბეგისთვის ჩვენ ხელ-ასლა გავწყალობებთა ზემოდ აღნიშნული ორი სოფლის უფლება-გამტკობა და მაკვნდვია იმისათვის მოიჭრეს ისე, როგორც ჰსურს: თუნდა გაუყოს თავის ძმებსა და ძმისწულებსა, თუნდა მხლელად თვითონ დაიტოვოს და ნურავის წილს ნუ დაუდებს. ერთის სიტყვით, აღნიშნულ დიდგვაროვან ფანახ-ბეგს შეუძლიან, როგორცა ჰსურს, ისე განაგოს ამ ორი სოფლის ბედი. სრული იმისი ნებაა, როგორცა ჰსურს, ისე განაგოს და მოა-

ხმაროს ეს ორი სოფელი. რაც საქირთა, ისე აღსრულდეს ეს ბრძანება. დაწერა ზილ-ჭიჯის თვესა, 1213 წ. (1798 წ.) (ა. ბ.) ბეჭედი საქართველოს მეფე გიორგისა და მისი მემკვიდრე დაკითხისა.

## XV

## უმაღლესი ბრძანება

უმაღლესად ებრძანებად მაღალხარისხიან კარსევან-ბეგ ემიგ-აღასი-ბაშის, რომ რეგორც განსკუნებული ჩემის მშობლის დროს ეძლეოდა დიდგვაროვან კეჭელს ფანანს-ბეგსა ჯამაგირად ორმოცი თავრიზული თუმანი, რაიც შემოწმებულია მთავრობის უმაღლეს წარმომადგენელთაგანაც, აგრეთვე ჩვენს გაუჩინეთ ფანანს-ბეგსა უოფელ-წლივ ზემო აღნიშნული ფული ყაზახის შრომინციის სასარგლო შემოსავლიდან. ამის გამო აღნიშნული საცხოვრებელი უნდა ჩაჰხარდეს ზემოდ დასასვლელად დიდგვაროვან ფანანს-ბეგსა. ამ ბრძანების აღსრულებაში არავითარი დაბრკობება და სიტყვის შებრუნება არ უნდა იყოს და ესე შენს მოვალეობად უნდა მიიღო. თვესა ჟამადი-ულ-ეველსა, 1214 წ. ჭიჯრისა. (1799 წ.) (ა. ბ.) ბეჭედი საქართველოს მეფე გიორგისა და მისი მემკვიდრე დაკითხისა.

ნ. დუბროვინი მოგვითხრობს\*), რომ მეფე ერეკლე თავის საცოცხლის უკანასკნელ უამს აღარ განაგებდა სახელმწიფოთა საქმეებსა. აღა-მადომეტის შემოსევამ და საქართველოს აღსრულებამ დიდა დააღონა და გული მოუკლა შესანიშნავ მეფესა. მწუხარებამ და მოხუცებულობამ თავისი დადი დაასვა ერეკლეს და, რაღა საკვირველია, თუ ხელიდან გაუსვლელა სამეფოს ბუდის ჩარხი. ამითი ისარგებლა მხნე და პატივ მოუკარე დედოფალმა დარამ და სამეფოს საქმეები სკლთ ჩაიგდო. იმის წყალობით ბატონიშვილი გიორგი,

\*) იხ. Георгій XII, послѣдній царь Грузіи и присоединеніе ея къ Россіи. С.-П.-Б. 1897 г.

მემკვიდრე ტასტისა, თელავიდან გახმევეს ქ. ტფილისს, ვითომდა მის აღსადგენად, რომ ერეკლეს გარდაცვალების დროს გიორგი თელავში არ ყოფილიყო. გიორგი დიდ ხანს არ დარჩენილა ტფილისს და გაემართა უზახს იქაურ აღაღარებთან, სოფელ სალა-ოღლის. ცხადია, რომ დუბროვინის სალა-ოღლი დოკუმენტებში მოხსენებული სალაღლი, ანუ სალახლუ არის. ბატონიშვილი გიორგი სალახლუში ბრძანდებოდა, ერეკლე მეფის გარდაცვალების ამბავი რომ შეატყობინეს. ბატონიშვილმა მოითხოვა ჯვარი და სახარება და დაიბარა საჩისხოვანი მოხელენი, რომელნიც თან ახლდნენ. ესენი გამოცხადდნენ. ყველას სასეზე შეკრთომის ეტუბოდა და არ იცოდნენ, რა ექმნათ. შეკრებილთა განიერ წრეს გარს ერტყნენ შეიარაღებული აღაღარნი.

ჩემი მშობელი გარდაიცვალა, სთქვა ბატონიშვილმა. მე მისი პირმშო ვარ — მემკვიდრე ტასტისა. ვისაც ქსურს, შემომთვიცოს ერთგულობა, ვისაც არა, თავისუფალია: ვინც უნდა, ის აიწიოს მეფედ. გიორგის მოწინააღმდეგეთ და მომხრეებმა ერთმანეთს შესედეს, მერმე გადასედეს შეიარაღებულ აღაღარებს და ფიცი მიიღეს. პირველად ერთგულობა შეჭვიცა თ. ივანე იუსხან-ბატონმა. სალა-ოღლში ფიცის შემდეგ მეფედ აღიარეს გიორგი ბორჩხალაელებმა.

ამ გარად უზახს-ბორჩხალას აღაღარების ერთგულობამ და სიყვარულმა სამეფო ტასტი უშოვა გიორგის, იუღონი ვი და თვით დედოფალი დარია ხელცნარიელი დარჩნენ, თუმიც ძლიერი მომხრეები ქყავდათ.

აი სწორედ საქართველოს ისტორიის ამ ხანას მეტის-მეტად ცხადდა ქეფის დღეს დაბეჭდილი თსუთმეტი დოკუმენტი ექვლიანთ გვარისა. უზახს-ბორჩხალას აღაღარების ერთგულება ჩვენის სამეფო გვარისადმი განთქმული იყო ძველად. ასე გასინჯეთ ერთგულებას და სიყვარულს იჩენდნენ ხოლმე მეფის დაახლოებულ მოხელეთა მიმართაც. ელჩი გარსევან ჭავჭავაძე რომ დაბრუნდა რუსეთიდან, 300 აღაღარი მიუგება დარიალის ხეობაში. დღესაც ბევრს მათგანს თავი იმითი მოაქვს, რომ საქართველოს მეფეთაგან ბევრი წყალობა გვინახავსო. ან ვი როგორ არ იამყონ და სიამოვნებით არ გაიხსენონ წარსული, როდესაც სასულხოვანი მეფე ერეკლე და

### საქართველოს მეფეთა ბრძანებანი

მისი შემკვიდრენიც ასეთის მწერუნელობით ქმტრონობდნენ მათს ქვეყანას, როგორც ეს სჩანს დაბეჭდილი დოკუმენტებიდან. ყველაზე მოძეტბეულად თვალსაჩინო ისაა, რომ საქართველოს მეფენი ავალბენ თავიანთ მოხელეებს სიმართლით მოაქცნით, ღარიბ-ღატაკი არ შეაწუხეთ გადსასხადითო, დიდსა და მატარას ღმობიერად მოეპყროთო და სხვა. ყველამ იცის, რა უბედური დრო იყო ჩვენთვის მეთვრამეტე საუგუნე. ძაღმობრობა, სისასტიკე, ზოროტება, ძარცვა-გლეჯა, დაწოკება და ახსრება ქვეყნისა შეადგენდა დღიურ კარამს და აი სწორედ ამისთანა დროს მეფე ერეკლეს ბრძანება განუწვეტილივ ჭდალადებს კაცთმოყვარეობას, ღმობიერობას, ჩაგრულთა დახმარებას, ხარჯ-ბეგარაში თანასწორობას, სამსაჯულოში სიმართლეს და მატარას, სწორედ იმას, რისთვისაც თავებს ისეთქადნენ საფრანგეთის ენციკლოპედისტები და რევოლიუციონერები. უფურადღებოდ ნურც იმას დაკსოკებთ, რომ ბრძანება იგზავნება განაზირა ქვეყანას, საცა მოსახლეობენ მხოლოდ თათარნი და სომეხნი. როგორც სჩანს ჩვენის დოკუმენტებიდან, საქართველოს მეფენი თავიანთებს არ არჩეოდნენ სხვებიდან და ალბად ავი ამიტომაც ამ სხვებს ასე უფარდათ ჩენი მეფენი.

სამწუხაროდ, ცნობა არა გვაქვს, ვირკულად რა ენაზე დაიწერა დღეს ჩვენ მიერ თარგმნილი დოკუმენტები: ქართულად, თუ თათრულად.

ა. ყ—მე.



## ანდრია მოციქულის და წა ნინოს მოღვაწეობა საქართველოში

წ ა ნ ა ნ \*

არც ნინოს მამას, ძლევა-მოსილ სარდალ ზაბილონს იცნობს ბიზანტიის ისტორია: ვერც სახელს, ვერც ნინოს ცხოვრებაში აღწერილ ბრანჯებთან ბრძოლის მაგვარ შემთხვევას იპოვნით იქ. მ. ბროსეს \*\*) ეგონა, რომ ფრანგებთან კონსტანტინეს შეტაკება (306 წ.), ნინოს ცხოვრების ბრანჯებთან ბრძოლა უნდა იყოს. მართალია, ბრანჯნი ჩვენ ძველ ხელთ-ნაწერებშიაც ფრანგებად იწოდებიან, მაგალითად, სამეცნიერო აკადემ. მუზეუმის ნინოს ცხოვრებაში (№ 39) ნათქვამია: „ნ მს ეს იქმნა გრდგომილებჲ ფანგთჲ, ვდის თვთ მეფისა მიმართ ბრძოლა ჰყვეს“; აგრეთვე ეკკლესიის მუზ. № 131, — ბრანჯნი ფანგნი არიან.“ (იხ. თ. ჟორდანიას ქრონიკები I ტ., გვ. 32, შენ. 66).

მაგრამ ფრანგების სახელის გარდა ეს ორი ბრძოლა არაფრით ემსგავსება ერთი-ერთმანერთს: ჯერ ერთი რომ, არც ამ ბრძოლაში, არც საზოგადოდ ამ დროს ზაბილონი არა სჩანს, მეორეს მხრით, კონსტანტინემ ბრანჯთა მეფეები, არამც თუ არ განთავისუფლა, პირ-იქით ისინი ბიზანტიელ ისტორიკოსთა\*\*\*) სიტყვისამებრ ამფითეატრონში მხეცებთან საბრძოლვე-

\*) იხ. მ. „მოამბე“ № V, 1900 წ.

\*\*) იხ. Hist. de la G. t. I, გვ. 92, II. 3.

\*\*\*) იხ. Le Beau. t. I, გვ. 42.



ლოდ გააყვანინა. ფრანგების გაქრისტიანებაზე ხომ ისტორიაში კრინტიც არაა დაძრული, იმიტომ, რომ ფრანგებმა მხოლოდ მე-V საუკუნის დამლევს მიიღეს ეს სარწმუნოება.\*) ბიზანტიის ისტორიამ, მაშასადამე, არა იცის-რა ნინოს ბიძის შესახებ.

ზემო-ნათქვამის შექდეგ ცხადია უნდა იყოს, რომ ყოველად შეუძლებელია, ეს ცრუ და ანეკდოტური ცნობები ნინოს, ან მის თანამედროვეებისაგან მომდინარეობდეს.

მაგრამ უფრო კი გასაოცარი და საყურადღებო ის არის, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ის მატანე, რომელსაც შატ-ბერდის კრებულში წა ნინოს ცხოვრება ზედ მისდევს, აწას ამბობს ნინოს შთამომავლობისა და აღზრდის შესახებ; უეჭველია, იმიტომ, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს დაწერის დროს ჯერ წა ნინოს მშობლების სახელება ან ვცოდნებოდნათ; თორემ განა შესაძლებელია, რომ ნინოს დედ-მამის ეინაობა და თავ-გადასავალი „მოქცევაჲ“-ს დაწერის დროს ავტორს სცოდნოდეს და არ ჩემბატებინოს. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ნინოს შესახებ ამბობს მხოლოდ: „და იყო... (იხ. სამი ისტ. ზრ. გვ. 14) ტყუე ერთი დედაკაცი შუენიერი, სახელით ნინო, რომლისა საქმეს მისი გამოიძია ელენე დედაოჯალჳან“.

ჩვენი შემატანე მაშასადამე ნინოს „ტყუე“-დ იხსენიებს, ბიზანტიელი ისტორიკოსებიც სწორედ ამავე ამბობენ. აი მაგალითად მე-IV საუკუნის მწერალი როჯანი რას ამბობს ნინოს შესახებ:

Per idem tempus etiam Iberorum gens, quae sub axe Pontico jacet, verbi, Dei foedera et fidem futuri susceperat regni. Sed hujus boni praestitit causam mulier quaedam captiva, quae... cum fidem et sobriam satis ac publicam duceret vitam.. (Rufinus, Hist. Ecc. lib. I, cap. X.)

ამ დროსვე იბერთა ნათესავმა, რომელიც პონტოს იყოფება (მდებარეობს), აღთქმა სიტყვისა ღვთისა და სარწმუნოება მომავალსა სასუფეველისა მიიღო. ამ სიკეთის მიზეზი იყო განსაკუთრებით განძე ტყვე დედაკაცა, რომელიც... სარწმუნოებასთან ერთად ჯეროვან წმიდა და ქალულებრ ცხოვრებას მისდევდა“.

\*) Kürz. Lehrbüch der Kirchengeschichte. b. II, გვ. 12.

ამგვარადვე სიტყვა-სიტყვით მოგვითხრობენ დანარჩენი ბიზანტიელი ისტორიკოსებიც. როგორც სჩანს, მე-IV საუკუნეში ამ ქართველებსაც, რამქონიც სამშობლსაც გაქრისტიანებას დასწრებას, რაგორც მაგ. რუფინის მეგობარმა ბაკურმა, ნინოს ბრწყინვალე ჩამომავლობის შესახებ არა სცოდნათ-რა. ბაკურს რომ სკოდნოდა, რომ წა ნინო შესანიშნავ ბიზანტიელი სარდლის ასულია და იერუსალიმელ პატრიარქის ან მღვდელ-მთავრის დისწული, განა თავის ბიზანტიელ მეგობარს მეტადრე რუფინს არ უამბობდა? ამ გვარი ბრწყინვალე მშობლები იშვიათად თუ ეყოლებოდა ვისმე, — ბიზანტიელი რუფინი კი, უეჭველია, ძიხსენებდა, რამ ქართველთა განმანათლებელი წა ნინო ბიზანტიელი სარდლის ქალი იყო.

სამაგიეროდ რუფინის მიერ ნახმარი „quaedam“ (ვინმე) ცხადად გვიჩვენებს, რომ ვინც უნდა ყოფილიყო ნინო. მაინც ბრწყინვალე და დიდებულ ჩამომავლობისა არ იქნებოდა იგი.

ამას უნდა დაუმატოთ ისიც, რომ მოსე ხორენელის წყაროშიც ნინოს მშობლებისა არა იცის რა:.

*აქინ იმს ანიონ სიონჯ*      {{{ დედაკაცი ვინმე სახელად ნუნე,  
*კნსხრავე სრციე ჴრჩიხისასნეა.*      {{{ წმიდა რიფსიმენათა მეგობართავანი“.

თვით იმავე შეტყობისეულ ნინოს ცხადებაში, რომელიც ასე გულმოდგინეთ გვარწმუნებს, ნინოს მშობლები შესანიშნავი მოღვაწეები იყვნენო, იმავ ცხოვრებაში შეიძლება ნინოს ტყვეობის კვალს შიგანათ, და დაგწმუნდეთ, რამ იქაც წინადა ნინო უბრალო ტყვედ იწადებოდა. „ვითარ იტყვ, ვითარმედ ტყუე ვარი მე“ (გვ. 2) ეუბნებიან მაგალითად სულთმობძვის ნინოს მისი თანამშრომლები, ან კიდევ (ibid „მაუწყე ჩუცნ საქც შენი რაჲსა იტყვ ტყვეობასა, ტყვეთა მხსნელო სანატრელო“... „უფალი იესო ქრისტე“, ასე ლოცულობს მეფე მირიანი, რომელი გურწამ ტყვსა ამის მიერ“. (ibid „მოვიდა ნეტარი ესე დედაკაცი... წმიდა ნინო, პირველ \*) ვითარცა ტყუე, ვითარცა უცხო და ვითარცა მწირი“. ეს

\*) იხ. ჯანაშვილის „ღვთაღვინე“ გვ. 74.

რამდენიმე ადგილიც, საცა შერჩენილი არის ნინოს ტყვეობის შესახები ცნობა, ცოტა არ იყოს. შესწორებულია და აზრი შეცვლილი, როგორც მაგ. „რახსა იტყვ ტყვეობასა ტყუეთა მხსნელო სანატრელო“; მაგრამ სწორედ ნინოს ტყვეობის შესახები ცნობების დაჩრდილვა, ან სრულებით გამოტოვება უფრო გვარწმუნებს, რომ იმ დედანშიც, რომელიც შატბერდისეულ ცხოვრების ავტორს ხელთ ჰქონია, ნინო მხოლოდ უბრალო ტყვედ იყო მოხსენებული.

შატბერდისეულ ცხოვრების ავტორმაც ან მის წყარომ იქნებ სწორედ იმიტომ მოიგონა, ვითომც ნინომ მხოლოდ სიკვდილის წინ აიხსნა ნილაბი და თავისი ვინაობა გამოაუცხადაო ქართველებს, რომ უფრო მეტად დაიჯეროს ქართველმა მკითხველმა ნინოს დღე-მამის და ნათესავობის ბრწყინვალე ისტორია. ქართველ მკითხველს, რომელმაც ნინოს ტყვეობა იცოდა, მხოლოდ თვით ნინოს მიერ მოთხრობილი დაარწმუნებდა, რომ წა მქადაგებელი დიდებულ გვარ ტომობის ჩამომავალი იყო და ტყვეობა მხოლოდ თავდაბლობის გამო იქნა. ამისთვის უნდა შეეთხზა, ჩვენის აზრით, შატბერდისეულ ცხოვრების ავტორს ყალბი და უხეირო წინასიტყვაობა.

ენლა შეიძლება უკანასკნელი დასკვნა გამოვთქვავთ ნინოს ჩამომავლობის, და აღზრდის შესახებ და შემდეგ ნინოს ცხოვრების მეორე ნაწილის განხილვაზე შევუდგეთ.

ვინ უნდა ყოფილიყო ნინო, რა წოდებისა და ეროვნებისა, დაბეჯითებით არ ვიცით; შეიძლება მხოლოდ ითქვას, რომ იგი ისეთ მოღვაწეთა ასული და ნათესავი არ ყოფილა, როგორიც ზაბილონი და იუბენალია. ამის მშობლები იმდენად გამოჩენილები არ ყოფილან, რომ თანამედროვეთაც კი (რუფინი პაკური) ყურადღება არ მიუქცევიათ მათთვის და მათი სახელები არ დახსომებიათ. ნინო იყო ვილაც ტყვე—მხოლოდ ეს იციან რუფინიმ, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-მ და მოსე ხორენელმა,—მხოლოდ მე-VIII—IX საუკუნეში ჩნდება ნინოს

დედ-მამის და დედის ძმის სახელები ცხოვრებაში მაგრამ, როგორც სახელები, ისე ვინაობის დასურათება შეთხზულია.

—

შევუდგეთ ეხლა ნინოს ცხოვრების მეორე ნაწილს.

იმ დროს, როდესაც ნინოს დედა თავის ძმის ბრძანებისამებრ იერუსალიმში გლახაკებს ემსახურებოდა, მისი თორმეტი წლის ქალი იერუსალიმშივე ერთ დღინელ სომეხთან ცხოვრობდა. ქალი რამე წამოიზარდა, ეფენსოთგან მოსულ ელენე დედოფლის სეფე ქალს წაჰყვა, რომ დედოფალს ქრისტეს სარწმუნოება უქადაგოს.

„ოდეს მოვედით\*),—გვიამბობს ნინო,—სახილ მისა მუნ ვპოვეთ დედოფალი ვინმე, მეფეთა ქადაგი, სახელით რიფსიმე, რომელი ელოდა ისრაულისით ნათლის დებასა და ქრისტეს აღსარებისათვის სუროდა. მაშინ მომცა მე კელთა მისთა დედაკამან მან და მივეც მას ნათელი კელთა ქუეშე ჩემსა, მას და ორმეოცსა სულსა მისთანა სახლისა მისისათა და წარვედით სახილ მისა, და ვიყვენით მუნ ორ წელს.“

მაშინ მოხედა უფალმან საბერძნეთსა და ჰრწმენა მეფესა კოსტანტინეს, და ქრისტე აღიარა მან და დედამან მისმან, და ყოველმან პალატმან მათმან, დასაბამითგან წელთა ხუთ ათას ოთხას ორმეოცდა ოთხსა, ხოლო ქრისტეს ამალღებითგან სამას და ათერთმეტსა და წარემართა ყოველი საბერძნეთი ქრისტიანობასა. მეშვიდესა წელსა იყო წმიდაჲ კრებაჲ ნიკეას და მერვესა წელსა იყო სივლტოლაჲ ჩუენი საბერძნეთით, რიფსიმე დედოფალი და გაიანე დედა-მძუძე და ორმეოცდა ათი სული წარმოვემართენით“...

სომხითს რომ მოვიდნენ, რიფსიმე და გაიანე ამხანაგებითურთ წვალებულ იყვნენ, ნინო კი გადარჩა განსაცდელს და საქართველოში ივლტოდა; აქ შევწყვიტოთ მოთხრობა.

ერთხელ რომ გადიკითხოთ ეს ნინოს ცხოვრების ნაწილი, უეჭველ ისტორიულ ფაქტად გეჩვენებათ, თუმცა ამ წერილშიაღ

\*) ახ. ვარ. ნინოს ცხ. გვ. 13.

ბერი რამაა უცნაური და გაუგებარი. ჩვენ არ ვიცით, მაგალითად, რადა სცხოვრობს ნინო დვინელ სომეხ-დედაკაცთან, როცა იმავე იერუსალიმში იყვნენ მისი დედა და ბიძა; თუ ნინოს დედა გლახაკებს ემსახურებოდა, ნუთუ თავის ერთ ქალს ვერ გამოზნდიდა? საკვირველია ეფესელ დედაკაცის და წა ნინოს საქციელიც. ეფესელი დედაკაცი ელენე დედოფლის მხევალია, „მახლობელი განზრახვისა“ დედოფლისა. ნინოც, გაიგო რა ელენეს გაქრისტიანების სურვილი, ეხვეწება თავის აღმზრდელს „წარმავლინე დედოფლისა, ნუ უკუტ მიმიახლოს სიტყვს გებად მის წინაშე ქრისტსათჳს“-ო. (ახ. ვარ. ნინოს ცხ. 12) მკითხველს ჰგონია, რომ წა ნინო და ელენეს მხევალი სასახლეში მოეღონ, მაგრამ მკითხველი სცდება,—დედოფლის მხევალი თურმე სასახლეში არც კი ცხოვრობს, იმას საკუთარი სახლი აქვს, ნინოს თავისთან მიიყვანს, იქ გამოჩნდა დედოფალი, მაგრამ ელენე კი არა, სხვა,—ვინმე ჭადაგი, სახელით რიფსიმე, რომელი ელოდა ისრუსალიმით ნათლის ღებასა და ქრისტს აღსარებისათჳს სუროდა“. (ibid. 13) შატბერდისეულ ცხოვრების დამწერს თითქო სრულებით ვეიწყებდა, რომ ნინო ელენე დედოფლისათვის გამოჰყვა ეფესელ დედაკაცს, და ელენე დედოფლის წინაშე ნინოს ქადაგების შესახებ არას გვეუბნება. ცხოვრებაში თუმცა ნათქვამია—„მოხედა უფალმან საბერძნეთსა და ჰრწმენა მეფესა კონსტანტინეს და ქრისტე აღიარა მან და დედამან მისმან“-ო (ib. გვ. 13), მაგრამ აქ არაფერია მოხსენებული ნინოს ქადაგებრივ მოღვაწეობაზე სამეფო სახლობის წინაშე. ნინოს ცხოვრების ავტორი, ცხადია, უმთავრესს ყურადღებას რიფსიმეს აქცევს, ამის გამო აზრდევინებს დვინელ სომეხს თორმეტი წლის ნინოს, ამიტომ არღვევს მოთხრობის ლოდიკურს მიმდინარეობას და ელენე დედოფლის მაგიერ რიფსიმეზე გვებაასება. ყურადღება მივაქციოთ, მაშასადამე, ჩვენც ნინოს, რიფსიმეს და გაიანეს საბერძნეთით ლტოლვას, და ორ უკანასკნელის სომხეთში მარტვილობას. ამ ნინოს ცხოვრების ნაწილშიც რამდენიმე თარიღია აღნიშნული: „მეშვიდესა წელსა (კონსტანტინეს მოქცევილგან), ნათქვამია ნინოს ცხოვრე-

ბაში, იყო წმიდაჲ კრებაჲ ნიკეას და მერვესა წელსა იყო სივლტოლაჲ ჩენი საბერძნეთით... აქედგანა სჩანს, რომ ნინოს და რიფსიმეს სივლტოლა ნიკეის კრების ერთი წლას შემდეგა ყოფილა.

ნიკეის მსოფლიო კრება 325 წ. იყო, მაშასადამე ნინო და მისი ამხანაგები საბერძნეთით 326 წ. გამოქცეულან. ამ დროს-კი კონსტანტინე მეფე იყო ბიზანტიის მმართველად, ქრისტიანობას უკვე მინიჭებული ჰქონდა თავის-უფლება, მეტადრე მსოფლიო კრების შემდეგ და წა ქალწულების ამ დროს გამოქცევა და ქრისტიანობისათვის დენა სრულებით შეუძლებელია. გრიგოლ სომეხთა განმანათლებელის ცხოვრებაში, რომელშიაც იგივე რიფსიმეს და გაიანეს სომხითად გამოქცევა მოთხრობილი, წა ქალწულები დეოკლეტიანე მეფის დევნას გაუბრძან, იმიტომ რომ დეოკლეტიანეს რიფსიმეს ცოლად შერთვა სურდაო. რამდენად დასაჯერებელია ეს უკანასკნელი მიზეზიც, ამის შესახებ მერე გვექნება ლაპარაკი. ჯერჯერობით კი ცხადი უნდა იყოს, რომ რაკი ნინო და რიფსიმე საბერძნეთით მორბოდნენ, 326 წელზე ცოტა ადრე მაინც უნდა გამოქცეულიყვნენ, იმიტომ რომ ამ დროს საბერძნეთშიც, სომხთშიც ქრისტიანობა გავრცელებული იყო და ქრისტიანობისათვის თრდატ მეფე წა ქალწულებს არ სტანჯავდა.

მაშასადამე, თანაღი 326 სწორე ან არას, და, რასაკვირველია, იგი ანც ნანოს აღნაშნულა იქნება, ანც ნანოს თანამდგაწასა. ეფესელ დედაკაცის და დვინელ სომეხის ამბავი უფრო გვარწმუნებს, რომ ნინოს და რიფსიმეს ამხანაგობა, მათი ერთად სომხითს გამოქცევა, ნინოს სიკედლის შემდეგ უნდა იყოს შეთხზული. ეს უკანასკნელი დასკვნა უფრო მტკიცდება მაშინ, როცა განვიხილავთ რა კავშირი აქვს გრიგოლ განმანათლებელის ცხოვრებას და რიფსიმესა და გაიანეს მარტილობას.

ამ საკითს კი ხანია შევხო გერმანელი მეცნიერი von Gudschmidt \*) და ამტკიცებდა, რომ რიფსიმეს და გაიანეს მარ-

\*) იხ. Zeitschrift d. Deut. Margenländ. Gesell. 31 Bat. 33. 1—60. „Agathangelos“, მეტადრე გვ. 34, 35.



ტვილობა თავდაპირველად ცალკე ცხოვრება იყო და გრიგოლ განმანათლებელის ცხოვრებასთან არავითარი კავშირი ან დამოკიდულობა არა ჰქონდაო. პატივცემულმა მეცნიერმა თავის აზრის დასამტკიცებლად ამ შემთხვევაში ისეთი საბუთები არ მოიყვანა, რომელთა შერყევა ასე თუ ისე არ შეიძლებოდა. ზემო მოყვანილ საკითხის გადაწყვეტის დროს, ჩვენის აზრით, უმთავრესი მნიშვნელობა დეოკლეტთან მეფის ტრდატისადმი გამოგზავნილ წერილისა აქვს, რადგან იქიდან ვიგებთ რისთვის სდევნიან ან დეოკლიტიანე, ან ტრდატი, რიფსიმეს და მის ამხანაგებს, ერთი სიტყვით, ეს წერილი წა ქალწულთა ცხოვრების ორ ნაწილს აერთებს, ბერძნულსა და სომხურს. როცა საქორწილოდ მომზადებულ დეოკლეტთანეს საცოლო რიფსიმე გამოექცა, იმწამსვე დაგზავნა წველგან კაცები, რომ ქალი დაებრუნებინათ და ქორწილი გადაეხადა. დეოკლათთანეს კაცებმა სომხითსაც მოაღწიეს ტრდატ მეფეს იმპერატორის წერილი მიართვეს. ამ წერილში ნათქვამია, რარიგად მოსწონდა დეოკლეტთანეს რიფსიმე და როგორ აპირებდა იგი ქორწილს. ეს წერილი ასე თავდება.

*გზარაყიւրեան զգրնագին  
ինձ ի սոյն այսրէն յգարկես-  
ցես. ապա թէ հանոյ քովսսցի  
քեզ ასտիլ գեղոյ նորայ, այդ-  
րէն առ քեզ պահեսցես, զի ոչ  
ხրբէք գտաւ նման ՚ի ძէջ  
Յունաց աշխարհիս...» (Ա.գաթ.  
გვერდი 99).*

მომხიბლავი ტურფა მე აქ გამომიგზავნე. ხოლო თუ მოგეწონოს (კესიამოვნოს) შენ სილამაზე მისი, მანდ შენთან დაინარჩუნე, — მაგისი მსგავსი არც მოიპოება ოდესმე ჩემს საბერძნეთში.

მეფე ტრდატიც რიფსიმეს მოიწონებს, თავისთვის მოინდომებს ცოლად და ქალწულებს გაცხარებული ამებნინებს.

ეს წერაღი თავიდან ბაქალმდე ეაღბაა, კილოც და შინაარსიც ცხადად ამტკიცებს ამას. განა დასაჯერებელია, რომ მეფემ, რომელსაც ცოლის შერთვა უნდა და საქორწილოდ მომზადებულთა, თავისი გაქცეული საცოლო სხვას დაუთმოს, თანაც შეუთვალოს, „თუ მოგეწონოს, ინებე, მაგისი მსგავსი მთელ საბერძნეთში არ მოიპოვებაო“!.. ნუ თუ დეოკლეტია-



ნემ მხოლოდ იმიტომ შესძრა მთელი თავისი საბრძანებელი, ყველგან მსლებლები დაგზავნა, რომ ვისთვისმე ეთქვა საცოლო გამომეკცა და თუ მოგეწონოს შეირთეო?.. წერილის სიყალბე იმდენად ცხადია, რომ მეტი ლაპარაკი, ჩვენის აზრით საჭირო არ არის. ხოლო რაკი დეოკლეთიანეს წერილის სიყალბე დამტკიცდა, მაშინ რიფსიმეს და გაიანეს მარტვილობის მთლად მოთხრობა ირღვევა, ირღვევა ის, რაც აკავშირებდა რიფსიმეს და გაიანეს სომხეთთან.



ზემო ნათქვამის შემდეგ ჩვენ ასე შეგვიძლიან გავათავოდ ნინოს ცხოვრების მეორე ნაწილის განხილვა:

თავდაზარცულად ნანახს და რიფსიმეს ცხვრებათა შენის ანაგათანა კავშირია ან უნდა ყოფილიყო. შემდეგ რიფსიმეს მარტვილობა ნინოს ცხოვრებაში შეუტანიათ და წაწინო ხან წა ქალწულთა ამხანაგად, ხან განმანათლებლად გაუხდიათ. ჯერჯერობით გადაჭრით არ შეიძლება ითქვას, როდის არის შეტანილი რიფსიმეს და გაიანეს მარტვილობა ნინოს ცხოვრებაში. ძანც ცხადია, რიფსიმეს მარტვილობა უფრო ადრე უნდა იყოს შეტანილი, ვიდრე ნინოს დედამამს და ბიძამს შესახება ცხვრები, იმიტომ რომ ისეთი წაწინახს ცხვრებათა შიბოგება, რომელშიაც ნინოს მშობლებზე ანაგათანა ნათქვამი, რიფსიმეს და ნინოს საბერძნეთი კამოქცევა ვი უკვე შეტანილია იქ, მაგ., „მოქცევა ქართლია“, მოსე ხუნელის წყარო ლ სომხური სვინაქსარი. ამის გარდა. ნინოს ცხვრებათა შეტანილი რიფსიმეს და გაიანეს მარტვილობას უკვე სომხური გავლენა ატყვია. როგორც შატბერდისეულ ცხოვრების პირველი ნაწილი ნინოს ბრწყინვალე ჩამომავლობის დასამტკიცებლად, ამ გვარადვე მეორე ნაწილი უნდა გვიხდეს იმას, თუ როგორ და რა მიზეზის გამო მოვიდა წაწინო საქართველოში.



ნინოს თხრობაზევე მიბმულია თხრობა კვართის მოტანის შესახებ. შატბერდისეულ ცხოვრების ავტორი მოგვიხრობს,



რომ ნინო ხშირად ჰკითხავდა ხოლმე დვინელ სომეხს სხვა-და-სხვა ახალ და ძველ აღთქმის შესანიშნავ ამბებსო, სხვათა შორის უფლის კვართის შესახებაც. დვინელი სომეხიც მოუყვებოდა ლ დაწვრილებით უამბობდა ყველაფერს. მისი საუბარი უფრო სადღესასწაულოდ შეთხზულ ქადაგებას მოაგონებს კაცს, ვიდრე უბრალო მოთხრობას.

ქართულ საისტორიო მწერლობაში სამი სხვა-და-სხვა გვარი თხრობაა კვართის მოტანის შესახებ. ერთი შეტანილია ქართლის ცხოვრებაში (გვ. 107—110), მეორე—სამეცნიერო აკადემიის ხელთნაწერის ნინოს ცხოვრებაში (იხ. Марръ. Хитонъ Господень, გვ. 73—77) და მესამე—შატბერდისეულ წა ნინოს ცხოვრებაში (გვ. 29—36).

პირველ თხრობისამებრ კვართის მომტანი-ელიოზი მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელია; ეს ლონგინოზი უცება ჩნდება, არც იმის ჩამომავლობა, არც ნათესაობა არაა მოხსენებული და კვართის მოტანის შემდეგ ის უცებვე ჰქრება და მთელ მოთხრობაში იმაზე არაფერია ნათქვამი. ლონგინოზის სახელი, რასაკვირველია, განგებ არის დამატებული \*) ამ თხრობაში და შემთხვევლის აზრით უნდა თქმულების სიმართლეს ამტკიცებდეს. მეორე თხრობაში ლონგინოზზე არაფერია ნათქვამი, ის სრულებით არა სჩანს, ავტორი მხოლოდ გვარწმუნებს, სახარებიდანაც მტკიცდება, რომ ელიოზი მცხეთელი ქრისტეს ჯვარცმის დროს იერუსალიმში იყო. „ხოლო ვითარცა ~~მე~~ მიიწია მსლიმს შეკრებული იყო ერი ჰურიათაჲ და დაამტკიცა ჯუარცმაჲ ქრისტესი, ხოლო არსადა ეზიარა განზრახვასა მათსა, არამედ შორს დგა იგი ხილვად მსჯა ვითარცა იგი წერილ არს სახარებასა შინა ვითარმედ იყუნეს ვინმე წარმართთაგანნი, რომელნი აღმოსრულ იყვნეს იერუსალიმად დღესასწაულსა მას. ესენი მოვიდეს ფილიპსსა, რომელი იყო ბედსაიდათ გალილიისათ და ეტყოდეს: „უფალო გუნებავეს იქსა ხილვაჲ“. მოვიდა ფილიპე და ჰქა ანდრეას“. ესენი იყვნეს ელიოზ და მისთანა-

\*) Н. Марръ. Хитонъ Господ. გვ. 78, 79, 80, 81.

ნი წარმართთაგან მოსულნი“. (Хитонъ Господ.) მესამე თბრობის შემთხზავი არც სახარებით ამტკიცებს თქმულების ქეშმარტებას, არც ლონგინოზს ასახელებს ელიოზის თანამოგზაურად. ავტორს სურს მკითხველი დაარწმუნოს, რომ თბრობა სანდო კაცის ხელით დაწერილია (ჩვეულებრივი ხერხი შატბერდისეულ ცხოვრების დამწერისა), რადგან მთბრობელი მღვდელ აბიათარის ასული, სიღონია დედა-კაცი — თვით ელიოზის შთამომავალია. ვნახოთ, მართალია ეს ცნობაც, თუ არა? სიღონიასვე სიტყვით, გვაროვნობის შტო ამნაირად უნდა დაიხატოს:

„მოწერა ანა მღვდელმან მამასა მამისა ჩემისა ოზიასა“... (ახ. ვარ., გვ. 32). ამბობს სიღონია — მაშასადამე

ოზრა — მამა სიღონიას მამისა

აბრათარ — მამა სიღონიასი

სიღონია — „კვართ. მოტ.“-ის ავტორი.

„და წარვიდა აქაჲთ მამის დედის ძმაჲ ჩემი ელიოს, კაცი მოხუცებული და ესუა მას დედაჲ ტომისაგან ელი მღვდელი-სა, და ესუა ერთი მხოლოჲ დაჲ ელიოზს“... (ibid) გვ. 33) ეს ნაწყვეტი საზოგადოდ ძალიან საეჭვოა, — ამ ადგილის დაგვარად: მამა აბიათარისი ოზია +?

აბიათარ, მამა სიღონიასი (ელიოზის დისწული)

სიღონია (ელიოზის მამის დედის ძმა).

მაშასადამე ელიოზის და, იმ ელიოზის, რომელიც ანა მღვდელ-მთავარმა იერუსალიმს მიიწვია იესოს საქმის გარჩევაზე, რომელმაც შემდეგ თქმულებისამებრ კვართი უფლისა მოიტანა საქართველრში, იყო სწორედ სიღონიას ბებია. რასაკვირველია, მას ეცოდინებოდა კვართის ამბავი, თუ ელიოზი მართლაც იერუსალიმში იყო. მაგრამ ბროსესი \*) არ იყოს, სიღონიას (მე-IV საუკ.) ბებუის ძმა, როგორ უნდა დასწრებოდა იესო ქრისტეს ჯვარცმას? განა შესაძლებელია. რომ სამმა თაობამ სამ საუკუნის განმავლობაში იცოცხლოს? ელიოზს შეეძლო მხოლოდ მეორე საუკუნის გასულს ეცხოვრა, ან მესამე საუკუნის დამდეგს. ზემა ნათქვამიდან შეიძლება ორი დასკვნა გამოიყვანოთ: ან

\*) Hist. de la G. t. I, стр. 106, II. 5.

ელეოზი სიღონას ნათესავია, — ძაშინ ის ჯგერცმას გერ და-  
სწრებოდა და რასაკვირველია, გერც კვართს მოატანდა, ან —  
ნათესავია. ამ შემთხვევაში უნდა ნინოს ცხოვრების ავტორს  
დაეკითხოთ, რაგორ მოახერხა დაღვრევილ ელეოზმა სსმა  
დღის განმავლობაში (სამ დღეს მოხდა იესო ქრისტეს შებყ-  
რობა, სამართალი და ჯვარ-ცმა სახარებისამებრ) აერუსსადმი-  
დან წერილის მიღებაც და აერუსსადმი მასგლაც. ელიოზის  
მსწრაფლი მიმოსვლა სწორედ ზღაპრულ გმირის მოგზაურობას  
მოაგონებს კაცს.

ჩვენ მოვიყვანთ ამ თხრობის ერთ ნაწილს, რომელიც  
ავგინსნის იმას, თუ როგორ არის შეთხზული კვართის თქმუ-  
ლება: „ამის ყოვლისა შემდგომად თხრობასა გათხრობ მამა-  
სა ჩემისასა, რამეჟა წიგნთაგან ვიცი კითხვით, და მამისა  
ჩემისაგან თხრობილსა“ (ახ. ვარ. გვ. 31). ეს უხვირო წინადა-  
დება გვიჩვენებს, რომ თხრობა კვართის შესახებ წიგნებიდან  
ამაწერილ და ამონაკითხისაგან არის შედგენილი..



შატერდისეულ წმ ნინოს ცხოვრების მესამე ნაწილი მოგ-  
ვითხრობს იმას, თუ როგორ მკურნალობდა საქართველოში წმ  
მქადაგებელი, და თან ქრისტიანობასაც ავრცელებდა ხალხში,  
შემდეგ როგორ უქადაგა ქრისტეს სარწმუნოება ჯერ ნანა  
დღელოფალს, მერე მირიანსა. მირიანი სასწაულებრივმა შემთ-  
ვევამ მოაქციაო, — გვეუბნება შატერდისეული ცხოვრება. რუ-  
ფინი ამასვე ამბობს; ალბად მზის დაბნელება თვით ქართლის  
მოქცევის თანამედროვეებს სასწაულად ჩაუთვლიათ. მოსე ხო-  
რენელი მზის დაბნელებას სხვანაირად მოგვითხრობს: მირიანმა  
მზის დაბნელების დროს ტრდატის ეშვად ქცევა მოიგონა, შე-  
შინდა, მეც იმასავით არ დამემართოს, და ნინოს ღმერთს შეე-  
ვედრაო (*U. Kirchnagel*. გვ. 254).

რუფინი ეკლესიის აშენების დროს მომხდარ სასწაულსაც  
მოგვითხრობს, მაშასადამე ეს ამბავი ნინოს დროსვე გავრცე-  
ლებული ყოფილა. ქართველებმა რომ ქრისტე იწამეს, ნინოს  
რჩევით მოციქულები გაგზავნეს საბერძნეთში, რომ ეს სასიხა-

რულო ამბავი უმაღლესს სამღვდლოებისათვის შეეტყობინებინათ და მღვდელ-მოდღვარნი ეთხოვათ ახალ სამწყსოსათვის. ამ გარემოებას მ. ხორენელი სულ სხვანაირად მოგვეთხრობს: ის არას ამბობს იმის შესახებ, რომ ქართველებმა მოციქულები საბერძნეთში გაგზავნეს, — საბერძნეთის და კონსტანტინეს მაგიერ კი ხორენელის მოთხრობაში სომხეთი და გრიგოლ განმანათლებელია. გრიგოლს უგზავნის წა ნინო მოციქულებს და ეკითხება, როგორ მოიქცეს შემდეგ. ხორენელი დასძენს, რომ გრიგოლმა მღვდლები საქართველოში არ გაგზავნა ურჩია მხოლოდ, ძელი ცხოვრებისა აღმართეთ და კერები დაამსხერიეთ, მანამ ღმერთი წინამძღვრებს მოგცემთო (*„შინჯღვირ თაყუ შხარს ზიქლ კაოაჯნოიცილქის ზიყა ibid. გვ. 255*). რაკი ხორენელი არას ამბობს იმის შესახებ, თუ საიდან დაენიშნათ ქართველებს სამღვდლოება, და მწყემსები საქართველოში სომხითიდან არ მოუყვანიათ, ამიტომ უნდა გამოვიკვიოთ, რამდენად სამართლიანია ამ შემთხვევაში ცნობა მოციქულების გრიგოლ განმანათლებელთან გაგზავნის შესახებ. რუფინმა და იმის მეგობარ მეფე ბაკურმა არა იციან-რა სომხითში გაგზავნილ მოციქულების შესახებ, ისინი გადაჭრით ამბობენ, რომ მოციქულები საბერძნეთში კონსტანტინე მეფესთან გაგზავნესო. ამ შემთხვევაში რუფინს და ბაკურს, როგორც თანამედროვეებს, რასაკვირველია, უფრო დაეჯერებათ, ეს მოღვაწეები აგრედვე ისეთ დროს ცხოვრობდნენ, როცა ქრისტიანობას ჯერ ეროვნული, ნაციონალური აზრები შეთვისებული არა ჰქონდა, მაშასადამე ჩვენ არ შეგვიძლიან ვიფიქროთ, რომ ბაკურს განგებ, ან განზრახ შეეცვალოს სომხითი საბერძნეთად და გრიგოლი კონსტანტინედ. მოსე ხორენელის მოთხრობილ წა ნინოს ცხოვრებას კი, როგორც პრ. ხალათიანცი ამბობს სომხური ეკლესიის და ეროვნული ტენდენციის გავლენა ატყვია (*„რ. საყაქხანს შ. სიქნაგილ ზიოიციან აუქილნსერქ მასან. ქი სნა, 1898 გვ. 49*).

ბ-ნ ხალათიანცს ჰგონია, რომ ეს ადგილი თვით მოსე ხორენელის შეთხზული უნდა იყოს სომხითის ეკლესიის სასარ-

გებლოდ, მაგრამ ამის თქმა და გადაწყვეტა ჯერჯერობით შეუძლებელია: ქართველ მოციქულთა სომხითში გაგზავნა ნინოს და სიფრიძეს მეგობრობასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული, იმ ვწერალს, რომელმაც იცოდა თქმულება იმის შესახებ, რომ წა ქალწულნი ამხანაგები იყვნენ, ადვილად შეეძლო წარმოედგინა, რომ ნინოს სასიხარულო ამბავი პირველად უნდა შეეტყობინებინა, გრიგოლისათვის, იმ გრიგოლისათვის, რომლის ცხოვრებას და მოღვაწეობას რიფსიმესთან მჭიდროდ კავშირი აქვს. ხოლო როგორ, სად და როდის დაიბადა ეს თქმულება, შეიძლება მხოლოდ მაშინ გამოირკვეს, როცა ქართულ და სომხურ ეკლესიის უძველეს დროის ისტორია კვალ და კვალ შესწავლილი იქნება. არც ის პრ. ხალათიანის აზრი უნდა იყოს სამართლიანი, ვითომც თქმულება ღრუბლის სვეტის, ჯვარი პატიოსნის და თორმეტ ვარსკვლავის შესახებ მ. ხორენელს შეეთხზას (ibid. გვ. 49—50). ძნელი დასაჯერებელია, რომ ისეთი სომხითის ეკლესიის მაქებელ-მადიდებელი, როგორიც ხალათიანის აზრით მოსე ხორენელი იყო, დამჯდარიყოს და ქართულ ეკლესიისათვის თქმულებები შეეთხზას. ჩვენს აზრით მ. მესროპ ტერ-მოსესიანი (*Մեսրոպ Տէր Մովսէսեան. Սոկրատայ Արիաստ. Եկեղեց. Պատմ. Վարչարարական* გვ. 4 II) უფრო სწორედ აღსჯის, როცა ამტკიცებს, რომ მოსე ხორენელს ეს თქმულება ბერძნულ ან ქართულ წყაროებიდან უნდა ჰქონდეს ამოღებული. „შატბერდისეულ წა ნინოს ცხოვრებაში არის კიდევ „სუეტინათლისა“ და „თორმეტი ვარსკულავნი“ (იხ. გვ. 53) და ამაზე მეტიც. ეს თქმულება შესაძლებელია შატბერდისეულ ცხოვრების წინადაც ყოფილიყო.

ესლა ჩვენ დავგვრჩა მხოლოდ მირიან მეფის წერილი, რომელიც არც ერთ ახალ ცნობას არ გვატყობინებს და იმასვე მოგვითხრობს, რასაც სიღონია, სალომე უეარმელი, აბრათარი და იაკობი გვიამბობენ, მხოლოდ მირიანის წერილის ცნობებს უფრო ზღაპრული სახე აქვს და აშკარად გაზვიადება ატყვიან: მაგ. (ახ. ვარ. გვ. 68)... შე(ა)კამნეს შვილნი მათნი მსხვერპ-

ლად კერპთვს საძაგელთა... შვილთა მათთა, ვითარცა თივასა, თიბდეს მამანი ჩუენნი, რათა სათნო იყვენ კერპთა\*, ან კიდევ უცნაური თქმულება იმ ხის შესახებ, რომელიც შემდეგ ჯერად მოჰკვეთეს (იხ. *ibid.* გვ. 69) ეს თქმულება სრულებით არ არის იაკობის წერილში.

ჩვენთვის, რასაკვირველია, ყველა ამ სასწაულებზე უფრო საყურადღებო და საინტერესოა ვიცოდეთ, რა და რა აღგილას იქადაგა წა ნინომ ქრისტიანობა და როგორ ვრცელდებოდა ახალი სარწმუნოება საქართველოში,—მაგრამ შატბერდისეული ცხოვრება უფრო სასწაულთ-მოქმედებით არის არის გართული და დიდმნიშვნელოვან გარემოებათა აღწერა იფიწყებს. ამ კითხვის პასუხს ვერ ველირსებოდით, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს არ შეენახა ჩვენთვის ძვირფასი ცნობები ამ საგნის შესახებ (იხ. ჟორდანიას ქრონიკები წ. I, გვ. 32, 33). ქართლში რომ იქადაგა ნინომ, მთიულეთში დაუწყებია ახალ სარწმუნოების გავრცელება, მაგრამ მათ „განუყარეს თავი“ და ახალი მოძღვრება და ამ მოძღვრების მქადაგებელი უარჰყვესო. სწორედ ასე უნდა მომხდარიყო: ყველგან მთიულები უფრო მისდევნენ ძველებურ, მამაპაპურ ზნეჩვეულებას და რწმენას, ვიდრე ბარის მცხოვრებნი. ეს ცნობა მთიელების შესახებ უძველეს, დაუმახინჯებელ საბუთებიდან უნდა იყოს შერჩენილი, რადგან შემდეგში რომ ეპოვათ, ან შატბერდისეულ ცხოვრებასავით გამოსტოვებდნენ ამ ცნობას, ან შიომღვიმის № 170 ხელთნაწერივით იტყოდნენ „უძნაველესმან ქართველთა ნათესავმან ზარგველვე უკვე ნათელი ილო, რაჟამს იგი პირველ ეპისკოპოზი მოვიდა“-ო\*). ქრისტიანობა კი რომ არც ასე სწრაფად გავრცელებულა, ამას „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ც მოგვითხრობს: მეხუთე საუკუნეშიც კი „მოგვნი მოგუეთას მოგობდეს ცეცხლის მსახურებასა ზედა“\*\*)-ო.

\* ) ჟორდანიას ქრონიკები I, 31, შენ. 64.

\*\* ) *ibid* გვ. 44.

საზოგადოდ ყველა იმ მასალებ შორის, რომელიც ჩვენ ქართულად, სომხურად და ლათინურად ნინოს და საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ გვაქვს საუკეთესოდ უნდა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ცნობები ჩაითვალოს.

წა ნინო გარდაიცვალა სოფელ ბუდს, ანუ ბოდს.

აქ შეიძლება შევიჩეროთ გამოკვლევა და ჩვენ თავს დავეკითხოთ, რა ახალი დასკვნა შეგვიძლიან გამოვიყვანოთ ყველა ამ მასალების შესწავლის შემდეგ, და რა-და-რა ცნობები შეიძლება შევიტანოთ საქართველოს სამეცნიერო საეკლესიო თუ საერო ისტორიაში?

—

მეოთხე საუკუნის დამდეგს საქართველოში ქრისტიანობა იქადაგა ერთმა ტყვემ; ქართველი მატრიანები მას ნინოს უძახიან, სომხური ნუნუს.\*) იმის ჩამომავლობისა და გვარტომობის შესახებ არა ვიცით რა. 337 წ. ახლო ხანებში ქართველობის ერთმა ნაწილმა მეფის სახლობითურთ ქრისტიანობა მიიღო და კონსტანტინე მეფეს ბიზანტიით სამღვდელოების გამოგზავნა სთხოვეს; კონსტანტინემ „ქართველებს თხოვნა აუსრულა, გაუგზავნა რამდენიმე მღვდელი, მღვდელმთავარი, რომელთაც ნათელი სცეს ახალმოქცეულებს. ზოგიერთმა მთიელებმა ახალი სარწმუნოება არ მიიღეს და წინააღმდეგობაც გაუწიეს. ჩვენ არ ვიცით, რადის დაუწერაათ ზარგულად წა ნინოს ცხავრება. ჩვენ ხელთ არა გვაქვს ქართულად არც ერთი ისეთი ნინოს ცხოვრება, რომელიც ნინოს თანამედროვეს თხზულებად შეიძლებაოდეს ჩაითვალოს. ყველა იმ ცხოვრებებს, რომელთაც ჩვენამდის მოუღწევიათ, ვადაკეთება და დამატება ატყვიათ და თქმულების ხასიათი აქვს. უზარგულესად ნინოს ცხავრებასაც თქმულება უნდა დაემატებინათ, რამქედნე ნინოს რაფსიმეს და გაიანეს ამხანაგად ასახელებს და მათ საბერძნეთით სავლტელას მოგვითხრობს (ამგვარია—მოქცევაჲ ქართლისაჲ და მოსე ხორენელის მოთხრ.). რადგან ეს თქმულება

\*) ეთიოპური თეოგნოსტას.

სომხურ და ქართულ ეკლესიების პირვანდელ ერთობას გეიხატავს, შეიძლება იგი ამ ორ ეროვნების სამღვდლოების წრეში იყოს შეთხზული, თუმცა ამ თქმულებაში სომხური ტენდენცია სპარბობს. შემდეგ კიდევ—ნინოს ცხოვრებას დედ-მამის და ნათესაობას ისტორიად დაემატა, რომელიც წა ქალწულის ბრწყინვალე ჩამომავლობის დასამტკიცებლად შეტანილი. პრ. ბოლოტოვი ამტკიცებს\*), რომ ქრისტიანობა საქართველოში ბაკურის დროს გავრცელდა და მირიანს შემდეგ მიაწერეს ისტორიკოსებმაო, — შესაძლებელია—მაგრამ რადგან ამ საკითხის გადასაწყვეტად ცალკე გამოკვლევაა საჭირო, საცა მეფეების გვაროვნობითი შტო და ეხლანდელი ქრონოლოგიური ცნობები (რომელნიც ძალიან საეკვო საფუძველზე არიან დამყარებულნი) გამოკვლეული და განხილული იყოს, ამიტომ ამ საგანს ეხლა თავს ვანებებთ.

ნინოს ცხოვრებამ ერთხელ კიდევ იცვალა ფერი: თანდა-თან ძალაძემ შინაარსის სამართლიანობის დასამტკიცებლად თვით ნინოს და მასა თანამედროვეები გამოსახეს. სახელდობრ ვის უნდა შეეცვალა ამნაირად ნინოს ცხოვრება, ჯერ ამის თქმა არ შეიძლება. აშკარაა მხოლოდ, რომ ეს შატბერდისეულ ცხოვრების დამწერის საქმე არ უნდა იყოს, იმიტომ, რომ, როგორც სჩანს, ბევრი კიდევ სხვა თხზულება ყოფილა, რომელიც ხან ნინოს, ხან მის თანამოდვაწის სახელით იყო დაწერილი, თუმცა კი შატბერდისეულ ცხოვრებაში არ არის შეტანილი, მაგ. ანდერძი ნინოსი, პეროქავრა სივნიელის ნაწერი და ამ აზრის საუცხოვოდ დამამტკიცებელი „ორი ქადაგება წა ნინოსი“) (იხ. ჟორდანიას, ქრონიკები წ. II, გვ. IV), რომელიც მე. X საუკ. ხელთნაწერში აღმოჩნდა. უეჭველია ამნაირი თხზულებები შემდეგშიც აღმოჩნდება.

ამ ცხოვრების შესწავლამ მაშასადამე ერთი კიდევ ფრიად საყურადღებო დასკვნა შეგვიძინა იმის შესახებ, რომ ჩვენშაჯ

\*) Христианское Чтение 1898 г. № 4, гв. 263.

\*) მ. ჯანაშვილმა გამოსცა კიდევ იხ. *Исторія Груз. Церкви* кн. I.



ჟოფილა ის სასულიერო მწერლობის დარგი, რომელსაც ყალბ-სათაურბანია, ანუ ფსევდოპიგრაფიული მწერლობა ეწოდება და რომელიც ყველგან გავრცელებული იყო ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში.

შატბერდისეული წმ. ნინოს ცხოვრებას ეკუთვნის სწორედ ფსევდოპიგრაფიულ მწერლობას.

## II

### ანდრია შინგელწოდებული.

ჩვენ საეკლესიო და საერო ისტორიებში ჯერ ანდრია პირველწოდებულის საქართველოში მიმოსვლაა ხოლმე მოთხრობილი, შემდეგ ნინოს მოღვაწეობა. ჩვენ ამ გზას აუხვიეთ და წმ. ქალწულის ცხოვრების განხილვა დაეიწყეთ, იმიტომ რომ ჩვენთვის საჭირო იყო გვცოდნოდა, როდის არის შედგენილი შატბერდისეული წმ. ნინოს ცხოვრების წინასიტყვაობა ანუ შესავალი. ამ შესავალზე იქნება დამყარებული შემდეგში ერთი ჩვენთვის ფრიად საყურადღებო დასკვნა. ყველა ჩვენი ისტორიკოსები დარწმუნებულნი არიან, რომ წმ. ანდრია პირველწოდებული საქართველოში იყო და ივერიელებს ქრისტეს მოძღვრება უქადაგა; ანდრია მოციქულის ქადაგებამ მოამზადა ქართველები, შეაჩვია და შეაგებინა ქრისტიანობის დიდი მოძღვრება, რომელიც მეოთხე საუკუნეში საკვირველის სისწრაფით გავრცელდაო. „საქართველო მზადდებოდა, ამბობს მაგალითად განსვენებული ისტორიკოსი დ. ბაქრაძე, ქრისტეს სახარების მისაღებად მრავალი ჟამი. იმისი საფუძველი აქ დაიღო მოციქულების დროსვე... წილის ხვდომით ჩვენი პონტი ერგო ანდრია მოციქულს“ (ისტ. საქ. გვ. 107) ამასვე ამბობს მ. ბროსეც\*) და დანარჩენი მკვლევარნი, რომელნიც ამ ორ მცნირთა სიტყვებს იმეორებენ. ჩვენის აზრით საყურადღებოა მხოლოდ

\*) საქართველოს ისტორია გვ. 36, 37, 38, 39.

3. იოსელიანის ცნობა ვითომ „ძველი თქმულება“ ანდრიას საქართ-  
 ველოში ქადაგების შესახებ წა ნინოს დროსვე იცოდნენ ქართ-  
 ველებმა. თუმცა მას არ მოჰყავს ის საბუთი, რომლიდანაც ეს  
 ცნობა ამოულთა, მაგრამ განსვენებულ მეცნიერის ზემო მოყვა-  
 ნილი დასკვნა „ქართლის ცხოვრებაზე“ უნდა იყოს დამყარე-  
 ბული, საცა ნინოს ცხოვრებას ანდრია მოციქულის მიმოსვლა-  
 მიუძღვის. ამ გარემოებიდან, რასაკვირველია, არ შეიძლება ის  
 დასკვნა გამოვიყვანოთ, ვითომც წა ნინოს თანამედროვეებს  
 ანდრიას მიმოსვლის თქმულება სცოდნოდეთ, —სამაგიეროდ ის-  
 ტორიული მოსაზრება, რომელსაც ჩვენ ქვემოთ მოვიყვანთ,  
 შგონი წინააღმდეგს უნდა გვიმტკიცებდეს. შატბერდისეულ წა-  
 ნინოს ცხოვრების შესავალში მოთხრობ-ლია, როგორ ესაუბ-  
 რებოდნენ წა მქადაგებელს მის მოწაფეები. აი რას ეუბნებიან  
 სხვათა შორის, წა ქალწულს მისი თანამოღვაწენი: ...„ესე რა  
 გვისწავიეს შენ მიერ, ვითარმედ ყოფილარინ წინასწარმეტყ-  
 ველნი პირველ მოსლვამდჳ მისა ღუთისა ქუცყანად. და შერგ  
 მოცაქულნი ათარმეტნი და კუხლად სამეცნადათარმეტნი და  
 ჩუწნდა ანაგინ მთავლანს ღმერთმან, განსა შენ“. (ახალი ვა-  
 რიანტი გვ. 2).

ცხადია, ეს წინადადება შეეძლება ან შეეთხზა მსხ-  
 ლად იმას, რამქელმაც ანაფერა ან იცოდა ანდრიას საქართ-  
 ველში მიმოსვლისა და ქადაგების შესახებ. ზემოდ ჩვენ დავ-  
 რწმუნდით, რომ შატბერდისეულ ცხოვრების წინა-სიტყვაობა  
 ყალბია და შემდეგ დამატებული, ამიტომ, რასაკვირველია, ეს  
 ნაწყვეტი გვიჩვენებს მხოლოდ, რომ როცა შატბერდასეული  
 ცხოვრების შესავალი იწერებოდა, ესე იგი V III—IX საუკ-  
 განათლებულ ქართველებს ანდრიას საქართველში მიმოსვლის  
 თქმულება ან სცოდნათ. ჩვენ შეგვიძლიან გავიგოთ, იცოდ-  
 ნენ თუ არა ჩვენმა წინაპრებმა მეცხრე საუკუნემდე ეს თქმუ-  
 ლება?

\*) П. Иоселиани. Краткая История Грузинской Церкви, 1843 г.  
 გვ. 2 შენ. 3.

ბიზანტიელი ისტორიკოსი რუფინა, რომელიც ქართლის მოქცევის შესახებ ქართველთ მეფის ბაკურის ნაამბობს მოგვითხრობს, ანდრეასს საქართველოში მამოხვედრად აწახსამბობს. ბაკურს, რომ შეეტყობინებინა რამე პირველ-წოდებულის მიმოსვლის შესახებ, უეჭველია, რუფინი ყურადღებას მიაქცევდა თავის ისტორიაში შეიტანდა. ბაკური კი ისეთი კაცი იყო, «cui summa erat cura et religionis et veritatis,» და ანდრეაზე რომ თქმულება სცოდნოდა უთუოდ უამბობდა თავის მეგობარ რუფინს.

არც პეტრე მაიომელმა, ქართველ მეფის ძემ, არც მისმა მოწაფემ, პეტრეს ცხოვრების დამწერმა, იციან რამ ანდრეაზე: ამ მაიომელ ეპიკოპოსის ცხოვრებაში მოხსენებულია მხოლოდ საქართველოს მოქცევა მეფე ბაკურის, პეტრეს პაპის დროს, ძნელი დასაჯერებელია, რომ ანდრეაზე საქართველოში თქმულება ყოფილიყო და ეს თქმულება არ სცოდნოდეს პეტრე მაიომელ ეპიკოპოსს. იმისი ცხოვრების ავტორიც, რომ სცოდნოდა, შეიტანდა თავის ნაწერში ამ ამბავს; რასაკვირველია, შეიძლება თქმულება ანდრეაზე იმიტომ არ იყო შეტანილი ცხოვრებაში, რომ მას ცხოვრებასთან პირდაპირი კავშირი და დამოკიდებულება არა აქვს, მაგრამ ამ ზემო მოყვანილ ცხადი ცნობის შემდეგ რომელიც გვიმტკიცებს, რომ ანდრეაზე ჩვენ წინაპრებს არა სცოდნიათ რა შეიძლება ეს პეტრე მაიომელის ცხოვრების ანდრეას მიმოსვლაზე დუმილიც, არ ცოდნად ჩავთვალოთ. მით უფრო, რომ „მოქცევაჲა ქართლისაჲა“-მაც, ჩვენმა უძველესმა საისტორიო ძეგლებმა, ანა იფან-ანა ანდრეას საქართველოში მამოხვედრის და ქადაგების შესახებ. თუ პეტრე მაიომელის ცხოვრების დუმილის ახსნა სხვა მიზეზით შეიძლება, ამ შემთხვევაში, მოქცევაჲ ქართლისაჲ დუმილი მხოლოდ უცოდინარობით უნდა აიხსნას. ეს მართიანე შედგენილია როგორც სხვა მკვლევარნიც ფიქრობენ, მე-VII—VIII საუკ. მაშასადამე მე-IV საუკუნეში (ბაკური-რუფინი), მე-V—VI საუკ. (პეტრე მაიომ.-პეტრეს ცხოვრების ავტორი) მე-VII—VIII და VIII—IX საუკ. ჩვენმა წინაპრებმა ანდ-

რიას მიმოსვლაზე საქართველოში და ქადაგებაზე არა იცოდნენ-რა.

იმ საკითხის გამოძიებას თუ რომელმა მოციქულმა გააერთიანა ქრისტიანობა საქართველოში შეიძლება ჩვენი წინაპრები მაშინ შესდგომოდნენ, როცა ანტიოქიის პატრიარქი ქართულ ეკლესიას თვითმართველობას აძლევდა, — იმიტომ რომ ეკლესიის თვითმართველობისათვის ძველად აუცილებლად საჭირო იყო, რომ იქ ერთ-ერთ ათორმეტ მოციქულთაგანს დაემყარებინა ქრისტიანობა. მაგრამ იმ დროს, როცა ქართველობამ ეკლესიის თვითმართველობა მიიღო, ქრისტიანები საზოგადოდ ისეთ მდგომარეობაში იყვნენ, რომ დოღმატიურ და სქოლასტიურ პაექრობისათვის არ ეცალათ. მაჰმადიანებით გარეშემორტყმულნი, უცხო თესლთ ბატონობის ქვეშე, ქრისტიანები მხოლოდ ირისათვის უნდა ცდილიყვნენ, რომ თავიანთი მოყვასები, ერთ მორწმუნენი მაჰმადიანთა საბრძოლველად გაემხნევიებინათ და ზურგი გაემაგრებინათ მათთვის. ამისათვის კი სხვათა შორის უმაღლეს საკუთარი სასულიერო მთავრობის ყოლა იყო საჭირო, რომ მათ თავიანთ მაგალითით და მხნეობით სამწყსო გაემაგრებინათ. ამ გვარი უმაღლესი სასულიერო მთავრობის მზრუნველობა მაშინ აკლდა ქართველობას, იმიტომ რომ ქართველი მღვდელთ-მოძღვარნი ანტიოქიაში უნდა ყოფილიყვნენ ხელდასხმულნი; ანტიოქიაში კი ამ დროს უწყესობა სუფევდა, პატრიარქი არ იყო (611—659; 682—683 წ.წ.) მიმოსვლაც ძალიან საშიში იქნებოდა რასაკვირველია. აი რას ამბობს ამის შესახებ მემატიანე მიხეილ ბრეკი\*) თავის ანტიოქის პატრიარქთან უსხაში: „თეოფილაკტე ედესელი... († 751) მის (პატრიარქობამდის საქართველოში ანუ იბერიაში იმ დროიდან დაწყებული, როცა ქართველებმა ქრისტე იწამეს... ისეთი ჩვეულება იყო, რომ ერთ რომელიმე ეპისკოპოსის სიკვდილის შემდეგ მის მოადგილედ ამორჩეულ ი ანტიოქიაში ხელდასხმისათვის მიდიოდა. თეო-

\*) см. Порфирій. Востокъ Христ. Сирія гл. 54.

ფილაკტე პატრიარქის დროსაც ქართველებმა 12 ხუცესი გაგზავნეს... რომ ხელდასხმულნი უკან დაბრუნებულნი იყვნენ. მაგრამ გზაზე სარკინოზთა მეკობრეებმა 10-თაგანი მოუკლეს... გადარჩნენ მარტო ორნი, ანტიოქიას რომ მიადღწიეს, მათ თეოფილაკტეს შეატყობინეს, რაც შეემთხვათ. პატრიარქმა თავისი არქიელნი შეკრიბა და განუზიარა მათ, რაც ამ ხუცესებს შეეხებოდა... და დასძინა, რომ რადგან მათი სამშობლო შორს არის და გზებიც საშიშია, ამიტომ ამათი ეკკლესიის საქმე სხვაინაირად მოუგვაროთო. მაშინ ამ ადგილობრივ კრების მამებმა და ზემო მოხსენებულმა პატრიარქმა გადასწყვიტეს ხელდაესხათ ართ-ერთ ხუცესისასთვის, კათალიკოზადაც დაეყენებინათ და ეპისკოპოზთა და მიტროპოლიტთა ხელდასხმის უფლება მიენიჭებინათ საჭიროებისამებრ, იმ ეპისკოპოზთ უნდა იგი თავიანთ წირვის დროს მოიხსენიონ, ხოლო კათალიკოზმა მოიხსენიოს ანტიოქის პატრიარქის სახელი, (კათალიკოზი) რომ მოკვდება შეიკრიბნენ არქიელები და აირჩევენ რა მის მაგიერს ხელი დაასხან“...ო...

მაშასადამე თვითმართველობის მინიჭების დროს ანდრიას ქადაგებაზე სიტყვა არ ჩამოუგდიათ; საქართველოს ეკკლესია პეტრე (XI საუკ.) პატრიარქის დრომდის მაინც ჯერ კადევ ანტიოქიას ექვემდებარებოდა. ეხლა მხოლოდ ერთი გარემოებაღა გვიშლის და არღვევს ჩვენ ზემოთ გამოთქმულ აზრს იმის შესახებ, რომ ქართველებმა მე-IX საუკ. არ იცოდნენ ანდრიას მიმოსვლაზე: პეტრე მაიომელის ქართულ ცხოვრებაში ნათქვამია (იხ. Пал. Стор. 47 вып. გვ. 3): „იქადაგა ქადაგება იგი წმიდისა სახარებისა დიდებულისა ქრისტეს მოციქულისა ანდრეასა მიერ ქუცყანასა მას ქართლისასა, ვითარცა დასწერს ნიკიტა საღუთო და ფალოსოფოსი მიმოსვლათა შინა და ქადაგებათა წმიდისა მის მოციქულისათა“... თუ პეტრე მაიომელის ცხოვრება, ან ეს ადგილი დიდი ხნის შედგენილია, მაშინ ეს ნაწყვეტი ჩვენ ზემო მოყვანილ დასკვნას არღვევს. ხოლო რომ გავიგოთ, როდის უნდა იყოს მაიომელ მამის ქართული ცხოვრება, ან ეს ადგილი დაწერილი, უნდა თავდაპირველად გამო-

ვირკვიოთ ვინაა ეს ნიკიტა ფილოსოფოსი, რომლის თხზულე-  
 ბაზეც დამყარებულია ცნობა ანდრიას საქართველოში ქადაგე-  
 ბაზე“. ამ საკითხს განსვენებული მეცნიერი მ. ბროსსეც შეე-  
 ხო და თავისი ცოტა არ იყოს აჩქარებული აზრი გამოსთქვა;  
 ნიკიტა საღმრთო და ფილოსოფოსი იმის აზრით\*) მე-V-ე საუ-  
 კუნის ქართველი მწერალი იყო, ე. ი. იმ დროის მწერალი,  
 როცა საქართველოში ანდრიას მიმოსვლასა და ქადაგებაზე  
 თქმულებები არ იყო გამქრალიო. ამგვარი დასკვნა მის ზემო-  
 მოყვანილ ნაწყვეტიდან გამოჰყავს, მაგრამ იქ არსადაა ნათქვა-  
 რომ ან ნიკიტა ქართველი ყოფილიყოს, ან რომ მას მე-V საუ-  
 კუნეში უცხოვრია. ჯერ ერთი რომ ჩვენ მეხუთე საუკუნის ქართ-  
 ველ მწერლებზე არა ვიცით-რა, არც მათ სახელებსა და არც  
 მათ არსებობის შესახებ ცნობებს ჩვენამდის არ მოუღწევია. ვი-  
 ცით მხოლოდ ორ ძველ მთარგმნელის სახელი—დავით და სტე-  
 ფანე, რომელთაც მე-VII—VIII საუკ. უნდა ეცხოვრათ. ამას  
 უნდა დაუმატოთ, რომ ქართულად არც ერთი ანდრიას მიმოსვ-  
 ლა არ არსებობს, რომელიც ნიკიტას დაწერილად ითვლებო-  
 დეს. ბროსსე ძალიან შესცდა,—ცნობილი ბიზანტიელი მეცბრე  
 საუკ. მწერალი ნიკიტა პაფლაგონიელი (+890) მეხუთე საუ-  
 კუნის ქართველ მწერლად გახადა.

ნიკიტა პაფლაგონიელს მართლაც ნართულად ანუ მეტ  
 სახელად ფილოსოფოსი ერქვა (Krumbacher, *Geschichte der Bi-  
 zantin. Literatur.* გვ. 16, § 375) და წმინდათა შესხმასა სწერ-  
 და; ანდრიას შესხმაცა აქვს დაწერილი ამ „ფილოსოფოსს“ და  
 შესხმაში მართლაც ანდრია მოციქულის იბერიაში მიმოსვლა-  
 საც იგონებს

Σὺ δὲ μοι, σαβασμώτατε Ἀνδρέα, ... τὸν βιοβίαν κληρωθεῖς.  
 Ἰβερίας καὶ Σαυρομάτης, Ταύρου καὶ Σκύθας, καὶ πᾶσαν χῶ-  
 ραν καὶ πολιν, ὄσοιτε πρὸς ἄρκτον Εὐξείνιον τοῦ Πόντου, καὶ  
 ὅσοι πρὸς νότον διάκεινται περὶ ἂν ἔβραμεθ ἐν θίφει δοξάσαν  
 τὸν Ἰησοῦν.

(Nicetae Paphlagonis oratio IV in laudem S. Andreae, Migne  
 patrologia 165 t., გვ. 64) ხოლო შენ, ჩემო უპატივცემულესო

\*) Hist. de la G. t. I p. 60. 5.

ანდრეავ, წილად გხვდა რა ჩრდილოეთი აბრუნა და სარმატნი, ტავრნი, და სკვითნი და ყოველი ქვეყანა და ქალაქი, რომელი პონტ ეუქსინის ჩრდილოდ და რომელნი სამხრეთით მდებარეობენ მიმოიარენ ქრისტეს დიდების წყურვილგულმა.

ზეტრე მაიაძელის ცხაგრების ზემო მოყვანილი ნაწყვეტა მასასადამე შეიძლება მხოლოდ მეცხრე საუკუნის შემდეგ იყოს დაწერილი. რაკი ეს საკითხიც გამოირკვა, და დამტკიცდა, რომ მაიომელ ეპისკოპოსის ქართულ ცხოვრებას ჩვენ საკამათო საგნისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ამიტომ ესლა შეიძლება გადაქრით ვთქვათ, რომ ქათგეგლობას მეცხრე საუკუნეძდის ანდრეას აბრეაში მიმოსვლისა და დაბეგებაზე არა სცადნია-და.

მაშინ როდის და როგორ შეიტყეს ჩვენმა წინაპრებმა, რომ ჩვენში ანდრეამ დასდო ქრისტიანობას საფუძველი? წინად როცა მეცნიერება და განათლება სამღვდელოების განსაკუთრებულ კუთვნილებას შეადგენდა, როცა სასულიერო წოდება საზოგადოდ და კერძოდ მონაზონები ერთადერთ, სწავლა-განათლების თითქმის წარმომადგენლებად იყვნენ, მაშინ მონასტერიც მეცნიერების ტაძრად იყო გადაქცეული, ჩვენ წინაპრებისათვის ამ გვარ მეცნიერების და სწავლა-განათლების ტაძრებად ქართული მონასტრები ათონზე, პალესტინას და ასურეთში იყვნენ. ამ სავანეების დაფუძნების შემდეგ იწყობა საუკეთესო, ნაყოფიერი ხანა ჩვენის სასულიერო მწერლობისა. ქართველი ბერები უცხო ქვეყნელ ბერებს უახლოვდებოდნენ, საუკეთესო ბიზანტიელ და ასურულ მწერლების თხზულებებსა ჰკითხულთბდნენ, უკვირდებოდნენ და უფრო მეტად, უფრო ცხადად ხედავდნენ თავიანთ, სამშობლო მწერლობის სიღარიბეს, მაშინ უფრო აგონდებოდათ ხოლმე ის ნაკლი, რომლის შევსებაც აუცილებლად საჭირო იყო. ამ გვარმა სულიერმა აღებმიცემობამ ბევრ განათლებულ ქართველ ბერს აღუძრა სურვილი, და სამშობლო მწერლობის გამდიდრება მოანდომებინა. სწორედ ამ დროს მოღვაწეობდა კაცი საკვირველი და დიდი, რომლის დეაწლი დაუფასებელია ქართულ მწერლობის

წინაშე, მამა ექვთიმე ათონელი. მის თხზულებათა და თარგმანების ნუსხაში სხვათა შორის ანდრია მოციქულის მიმოსვლაც არის მოხსენებული (იხ. А. Цагарели. Свѣд. о памят. груз. письм. бап. I, გვ. 58). იქნებ თვით ექვთიმემ მხოლოდ მაშინ გაცგო, რომ ანდრია საქართველოში მოღვაწეობდა, როცა ანდრიას მიმოსვლა გადაიკითხა და თარგმნა განიზრახა. ის ქართველი ბერები, რომელნიც უცხო ქვეყნებში სცხოვრობდნენ, ხშირად იგრძნობდნენ ხოლმე, რომ საჭიროა საფუძვლიანად დამტკიცდეს ქართულ ეკკლესიის თვით-მართველობის უფლება. ღვთის მეტყველთა პაექრობა ბიზანტიელის მეფისა და პატრიარქის სასახლეებში ხშირად შეეხებოდა ხოლმე ამგვარ საკამათო საგნებს, ამა თუ იმ ეკკლესიის თვით-მართველობის უფლებებს. ქართველებიც ამგვარ პაექრობისათვის უნდა მომზადებულიყვნენ, სხვა-და-სხვა მოციქულთა მიმოსვლა გადაეკითხათ და თავიანთვის მასალები და საბუთები მოეძებნათ. გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების დამწერს ერთი ამგვარა ქართველ ბერთა და ბიზანტიის სამღვდლოების შორის ატეხილ კამათს მოგვითხრობს\*)... ვიეთთამე მრავალ ლონითა და მანქანებითა მოახსენეს და აუწყეს პატრიარქსა (იოანე ანტიოქელსა) ვითარმედ: „ვითარ ესე მეუფეცა, რომელ ეკკლესიანი და მღუდელთ მოძღვარნი ქართლისანი არა რომლისა ქვეშე არიან და ყოველნი საეკლესიონი წესნი მით მიერ განეგებიან და თუა დაისმენ კათალიკოზთა და ეპისკოპოზთა და არა სამართაჲსს ესე, რამეთუ ხოლომეტათა მოგაქუდთაგანი არაგან მასუდ არს ქვეყანასა მათსა“.. ანტიოქელმა პატრიარქმა ეს მოსაზრება მოიწონა და როცა გიორგი მთაწმინდელი იმასთან იყო, ამბობს მის ცხოვრების ავტორი, უთხრა: „შენ, ზ ნეტარო მამაო, დაღაცათუ ნათესავით ქართველი ხარ, რამეთუ სწავლულებითა და მეცნიერებითა ჩვენივე სწორი ხარ, ჯერ არს რომელ ეკკლესიანი და მღუდელ-მოძღვარნი თქვენნი ველსა-ქვეშე სამოციქულოსა ამის საყდრისასა

\*) ჩუბინაშვილი. Грузин. Христ. часть I, 1846 წ. გვ. 280, 281-



იმწყრებოდენ ჰმართებსცა ესრეთ მიზეზითა მახლობელობისათა... ექვთიმის მონასტრიდან მოსულ გიორგის საბუთი და მზადებული ჰქონდა: „ხოლო ნეტარმან მან დაწყნარებითა და ნელიად ჰრქუა პატრიარქსა, ვითარმედ:... „ვინ უგუნურნი გამზრახნი შენნი ანუ რად ესრეთ უგუნურად შეპრაცხე ესე ნათესავი ქართველთა წრფელი და უძანკო, ეჰა ესე რა ვარ მე უნარჩევესი და უმდაბლესი ყოველთა ძმთა, მე მოგცე მათ ყოველთა წილ პასუხი, მოღებადგე წიგნი მიმოსვლას ანდრია მოციქულისა და მუნათ გეუწყოს სამიებად თქუნი. ხოლო პატრიარქმან უძანა თეოფილეს ნათესავით ქართველსა, რომელ იყო უკანასკნელ ტარსუს მიტროპოლიტ; იქმნა მოღება წიგნისა მის და ვითარ მოიღეს პირველ წაკითხვისა ჰრქუა ბერმან პატრიარქსა: „წმიდაო მეუფეო, შენ იტყვი, ვითარმედ თავსა მის მოციქულთასა პეტრეს საყდარსა ვზიო, ხოლო ჩვენ პირველწოდებულისა და ძმისა თვისისა წოდებელისა ნაწილნი ვართ და სამწყსონი მის მიერ მოქცეულნი და ერთი წმიდათა მოციქულთაგანი სიმონს ვიტყვი კანანელსა, ქვეყანასა ჩვენსა დამარბულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდების“... (ibid. გვ. 282). წმიდაო მეუფეო, ჰუტუნის ესრეთ, რათა წოდებული იგი მწოდებელსა დაემორჩილოს, რამეთუ პეტრესი ჯერ არს რათა დაემორჩილოს მწოდებელსა თვისსა და ძმასა ანდრიას და რათა თქვენ დაგვემორჩილნეთ“... აი საუცხოვო მაშინდელ განათლებულ სამღვდელოების სჯაბაა-ლიის ნიმუში, აქ იჩენდნენ ნასწავლი ბერები თავიანთ გონება-მახვილობას, მკვერ-მეტყველობას და მომხრენი გამარჯვებას დღესასწაულობდნენ ხოლმე. ამგვარი პაექრობა იმდენად გავრცელებული ყოფილა და იმდენად გამწეავებული კამათიც ჰქონიათ ხოლმე, რომ ეფრემ მცირემ ცალკე გამოკვლევაც კი დასწერა იმის შესახებ, თუ ვინ უცხო მწერალთაგანი როდის ან სად იხსენიებს ქართველთა მოქცევას, რომ „უკეთუ უნდეს ვისმე გამომეძიებელთაგანსა ცნობად“, ქართველმა ბერმა პასუხი მიუგოს. ეფრემ მცირეს წერილის დასასრული, რომელსაც ქვემოლ მოვიყვანთ, ცხადად გვიჩვენებს, რომ მის გამოკვლევა

ამგვარ მოთხოვნილების გამო იყო დაწერილი: „ესე მცირედნი სიტყუანი ვითარცა თესლის მკრებელმან მიმოგანთესილნი წმიდათა წიგნთაგან ერთად შემოეკრიბნენ ჯერონებითა შენი-თა კაცო ლუთისაო, რამჟღელმან ესე უწყვი ვითარ ძრავაღნი ძრავალ გზას ამათ ზანთათვის გუკეთხადეს და დაბრკალდებოდეს ჩუშნთვის უშეცრებათ ვითარცა თუთ განდგომილთა საუდრისაგან დიდისა პეტრე მოციქულთა თავისა“. (ქორდანი, ქრონიკები წ. I, გვ. 53). იმის შემდეგ, როცა ამგვარი გამოკვლევა და გამოძიება დაწერილი იყო, ანდრიას მიმოსვლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და ის დღე, როცა მართლ-მადიდებელი ეკლესია პირველ-წოდებულს იხსენიებს, განსაკუთრებულ დღესასწაულად გახდა. ერთი ათონზე დაწერილი სვინაქსარი\*) გვიჩვენებს, რომ ათონზე ანდრიას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ: „თნ ნნბსა ლ წისა და მდ ქებლისა მცქლისა ანდრიასი ძმისა პეტრე მცქლთა თვისა (იხ. პეტერბურგის საჯარო სამკითხველოს იონანე ბატონიშვილის ხელთ-ნაწერი № 171)“. ცხოვრების ბოლოს ნათქვამია: „ცისკარსა თქან ვნნი ერთი და იგიოხონ შამოსგლასა მოციქლისაა“. მაშასადამე ათონის მთაზე ქართული ბერები ისმენდნენ იმ თხზულებას, რომელშიაც ქართული ეკლესიის თვით-მმართველობის უფლების საბუთები მოიპოვებოდა.

ცნობა ანდრიას იბერიაში ქადაგების შესახებ უცბად გავრცელდა მთელს საქართველოში და რუის-ურბნისის საეკლესიო კრება (1103 წ.) ეფრემ მცირეს წერილის თანახმად ანდრიას საქართველოში მიმოსვლას ფაქტადა სთვლის. შემდეგ საქართველოში სხვა და სხვა ნაციონალური თქმულებები გაჩნდა ანდრიას შესახებ: „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილ ანდრიას მიმოსვლაში ყველა ამგვარი თქმულება შეკრებილია. მ. საბინინის მიერ დაბეჭდილი „მიმოსვლა“ ძველ

\*) ეს სვინაქსარი, რამდენადაც ჩვენ შევადარეთ, ბასილის მენოლოგიის თარგმანი უნდა იყოს, იმ ადგილების გარდა სადაც ქართველი წმინდანები არიან მოხსენებულინი.

დედანიდან გადმოთარგმნილი უნდა და ეპიტანის მოთხოვნას მისდევს \*').

ამხიარად ანდრეას იბერიაში ქადაგების ამბავი ქართველებმა არ იცნადნენ და ეს თქმულება ბაზანტიიდან შემოიტანეს ქართველმა ბერებმა სამშობლოში და გაავრცელეს.

შევუდგეთ ესლა იმ ზიზანტიელ მწერლების ცნობის განხილვას, რომელნიც ანდრეას მიმოსვლაზე ლაპარაკობენ, რომ საბოლოოდ გამოვირკვიოთ, რამდენად სამართლიანია ცნობა პირველ წოდებულ მოციქულის შესახებ; იქნებ ანდრეამ მართლა იქალაქა ქრისტეს მოძღვრება და ქართველებს დაავიწყდათ მხოლოდ?

ორიგენს პირველად აქვს მოხსენებული მოციქულების წილ-ხდომა:

Τῶν δὲ ἱερῶν τοῦ Σωτῆρος ἡμῶν ἀποστόλων τε καὶ ἀσκητῶν ἐφ' ἅπασαν διασπαρέντων τὴν οἰκουμένην. Θωμᾶς μὲν, ὃς ἢ παράδοσις περιέχει, τὴν Παρθίαν ἔιληχεν, Ἀνδρέας δὲ τὴν Σκυθίαν. Ἰωάννης τὴν Ἀσίαν... Πέτρος, δ' ἐν Πόντῳ καὶ Γαλατίᾳ καὶ Βυθινίᾳ, Καππαδοκίᾳ καὶ Ἀσίᾳ κειρησῆται.

როდესაც წმიდა მოციქულნი და მოწაფენი მაცხოვარისა ჩვენისა მოეფინნენ მთელ ქვეყნიერებაზე, თომამ, როგორც თქმულება გადმოგვცეს, წილად ილო პართია, ანდრეამ სკვითთა, იოანემ ასია, პეტრემ ზანტში, ვალანტიაში და ბითინიაში, კაბადოკიაში და ასიაში იქალაქა.

(Patrologia graeca t. 12. Origenis opera omnia, გვ. 91, 82.).

მაშასადამე უძველეს ცნობის თანახმად ანდრეას მხოლოდ სკვითთაში უქალაგნია, ზანტია კა პეტრეს ხვედრი იყო, ესე იგი ყველა ის ადგილები, რომელნიც საქართველოზე დაახლოვებულნი არიან პეტრეს მოღვაწეობის ასპარეზად ითვლებოდა და არა ანდრეასი. ჩვენ აღარ მოვიყვანთ ევხერის († 449) სიტყვებს, რომელიც ორიგენის ნათქვამს იმეორებს. მხოლოდ

\*\*) Васильевскій. Хождение апост. Андрея, გვ. 166.

ან *ἡ παράδοσις περιέχει*.-ის მაგივრად ის ამბობს „Quantum narratt historia“.\*)

ისილორე ისპალიელიც ამბობს, რომ „Andreas... frater Petri... in sorte praedicationis Scythiam atque Ahaïam accepit“... პეტრეზე ნაოქვამია: „hic in galatia, Ponto, Cappadocia, Bithitnia, Asia atque Italia Evangelium pradicavit“... (Patrologia lat. t. 83 —გვ. 151, cap. LXX და გვ. 149, cap. LXVIII.), მხოლოდ დონსოთეოსის კატალოგში, რომელიც პრ. ვასილიევსკის\*) აზრით მეექვსე საუკუნის კარგა ხნის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი, თითქოს ძმები მოციქულები თავიანთ ხვედრს სცვლიან და ანდრეას ბათინაშა პანტუშა, თრაკიაში ჰქადაგობს. ეპიფანე კვირელიც (VIII—IX), რომელიც მოგზაურობდა და ადგილობრივ თქმულებებს ჰკრებდა, ამასვე ამბობს. მაგრამ როგორც სჩანს, შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირებზე არ ყოფილა, თორემ ჩვეულებისამებრ მოიხსენიებდა, რომ ამა და ამ ადგილას ჩვენც ვიყავით და ჩვენის თვალით ენახეთ, როგორც მაგალითად:

*Καὶ ἦλθεν εἰς Βόσπορον,* და მოვიდა (ანდრია) ბოსპოლის *πέραν πέραν τοῦ Πόντου,* *εἰς* ფორ ქალაქსა, რომელიც პონტის იმიერ მდებარეობს, *καὶ ἦμεις ἐφύλασσαμεν.* ტის იმიერ მდებარეობს, სადამ- (Patrol. gr. t. 120. Epiphanii დის ჩვენც მიგვიღწევია“. Monachi, გვ. 244.)

ეპიფანი მოგვითხრობს, რომ მას სიმონ მოციქულის ლუსკუმა უჩვენეს, სიმონ კანანელის ნიკოპსის ლუსკუმაზე კი რომ ლაპარაკობს არ უმატებს, რომ მან თვითონ ნახა ეს წმიდა ადგილი. ეპიფანელ კვირელს და დანარჩენ მერმინდელ მწერლებს ერთი თვალსაჩინო შეცდომა მოსდით: იმათის სიტყვით გამოდის, რომ სიმონი ორგან იყო დასაფლავებული, — ბოსფორში და ნიკოფსში. თუმცა თვით ეპიფანი არ ამბობს, სახელობრ ვინ უნდა იყოს სიმონ მოციქული, მაგრამ მეტაფრასტი გვიხსნის, რომ იგი სიმონ მოშურნე არისა (Lipsius. Apostelgeschichte und Apostellegenden. b. I, გვერდი 582). ამ ახს-

\*) Patrol. lat. t. 50 s. Eucherii ligdunensis episcopi. გვ. 809.

\*) Хождение апост. Андрея, გვ. 49.

ნას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ჯერ იმიტომ, რომ, სიმონ კანანელი, როგორც სჩანს\*), უძველეს მიმოსვლის სიმონ-პეტრეს მაგიერ არის მოყვანილი, მერე იმიტომ, რომ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, სიმონ მოშურნე და კანანელი ერთი და იგივე მოციქული იყო, მაგ. ლათინურ „Breviarum Apostolorum“-ში „სიმონ მოშურნე ანუ კანანელი“ (ib. Lipsius. ibid. b. I, გვ. 21, შენ. 1 და გვ. 23, შენ. 1) ესევეა „de vita et obitu sanctorum“-ში და იმ ქრონიკაში, რომელიც სიმონ ლოგოთეტის ნაწერად ითვლება (ibid. b. I, გვ. 24, შენ.). მიმოსვლათა გეოგრაფია ხომ უფრო არეულია: ერთი და იგივე ადგილები უძველეს თხზულებებში პეტრეს ხვედრად არის მოხსენებული, მერე ანდრიას მოღვაწეობის ასპარეზად ხდება; ანდრია ყველგან ქადაგებდა, საკებთანაც, სოგლიანაშიც, იქაც, საცა „არის ზღუდე აფსარი (აფსარი—აფხაზების სახელი ციხედ გაუხდიან!), იგა მოღვაწეობდა თქმულებასამკერ იქ, საცა დაუწინაძედა და მხნედ მუშაობდნენ ზაგლე და პეტრე მოციქული; „საქმე მოციქულთა“-ში კი, არც ზაგლეს ეპისტოლეებში ერთხელაც არ არის ანდრიაზე ლაპარაკი, გაკვრითაც კი არ არის მოხსენებული მისი ამ ადგილებში მოღვაწეობა. თუ ანდრია მოციქული ამ ადგილებში მართლა ასეთ მხნეობას იჩინდა, როგორც აპოკრიფთულ მიმოსვლაშია აწერილი, ერთხელ მაინც როგორ ვერ შეხვდა სადმე პავლე მოციქულს, ერთხელ როგორ ვერ შეიტყო ანდრიას გულმოდგინე მოღვაწეობა პავლემ?.

ის გარემოება, რომ უძველესი ბიზანტიელი და ლათინთა საეკლესიო მწერლები (ორიგენა, ევსეა) ანდრეას პონტში ქადაგების შესახებ არას ამბობენ, ზაგლეს ეპისტოლეებსა და „საქმე მოციქულთა“-ში კრინტიც არ არის დამრული მარველ-წოდებულ ანდრეას ქადაგებრივ მოღვაწეობაზე, რადგან თუთ „მიმოსვლისა შინაარსს ზღაპრული ხასიათი აქვს და არაკს უფრო მოაკონებს კაცს (ძალის თავა კაცებია, რომელთაც თავები გულზე აბიათ და ლაპარაკის მაგიერად ჰყეფენ. კაცის მკამელები და სხვ.). დასასრულ

\*) Lipsius. Apostelgeschichte und Apostelleg. b. I, 33. 611.

ის გარემოება, რომ არც თვით საქართველოში იცოდნენ მე VIII—IX საუკუნემდე ანდრიას იბერიასში მიმოსვლის შესახებ, უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ანდრიას შირაკელ-წოდებული არც როდის არ ყოფილა კავკასიაში საზოგადოდ და კერძოდ საქართველოში, რომ ანდრიას მიმოსვლა და ქადაგება ივერიაში მხოლოდ თქმულებას, ისეთი თქმულება, რომელსაც ისტორიისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

ეს თქმულება შეიძლება შემთხვევით წარმომდგარიყოს: პეტრეს და ანდრიას, ძმების წილ-ხლომა აურევიათ, ანდრიას მოქმედების ასპარეზი პეტრესთვის მიუწერიათ, პეტრესი ანდრიასათვის, ან როგორც პრ. ვასილიევსკი ჰფიქრობს (*Хождение апостола Андрея*, გვ. 159), ეთიოპია კოლხიდად ჩაუთვლიათ მოციქულთა მიმოსვლის აეტორებს; მაგრამ ამ უკანაქსნელ შემთხვევაშიაც ანდრია მოციქულის ქადაგებაზე ლაპარაკი არ შეიძლება, იმიტომ, რომ ორიგენი ამბობს: *Non enim fertur praedicatum esse Evangelium apud omnes aethiopsas, maxime apud eos, qui sunt ultra flumen.* (*Origenis in Matthaeum comment. series. Migne, patr. gr. t. 13, გვ. 1655*) თუ ქრისტე ეთიოპიაში არ უქადაგნიათ, ქრისტიანობა მაშასადამე არც კოლხიდაში იქნებოდა, იმ კოლხიდაში, რომელიც ზოგიერთ მწერლებს ეთიოპიად მიაჩნდათ:

ვარდევთ რა და უარ-ვყოფთ ანდრია მოციქულის საქართველოში ქადაგების თქმულებას, ჩვენ რასაკვირველია, იმის თქმა კი არა გვსურს რომ ქრისტიანობა საზოგადოდ საქართველოში პირველ საუკუნოებში არა ვრცელდებოდა, რომ ახალი სარწმუნოება პირველ ხანებში არ იკიდებდა ფეხს ჩვენ სამშობლოში, ქრისტიანობა შეიძლება ყოფილიყოს, მხოლოდ ჩვენის აზრით, მის არსებობის დასამტკიცებლად სხვა უფრო სანდო და ქეშმარიტ საბუთების მოყვანა საჭირო და არა ანდრია მოციქულის მიმოსვლის მოწმობის მოხსენება როგორც ჩვენმა ისტორიკოსებმა იციან ხოლმე.

ამ პატარა გამოკვლევაში ჩვენ გავარჩიეთ საქართველოს ის საეკლესიო თქმულებები, რომელნიც ათ საუკუნის განმავლობაში ხალხს შესისხლობორცებული ჰქონდა და შეურყვეველ, ექვ მიუტანელ ჭეშმარიტებად მიაჩნდა... ერთ დროს მათ დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ და ქართველობისათვის დიდი სამსახური გაუწევიათ: არა ერთხელ და ორჯელ სამშობლო ეკლესიის თვითმმართველობის უფლების დაცვისა და მამადიანთა საზარელი ბატონობის დროს ამ თქმულებებს ხალხისათვის რწმენა განუმტკიცებიათ, მიუციათ სულგძელობა და ცხოვრების ტანჯვის ატანა გაუადვილებიათ... ეხლა—დრო იყო, რომ ეს თქმულებები მეცნიერებს შეესწავლა და თავის პირუთვნელი და მიუდგომელი მსჯავრი გამოეთქვა.

ეს თქმულებები საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ მამა-პაპურ შეხედულებას წარმოადგენენ. კრიტიკის გარჩევის დროს ჩვენ, მგონი, გამოვარკვიეთ რამდენად გამოსადეგია თვითოეული ამ თქმულებების ცნობა ისტორიისათვის და ოდნავ მაინც აღვნიშნეთ ამ ცხოვრებათა თანდათანობითი ცვლილების ისტორია. ამ უკანასკნელ საკითხს კიდევ ბევრი კვლევა-ძიება ესაჭიროება, რომ თვალსაჩინოდ და ნათლად წარმოვიდგინოთ ამ ორ უძველეს საეკლესიო თხზულებათა ისტორია. ჩვენ ვიცით, რომ ამ გამოკვლევის შემდგომად საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების სურათს მკითხველი ვერ წარმოიდგენს, — ჯერ კიდევ ვერ გაითვალისწინებს იმ ჩვენ ისტორიის დიად და საინტერესო ხანას, რომელმაც ჩვენი ხალხის ისტორიის მიმდინარეობას დიდი კვალი დაამჩნია. საქართველოს ეკლესიის ანტიოქიისაგან დამოკიდებულების ისტორიის გამორკვევა, ასურელ მამათა მოღვაწეობის მეცნიერული შესწავლა და ქართულ საეკლესიო წიგნების თარგმნის ისტორია სხვა-და-სხვა მხრიდან ამ სიბნელით მოცულ ხანის ისტორიულ სურათს ცხოვლად წარმოგვიდგენს. თავდა-პირველად კი უძველესი, მამა-პაპური შეხედულების გარჩევა აუცილებლად საჭირო იყო ერთის მხრით იმისთვის, რომ შემდეგ სხვა სამეცნიერო კვლევისათვის ნიადაგი მომზადებულ იყოს,

მეორეს მხრით, რომ შეცდომები თავიდან აიცილინონ იმ ისტორიკოსებმა, რომელნიც მათიანეს სიტყვების განმეორებას აღარ კმარობენ და სხვა-და-სხვა საეჭვო, ზღაპრულ თქმულებებზე ამყარებენ თავიანთ ხშირად ფრიალ დიდმნიშვნელოვან საკითხების შესახებ კვლევას.

ივ. ჭავჭავაძე

პეტერბურგი,

18  $\frac{13}{VII}$  98 წ.





# „ცხოვრება და ხელოვნება“

წერილი მეთერთმეტე

ტოლსტოის ახალი რომანი „აღდგომა“

არ შეიძლება ტოლსტოიმ ცნობის-მოყვარეობა არ აღუძრას დღეინდელ ნერვების განათლებულ საზოგადოებას, მაგრამ თუ ვისმე დააკმაყოფილებს ხელმე მარტო იმისი ლიტერატურული ნაწარმოები და ისიც ის მხარე ამ ნაწარმოებისა, სადაც კრიტიკული სურათებია თანამედროვე საზოგადოებისა და დასურათებულა სასოწარ-კეთილი სუკდით და ოხერით აღსაკვეთიანადრე ასაღვასდა (ანდრე ბოლგონსკი, ბეზუხოვი), ტენსიურს მხარეს მის რომანებისას, მისს სტილს თვით აღტაცებულნი მისი თაყვანისმცემელნი ესაყვედურებანი, და ამხედ სადაც არა არის-რა კერძოელს კრიტიკაში. სოლო რაინა შეესება იმ ტიპებს, რომელნიც იდეალურ მისაზამკე გმირებად გამოჭყავს ტოლსტოის, მოკლებული არიან რეალურს ნიადაგს და ყოველივე მომხიბვლელობას; რა არის, მაგალითად, ეს მუჟიგი კარატაევი (ლომი და შავია), ეს თედორე მუჟიგი (ანნა კარენინა), ეს აკიმი (სამეუფო სიბნელისა), მუშაკი (ეფთვლი და მონა), თუ არ გაზირუტეებული, მტენარედ ქრეული ადამიანი, რომელშიაც სძინავს ყოველივე გრძნობასა და აზრს და რომელთა ერთადერთ ვითომ და სანატრელ ღირსებას ის შეადგენს, რომ ყოველივე პირუტყვულის მოწინააღმდეგეებით ეკიდებინ?

\*) „მოამბე“ № II, 1900 წ.



არაფერს, არაფერს სანატრელს და ტოლსტოი გი იმით სკოლასში  
გაწითების და მათის ფილანთროფიის წყალობით გარდაქმნის ეგრეთ  
უმიდლესის გრძნობისა და გონების ჰეტრონს, როგორც ბესუნსა-  
ვია, ლეკინი და ბოლას თვით ტოლსტოი. აქ რა იდეალია ეს ლე-  
კინი და მისი ოჯახი, რომელსაც წინ უყუებენ ავტორი ანნა კა-  
რენინასა და ვრონსკის კავშირს, როგორც სამაგალითოს, — სრულიად  
არაფერი. ლეკინი გათადარებული ვრონსკია და როგორც ეგრეთ-  
განაგარებული და დანაშაული ტიპი, რომელსაც საუკეთესო თვისე-  
ბანი უმიდლესის ტიპისა ჩაუძინებია და მთლად გაპირუტყვებაც  
კარ მოუხერხებია. ან რა იდეალია ლეკინისა და გიტის ცოლ-ქმრობა.  
სოფელში ცხოვრება, შვილების გამზავლება, ფიზიკური შრომა, რა-  
მელიც გიმნასტიკაზე ბევრად უკეთესია და სასარგებლო და სხვა ამგვარ-  
ი იდეალიური მსარე ცხოვრებისა. მაშატიეთ გი, და მე ბევრად უფრო  
მომწონს ანნა კარენინასა და ვრონსკის ცხოვრება, თუმცა ხან-მოკლე,  
მაგრამ ბევრად უფრო ადამიანური თავისი ტანჯვა-ვაებით, სკვდა-  
ობებით. ან რა ასეთი დამნაშავეა ანნა კარენინა, რომ მანცა და მანცა  
სამი ტომი იმის დასჯას მოანდობა. კანის ცოდვა, დანაშაულება იმით  
გი არ უნდა ისაჯდებოდეს ზნეობრივის მხრით, თუ კერძოდ სად  
და როგორ რა მოქმედება ადამიანის მიხედული ცოდვად, არამედ  
მოქმედების საზოგადო მნიშვნელობა უნდა მივიღოთ სასუში. ის  
ცოდვა, რომელიც ანნა კარენინამ ჩადინა, ცოდვაა იმის მიხედვით,  
რომ რუსეთის კოდექსები არ უდგოლებენ ადამიანს თავისის ბედის  
გამოსწორებას, კერძაში გი ეგ სრულიად ჩვეულებრივ მოვლენად  
მიჩნეულია. სახლგანდა მშვენიერი ქალი ძალით, მის-და უნებურად  
მიათხრებს სულითა და ხორციით საზინდარ ქმნილებას. გაიარა ხა-  
ნმა და ქალი მშვენიერი სახლგანდა კანი შეიყვარა. ერთი წუთიც  
ქმარი არ მოუტეუებია, თუმცა ქმარი ჰეტრონსის სიმართლეს ქურ-  
დულ ტყუილს არჩევდა. ადგა ქალი და წაქვია ამ სავარულ კანს.  
არ ვიცი, რატომ ეს კავშირი უფრო დასაწუნარია, ვინე გიტის გათ-  
ხრება რომელსაც ვრონსკი უყვარს და ლეკინს გი მიჭეუება, იმი-  
ტომ, რომ გათხრება საჭიროა. უნდა ვთქვათ ზნეობრივი იდეა-  
ლი ტოლსტოისა ბიზანტიელის ბერებისგან შეთხზულ კანონის  
მუხლებზედ უფრო ძალიან არ წასულა და au fond გიტის-მეტი-

უმსგავსო რამეა. მორალისტი, რომელსაც კაცთა სიბრალეულისა და კაცთ მოყვარეობის მორტიქულობის სახელი აქვს დაკარდნილია, უფრო განონებას იმ სუსტ მხარეს უნდა შევბრძოლებოდა, რომელიც სრულიად უდანაშაულო, რიგიან ადამიანს დამნაშავედა ჰქმნის და ტოლსტოი კი ამ ძალა-უნებურად ცოდევილებს გაუჩინსდა მარტო იმიტომ, რომ კსლანდელი საზოგადოება, ისიც რომელიმე ერთის ქვეყნისა თავისის ფარისკეღურის მორალით ჰქიცნავს ამკარ თავსელებს, რომელიც უნებოთ ბეკრად უფრო მძლვს სდგანან ამ საზოგადოებაზედ. ალ. დაუმაშვილმა, სწორედ იმ დროს, როცა საფრანგეთშიაჩნა ანნა კარენინებს სდეკნიდნენ, გამოილაშქრა კანონმდებლობის წინაშე და ის დანახვა ქვეყნისა, თუ რა ცოდევს იდენს თვათ საზოგადოება, როცა შეუძლებლად ჰქმნის ერთხელ შეკრულის კავშირის გაწყვეტას.

VI

ტოლსტოის «ადდგომა» ჩვენის აზრით ხელოვნების მხრით ბეკრად უფრო სუსტია მის წინანდელ ნაწარმოებზე (ეომა და ზაგა), ანნა კარენინა, «კრეიცერის სონატი»). ეს სისუსტე კი იმის ბრალია, რომ ტოლსტოის წინანდელ რომანებში თუ გრიტიკას უფრო მეტი ადგილი ეჭირა და ბოლგონსკებისა და ბეზუხოვების ტიპების დასურათებას ეტანებოდა აკტორი, აქ უმეტესა ნაწილი ტოლსტოის მოძღვრებით მხარეს დაუჭერია, რომელიც, შემოდან მკაცრსენეთ, ერთობ სუსტია. მისი ტიპი, გითოქ და მისაბამაკი ნესლეუდოკი, სინამდვილეს მოკლებულია და აზაფერა ხელსაყრელია.

თავად ნესლეუდოკს უმადლესი სასწავლებელი აქვს დამთავრებული. ფრად განსწავლული კაცია, რუსეთის უმადლესის საზოგადოების წევრია და როგორც კერეთი ჩვეულებისამებრ სწავლის დამთავრების შემდეგ სამხედრო სამისსურს დაიწეებს. ერთხელ საადგომოდ სოთუელში ჩამოკა თავისს ნათესავ ქალებთან. აქ ნსახავ მათ აღზრდილ ღამაზ გოგონა კატიუმას. კატიუმასადმი სტუდენტობის დროს ჰგომბოდა იმ იდეალურსა და წარმტაც სიყვარულს, რომელსაც ტოლსტოისთან სასტიკი მორალისტიც კი აღტაცებაში

მოჭყავს. ხოლო შემდეგ ნესლიუდოვს, ზეტერბურგის უმცლესის სანოკადოებისაგან გადაგვარებულს, ეს გრძნობა უფრო სხვაგვარ გრძნობაზე შეეცვლება და კატიუშის ესა პირუტყვის თვალთ დაუწყებს ტყნას. კატიუშის ნესლიუდოვი შეატყნის, თავისს გრძნობებს დაკმაყოფილებს და იმ საზინდრობადისაგ კი მიდის, რომ ამ გრძნობების სასყიდელსაგ (ასს მანეთს) გადაუგდებს კატიუშის. კატიუშის ის დღე დაადგება, რაც უმეტესს ნაწილს დაღუპულის სულისას, იგი გარყვნილების მოწყობა შესტობავს და ეს გარყვნილების მოწყობა მიიყვანს დამნაშავეთა სკამზე. კატიუშის განსამართლებით იწყება რომანი. კატიუშის ბრალდება ერთი ვაჭრის მოწამვლა, იმ ვაჭრის, რომელმაც მასთან რამდენიმე ღამე გაატარა. საქმის გარემოებიდან უტყვევლად სჩანს კატიუშის უბრალოება, მაგრამ მსაჯულთა და ნათეს მსაჯულთა დაუდევრობა და გულგდებული განსილება საქმისა მის გამართლებას შეუძლებლად ქქმნის და კატიუშის გარდაუწყვეტენ 4 წლის კატორგას. ნათესთა მსაჯულის ოცნებაში ერთა თ. ნესლიუდოვი, კატიუშის დამღუპელი, და იმანგ ისეთი დაუდევრობა გამოიჩინა, როგორც ყველა სხვამ და ხელმეორედ კატიუშის დაღუპვის მიზეზი გაჭნდა.

ეს ასე მოხდა, მაგრამ ამ წამიდან თ. ნესლიუდოვისთვისაც განკითხვის დღე დადგა. ეს მისი განმკითხველი უფრო სასტიკი და შეუბრალებელი იყო, ვიდრე ჩვეულებრივი მსაჯულები, მისი განკითხვაი მისივე სინდისი შეაქმნა და ამ სინდისის ქეჯნის აღწერას მთავარი შინაარსი რომანისა. ნესლიუდოვი ამ დღიდან კატიუშის დასხნის საქმეს შეუდგება, ცდილობს, რაც ძალი და ღონე აქვს, რამე უშეკლავს, მაგრამ ყოველივე ტუთილად ჩაივლის და ბოლოს გარდასწყვეტს თან გაჭყვეს ციხიბრში და ეტადოს კატიუშის სულოურად განახლებას. ამისთვის კიდევაც გარდასწყვეტს მის შერთვას კატიუშა თავდაპირველად ერთობ უტყნად კეიდება ნესლიუდოვს, მაგრამ ბოლოს მისი თავგანწირულება კატიუშის განუღვიძებს მიძინებულს სიყვარულს ნესლიუდოვის მიმართ. ეს სიყვარული კი კატიუშის კარგად ამჩნევიანებს, რომ ნესლიუდოვს იგი გულთა ვრუყვარს, მაგრამ კეთილშობილების გულისათვის უნდა კატიუშის შერთვა. ამიტომ კატიუშა ნესლიუდოვის ცოდობაზე უარს ამბობს

და გზაში განზობილს ერთ ზოლიტიკურ დამნაშავეთაგანს მიჭეუება ცოლად. ნესლიუდოვის სინიდაისის ქენჯნა კი დამთავრდება, ისე როგორც ტოლსტოის უკულა გძირების სულის ისტორია. იგი სასარების კითხვაში ზოულობს უოკულიკე მტანჯი კითხვის გარდაწეკტას. «მას სწამდა», ამბობს ტოლსტოი, «ის მთავარი აზრი, რომელითაც გამსჭვალულია ეს მოძღვრება (ქრისტიანი) და რომელიც მეტად ნათლად და ძლიერად აზრის გამოსახული აკენანის-მოქმედთა» იგაჰი. კენანის მოქმედთ ეგონათ, რომ ის კენახი, რომელიც მისცა სასლისა უფლმან «მოქმედთა საქმედ» მათი საკუთარი იყო; რომ რაც კი იყო კენახში, მათთვის იყო და მათი საქმე იყო მხლად ამ კენახში სიამოვნება და თავის შექცევა. მათ დაივიწყეს «სასლისა უფლი» და «მოსწევედნეს» უკულანი, კინც კი გასასენებდა სასლის უფლს და მათ საქმეს.

«აი რაშია საქმე», — ჭეუქრობდა ნესლიუდოვი. «მე ვცხოვრობდი და უკულა ჩვენ ვცხოვრობთ და იმ სუელეურს აზრს ვადგვივართ, რომ თვით ჩვენა ვართ ჩვენის ცხოვრების ზატონნი, რომ ცხოვრება გვაქვს მონიჭებული თავის შესატყვევად. და ეს ხომ ნამდვილი სისუელეა. ჩვენ თუ ამ ცხოვრებაში ვართ მოკლენილი, უთუოდ ვისიმე ნებით და რისთვისიმე. ჩვენ კი გარდაწეკტილი გვაქვს, რომ სოკოსავით გაგნდით, დაეობადეთ და ვცხოვრობთ ჩვენის სიამოვნებისათვის და, რაღა თქმა უნდა, ჩვენც ისეთი ცუდი საქმე მოკვივა, როგორც სასასლის უფლის წინააღმდეგ კენანის მოქმედთა მათ. სასასლის უფლის ნება კი ქრისტეს მოძღვრებაშია გამოთქმული, ოდრინდ კი ეს მოძღვრება აღასრულოს კაცობრიობამ, და ქვეყნასა ზედა დამკვიდრდება სამეუფო უფლისა და კაცობრიობას ეღიარება უმაღლესი მადლი.

იძიებდით სამეუფოსა უფლისასა და ჭეშმარიტებასა მისა, ხოლო სხვა თავისთავად მოგეცემათ თქვენ.

ჩვენ ვეძიებთ «სხვას» და ვერ ვპოვიდებთ მას. ანა თუ არ ვამკვიდრებთ სამეუფოს უფლისას, არამედ ვაჭეკვთ მას.

მაშ აი ჩემის ცხოვრების საქმე. ერთი გათავდა, მეორე დაიწყო, მე კი მეგონა, რომ განმარტოებული ვიყავი, და არაკითარი საქმე არა მქონდა.

ამ დღიდან დაიწყო ნესლიუდოკისათვის სრულიად ახალი ცხოვრება, იმიტომ ვი არა, რომ ცხოვრების ახალ პირობებში ჩადგა, არამედ იმიტომ, რომ რაც ვი მოხდა ამის შემდეგ, ყოველივე მიიღო მისთვის ახალი მნიშვნელობა და არ ისეთი როგორც უწინ.

ყოველივე ეს მეტად განურკვეველი რამ არის. იძიებდით სამეუფოსა უფლისასა? ვი მაგრამ, რა არის ეს სამეუფო უფლისა? როგორ უნდა კიბოთ და რაკი მოკვებით რა საშუალებით მივაღწიოთ იმას კაცთა შორის დამკვიდრებას. ეს ყოველივე მთავარი საგანი ისევე გარდაუწვეველია რჩება, როგორც აქნამდის იყო, ამ თვინობაგოიურის გარდაბდების ისტორია იწყება კატიუმს განსჯის დღიდან. ნათავ მსაჯულთა სკამზე აღედგა ნესლიუდოკი სინადისის ქენჯნა; მის სულში ხდებოდა რთული და მტანჯი მუშაობა, მას აგონდება მთელი თავისი წარსული, დრო სტუდენტობისა, კატიუმს სიყვარული, კატიუმს შეცდენა და შემდეგ მისი ფუქსაგატი ცხოვრება დარდამანდის ახალგაზდასი... მაგრამ ჯერ კიდევ არ ემოჩნებოდა იმ სინანულის ჭკრძობას, რომელიც იღვიძებდა მასში. მას ეგონა რომ ეს შემთხვევითი მოკვლენაა, რომელიც გაივლის და მისი ცხოვრების მიმდინარეობას არ დაარღვევს... ნესლიუდოკი გრძნობდა მისგან ჩადენილის საქმის საზიზღრობას, გრძნობდა ძლიერებით მორწმულს ხელს «ახლის უფლისას», მაგრამ ჯერ კიდევ არ ესმოდა თავისის ნამოქმედარის მნიშვნელობა და არ სცნობდა თვით «ახლის უფლისა». არ უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ რასაც ხედავდა, მისგან ჩადენილი საქმე იყო. მაგრამ უღმობელს, უხილავს ხელს ეჭირა და გრძნობდა რომ ამ ხელს ვერ გაეჭვოდა... სულის სიღრმეში ჭკრძნობდა, რა საშინელებითა, საზიზღრობითა და სისამაგლით იყო აღვსილი არა თუ ეს მისი მოქმედება, არამედ მთელი მისი უქმი გარეუნილი, უკულო და ლაღი ცხოვრება და ის საშინელი ფაქტა, რომელიც რაღაც სასწაულის ძალით ამ 12-ის წლის განმავლობაში ფარვიდა მისგან ამ მის ბოროტ-მოქმედებას და მთელ მის ბოლონდელ ცხოვრებას შეინძრა და ის დრო-გამოშვებით იჭკრიტებოდა ამ ფაქტის იქითა.

შემდეგში ეს ფაქტა თანდათან ახდება ნესლიუდოკის წინ და მთელს მის ცხოვრებას დაუწევს საშინელის სისასტიკითა და სიმ-

კატრით განსჯას. გასწვევტს უაველავე კავშირს: იმ საზოგადოებას-  
თან, რომლის სულისა და გულის შეადგენდა და რომელიც მას აწ-  
თობდა და ავიწყებდა თავისს ადამიანობას. ტოლსტოის მოძღვრე-  
ბის აღმასრულებელი სდება მით, რომ გლეხებს მიწა-წყალს დაუბრ-  
გებს ზოგს უფასოდ, ზოგს კი სულ მცირე იჯარის ფულს აწ-  
მეკს, თუმიცა, მართალია, ეს მცირეც დიდძალ ფულს შეადგენს. ნეს-  
ლიუდოვი ამ დღიდან კატოიშმა: და მასთან ყველა იმ ქალაქის ტუ-  
საღის მეხსადა და ნუგეშად შეიქმნება, მათ გაჭყეება ციმბირში და  
კატოიშმას ცხოვრებას რაკი მოაწოზს, იმ სიტყვებით ამთავრებს  
თავისის ცხოვრების ჰარველ ხანას, რომელიც ზემოდ მოკვიყანეთ.  
მისი ცხოვრების მეორე ხანა კი ბუნდოვანი სიტყვებით იწყება, და  
ეუფლის სამეუფოს დამკვიდრებისა საქმის სამსახურს დაისახავს ამ  
ხანის იდეალად ნესლიუდოვი.

მთელი ეს ისტორია სულის გარდაბადებისა და აღდგომისა  
აღწერილია ერთად იმ საზოგადოების წარმომადგენლებთან, რომ-  
ლებსაც რამე დამოკიდებულება აქვს ამ ამბავთან და ამ წარმომად-  
გენლების სურათებით აღსაკუთხა ახალი რომანი ტოლსტოისა. ჩვეუ-  
ლებრივის ხელოვნებითა აქვს ტოლსტოის აღწერილი რუსეთის უმად-  
ლესის საზოგადოების წევრნი სასამართლოს დაწესებულებათა მო-  
სკლენი, სატუსაღოს მმართველნი და პატრონნი, უფრო ნაკლების  
ხელოვნებით აქვს ატორს დასურათებული უბრალო და პოლიტი-  
კურ და დამნაშავეთა წარმომადგენელნი.

| ჩვენ გადავ იმას ვიმეორებთ, ის ადგილები რომანისა, სადა  
საზოგადოების კრიტიკული სურათებია წარმოდგენილი, ანა და სადა  
ფისიოლოგიურს ანალიზს საგნადა აქვს ნესლიუდოვს ცხოვრებისა  
და აზრთა კრიტიკა ტოლსტოის ჩვეულებრივს ნიჭითა და ხელოვნ-  
ებით აქვს აღწერილი, ამ ნიჭზე კი აღზარაკი მეტია, რადგან მიწ-  
ნეულის ყველასაგან ძლიერ ნიჭად. ჩვენ შეგვიძლიან მხოლოდ ვი-  
ლაზარაკოთ ტოლსტოის რომანის მთავარ აზრის, მის ტენდენციის,  
მისი ფილოსოფიის შესახებ. და ესეც ვთქვით ეს მხარე მოთხ-  
რობისა სუსტია, როგორც საზოგადოდ ტოლსტოის ფილოსოფია.

მთავარა ტიპი — გმირი რომანისა თ. ნესლიუდოვი უფრო გან-  
ყენებული არის, ვიდრე რეალური და მის სიანამდვილეს ხელს

უშლის სწორედ ისა, რომ ტოლსტოი თავის ტენდენციას უჭეკმდებარებს ტუზს, ამ ტიპს, ამისინჯებს იმისდა მისედვით, თუ რას თხოულობს თხოვნიდან აღებული აზრი. თუ სინამდვილეს მოკლებულია ეკ ტიპი, ეკ ვიდევ არას შეიცავს, თუ ეკ შესაძლოა და სასურველი. შესაძლოა, რასაკვირველია, არის ეგრეთი გარდაბდება დამიანისა, რადგან ცხოვრებაში უოკელივე შესაძლოა, ხოლო სასურველი და მანცა და მანცა იდეალად დასასახავი ეკ არ არის.

გრეთ ტოლსტოის წინანდელ თავისს რომანებში გამოჭყვავდა ხოლმე ნამდვილი ტიპები და მათ გვერდით სასურველი (ბოლოვინსკი და ბესუნოვი, ვროსნიკი და ლეკინი). ამ რომანში ეკ ლ. ტოლსტოიმ მოასურვა რომ ტიპის ერთად შედგება. ნესლიუდოვი ადღგომამდის, ნესლიუდოვი ადღგომამს, განახლების შემდეგ. ნესლიუდოვი ადღგომამდის და სულის განახლებამდის ცოცხალი ტიპია დღეინდელის საზოგადოებისა და საზოგადო ბირობების წარმოშობილი. აღტაცებული ახალგაზდა სტუდენტობის დროს, შემდეგ ფუქსავტისა და უაზრო ცხოვრებისგან გაქსუბულ დარდმანად გაქცეული, ეს არის ისტორია თითქმის მოელის უმეტესის ნაწილის დღეინდელის ახალგაზდობისა. მაგრამ ნესლიუდოვი თავის ნიჭითა და გრძობითაც განირჩეოდა სხვისაგან და ამ განსხვავების შედეგია ის სულის ქენჯნა და ის მკაცრი კრიტიკული ახალიზი თავისის წარსულის ცხოვრებისა, რომლის მსხვერპლიც შეიქმნა იგი, მის დღეს აქვთ, რა მისგან დადებული სული ნახა, მე გონის ნამდვილ ცხოვრებას აქ უნდა დასმოდა წერტილი, რადგან რას იზამდა შემდეგ ნესლიუდოვი, ეს მანცა და მანცა არავისათვის საინტერესო არ იყო და საცოდნელადაც მეტად ძნელი. ამას ამტკიცებს ლ. ტოლსტოის ცდა, რომელიც იმით დამთავრდა, რომ ნესლიუდოვი სახარების სიტყვებს იმეორებს და იგი გამეორება არ იძლევა არავითარს გარკვეულს გეგმას მოქმედებისას და ვერც ვერავითარ ნათელს იდეალს ვერ გვისახავს. საინტერესო როგორც ხელკონების ისე მორალის მხრით იყო ის, თუ რა სიმწარე და ტანჯვა მოაქვს გრძობიერისა და გონიერის არსებისათვის დანაშაულს და ცუდ მოქმედებას და არა ის, თუ შემდეგში, როგორ იმოქმედებს ეს პირი. როცა მწერალი ამგვარ საგანს ეტანება, იგი უთუოდ შენ-



დომის გზას დადგება, რადგან მქადაგებლისა და მოძღვრის როლს იღებს თავსე და ვერ აასრულებს ხოლმე რიგიანად. მწერალმა უნდა დაგვიანახოს სულის კვეთება ადამიანისა ამა თუ იმ მოკვლისაგან გამოწვეული, უნდა გადაგვიძღოს ადამიანის სული და გაახვიანოს რა გაგვენა აქვს მასე დიადს მოკვლის სიკვდილისას, სინჯისლის ძარითად მოთხოვნებს სიყვარულისას და კანთა შორის სხვა ძლიერის კავშირისას, რა გაგვენა აქვს ამ სულის განწყობილებაზე ადამიანსა და ბუნების შორის დამოკიდებულებას და სხვა მსგავს მოკვლენათ. მწერალმა უნდა დაგვიასურათოს ის, როგორ იქცევა და მოქმედებს ესა თუ ის კაცი ამა თუ იმ შემთხვევაში და მცნებათა დაფარვე დაწერას უნდა ერთდღეს, რადგან ყოველთვის კვრეთი ცდა უკარგისი გამომდგარა, თუგინდ ამს ხელი მიჭყოს ისეთმა ძლიერმა მწერალმა, როგორც ლ. ტოლსტოია. მთელს ინტერესს რომანისას, ამიტომაც, სწორედ ნებსდოუდოვის ჰიროკლის ხანის სულის ისტორია შეადგენს, ხოლო მეორე ხანაში მისს სულის ისტორიას კი აღარ გვიწერს ავტორი, რეცეპტებს გვიმზადებს მოქმედებისას, და ეს რეცეპტები ისეა დაწერილი, რომ ვერც ერთი შეფთობავე ვერ ამოვიტახავს. ხოლო თუ ამ უნებობივი რეცეპტის გამორკვევას ვეცდებით, ტოლსტოის სხვა ნაწერებიდან დაგვიანახეთ, რომ ასკეტიური მორალის მოძღვრების მუხლებია: უარჯყე ყოველივე მოთხოვნილება გონებისა და ხორცისა და შეუდექი სულის საქმეს, უარჯყე სიყვარული, სიმშენიერე ცხოვრებისა, უარჯყე აზრის კარჯიშობა, ხელაგნება, რომელიც ხორცილებადაც ემსახურება, აღიღე ჭკარი და გადაიქეცი კარატეკად თოხითა და ბარით ხელში. ეც უარყოფა ანა თუ მთელის კულტურისა, რომლის შემქნა მარტო ასკეტიის მოძღვრებას კი არ ეკუთვნის, არამედ მთელს კანცობრიობას ეკონტინდინ დაწვეული—ხინეთამდც, არამედ თვით კანცის ბუნების მთავარ მოთხოვნილებასა. — სინჯისლე და მისი სიმშენიერე, სიყვარული ერთი სქესისა მეორისადმი, სიყვარული აზრის კარჯიშობისა, საუკუნო კითხვების გარდაწვევების სურვილი, სიყვარული ხელაგნებისა, რომელიც გარეგანისა და სულიერის სიმშენიერის იდეალს გვიხატავს—ეს ისეთი მიუცილებელი მოთხოვნილება კანცის არსებისა, რომლის უარყოფა ყოვლად შეუძლებელია

და რომლის უარყოფილი ყოველთვის დასჯილი რჩება ცხოვრებისა და განუკლებს განაცხადს. კაცობრიობის იდეალი ის კა არ არის—უარყოფს ყოველივე, რაც ცხოვრების სამკაუფს შეადგენს, არამედ განაკითხ-როს ცხოვრება და განათვარტოროს მისი კეთილი მოთხოვნალებანი და გამარჯვლოს მისი მშენებრი მხარენი—თანაც ყოველავე კეთილი ცხოვრებისა განსადოს ყოველი კაცის მისაწდომად და არა მარტო რჩეულთა; იდეალი იმაში კა არ არის, კარატაეუბად გარდაქცე-ნეთ და ამით სულის მშვიდობა მოკაპოკოთ. ეს კვაეტაშმის ფა-ლასოფია, სულის მშვიდობა ინდივიდუუმისა, როგორც განუენ-ბული რამ, არაფერ სასურველს არ შეიცავს, ქვა სულ მშვიდად არის, მაგრამ ქვად გარდაქცევა არა მკონი იდეალად დასასახვა იყოს. \*)

წინააღმდეგ, ტანჯვა, შეფოთვა და გრკვენივა კაცის სულისა მისი ჭეშმარიტ ადამიანობის საბუთია და მისი გაღმერთების წინააღმდეგ. საუკუნო ბრძოლა, საუკუნო და განუწყვეტელა ომი ბოროტისა და მისი ანგელუების წინააღმდეგ—ი იდეალა ცოცხალის, გრძობაე-რის და გონიერის კაცისა,—მაგრამ «არა წინააღმდეგობად ბოროტა-სა». ეს სომ ტოლსტოის კვაეტაურის ფალასოფიის კვა-კე უხედაია.

ტოლსტოის რომანის ინტერესიც იქ თავდება, საცა იგი გვი-სატყავს, რა წამება მოაქვს გონიერისა და გრძობაეერის არსებობისათ-ვის წუთაერის სიამოფრებისათვის ჩადენილ შეჯდომისა და დანა-

\*) ტოლსტოი ამასაც კა ჰქადავებს, როგორც სხანა მისი წერილე-ბიდან სწავლა-აღზრდის შესახებ: „ჩვენ ვეძიებთ ჩვენა იდეალს სადღაც შორს, ის კი აქ ახლო არის. განვითარება კაცისა არ არის ის საშუალება, რომლის შემწეობითაც შეგვიძლიან განვხორციელოთ ჩვენში ჩანერგილი ჰარმონიის იდეალი, იგი წინააღმდეგ ხელის შემშლელა ამ იდეალის გან-ხორციელებისა. მრთელი ბავშვი, ახლად ქვეყნად გაჩენილი, თავდაპირვე-ლად ამ ქეშმარიტების, სიმშვენიერისა და სიკეთის იდეალის სრული განხორციელებაა, შემდეგ იგი თან-და-თან დასცილდება ამ იდეალს; უფრო უახლოვდება არა მოაზრე ქმნილებათ, პირუტყვს, მცენარეს, ბუ-ნებას, რომელიც წარმოადგენს საუკუნო ტოის ქეშმარიტებისა, მშვენიერე-ბისა და სიკეთისას (M. Yogué. le roman russe გვ. 313) მკოთხელი ჰხედავს, რომ ლ. ტოლსტოის ბავშვი, პირუტყვი, მცენარე, რომელიც შორს არიან ყოველ გვარ აზრავნობაზედ, მიანჩნია კაცობრიობის მისაბაძვად იდეალად .

შეუღს, ხოლო ასეთის შინაარსის რომანები არა ნაკლები დიონსებისა უცხოეთის ლიტერატურაშია მოიპოვება. მთლად მთელი სერია ბურჟუაზიის რომანებისა სწორედ მაგ დანაშაულის შეხანების აღწერას და ამ შეხანებისგან გამომწვეულს ვაებისა შემკვნიებელ ადამიანში. ამისათვის ჩვენს გვერდს, ტოლსტოიმ არაფერი ახალი არა მისცა-რს კერძის ლიტერატურას არც ფორმისა და არც აზრის მხრით. ბევრად უფრო გასაკებია ჩვენთვისაც კი ბურჟუაზიული დეკორაციები და გრეზები, ვინემ ნესლიუდლოვი, რომელიც უფრო ახლოა ჩვენსკად და ეს იმიტომ, რომ ბურჟუაზი ტიპები უფრო სინამდვილით აღსაკვნი აჩიან.

არა ი უ კაბის ცეცხში, სხვაშიც კანსკად მოდას დიდი გავლენა აქვს. ტოლსტოი მოდაშია და აჩივის, რასაკვირველია, არ შეენდობა მისი ნაწერების გულ-გრილად მიღება. მაგრამ მოდას ჩვეულება ის არის, რომ მალ-მალე იცვლება და ტოლსტოის თხზულებებსაც ის ეძირთება. გამოვიდა «უფალი და მონა» (Хозяин и работник) და მასკადც აძენი იფიერეს, მაგრამ დღეს აღარავის ახსოვს, ამ «აღდგომისსაც» უეჭველია ისე დავძირთება, რადგან ის აღტაცება, რომელიც მან კერძის მიწოდებაში, გამოიწვია სრულიად არ შეესაბამება ამ ნაწარმოების არსებით დიონსებს, არამედ სხვა ნაწარმოების გარეშე მდებარე მიხეზებისგან არის გამოწვეული. ჩვენ არ შეგვეშინდება უმერების სახელი დავიმსახუროთ და განაცხადებთ, რომ სენკევიჩის Quo vadis-ი შეუდარებად უფრო მალადაა სდგას ტოლსტოის ახალ რომანსკად, მაგრამ სენკევიჩს არა აქვს ის გარეშე შირობანი, რომელიც ტოლსტოის დიდ სამსახურს უწევს. სენკევიჩის Quo vadis მიშენიერი სურათია იმ ბრძოლისა, რომელიც კაცობრიობის ცხოვრების ისტორიას წარმოადგენს და რომლის შესახებაც ზემოდ ვილაშარაკეთ, ხორცის საწმუნოების სულის საწმუნოებასთან, კერძ-თაყვანისმცემლობისა ქრისტიანობასთან (ეიტრონი და ლიგია). სენკევიჩის რომანი წინასწარმეტყველურისინამდვილით არის აღსაკვ და ისტორიულს წარსულის დასურათებაში დღეინდელი დღე ხათლად არის დანახებული. სენკევიჩმა უცნაურის გამჭრიახობით და საცხარის ნიჭით გაახვენს არსებითი ნათესობა დღეინდელის ცხოვრებისა რომის დაცემის ხანის ცხოვ-

რებასთან, მოგვცა ფრად შესანიშნავი ტიპი პეტრონიისა, რომელ-  
 თანაც კავშირს იშეიათი მარტო სხაღგაზდა არა გრძობს, ნესლიუ-  
 დოგი კი მთლად ისე აღებულა, როგორც ტოლსტოისა აქვს აღ-  
 წერილი, დამახინჯებული ასკეტია ძველის დროისა, რომელსაც სი-  
 ბერის სანს ყოველივე მოსძულეობა და ასკეტიზმის შესდგომია, ხო-  
 ლო მარტო მისი სულის ტანჯვის ისტორია, ზემოდაც მოგისუ-  
 ნიეთ, არაფერ სხაღს და არა ჩვეულებრივს არ წარმოადგენს, რად-  
 გან მაგისთანა ამბებით მარტო ბურჟეს რომანებია აღსაყუ. მართა-  
 ლია, ბურჟე რუსულ კრიტიკას არ მოსწონს, ზაზის თავუანისმცემე-  
 ლიაო, თუმიც ამის სელაუნებასთან მგონი ანაკითარი დამოკიდე-  
 ბულება არა აქვს და სამართლუ მოითხოვს კითქათ, ბურჟეს დე-  
 კრნი და გრელუ ბერად უფრო ნამდვილია და ადამიანური, ვიდრე  
 ნესლიუდოგი. არც სენკევიჩის დაყარა სეირი რუსის კრიტიკოსებმა,  
 მაგრამ, ბ. სვასოვიჩის არ იყოს, რუსის საზოგადოებისათვის Quo  
 vadis გაუგებარია; უფრო სინამდვილესთან ახლო იქმნებოდა კო-  
 ქა, რუსის საზოგადოებას Quo vadis-ის სამართლიანად გაგებაში  
 ნაწარმოე ბის გარეშე მდებარე სსვა-და-სსვა მიზეზებმა შეუშაღეს  
 სელი.

მაგრამ სენკევიჩის, ტოლსტოისა და ბურჟეს ნაწარმოებნი მხო-  
 ლოდ ერთ რასმე გვიჩვენებენ,—ეს მას, რომ თანამედროე საზოგადოება  
 რაღაცას იძიებს და ელის, რომელიღაც მესიასს მოლოდინშია, რომელ-  
 მაც ახალი საწმუნოება უნდა შეუქმნას და მისცეს გზა დაბნულ გა-  
 ცობრიობას. ტოლსტოი ამდგაღად გარდასწვიტა ეს საქმე და დი-  
 დის ხნის აღმოჩენილი ამერიკა აღმოგვიჩინა—ასკეტიურს მოწაღ-  
 სედ მიგვითითა; ბურჟე და მისი ფრანგი თანამეკალმეები (მაგა-  
 ლითად ცნობილი კრიტიკოსი ბრუნეტერი) ზაზის ქაშებს დაუბ-  
 რუნდნენ; სენკევიჩიც ვითომ და «დოგმატიზმი» ეტანება, მაგრამ  
 ყველა ეს ცდა ყოვლად ფეჭი და უმნიშვნელოა, თავისებური სიმბ-  
 ტომი საზოგადოების აზრის რეგისა ახლას მოლოდინში.

ტოლსტოი კი, როგორც მომღვარი, მგონი აღაჩავის სერიო-  
 სულ ყურადღებას არ იბურბოს, როგორც მწერალი კი იგი დაშთე-

ბა მხოლოდ და მარტო «ომასა და ზავისა» და «ანსა კაქენინასა» ავტორად \*).

კაცა აბაშიძე



\*) ეს წერილი უკვე რედაქციაში იყო გაგზავნილი და დასასტამბავად აწყობილი, როცა მივიღეთ ახალი წიგნი: „რუსული ლიტერატურა, ვალიშევსკისა“ ფრანგულ ენაზე (Litterature russe par k. Walishevski). სიამოვნებით აღვნიშნავთ იმ ფაქტს, რომ ბ-ნ ვალიშევსკის ბევრ აზრს ტოლსტოის შესახებ ეთანხმება ამ წერილში გამოთქმული აზრები. მიუხედავად იმისა, რომ ვალიშევსკი დიდის აღტაცებით ეკიდება ტოლსტოის, მის ნაკლულევანებათაც უჩვენებს: ნაკლულევანებას თხზულებათა ტექნიკურის მხრისას, აზრის უორიგინალობას, მის იდეალური „კარატაეების“ ზნეობრივ ბეჩავობას და მის აზრებულობას კერძო ცხოვრებაში («ტულუპითა» და „ლაპტებითა“ სიარულს და სხვ.) პეტად მკვახედაც იხსენიებს საქციელს ტოლსტოისას („ეს ნაციონალური თვისებაა სამოღურსტვოსიო“ იბ. გვ. 358—395). ყველაზე უფრო საინტერესო აქ ის არის, რომ ვალიშევსკის წიგნი გამოცემულია პარიზელ წიგნების გამომცემელ არჰან კოლენისაგან, რომელსაც აზრადა აქვს სხვა-და-სხვა ხალხის ლიტერატურის ისტორია გამოსცეს და უთუოდ მისისავე წინადადებით დაუწერია ვალიშევსკის ზემოხსენებული წიგნი. ეს ფაქტი კიდევ ერთი საბუთია იმისი, რომ საფრანგოში რუსულის ლიტერატურის აღტაცება თანდათან ქრება და გზას უთმობს უფრო საღსა და ქეშმარიტს მსჯელობას... ვალიშევსკის აზრი რუსულის ლიტერატურის შესახებ ბევრნაირად არის საინტერესო კიდევ, მაგრამ შეიძლება შემთხვევა გვექნეს ამ წიგნზე უფრო სავსებით ვილაპარაკებთ...

## თომა ჰენრი ჰექსლი\*)

‡ (ბიოგრაფიული დახასიათება)

ჩვენი საზოგადოება ნორჩია. ხალხი ნორჩია ის არა თავისი სიფიქსით და გულწრფელობით, არამედ არარაობით და წკრილმანი ეგოისტური თავმოყვარეობის ამოღლებით. მასში ტრიალებს ურიცხვი ისეთი აზრი, რომელიც მეტად ძაზნა, ხელშემშლელი ელგელი თავისუფალი განვითარებისა. ერთი ასეთი აზრთაგანია ის აზრი, რომ თითქო ცოდნა და განვითარება ერთისათვის საჭიროა და კარგი, მეორისათვის არა თუ საჭირო არაა, მავნეცაა, თითქო ერთმა ყველაფერი უნდა იცოდეს, ხალხი მეორესთვის ეს ცოდნა დაფარული უნდა იყოს ცრუ-მორწმუნების კედლით, და ამ კედლის დანგრევას არაფერ თუ არ უნდა ვცდილობდეთ, პირიქით, კიდევ ვიცავდეთ, გუფრთხილდებოდეთ და ვამაგრებდეთ. ასეთი აზრი ეკუთვნის, რასაკვირველია, არა ხალხს, არა მის შვილებს, არამედ იმ პირებს, რომელთაც ხალხი დღესაც თავის მონად მიაჩნია, რომელთათვის გარკვეულად ფიზიკური ბატონობა წაურთმევია, ხალხი გონებრივი ბატონობის დაკარგვას ჯერ-ჯერობით კერ შესჩვევია. ჩვენ ასეთი წრისგან გზის გაკვლევის კი არ უნდა მოკვლობდეთ, არამედ შეფერხებას, წინმსკლელობასა და განვითარებისათან ბრძოლას. რამდენად ეს წრე ამხნევს, რომ ხალხი ვითარდება და ითვისებს თანამედროვე მეცნიერებას, იმდენათ მისი წუწუნი და ჩივილი უფრო და უფრო ძლიერდება. დეკ, აწუწუნონ, ეცადონ თავისი აზრი

\*) დაბეჭდილია ჰექსლის თხზულებების: «ორგანიულ ბუნების მოვლენათა მიზეზები»-ს წინასტყვეობად.

დაიცვან. მაგრამ მოპირდაპირე აზრის მქონეთაც არ უნდა სძინავდეთ, ხომ მოგესვენებათ, ბრძოლა შეიქმს მეომარსა. სადაც ბრძოლაა, იქ იარაღიც საჭიროა. ხოლო იარაღს გალესვა უნდა. გაისვენეთ კუთხეში მიგდებულნი სახსრისის ამბავი. გონებაც ხომ იარაღია, იარაღი ძლიერი და მადლიანი.

ცხოვრებაში ბრძოლა სდება არა მარტო ფიზიკურად, აქ ათასი აზრი ტრიალებს. ერთსაც უნდა გაბატონდეს, მეორესაც და მესამესაც. ხოლო ჩვენ ვაღდებულნი ვართ გავიცნოთ ეს აზრები, ავწონ-დავწონოთ, აზრი უსაფუძვლო და მავნე დაკტოკოთ, დაკვიწოთ, გაფიქროთ, ხოლო აზრი ჭეშმარიტი, სასარგებლო შევითვისოთ გაავრცელოთ.

ეს საუკუნე, რომელსაც აღსასრული ეს-ესაა დადგეს, შესამჩნევია თავისი მეცნიერული ძლიერებით. არა ერთი დარგი მეცნიერებისა მხოლოდ ამ საუკუნეში აყვავებულა და გაფურჩქნია. შექმნილა არა ერთი თეორია, არა ერთი მიმართულება. ხოლო ყველა ამ თეორიათაგანში უძლიერესი თავისი გაკლებით დარვინიზმია, ასე რომ უკანასკნელ 40 წელს ამ საუკუნისას ბევრი დარკინიზმის ხანას უწოდებს, ასეთი დიდი მეცნიერული მიმართულება დიდ კვლას სტრუქტურებს ყოველ ადამიანზე. აუცილებელია მისი შეთვისება და გარკვევით ცოდნა, ამისათვის ჩვენ განვიზრახეთ გამოკვრევა ქართულ ენაზე წიგნი, რომელშიაც ერთი უწარჩინებულესი მიმდევარი დარკინისა მეცნიერი ჭექსლი გაგვაცნობს ამ ზამთრში მოძღვრებას.

დღეს მეცნიერულმა კვლევამ დაგვანახვა, რომ ყოველი აზრი, ყოველი მიმართულება უცნობი კია არ იხადება ვისამე თავში, არამედ თანდათან მზადდება კაცობრიობის წინსვლაში. მართლაც, რაც გინდა განუკითხველი ადამიანი იყოს, რამდენადაც უკან იდგეს ის ტონებრივი სიმწიფით, იმას მანც აინტერესებს ერთი კითხვა: «კინ ვარ მე, რა ადგილი მიჭირავს ბუნებაში და რა არის ეს გარემოცული ბუნება». ეს მუდმივი გულის მჭეწველი კითხვა მუდმივ ამუშავებს მას. ამ მუშაობაში თანდათან იმსხვილებს გონებას, იმდობრებს ცოდნის საღაროს, იკვლევს გზას დაუწყებულ კითხვის გამოსარკვევად. ბუნებრივი კანონის ამოხედაში საზოგადოდ ადამიანის



გონება გაიფლავა სოფელი სამს საფეხურს. შიშველად ის ბუნდოვანად ხედავს რაღაც კანონიერებას, რაღაც მისვედრს აქვს, მაგრამ ამ მისვედრას ვერ ასახულებს ფაქტებით, ვერ იმას არ შეუძლიან აზრის ფაქტიური დალაგება. შემდეგ ის საკმაოდ ფაქტებს თავს უყრის და კადეც საზოგადო აზრს, ჭიბოტუნას ჭჭმნის. სოფელ მესამე საფეხურზე ამტკიცებს, საკმარისად ასახულებს თავის აზრს. უკვე ძველ საბერძნეთში ჩასახულა ყველა ის მამართულებანი, რომელნიც შემდეგ კაცობრიობაში გაზრდილა და განვითარებულა.

შე აქ დახსლოვებითაც არ შემძლიან ამ თანდათანობის სურათი დავსატო. სოფელ შეენიშნავ, რომ მამამთავრებად თანამედროვე მამართულებათა ითვლებიან ბერძენთა ფალაქსოფოქსნი—დემოკრატია და ანაკსაგორი. ანაკსაგორი ასწავლიდა, რომ ქვეყანაზე სუფიქსს უთავალავი შიშველდამწეუ ნივთიერება, სოფელ ამ ნივთიერებათა შემყარებელი და გამშორებელი ძალა არის სული, რომელიც არსებობს გარეშე ნივთიერებისა და მართავს მას. აი აქ დაისახა შესუფიქსობის გარება, დუალიზმი. ერთი მხრით ნივთიერება, მეორე მხრით სული.

გაცილებით უფრო ძაღლა იდგა ანაკსაგორზე დემოკრატია (დაიბადა 460 წ. ქრისტეს მოსვლამდის). ცოდნის წყურველით შეხერხილი დემოკრატია მოგზაურობდა სხვა-და-სხვა ქვეყნებში, ისმენდა ბერს თავის დროის მეცნიერებს, შეისწავლა ეგვიპტელების მეცნიება, დასწერა არა ერთი გამოკვლევა სხვა-და-სხვა კითხვებზე. დემოკრატია არ შეჩერდა ამ აზრზე, რომ ბერეი სხვა-და-სხვა მართა ელემენტებია. იმან იკითხა: რისგან შესდგებიან ეს ელემენტებია. ამას უპასუხა, რომ ისინი შემდგარი არიან ურიცხვი ზაქსა უგოფა ნამცეცხვისაგან, რომელთაც დაერქვა სახელით ატომი. ატომები ერთმანეთში თავისებებით არ განირჩევიან. მათი განსხვავება მხოლოდ რაოდენობითა. ერთგვარი შეერთება მათი გამოიწვევს მცენარებს, მეორე ცხოველებს, ზოგი მათგანი შეადგენენ მიწას, ზოგიც მზეს და სხვა. ატომები მოძრაობენ სივრცეში. ატომებს და სივრცეს გარდა არაფერი არაა. სივრცეში დატრიალებენ ატომები, მოხვედებიან ერთმანეთს, მათი რხევა და ამით გამოიწვეული მოძრაობა შეიქმნა ქვეყნიერებათა. ამინარად დემოკრატის უფინია მხოლოდ ატომები და მათი



მოძრაობა. სწორედ ესაა საძირკველი დღევანდელი მეცნიერული ატომისტური შესჯდულობისა.

მოსალოდნელი იყო, რომ მეცნიერება ამას შემდეგ დაადგებოდა თვართუ განვითარების გზას, გზას, ცრუმორწმუნობისაგან თავისუფალი ბერძენი თანდათან გაათავისუფლებდა და დაამკვიდრებდა თავის შესჯდულებას. საუბედუროდ ასე არ მოხდა.

მატერიალისტური მიმართულება დემოკრატისა თანდათან სუსტდება და შივიწივებს ეძლევა. სულ ჩაქრობაზეა მიმდგარი ქრისტიანობის გამორჩენის დროს. ხოლო მეორე—ანაკსაგორის დუნაიზმზე ამოცნებულ იდეალისტური მოძღვრება ძლიერდება. ქრისტიანობამ წინ წამოსწია უბრალო, უმეცარი ხალხი, რომელმაც შეიტანა ცხოვრების იდეალში თავისი თავისი უმეცრება. დეკანაზრთა, დაუნდობლობა, თანატომში გადაქცევა მეცნიერებას, ამხედრდნენ მის წინააღმდეგ, უმეტესად ბუნებისმეტყველებას. ალექსანდრიის მდიდარი ბიბლიოთეკა ქრისტიანებმა განადგურეს, შემუსრეს. შევიწროება თავისუფალ აზრისათვის იყო წარმოუდგენელი. ამ სახით ბერძენებს მეცნიერული ლტოლვილება ქრისტიანეთა ქვეყანაში თითქმის დაიშო. გამოუდა ეკლესია, რომელიც სამეცნიერო კითხვებს სჯიდა საწმინტოების თვალთ. შემოვიდა ბიბლიური ასხნა ქვეყნიერების მოგლეხთა, გაჩნდა უფაქტო, სსოლასტური მსჯელობა, რომელიც მეფობდა რამდენიმე საუკუნეს. მსოფლიო აზრებში ინახებოდა ოდნავ ძველი საბერძნეთის ტრადიციები. საშუალო საუკუნეებში აზრების გავლენა თანდათან გადიოდა ევროპაში. ამასთან ერთად იზრდება ძველი საბერძნეთის შესწავლის სურვილი. ამ მოვლენას მოსდევს სხვა-და-სხვა აღმოჩენები, რომელნიც ცხარე ბრძოლის შემდეგ იკვლევან გზას, პირველი ადგილი მათ შორის უჭირავს კოპტონის აღმოჩენას. უკვე ძველმა ბერძენებმა იცოდნენ, რომ დედამიწას ბურთის მოყვანილობა აქვს. ეს ცოდნა მეტად ცხადად დამტკიცა პტოლომემ. შემდეგ კი ქრისტიანობასთან ერთად გაცოცხლდა ძველებური სემიტიური შესჯდულობა. საშუალო საუკუნის ქრისტიანების ქართ დედამიწას წარმოადგენდა, როგორც ბორბალს, რომელიც დაყოფილი იყო სამ სწორ ნაწილებად და შუაში მოქცეული იყო ერთსაღიში. რასაკვირველია, ასეთი უსაფუძვლო

შესდგულობს კერ აკმყოფილებდა განვითარებულ გონებს. თან-  
 ღათან იწოდებოდა ბერძენებს მიერ დათესილი ცოდნა. ბო-  
 ლდოს გამომხნდა კოპტნიკი. მან, როგორც გუნდოფიშერი შე-  
 ნიშნავს, ამომართა თვალი პოლანეთის ტიტულ მინდვრებს  
 და ამოხინა დედამიწა ცის მნათობთა შორისა, ესე იგი მან  
 გამთარგმნა, რომ დედამიწა ერთი შედარებით პატარა ბურთია, რომ-  
 დელნიც ბრუნავს მზის გარშემო. მას მოჭყენენ სხვა მენნიერები. ჟორო-  
 დანთ ბრუნომ კოპტნიკის ამოხინას მიუძღუა ქვენიერებათა ურიც-  
 ხვობა. ის მივიდა იმ დასკვნამდე, რომ უძრავი ვარსკვლავები, რომ-  
 დელნიც ოდნავ ბუტუნენ ცის სივრცეში, იგივე არიან, რაც ჩვენის  
 მზე, ისინიც მზეები არიან. მათ თან დასდევენ თანამოვლი სხუეუ-  
 ლი, რომელნიც იმ მზეებთან იმგვარივე დამოკიდებულებასში არიან, რა  
 დამოკიდებულებაც არსებობს მზესა და მის თანამოვლ სხუელთა შო-  
 რისთ. ჟოროდანთ ბრუნო, მკალითად, კათოლიკეთა ეკლესიამ მის-  
 ცა აღს რომში, როგორც ერთი და ურწმუნო. მიუხედავად ყო-  
 ვლენიორი დეკანის მენნიერული განვითარება მინც ხელნელა მიდი-  
 თდა თავისი გზით. საზოგადოდ ამ დროში შედარებით წინ წავი-  
 დნენ მათემატიკა და ფიზიკური მენნიერებანი, რაც შეეხება ბიოლო-  
 გიურ მოძღვრებათ, რომელთა მიზნისა ცხოველური მოკვლების ას-  
 სნა, ისინი მხოლოდ ჩვენ საუკუნეში განვითარდნენ მეტად სწრა-  
 თვად. სხვათა შორის ამის მიზეზი იყო ფაქტიური სიღარიბე. ბუ-  
 ნებისმეტყველება არის სწორი მენნიერება, ფაქტების მენნიერება და  
 მისი სიმდიერეც ამ ფაქტების სიმრავლეზე არის დამოკიდებული.

კოლონიზაციური თეორია საკლებით გაფურჩხენა მენსრამეტე  
 საუკუნეში. 1801 წელს გამოჩენილმა მენნიერმა ლამარკმა გამოა-  
 ქვეყნა თავისი შესდგულობანი. ლამარკის აზრით სუეველს მო-  
 დგმანი და მათ შორის ადამიანიც წარმოიშენენ ერთი ან რამდენიმე  
 ფორმის ცვლადი. დარვინის სიტყვით, ლამარკმა პირველმა გამოხა-  
 ტა ნათლად, რომ ყოველი ცვლილება, როგორც ორგანიულ აგრე-  
 თეე არა-ორგანიულ ბუნებაში, არის ამა თუ იმ კანონის შედეგი  
 და არა სასწავლებრივი ჩარევისა. მხოლოთ სისუსტე მისი ჭიბოტე-  
 უისა ისტებოდა დასაბუთებაში, ახსნაში ამ ცვლებადობის მოკლე-  
 ნისა. ის კი არაა საკმარისი, რომ მოკვლენა შენიშნოთ, საჭიროა,

რომ მას მიზნებიც გამოუჩინათ შესაფერი. ღამისკი გი ამ შემთ-  
ხვევაში შემდგომ გზას ადგია. მისი აზრით ცხოველის ცვალებას-  
დობას უმთავრესად ამ ცხოველისკე სურვილი აქვს მიზნად. მონ-  
დომას წყლის ფრინველმა, რომ ფეხები დაუკრძელდეს და თან და  
თან უკრძელდეს, მონდომას უარაფმა, რომ კისერა გაუკრძელდეს  
და სწინდელს აღწევს. რასაკვირველია, ასეთი შანაგანი, ფისანაური  
მიზნები არ შეიძლება მივიღოთ, რადგან ის სინამდვილეს არ უდრის.  
ამიტომ ჭგომბობდნენ, რომ ერთის მხრით ცვალებადობა აუცილ-  
ბელი ბუნებრივი პრინციპია, რომ ის განიხილეს ემოციონობა, მკრამ  
რს განიხილეს კისერი, კერ გამოეცნოთ. ამ დროს გამოქვეყნდა  
1858 წ. დარკინის წიგნი «მოდგმათა წარმოშობა». მერნიერულა ნი-  
ადაგი იმდენად გაქუქთილი იყო ევოლუციონურა აზრებით, რომ  
ჰექსლი შეჭინაშავს: წინაპირობე უარეულად დარკინი და ვთქვა: რა  
უმიტარი ევოლუციონერ, მე თვითონ როგორ ვერ მიხვდები ამასო. ეს  
ხომ თითქო მეც ვიცოდაო.

ამას ამბობს, რასაკვირველია, თვითონ ჰექსლი, ხოლო ბერა  
გი სულ სხვას ამბობდა. ძლიერი აზრი ადვილი მისაღები როდია,  
მას უჩნდება ურაცხვი მტერა. ყოველი საზოგადოებრივი მდგო-  
მარეობა, ყოველი საზოგადოებრივი ჯგუფი, გლასი თავის ვითარ-  
ბას გონებრივად ასახულებს, ამტკიცებს მის აუჯალბლობას, საჭი-  
როებას და სიკეთეს. თუ გი ამ გლასის შესჯეღულობას, მისი ფა-  
ლასოფიას წინააღმდეგი აზრი განდია, ის ცდილობს გასწასოს,  
მისპოს მისი საწინააღმდეგო შესჯეღულობა. ცხოვრებას ყოველთვის  
ჰყავს ორ გვარი ელემენტი. ერთია ისეთი, რომლისთვის თანამედ-  
როვე წესი საზოგადოებრივი მდგომარეობის მარტებელი მისთვის,  
ყოველივე ცვლილება გი წინსვლის გზასე დასაკლასია. ესა კონ-  
სერვატორი. ის კონსერვატორია თავისი გუჯით, კონსერვატორია გო-  
ნებით და ხნეობით. მეორე გი შიდაზიარია მისი მოწინააღმდეგეა. მისი  
შველა წინსვლას და განვითარებაშია. დარკინის აზრი იყო ყოველას  
გაშეშების წინააღმდეგეა, დამრევეა. ის ქადაგებდა ევოლუციონის, შეუ-  
ჩეკებელ და თანდათან ცვლას. რასაკვირველია, რომ მის წინააღმდეგ  
ამხედრებულაფუნენ. ასტულა სასტიკი ბრძოლა ახალსა და ძველს შო-  
რის, ერთი პრაფესორა აცხადებს, «დარკინის შესჯეღულობა ეს

პირუტყველი ფილოსოფია არისა. მეორე წვევა-კრულვას უგზავნიდა და ეკელა ეს საფუძვლიანი შესწავლის შედეგი კი არ იყო, არა. უბედურობაც ისაა, რომ მდგომარეობა სშირად ინსტიტუტურად ეუბნება: ნუ დაატან ძალას გონებას, ემარნილე შენს უმეტრებას, თუ არ გინდა სიმშვიდე დაკარგო და მოშორდე ცხოველურ სიტუბებებსა.

ასეთ ბრძოლაში ერთი კაცი არ კმარა, სუსტია. მოძღვრების მქადაგებლებიც უნდა. უპირველესი მქადაგებელი დარკინიზმისა იყო ჭექსელი. ის გამოვიდა როგორც მსეღარი ბრძოლის კელსე, გმიროვით გამოდგა და გამოუცხადა ბრძოლა ყოველ მოწინააღმდეგეთ-სამეცნიერო კრებულში იყვნენ ისინი, თუ უბრალო ხალხში.

მაგრამ გავიხსოვოთ ჯერ თვით ჭექსელი. ისაა ტიპიური წარმომადგენელი ინგლისელი მეცნიერისა, რომელიც საკსებით თავისთავად იკვლევს გზას, არ ემარნილება ერთის შემთხვევით ჩარხს და სტადის თავის ძელს სხვა-და-სხვა საქმეში, სანამ ნიჭს არ მოუხვედრს შესაფერ გზას. თვით დარკინი პირველად სასულიერო წოდებაში აპირობდა სამსახურს. მაგრამ შემდეგ ცდამ და თავისუფალმა განვითარებამ ნიჭისა სულ წინააღმდეგი გზა უჩვენა. ჭექსელი, როგორც სპენსერი, იყო უბრალო მასწავლებლის შვილი. აპირობდა ტესნიური ცოდნა შეეძინა, რომ თავი ერჩინა. შეისწავლა მედიცინა. შემდეგ შევიდა საზღვაო სამსახურში გემის ექიმად. აქ მოუხდა დიდი ხნით მეცნიერული მკვლევრობა ავსტრალიის ნაპირებისაკენ. იმ მკვლევრობაში ბერს მეცადინეობდა. ბერს ათვალეობდა და აკრებდა კოლექციონტებს მცენარეთა და ცხოველთა. ოთხი წლის მოგზაურობის შემდეგ დაბრუნდა ინგლისში. ახლა ის საკმაოდ მომზადებული იყო და ცდილობდა მიეღო რომელსამე უმაღლეს სასწავლებელში პროფესორობა. მისი საუკრებელი საგანი იყო ფიზიოლოგია, მაგრამ ის დაინიშნეს ბუნების მეტყველების კათედრაზე, სადაც ვალდებული იყო ესწავლებინა პალეონტოლოგია. ჭექსელის იმედი ჭქონდა—პირველსავე შემთხვევაზე გადავალ ფიზიოლოგიის კათედრაზე, მაგრამ ეს მოლოდინი არ აუსრულდა. კათედრის მიღების შემდეგ ჭქსელის წინსვლა სამსახურში უზრუნველ-ყოფილი იყო. იმან იმსახურა მეტის წარჩინებით და 1885 წელს კიდევ დაანება თავი საზოგადო-

სამსახურს. 1895 წელს მძიმედ დაავადდნო და კიდევ გამოე-  
სალმა წუთი სოფელს.

სწორედ მიმზიდველობის გულის ძეგრას გამოიწვევს თქვენში  
ისეთი ადამიანის სახელი, რომელიც ძლიერია არა მარტო ჭკუით,  
არამედ ზნეობრივი სიფაქიზით და საზოგადოებრივი გრძნობის  
სიძლიერით. თითოთ საჩვენებელია ჭექსლი ამ მხრით. ჯერ შესუდეთ,  
როგორ ექტევა ის თავის საქმეს. მარქსს უთქვამს—გენიოსობა  
ეს შრომა არის. მართლაც, ერის კულტურული განვითარება და  
სიძლიერე სხვათა შორის იმაში ინსტება, რომ მის შვილებს  
ძალიან ატანონ მუდმივი ჯათა, გონებრივი იქმნება, თუ ფიზიკურ-  
რი. ჭექსლი, შვილი მძლავრი ინტელისკული კრისა, სწორედ ამართ-  
ლებს ამ აზრს. მას მარტო თავის საქმე ასწავს, ის  
შეზერობილია მეცნიერების წინსვლის სურვილით. ვინც გინდ  
სტუმარი ჭყავდეს სასტუმრო ოთახში, როცა შრომის დრო  
დაუდგება, ბოდიშს იხდის და მიდის სამუშაო კაბინეტში.  
არა ერთხელ უთქვამს: უმთავრესი საიდუმლოება მეცნიერუ-  
ლი სიძლიერისა იმაში იმარსება, რომ შეგოდლოთ დღეში თქვე-  
სმეტი საათი იშრომოთ. თუ ეს არ შეგოდლიანთ, მაშინ ადვილი  
წარმოსადგენია მეცნიერების მიმდინარეობას ვერ განხვევთ და გონე-  
ბრივი რიყეზე გამოვარდეთ. გარდა ამ შინაგანი თვისებისა ჭექსლის  
ჭქონდა დიდი ღირსება საზოგადოებრივის მხრით. ის დაწინივით  
დახურობდა იმ მეცნიერთ, რომელთაც შეუქმნიათ რაღაც კასტიური  
კანკაეტელობა და თავის ცოდნას და განვითარებას მხოლოდ ვიწ-  
რო მეცნიერულ ფარგალში იყენებენ. შირიქით, მას მეცნიერება გა-  
მოჭქონდა ღაბორატორიის და სასწავლებლის ვიწრო კედლებიდან  
ხალხში, წარმოსთქვამდა მეცნიერულ კრებებზე, სხდომებზე... გარ-  
და ამისა არა ერთხელ წაუგოთხავს დექტრები უბრალო მუშებისათვის.  
საუკეთესო ამ დექტრებთაგანი უკვე დაბეჭდილია სწორედ ესაა  
უმაღლესი იდეალი მეცნიერისა. ის კი არ მარსავს თავის გულში  
შექნილ ცოდნას, უნდა ხალხიც გაანათლოს, წინ-წინ სწიოს და  
მიიხლოვოს თავის-თავთან.

მრავალნიანი შრომა ჭექსლისა შეიძლება დავეთ ორ რიგად:  
შირველ რიგს ეკუთვნიან მისი სპეციალური გამოკვლევანი, მორე

რიგს—სახოგადო სასიათის თხზულებანი, სადაც კერძო გამოკვლევანი ძეგრთებულა, თეორიულად დასაბუთებულა და გამოყვანილია სახოგადო დასკვნები, ესე იგი ეს მისი მეცნიერების ფალოსოფიაა. ჭეჭსლის სპეციალური შრომანი მეტად დიდმნიშვნელოვანია. ზოგი მისი სახელმძღვანელოები სპეციალურ საგნებში დღეისათვის ნამარჩბაშია, მიუხედავად მეცნიერების სწრაფი განვითარებისა. რასაკვირვებია, მას მარტო ეს სპეციალური შრომა იმ დეტალებთან, მისი სახელა მანც დაჩნებულა ძლიერი მეცნიერებაში. ხოლო ამ შემთხვევაში იმას მოკლედ ბედა სპეციალისტისა, რომლის დიდება მხოლოდ გაწრაფარება და მწიფეულია. ჭეჭსლის გავლენას ძალა სწორედ მეორე გვარ თხზულებებშია. იმთ შეუქმნეს მას ძლიერი ადგილი ამ საუკუნის გონებრივ მსვლელობაში.

ყვეით შეგნიშნეთ, რომ ჭეჭსლი გამოვიდა დარგანაზმის მოციქულად. მართლაც, არა ერთი ბრძოლა გაუძარტავს იმას მეცნიერების მტრებთან. აი ერთი მაგალითი. 1860 წელს ბრიტანიის საზღვარგარეთის ჭეჭსლი სსდრმა ქალაქ ოქსფორდში, სადაც მოთავსებულა ძველი უნივერსიტეტი. ამ უნივერსიტეტის მეცნიერულ ძალას შეადგენენ უმეტესად პროფესორები ისტორიის, ლატინურებისა და ღვთის მეტეფელებისა. მათ შორის უკანასკნელი უკლავსე უფრო იყენებ ტრადიციული, ძველი აზრების აზრადი. ტოლოგი გონსერვატორია უკველი მხრით: აღზრდილად და გარკვენი ბირობების ძალითაც. ამიტომ მათ თვალში დარგანის მოდგმათა წარმოშობა მეტად სასიფათო რამ წიგნი გამოდგა. აქ მოხდა შებრძოლება ვერ ჭეჭსლის და ერთ მეცნიერ ოყენის შორის, ოყენი ამბობდა: ადამიანის და მამიუნის ტვინთა შორის ძირითადი განსხვავება არისო. ჭეჭსლი სულ წინააღმდეგს ამტკიცებდა და განაცხადა, შემდეგ სხდომაზე საკუბით დაკავშირებ ნემ აზრსო. ამ დროს წამოდგა ერთი რახანი ემისკოპოსი, დაწყო რახანი სატყვა. რასაკვირვებია, მისი მსჯელობა მოკლებული იყო უკველ ფაქტურ საფუძველს, მაგრამ მასში ძალა-ძალა სიტყვები იყო და მასთან მეტად მებენარი საგვანში. დასასრულს ასეთი კითხვით მიჭმართა ჭეჭსლის: საფურადლებოა ვინდრეთ, რომელი მხრიდან შთამომავ-

ლბთ თქვენ მაიმუნისაგან, — მაშათ თუ დედითა». (დემურთა თვა-  
თონ ჩამაგდო ხელშია, — წასწუწწულა ჰექსლამ მეგობრებს და წა-  
მოდგა სანასუნოდ. ჯერ მოკლედ და მკაფიოდ გამოსატა ახალი  
თეორიის შინაარსი. მერე დასწება თავი მეცნიერულ მსჯელობას და  
მიჭეო ხელი ემსკობოზს და ჩაგდო საკადრის სასწავლო სიერთო  
სიცილის დროს. მე უკვირ ვთქვა და ახლაც ვიმეორებ, რომ ადა-  
მიანისთვის არაფერია სასარგებო არა არის-რა იმაში, რომ მისი  
წინაპარი ყოფილა მაიმუნი. ჩუი წინაპარი თუ შემარცხვე-  
ნდა, სწორედ ისეთი გარა, რომელსაც აქვს დაუდებარი და  
გამოურგვეველი გონება, რომელიც არ კმაყოფილდება საკუთარ  
სფეროში მოხვეჭილი საუკვო სახელით და ჰქადაბს ხელს ისეთი  
კითხვების გამორკვევას, რომელთაც სწულაად არ იცნობს, ამ სა-  
ხით უფრო ამხლებს საგანს, ვიდრე არკვევს, უჭრევს თვალს მა-  
უურებელს ნამდვილი საგნისაგან აქეთ-იქით პოტინით და განზე  
გახვევით, ამავე დროს ხელკენუზად მიჭმართავს ხალხის საწმუ-  
ნობებზე საბრძავესო!» აა ჰექსლას პასუხა, ღარსი ნამდვილ მეც-  
ნიერისა.

ხედავთ, რა ძალა ადღგომია წინ დარკინის თეორიას? წარმოად-  
გინეთ ახლა, რა მოხდა 1894 წელს. ამ წელს წარმოთქვა სიტ-  
უვა იმავე რესფორმში ერთმა წევრმა ინგლისურმა ეკკლესიისა და  
სხვათა შორის მენიშნა: «დარკინმა ყოველ ეკვს გარეშე განსადა ის  
აზრი, რომ მოდგმანა ცვალებადა არიანო». მართლაც, ერთმა ნაწი-  
ლმა სამღვდელკობისა დღეს თათქმას დაამშვიდა გული და იცნო  
დარკინის თეორია. ხოლო, რასაკვირველია, ის ამავე დროს ცდი-  
ლობს, რომ ეს თეორია თავის დაგმატაურ აზრებს მოუწასწავეს  
და შეიციგოს.

ჰექსლა უბრალო დამცველი კი არ ყოფილა დარკინისა. ის  
უგაფუგდა გზას მის მომღვრებას; უფაროთკება ახმაკოზს მის  
აზრებს. თავის თხზულებაში «მოდგმათა წარმოშობა» დარკინი არა-  
ფერს არ ლაპარაკობდა ადამიანზე. იმას ეს მოსდიოდა სიფრთხი-  
ლით, რადგან იცოდა, რომ უმისოდაც ბევრი მტერი გამოუჩნდე-  
ბოდა. ჰექსლამ ურჩვეო ყოველნაირი სიფრთხაღუ და თვათონ მოჭ-  
კადა ამ კათხვას ხელი, რომ საკსებათ დაეკვირგინებანს ახლა

თეორია. \*) 1860 წელს მან გამოაცხადა: წავიკითხავ მუშეთათვის მთელ კურსს ლექციებისა ამ სათაურით: «დამოკიდებულება, რომელიც არსებობს ადამიანსა და დაბალ ცხოველთა შორისა». 1862 წ. იმავე საგანზე წავიკითხა ორი ლექცია ედინბურგის ფილოსოფიურ ინსტიტუტში.

უკვე ღინებამ 1735 წელს თავის «Cystema naturae»-ში ადამიანი დასვა მუშუძმოკართა მეთაურად, შეუერთა მამიუნებს და დაარქვა მათ საერთო სახელი ადამიანთ მაგვიარი, ცოტა ხნის შემდეგ იმან დაარქვა ამავე ცხოველებს წარჩინებულნი ცხოველნი ანუ Primates. საჭირო იყო, რომ დამტკიცებულყო სრული ერთგვარობა ადამიანისა სხვა ცხოველებთან. ეს ერთგვარობა მტკიცდება ანატომიურად, ფიზიოლოგიურად და ფსიხოლოგიურად.

ჭექსლიმ დაწვრილებით შესწავლა აკებულობა ადამიანისა და მასთან ახლო მდგომი ცხოველებისა—მამიუნებისა. ამ შესწავლამ მიიყვანა შემდეგ დასკვნამდე: «კრიტიკული განსილვა ყველას ორგანოებისა და მათი დლაგება ჩვენ გვარწმუნებს, რომ ანატომიური განსხვავება, რომელიც ჭეოფს ადამიანს ჩიმჰანზეს და ჭორილასაგან გაცილებით უფრო ნაკლებია, ვიდრე ის განსხვავება, რომელიც არსებობს აწ ადამიან მაგვარ დაბალ მამიუნთა შორისა». აქედან აშკარაა, რომ ადამიანს უნდა დაეთმოს ადგილი მამიუნთა რიგში. შემდეგმა გამოკვლევებმა შედარებით ანატომიაში საკლებით დაასბუთა ეს ჭექსლის კანონი.

ჩვენ ახლა გადავიდეთ შედარებით ფიზიოლოგიაზე. საზოგადოდ უოკელი ცოცხალი არსის მოქმედება, ფუნქცია, სამნიანი: პირველი, ის იკვებება, მეორე—მრავლდება, მესამე—ის ჰასუსს აძლევს, ესმუწება თავის არეს. ეს უგანასენელი ფუნქცია, ესე იგი გარემოცულ ბუნებასთან გამოსწორება არის ნერვების სისტემის საქმე—ეს ფსიხიური მოქმედებაა. ცხოველური მოქმედება ადამიანის—კვება, საჭმლის მოხლეება, სისხლის ბრუნება, სუნთქვა და ნივთიერებათა

\*) რამდენისამე წლის შემდეგ, როცა ევოლუციონური თეორია საკმაოდ გამავრდა, დარენიმაც გამოცა თხზ. «სქესობრივი შერჩევა და ადამიანი».



ცვლად ყოველ ეჭვს გარეშე ეძიებოდა იმგვარსავე ქიმიურ და ფიზიკურ პრინციპებს, როგორც აქვთ ადამიან-მაგვარ მამიუნებს. იგივე ითქმის სქესურ თვისებებსა და გამრავლებას. ჩვენი ჩონჩხის წყობილება და მისი შესანიშნავი, კუნთების მოქმედება არ განსხვავდება მამიუნთა იმგვარსავე მოვლენებისაგან. წინედ ჭეფიჭობდნენ — მხლელად ადამიანს შეუძლიან ამართულად, რა ფესზე სიარულით. სოფლად მამიუნს ევლად ფესები ისე მოწყობილი აქვს, რომ უკანა ფესებს წინა ფესებსავეთ ხმარობს, ამიტომ მამიუნს კიდევ დაარქვეს ოთხ-ხელისანი. მაგრამ ეს დიდი შეცდომა გამოდგა. დაკვირვებაში დაგვიანსება, რომ ამართულად სიარული დროთა-დრო ძალიან ეხერხება ჭირად, ჩიმიანსეს, ორანგს და გიბონს.

ასეა გაითვალისწინოთ ნერვული სისტემის განვითარება. უმარტივესი ცხოველი ამემა მოვლენებულად ყოველ ორგანოს. ეს უბრალო ბუშტი, რომელსაც არ ეტყობა არავითარი გამოხატულება, დიფერენციალია. მიუხედავად ამისა ამ ცხოველს აქვს ყოველი ცხოველური ფუნქცია. ის კიდევ იკვებება, მრავლდება და ჭკრჩნობს. ის ეხმარება გარეშე ბუნებას. ცდილობს აშორდეს მანე არეს, შეეწყოს გარეშე პირობებს. აი მარტივი ფორმა გრძნობიერებისა, აქ არავითარი განსაკუთრებული ორგანო არაა. მთელი სხეული ერთნაირად ეხმარება გარეშე წარეს. ესაა საფუძველი, დასაბამი, საიდანაც წარმოიშენ უფრო განვითარებული ორგანიზაციები. ყოველგვარი ცვლილება ორგანიზმში გამოწვეულია გარეშე ძალების გავლენით. წარმოადგინოთ, რომ უმარტივეს ცხოველს გაუჩნდა განი. ადვილი წარმოსადგენია ისიც, რომ ამ განს ყოველგვარ ერთნაირი აგებულება არ ექნება: ერთი ადგილი უფრო თხელი იქნება, მეორე — სქელი. თხელი ადგილი უფრო მგრძნობიარე გამოდგება, უფრო ადვილად გაღიზიანდება. ამის შედეგი ის იქნება, რომ ამ ადგილებში ჩნდება მეტად ძლიერი გრძნობიერება. როგორც ყოველი ორგანო, ეს მგრძნობიარე გზებიც თანდათან ვითარდებიან ვარჯიშობის გამო და ამ ნაირად იქცევიან განსაკუთრებულ გრძნობიერების გატარებულ გზებად. ამ სახით გარეშე არე თან-და-თან სცვლის ამ გზების აგებულებას, ესე იგი ნერვულ უჯრებს და ფიბრებს. მათი სიარული იმდენად ძლიერდება, რამდენად ცხოველი

უმადლესს საფეხურზე დგას. ემბრიოლოგიამ დამტკიცა, რომ მთელი ნერვული სისტემა ტვინისა და ის შექანიზმები, რომელნიც მას შეკლავს სხეულის მართვაში—გრძნობის ორგანოები, წარმოსდგებიან გარეშე საფენის კანის ჩახსენებით. მომავალ ორგანოს ადგილებზე კანი თან-და-თან შიგნით ჩიხსნიჭება, რის გამოც ჩნდება ჭურ უბრალო ზარკები და შემდეგ სხვა-და-სხვა გრძნობის ორგანოები.\*)

ჩვენი კითხვისთვის არცთუ საჭირო მანდა და მანდა ასე შორს წასვლა. საკმარისია გავხელოთ სერსემლიანები.

რომ ნერვული სისტემა არას გონებრივი მოქმედების იარაღი, ამას დღეს დიდი მტკიცება არ უნდა. ეკვი არაა, რომ ჩვენი ცოდნა დამყარებულია გრძნობის ორგანოების მოქმედებაზე. უამისოდ არავითარი აზრის წარმოდგენა არ შეიძლება. აი ამ წუთში მშვენივრად მოქმედობს სამხედრო ორგანო—თვალი, თქვენ ვილაყურს სედავო. მაგრამ საკმარისია სამხედრო ნერვი, რომელიც ნათლებრივ გაღიზიანებას ტვინს გადასცემს, გადასტრათ და იმავე წუთში ორგანოც უოკლსავე მნიშვნელობას ჭკაკაკს, გონებრივი ძალა დამოკიდებულია ამ ნერვული სისტემის განვითარებაზე სოლოცენტრი ნერვული სისტემისა არის ტვინი. განვიხილოთ მისი განვითარება სერსემლიანთა შორის. თვეს ტვინი შეტად მტრედა აქვს სერსემლიანთა შედარებით, რომელშიაც ის გადადის, მკლანავთ უფრო დიდი აქვთ ამავე სერსემლიანთა შედარებით; კიდევ უფრო დიდი აქვთ ფრინველებს. დაბალ მუქმწოვართ, როგორც, მაგ. ორუბიანს, კენგურუს, იმდენად მოზრდილი ტვინი აქვს, რომ ფრად განიჩეკა თვესის, აგრინველის და მკლანავის ტვინთაგან. ამ ნაირად რამდენად ცხოველი უმადლეს საფეხურზე დგას, იმდენად იმის ტვინი უფრო განვითარებულია აქვს. რასაკვირველია, შიჩველა ადგილი უჭირავს ადამიანს; სოლო რამდენად რომელიმე ცხოველი ადამიანს უახლოვდება თავისი აკებულობით, იმდენად მისი ტვინისა და ამ ცხოველის ტვინთა შორის განსხვავება ნაკლებია. აი ჭკქლას სიტყვები: «რაც უკესება ტვინის აკებულობას, ადამიანი განსხვავდე-

\* ) ამ საგანზე იხილეთ ქართულად გამოცემული თხზ. პ.ო.უ. ჰეკელიისა: „გრძნობათა ორგანოების განვითარება“.



ბა ჩიმპანსეს, გინდ ორანგუტანგისაგან ნაკლებად, ვიდრე ეს უკანას-  
კნელნი მარტიშეებისაგან და ადამიანის და ჩიმპანსეს ტვინთა შო-  
რის განსხვავება თითქმის შეუმჩნეველია, ჩიმპანსეს და ლემურის  
ტვინთა შორის არსებულ განსხვავებასთან შედარებითა. თუ ამ ცხო-  
ველთა ტვინის აგებულობა ძირითადად ერთნაირია, აქედან ცხადია,  
რომ მათი ფუნქციაც, მოქმედებაც, ერთგვარი იქნება, ამ გვარად ყო-  
ველ მხრიდან მტკიცდება განურღვეველი ერთობა ადამიანისა სხვა  
ცხოველებთან. ამის შესასებ დასკვნის ჭკველი ამ ნაირად: ადამიან-  
ის წარმოშობა ჩვენ დროს გადაშენებულ მუსამე ხანის პრიმიტივისა-  
გან დღეს ჭიზოტუნა კი არა, ისტორიული ფაქტია.

ამ ნაირად თან-და-თანობა ცხოველთა სამეოფოში დღეს ყოველ  
ქვეს გარეშა. უმარტივესი და ურთულესი ცხოველები მჭიდროდ  
აჩიან შეკავშირებულნი თან-და-თანობის კიბით. გართულებს გამოწ-  
ვეულია მხოლოდ შეგუების ძალით. სადა ცხოველური ფორმები  
იძის მისწრაფებაში, რომ გარემოცულ პირობებს უფრო შეეწო-  
ბოდნენ, თან-და-თან იძენდნენ უფრო რთულ აგებულობას. ეს ცვლას  
გართულების გზაზე მუდმივი პრაცესისა და არც შეჩერდება, სანამ  
სიცოცხლე იქნება. მას ემორჩილება ყოველი არსი, რომელსაც ზეირ-  
ში სული უდგას. მუდმივი პრაცესიული ცვალებადობა, პრაც-  
ესიული გართულება ორგანიზაციისა—აი ევოლიუციონური თეო-  
რიის საბოლოო დასკვნა.

დავაბოლოვოთ იმავე ჭკველის სიტყვებით. ავადაკალოთ თვა-  
ლი ახლო მომავალს! მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ მეოცე  
საუკუნის მეცნიერება არა თუ მიიღებს ჩვენს თეორიას განვითარე-  
ბისა, არამედ ის აღიარებს მას გამოჩენილ ქმნილებად ჩვენი დროის  
აზროვნებისა— ამ მხათობის ბრწუნივალე სხივებმა გაფანტეს შავი  
ღრუბლები უმერების და ცრუ-მორწმუნებისა, რომელთა მეოხებით  
დღემდის უზირველესი სავითნი ჩვენი აზროვნებისა—ადამიანის წარ-  
მოშობა ლუსკუმით იყო მოცული, დღემდისაც ვერ წარმოგვედგინა  
მისი ნამდვილი არსება და ადგილი ბუნების სხვა ქმნილებებში.  
უსაზღვრო გაფლანა ნატურალური ანტროპოგენიისა (სწავლას ადა-  
მიანის წარმოშობაზე) მეცნიერების და კულტურის ყოველ დარგზე,  
საზოგადოოდ, მოიტანს დაუფასებელ კეთილ ნაყოფს. დიდებული საქ-

მე, დაწვეული ჩვენ საუკუნეში ლამაზისაგან და დაგვირგვინებული დაკვინისაგან, დაჩნება ყოველ დროთათვის ერთ უდიდესესს გამარჯვებად ადამიანის გონებისა. ამ დიდ საქმეში ჭკესელი არა უნაწილო. იმასაც, როგორც ერთს გამოჩენილ კალატოსს, სკედრად ერგო ეშრომნა, რომ დიდებული ანტიტიტოსის დაკვინის მიერ შექმნილი გეგმის შესრულებაში მიუღო მონაწილეობა და ეზრუნა, რომ გარეშე ქართველს უმეტრებისა და უგუნურებისა არ დაეშალა, შეეფერხებინა, საერთო საქმე. ამიტომ, სადაც იქნება დაკვინის სახელი, სადაც წარმოვიდგენთ მისი თეორიის ზრდას და გავრცელებას, იქ ჭკესლის სახელიც, როგორც მეცნიერების, ერთი დიდებული სარდლისა დაუვიწყარია.

ბ. სურგულაძე



## შინაური მიმოხილვა

ციმბირში გადასახლების მოსპობა.—ორი უმაღლესი ბრძანება: 6 მაისს 1899 წ. და 12 ივნისს 1900 წ..—რეფორმის ნაკლებებიანი.—გადასახლების მაგიერი სასჯელი.—საპატიმროთა მდგომარეობის გაუქმობის საჭიროება.—ქართული მოზარდი თაობა გიჟნაზიებში.—ტფ. სათავად-აზნ. სკოლაში კურს დამთავრებულნი.—საჭირო შუამდგომლობა.

ციმბირი!... ამ სატყვის გაგონებაზე ჩვენებურს კაცს ჟრუანტელი გაუფლის ტანში. მის გონებას წარმოუდგება საშინელი ჯოჯოხეთი, რომელშიაც კაცს ყოველგვარი წვალეობა და განსაცდელი მოელის. ციმბირში დაკარგვა, ციმბირში გადასახლება უსაშინელეს სასჯელად მიაჩნია დღესაც ჩვენს ხალხს და ხშირად ტყეში გადაკარგვის, მხეცად ცხოვრებას და სიკვდილსაც ამჯობინებს იმ ცივსა და შორს ქვეყანაში წასვლას. მართალი რომ ვთქვათ, ეს წარმოდგენა არც არას ძალიან გაზვიადებული: ჩვენებურ კაცისათვის, რომელმაც რუსული ენა არ იცის, არც შეძლება აქვს, არც ხელობა იცის რამ (ამისთანები უფრო იგზავნებიან ციმბირში), სუსხიანი ქვეყანა ნამდვილი ჯოჯოხეთია. წარმოიდგინეთ ჩვენი სოფლელი კაცი, დაუძღვრებული ჯერ ციხეში ჯდომით, შემდეგ საშინელის გზით, საღმე, ირკუტსკის გუბერნიის მიყრუებულ დაბასოფელში! მამულს მოშორებულნი, უცხოთა შორის, რომლებ ისაც მას არა გაეგება-რა და რომელნიც მას მეტად მტრულად უყურებენ, მშიერ-მწყურვალი და უიმედო, ის უფრო ხშირად ვერ იტანს ამგვარს ცხოვრებას და რამდენისამე წლის ტანჯვა-წვალე-

ბის შემდეგ, სამუდამოდ განისვენებს სტუმრის არამოყვარულს ქვეყანაში. ციმბირში ძალით გადასახლებულ რუსებსაც კი მეტად უჭირს ფეხზე დადგომა, ჩვენებურისთვის კი ეს უფრო ხშირად შეუძლებელია! უმეტესი ნაწილი პირველსავე წლებში კვდება, მხოლოდ უმცირესობა ახერხებს არსებობისათვის ბრძოლას და ვაი-ვაგლახით ცხოვრებას... ჩვენებურებისათვის ციმბირში გადასახლება განსაკუთრებით სასტიკი სასჯელია, ამიტომ ჩვენთვის ამ სასჯელის შესახები ამბებიც განსაკუთრებით საყურადღებოა უნდა იყვნენ...

წარსული წლის 6 მაისი ღირსშესანიშნავ და სამახსოვროდ დღედ დარჩება რუსეთის ისტორიაში: ამ დღეს გამოქვეყნდა უმაღლესი ბრძანება საგანგებო კომისიის დანიშვნის შესახებ გადასაწყვეტად საკითხისა ციმბირში გადასახლების მოსპობისა და შეზღუდვის შესახებ. ამ ამბებმა დიდი სიხარული გამოიწვია მთელს რუსეთში და თანაგრძნობით იქმნა მიღებული ევროპაშიაც, სადაც ციმბირზე ისეთივე ცუდი წარმოდგენა აქვთ, როგორც ჩვენში. მაგრამ უმეტესი სიხარული და აღტაცება უმაღლესმა ბრძანებამ გამოიწვია, რასაკვირველია, თვით ციმბირში, რომელსაც ეს ბრძანება პირდაპირ შეეხება. ციმბირს მძიმე უღლად აწევს კარგა ხანია ეს სასჯელი. ეს მდიდარი ქვეყანა ვერ მიდის შესაფერის სისწრაფით წარმატების გზაზე უმეტესად იმიტომ, რომ ვალდებულია ყოველ წლივ მიიღოს 20 ათას სულზე მეტი დამნაშავე. ქვეყანა გახდა ორმოდ, რომელიც იცვება უწმინდურებით დიდს რუსეთის იმპერიიდან... ციმბირში გადასახლება შემოღებულ იყო მე-16 საუკუნის მეორე ნახევარში. პირველ ხანებში მას ჰქონდა კიდევ მნიშვნელობა, რადგანაც ხელს უწყობდა ველურ ქვეყნის დასახლებასა და წინსვლას. გადასახლებულთ ადგილ-მამულიც ეძლეოდათ, ფულიც და ყოველივე დახმარებაც, რათა მათ შემწეობით უფრო მჭიდრო კავშირი დამყარებულიყო რუსეთსა და ახლად დაპყრობილ ვეებერთელა ახალშენის შუა. დამნაშავეთ მართლაც დიდი სამსახური გასწიეს: მათ დასახლეს და ბევრგან ააყვავეს კიდევ ველური ქვეყანა. მაგრამ შემდეგ, მე-19 საუკუნის დასაწყისიდან,

ციმბირში დამნაშავეთა გადასახლების საქმე უწესრიგობაში ჩავარდა და სარგებლობის მაგიერ დიდ ენებად გადაიქცა ქვეყნისათვის. მას შემდეგ, რაც რუსეთიდან ციმბირისაკენ დაიძრა დიდძალი ხალხი, არა-დამნაშავე, მას შემდეგ, რაც სოფლები დასახლდა შრომის მოყვარე რუსის გლეხებით, ხოლო ქალაქები—ვაჭრებითა და ინტელიგენციით, ქვეყანა, მდიდარი ბუნებრივად, ჩქარის ნაბიჯით წავიდა წინ და მას არა თუ არ ეკირვებოდა დამნაშავეთა მუშაობა, პირიქით დამნაშავენი წინ გადაეღობნენ მის წინმსვლელობას მოქალაქობის გზაზე. ამიტომაც დიდი ხანია დაიწყეს კიდევ ლაპარაკი დამნაშავეთა გადასახლების მოსპობის შესახებ. 1835 წელს თვით იმპერატორმა ნიკოლოზ I უბრძანა მინისტრებს „განხილეთ, შეიძლება თუ არა სრულიად იქმნას მოსპობილი ციმბირში დაკარგვია“. მაგრამ სახელმწიფო რჩევამ ვერ სცნო მაშინ შესაძლებელად ამ სასჯელის მოსპობა. საკითხი ხელმეორედ აღიძრა იმპერატორის ალექსანდრე II მეფობის დროს, 1871 წელს, და მას შემდეგ მისი განხილვა თითქმის არ შეწყვეტილა. 1871 წელს გადასახლების მოსპობის საჭიროება აღიარა საგანგებო კომისიამ, რომელიც იუსტიციის სამინისტროში იყო დაარსებული. 1878 წელს იგივე საჭიროება გამოაცხადა სახელმწიფო რჩევის საგანგებო კომისიამ კ. კ. გროტის თავმჯდომარეობით. 1886 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარედგინა მოხსენება საპრობილეთა უმთავრეს მმართველისაგან იმის შესახებ, რომ დროა შეიზღუდოს ციმბირში გადასახლება; 1888 წელს იგივე დაასკვნა კანონთა საკოდიფიკაციო განყოფილებამ. იმავე დროს უმაღლეს მთავრობას მოხსენდა ამურის გენერალ-გუბერნატორის, ბ-ნ კორფის, აზრი გადასახლების მოსპობის საჭიროების შესახებ. თავის მხრით ციმბირის საზოგადოებაც სარგებლობდა ყოველის შემთხვევით და თხოულობდა გადასახლების გაუქმებას. გადასახლების წინააღმდეგნი იყვნენ აკრეთვე ციმბირის ეურნალ-გაზეთები და მწერლები, რომელთა საუკეთესო წარმომადგენელნი, როგორც მაგალითად იადრინცევი, პოტანინი და სხვანი, დაულალავად ქადაგობდნენ გადასახლების გაუქმების საჭიროებას.

ეს ერთსულოვნება და ერთაზროვნება საუკეთესო მაჩვენებელია იმისა, თუ რა მძიმე და საშინელი ყოფილა ის ხარკი, რომელიც დღეღის აწევს კისერზე ციმბირს და რომელიც ხელფებს უბორკავს მას! ციმბირი დღეს სრულიად არ წააგავს იმ ველურ ქვეყანას, რომლის დასახლებისათვის დამნაშავენიც ვარგოდნენ. დღეს იქ ვაჭრობა-მრეწველობაც გაძლიერდა, რკინის გზები გაშენდა, სწავლა-განათლებაც ვრცელდება; ერთის სიტყვით მოქალაქობრივი ცხოვრება მყარდება და ვითარდება, ამიტომაც დამნაშავეთა იქ გზავნა ანომალიად გადაიქცა, რომელიც 6 მაისის ბრძანებამ საქვეყნოდ აღიარა მავნედ და უსამართლოდ...

საერთო სიხარული, რომელიც გამოიწვია შარშანდელმა ბრძანებამ, მალე შეიცვალა ექვით, ვაი თუ არ განხორციელდესო ყველასათვის სასურველი და ჰუმანიური წინადადება ახალგაზდა მეფისაო! ეს ექვი დაჰბადა იმ გარემოებამ, რომ მეტად ძნელია დაწესდეს გადასახლების სამაგიერო სასჯელი-რამო. მართლაც, სად უნდა წაეყვანათ ის 20 ათასზე მეტი დამნაშავე, რომელიც ამ ჟამად ყოველ წელს იგზავნება ციმბირში? არსებულნი საპრობლემები დღევანდელ საქიროებასაც ვერ უძღვებიან და ახალს დანიშნულებას ხომ სრულიად ვერ აასრულებენ. ამიტომაც საკითხი — „რა ეშველება მრავალ დამნაშავეთ, თუ ციმბირში დაკარგვა მოისპოვო“ — კვლავ წამოყენებულ იქმნა წინ და გადასახლების გაუქმების პროექტს კვლავ ჩაჩუმებას უქაღიდა.

მაგრამ ამ სამწუხარო ექვსა და საერთო შიშს ბოლო მოულო მეორე უმაღლესმა ბრძანებამ, რომელიც გამოქვეყნდა 12 ივნისს. ეს ბრძანება ამბობს, რომ შარშან არჩეულმა კომისიამ და შემდგმ სახელმწიფო რჩევამაც შესაძლოდ დაინახესო გადასახლების მოსპობა და შეზღუდვაო და ამიტომ ახალი კანონი შემოღებულ იქმნას მომავალ წლის 1 ლ იანვრიდანაო. ამ ნაირად მე-20 საუკუნე რუსეთში იწყება შესანიშნავის რეფორმით: ისპობა დიდი ხნის უსამართლობა და მასთან სასტიკი სასჯელი, რომელიც მრავალ ხალხს სამუდამოდ აუბედურებდა.



ახალი კანონი და დროებითი წეს-რიგი, რომელიც მას მოჰყვა მრავალ მხრივად აუმჯობესებენ საქმეს: 1) ამიერიდან ისპობა ციმბირში გადასახლება სასამართლოთა და დგენილებით, როგორც სამუდამო საცხოვრებლად (на поселение), ისე დროებით (на житье); გადასახლება რჩება მხოლოდ მცირეოდენ დანაშაულობათათვის, უმთავრესად სარწმუნოებისა და სახელწიფოს წინააღმდეგ; 2) ისპობა გადასახლება ადმინისტრაციულის წესით მოქალაქეთა საზოგადოების (мѣщанское общество) და დგენილების თანახმად; 3) შესამჩნევად იზღუდება სოფლის საზოგადოების უფლება ადმინისტრაციულის წესით გაგზავნოს თავისი წევრნი ციმბირში; 4) ისპობა უფლება, რომლით სოფლისა და მოქალაქეთა საზოგადოებათ შეეძლოთ არ მიეღოთ თავის საზოგადოებაში ის პირნი, რომლებმაც დანაშაულობის გამო რაიმე სასჯელი მოიხადეს; 5) ისპობა სასტიკი კანონი, რომლის ძალით ადმინისტრაციულის წესით გაგზავნილს შეეძლო მოეთხოვნა—ცოლ-შვილიც გამაყოლებთ თანაო და ეს უდნაშაულო პირნი უთუოდ უნდა გაჰყოლოდნენ მას ციმბირში.

ცხადია, თუ რა ჰუმანიური და სამართლიანია ახალი კანონი: იგი არა თუ ანთავისუფლებს ციმბირს მანე ელემენტებისაგან, კაცთ-მოყვარულადაც ამსუბუქებს მრავალ დამნაშავეთა ბედ ილბალსაც. დღემდის, შედარებით მცირე დანაშაულობისათვისაც კაცი იკარგებოდა სამუდამოდ ციმბირში და ამასთანავე დაკარგული ჰკარგავდა ღირსებასა და ყველა უფლებათ: ამიერიდან კი უმთავრეს ნაწილს ამ დამნაშავეთა წაერთმევა მხოლოდ ზოგიერთი უფლება და ციმბირში გადაკარგვის მაგიერ მიესაჯება ციხეში, ან ზნეობის გამასწორებელ საპრობილეში რამდენიმე წლით დამწყვდევა. დღემდის მრავალი ნაწილი დამნაშავეთა ჰკარგავდა ყველა უფლებებს და იგზავნებოდა ციმბირში; ეს იყო მოქალაქობრივი სიკვდილი მათთვის. ამიერიდან კი ეს დამნაშავენი დაჰკარგვენ მხოლოდ ზოგიერთ უფლებას და რამდენიმე წლის შემდეგ ისე დაბრუნდებიან თავიანთ სახლში; ამით მათ შეძლება მიეცემათ კვლავ გახდნენ

სასარგებლო და პატიოსან წვერებად საზოგადოებისა და სახელმწიფოსი!..

სამართლიანობა თხოულობს აღვნიშნოთ, რომ ახალი რეფორმა არ არის სრული და რადიკალური. აღვნიშნოთ პირველად, რომ ის სრულიად არ შეჰხებია კატორღას; ხოლო კატორღა, რუსთა მეცნიერებისა და მწერლების მოწმობით, ცუდს, უწეს-რიგო მდგომარეობაშია და კარგა ხანია, თხოულობს რეორგანიზაციას... კატორღას რომ თავი დავანებოთ, ჩვენ ვხედავთ, რომ გადასახლების საკითხიც ვერ გადაუწყვეტია ახალს რეფორმას საესებით: 1) ციმბირში გადასახლება კიდევ დარჩა ზოგიერთ დანაშაულობისათვის და 2) სოფლის საზოგადოებათ სრულიად არ მოესპო უფლება ციმბირში აღმინისტრატულის წესით გადასახლონ თავისი წევრები. მაგრამ, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ახალი რეფორმა შეეხო რამდენიმე საუკუნეთა უსამართლობასა და უწეს-რიგობას და საკმაოდ მძლავრად შეარყია იგი, ჩვენ დავრწმუნდებით, რომ 12 ივნისის ბრძანებას შესამჩნევი ცვლილება და განკარგება მოჰყვება რუსეთის სახელმწიფოსათვის.

ციმბირში გადასახლების მოსპობა წინ აყენებს კვლავ ერთ ძველს საკითხს—საპრობილეთა გაუმჯობესების სიჭიროებას. როგორც სისხლის სამართლის უფლების რუსი მეცნიერნი და რუსეთის ჟურნალ-გაზეთობა, ისე ოფიციალური წრეები დიდი ხანია მოწმობენ, რომ საპრობილეები რუსეთში მეტად უნუგეშო მდგომარეობაში არიანო: უწმინდურება, ვიწროობა, უწეს-რიგო გამგებლობა, სახელოსნოთა და სამუშაოთა მოუწყობლობა—ყოველივე ეს ნამდვილ კატორღად ქმნიან საპრობილეთ და საჭიროდ ხდიან დაარსებას ახალთა საპრობილეთა, რომელნიც მოწყობილ უნდა იქმნან ისე, როგორც თანამედროვე მეცნიერება თხოულობს. 12 ივნისს გამოქვეყნებულს „დროებით კანონებში“ ნათქვამია, რომ მიღებულ იქმნება ზომები საპრობილეთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვისო; ამ ზომებიდან იქმნება დამოკიდებული, თუ რამდენად კარგი ზღვრები შედეგი მოჰყვება თვით რეფორმას: თუ

საპრობილეთა მდგომარეობა არ იქნა გაუმჯობესებული, მაშინ დამნაშავეთა დამწყვეტებას კატორღაში გაგზავნის ხასიათი ექმნება და ახალი წესი შეიძლება ციმბირში დაკარგვანე უფრო სასტიკიც შეიქმნეს...

უკანასკნელ წლებში ჩვენის საზოგადოების ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ტფილისის საშუალო სასწავლებლებში იმატა ქართველ მოზარდ თაობის რიცხვმა. ეს ჩვენთვის სასიამოვნო გარემოება, რასაკვირველია, შემთხვევითი არ არის, რადგანაც მოსწავლეთა რიცხვის ზრდა თანდათანობით ხდება და რადგანაც გამოწვეულია სრულიად კანონიერი მიზეზით. ეს მიზეზია—ქართველ მცხოვრებთა ზრდა და გაძლიერება ქალაქებში. ქართველები სოფლის ხალხი იყო ძველადგანვე; ქალაქს ისინი არ ეტანებოდნენ, ამიტომ იქ პირველობა და ბატონობა სხვებმა ჩაიგდეს ხელში. სწავლის საქმეშიც პირველობა ქალაქში იმათ ხვდა, ვინც უფრო მდიდარია, ვისაც უფრო მეტი შემძლება აქვს მოამზადოს და თვალ-ყური ადევნოს ბავშვების სწავლასა და აღზრდას. ტფილისის საშუალო და დაბალი სასწავლებლებიც, ხსენებულ მიზეზისა გამო, აივსო სომხებითა და რუსებით, ქართველებს კი ძლიეს რჩებოდა რამდენიმე ადგილი. ეს ასე იყო წინად და ეხლაც ასეა ჯერ, მაგრამ უკვე ცხადია, რომ გარემოება იცვლება: ქალაქს მოატანა ქართველმაც და ამიტომ ქალაქის სასწავლებლებშიაც იმატა ქართველთა რიცხვმა. ამას ამტკიცებენ, სხვათა შორის, შემდეგი ციფრებიც: საქალაქო სასწავლებლებში წინად ქართველთა რიცხვი მცირე იყო, რუსებისა და სომხების რიცხვი გაცილებით სჭარბობდა, უკანასკნელ სამ წელიწადს კი სურათი თან-და-თან იცვლება. როგორც სჩანს კავკასიის სამ-სწავლო ოლქის მზრუნველის ანგარიშიდან, 1897 წელს საქალაქო სასწავლებლებში იყო: რუსი—3708, სომეხი—2809 და ქართველი—2090; 1898 წ.—რუსი—3976 სომეხი—1908 და ქართველი—2372; 1899 წ. უკვე—რუსი—4284, ქართველი—3069 და სომეხი—3060.

ამგვარადვე მატულობს რიცხვი ქართველ მოსწავლეთა საშუალო სასწავლებლებში. ეს უფრო ემჩნევა ტფილისს. აქ წინად, მაგალითად, საშუალო სასწავლებლებში კურს ათავებდა ძლივს 5—6 ქართველი ახალგაზდა; უკანასკნელ წლებში კი ეს რიცხვი გაორკეცდა და გასამკეცდა, წელს კი ტფილისის სამივე გიმნაზიაში კურსი შეასრულა 30 ქართველმა ახალგაზდამ!..


არ შეგვიძლია აქ გვერდი ავუაროთ სასიამოვნო ამბავს, რომელსაც ჩვენმა გაზეთებმა ყურადღება არ ათხოვეს: ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა შარშან შესრულდა სრულ გიმნაზიად და წელს პირველად გიმნაზიური კურსი დაასრულა მასში ხუთმა ახალგაზდამ; შემდეგ წლებში ეს რიცხვი იმატებს და ამგვარად კიდევ უფრო გაძლიერდება საშუალო სასწავლებლებში ქართველ კურს-დამთავრებულთა რიცხვი. ჩვენმა სათავად-აზნაურო სკოლებმა ბევრი ვაი-ვაგლახი გამოიარეს. დიდხანს ისიც არ იყო გამორკვეული—რა ხასიათისა უნდა ყოფილიყვნენ ეს სკოლები. ყოველ წელს საბანკო, სათავად-აზნაურო და სასკოლო კრებებზე სჯა-ბაასი იმართებოდა სკოლების შესახებ. ყველას, ვისაც არ ეზარებოდა, თავისი გეგმა ჰქონდა შემუშავებული დღევანდელ სკოლების გაუქმებისა და, სამაგიეროდ, ახლის ტიპის სკოლის დაარსების შესახებ. ამგვარს გამოურკვევლობასა და რყევას უთუოდ ვნება მოჰქონდათ სკოლებისათვის, რომელნიც ჯერ არ იყვნენ გამაგრებულნი და რიგიანად მოწყობილნი. ეხლა, საბედნიეროდ, ამ სკოლების ბედ-იღბალი გამორკვეულია, ხოლო ტფილისის სკოლა კიდევ გამაგრდა და მოიწყო ისე, რომ არაფრად არ ჩამოუვარდება ტფილისის სახაზინო გიმნაზიებს.

როგორცა ვთქვით ზევით, წელს ტფ. სათავად-აზნაურო სკოლის მთელი კურსი დაამთავრა ხუთმა კაცმა. ამ ახალგაზდებს საგიმნაზიო მოწმობების მისაღებად ეგზამენი დააქვრინეს ტფილისის მესამე გიმნაზიაში; მათგან სამმა მიიღო ხსენებული მოწმობა, ხოლო ორი უმოწმობოთ დარჩა. ამ გარემოებამ, როგორც ჩვენ ყური მოვკარით, აქა-იქ, საზოგადოებაში, უსა-

ფუძელო სამღურავი გამოიწვია: ბავშვები ცუდად იყვნენ მომზადებულნი, მხოლოდ 60<sup>0</sup>/<sub>0</sub>-მა ივარგაო და სხვა. ეს სამღურავი უადგილო და უსაფუძელო რომ არის, ამას, ჩვენ გვეგონია, ბევრი დამტკიცება არ უნდა. მართლაც, განა შეიძლება ასეთს მცირე რიცხვიდან, როგორც ხუთი კაცია, რაიმე უტყუარის დასკვნის გამოყვანა? ციფრებით რაიმეს დამტკიცება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც ბევრი ციფრი გვაქვს ხელში; მხოლოდ ამ შემთხვევაში გვაძლევს რაიმე ნამდვილ დასკვნას პროცენტების გამოანგარიშება; ხოლო თუ ხელში მხოლოდ მცირე რიცხვი გვაქვს, მაშინ <sup>0</sup>/<sub>0</sub>/<sub>0</sub> გამოანგარიშებით ჩვენ ვერაფერს ვერ გავიგებთ ნამდვილად. ეს ანბანური კემმარიტებაა სტატისტიკაში... გარდა ამისა, ეგზამენები თითქმის იგივე ლოტორეა არის, სადაც ბრმა ბედი უფრო მუშაობს, ვიდრე რაიმე კანონი; ამიტომაც, ბოლოს დროს მრავალი პედაგოგი სრულიად წინააღმდეგია ეგზამენებისა... მაგრამ აქ ჩვენთვის ყველაზე უფრო საყურადღებოა და გარემოებასაც უკედ აგეიხსნის შემდეგი ფაქტი: შემჩნეულია, რომ, საზოგადოდ ექსტერნები ნაკლებად იღებენ მოწმობებს გიმნაზიებში, რადგანაც მათ გაცილებით უფრო სასტიკად სცდიან, ვიდრე იმავე გიმნაზიის მოსწავლეთ. აქ გასაკვირველიც არა არის-რა: მასწავლებელი, რაც უნდა მიუღდომელი და სიმართლის მოყვარული იყოს, მაინც თავისას, თავის მომზადებულ და გაწრთვნილ ახალგაზდას უფრო ღმობიერად მოეპყრობა, ვიდრე სრულიად უცნობსა და ვიგინდარას. თუ მივიღებთ მხედველობაში ამ გარემოებათ, ჩვენ დავრწმუნდებით, რომ ტფ. სათავად-აზნაურო სკოლის კურს დამთავრებულნი რიგიანად ყოფილან მომზადებულნი და, მიუხედავად სასტიკის გამოცდისა, საკმაოდ გამარჯვებულნი დარჩენილან...

წრევანდელი მაგალითი ცხადად გვეუბნება ამასთანავე, რომ ტფ. სათავად-აზნაურო სკოლის კურს-დამთავრებულთ მეტად ბევრი შრომა დასჭირდებათ ხოლმე გიმნაზიურ მოწმობის მიღებისთვის, თუ დარჩა დღევანდელი წესი მათის გამოცდისა. ეს შრომა გაცილებით უფრო მეტი უნდა იქმნეს, ვიდრე

გიმნაზიელებს სჭირიათ. ხოლო თუ ახლანდელი გამოცდა ძალიან ლაზავს გიმნაზიელთ, ცხადია სკოლის მოსწავლეთ დიდად ავნებს. ეს გარემოება მეტად საყურადღებოა და დიდი მეცადინეობა გემართებს, რათა ავაცდინოთ ახალგაზდებს გადამეტებული შრომა, რომელიც უმნიშვნელოდ არ დარჩება მათთვის, მათ სულისა და ხორცისათვისაც. ჩვენის ფიქრით, საჭიროა თავად-აზნაურობამ შუამდგომლობა აღძრას, სადაც ჯერ არს, რომ სკოლის კურსდამთავრებულთ ნება მიეცესთ სკოლაშივე დაიჭირონ ეგზამენები, რისთვისაც შედგენილ იქნას საეგზამენაციო უკომისიები სკოლის და საბაზინო გიმნაზიების მოსწავლეებელთაგან.



ლ. ლა

შეცდომები:

უნდა იყოს მე-25 გვერდზე *ღღქსაღღღ*; ქართულ თარგმანში აკლას სიტყვა: შეცდენილი ტურფა და სსკ.

მე-50 გვ. უნდა იყოს: 18<sup>15</sup>/<sub>XII</sub> 98 წ.

დრ. რედაქტორი  
 ალექსანდრე ჯაბაძარა

გამომცემელი  
 ალექსანდრე ჯაბაძარა

6/108

